



2. J. P.

გამოცემა კოსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატონისა.

# ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

ღ

სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,

შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი

თ. შორდანიას-მიერ

წ ი გ ნ ა მ ე ო რ ე

(1213 წლიდან 1700 წლამდე).

ვუძღვნი ძვირფასს სახსოვარს **სინო** სამეგრელოს  
მთავრის ლევან დადიანის ასულისას და ივანე კოს-  
ტანტინეს ძის მუხრან-ბატონის მეუღლისას.



ბუილისი,

სტამბა მ. შარაძისა და აბს., ნიკ. ქ. № 21.

Типография М. Шарадзе и К°. Ник. у. № 21.

1897

4065

Handwritten signature or mark in the top right corner.

Дозволено цензурою Тифлисъ, 24-го февраля 1896 г.

## წინასიტყვაობის მაგივრი.

წინამდებარე არქეოლოგიურის შრომაში, რომელიც არის გაგრძელება პირველის ჩვენის წიგნისა („ქრონიკები“ და სს. ტფილისი, 1893 წ.), ჩვენ განზრახული გვქონდა წინწარგვედგინა ვრცელი აღწერა იმ ხელ-ნაწერებისა და სხვა წყაროთა, საიდანაც ამოგვიკრეფთა ქვემო-დაბეჭდილნი ისტორიულნი ცნობანი (სოლო მოკლე ცნობანი ამ წყაროებზე ჩვენ შიგ ტექსტში ჩაეურთეთ) და დაწერილებითი კრიტიკული გამოძიება ჩვენის მატანის „ქართლის ცხოვრების“ პირველის ნაწილისა (გიორგი ლაშას მეფობიდან დაწვეული ბოლომდე; სოლო გიორგი ლაშამდე ჩვენ უკვე გაკარბით ჩვენი მატანი პირველს წიგნში) და უმეტესად მორე ნაწილისა. უკანასკნელის ნაწილის დაწერილებითი კრიტიკული გარჩევა აუცილებლად საჭიროა და ფრთხილად გამოსადგო ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისთვის, მით უმეტეს რომ აქ, ამ უკანასკნელს „ქართლის ცხოვრების“ ნაწილში, ძველ ის ლადა, რომელიც ებოძებოდა და აბრეოლებს უკვლავ ჩვენს არქეოლოგებს. ამ გარემოებით აღძრულთა, ჩვენ, დიდი ხანია, შეუდექით „ქცხის“ მორე ნაწილის კრიტიკულად გარჩევას და თვით იმ საბუთების გამოძიებასა და გამოჩინებას, რომელთაცან შედგენილია ეს ნაწილი ჩვენის მატანისა. ჩვენს ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და დღეს უკვე ვრცელი და დაწერილებითი გამოძიება გვაქვს აღწერილი.

მაგრამ რადგან ეს მორე წიგნი ჩვენის „ქრონიკებისა“ მეტად გაგრძელება და რადგან თვით ბეჭდვა ამ წიგნისა, ჩემის ახალ-თავმჯდომობით ქუთაისის გუბერნიისში გადაუყენის გამო, მეტად გაძნელდა, ამის გამო გადაწვევით, ვრცელი აღწერა წყაროებისა და კრიტიკულად გამოჩვენება „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენის ნაწილისა მესამე წიგნში ჩაურთეთ, სადაც ჩვენ დაუბეჭდავთ იმ ცნობებსაც, რომელნიც უმეტესად საჭირონი არიან ჩვენის მატანის გასარჩევად და გამოსარჩევად და რომელნიც ჩვენ ამ მიზეზით განზრახ გამოვეუშეთ.

წინამდებარე წიგნი შესდგება ორ ნაწილისაგან. პირველს ნაწილში (გვ. 1—90) ჩვენ დაუბეჭდეთ „დამატებანი“ პირველის ტომისა, ანუ საისტორიო და სამწერლობო მასალა უმეტესის დროისა მე-XIII საუკუნემდე და ამავე ნაწილში მოკატიციოთ „ძველი კრძისთავთა“, რომელ შიგ აღწერილია ისტორიული ამბები მთიულეთისა, დაწვეული მეექვსე საუკუნიდან, თუმცა უმთავრესი ნაწილი მისი შეესება XIII—XV საუკუნეებს. ამავე ნაწილში გვიანდოდა ჩავერთო: ა) ახალი ფრთხილად სუჟურადებო კარიანტი წიგნი ჩვენის ცხოვრების (ნაწვეუტი ამისი იხ. ბოლოს: გვ. 519—531), რომელიც ჩვენ ვიბეჭდეთ სამს სხვა-და-სხვა ხელნაწერებში; ბ) ახალივე კარიანტი „აღმართებისათვის“ ტომისისა უფრთხილად მცხეთას, რომელიც აღმოვაჩინეთ მათე საუკუნის ხელ-ნაწერში (გვლ. მუხ. № 144 შუად. „ქცხის“ I, 93—97), გ) წისრუდენის ცხოვრება, რომელიც იძლევა განსხვავებულს და დიად სუჟურადებო ცნობას მეფე ვახტანგ გორგასლანზე; დ) წისრეტრე მიაონელის ცხოვრების ახალი კარიანტი (შუად. ქცხ. I, 102—

105); ე) ვრცელი აღწერა უძველესი ქართული სამოციქულონი, რომელიც, ჩვენის აზრით, გადმოწერილია მე-IX საუკუნეში პირველის დედნისაგან, თარგმნილისა, როგორც წარწერა გვაწუქებს, 399 წელს: „მესამესა წელსა არკადის მეფობისსა და მეოთხესა ჭორომისასა“. ამ წიგნის ორი დედანი, მე-XI და X საუკ. გადაწერილი, ჩვენ ვამოკნებთ „წერა-კითხ-საზოგადოებისა“ ხელ-ნაწერებში და მისი ვრცელად შესწავლას შეუდეგათ, მაგრამ სანამ ჩვენს შრომას გაათავებდით, გამეკობამ საზოგადოებისამ ნება არ დავკრთო და მოსხენებულნი ხელ-ნაწერები დაგვებრუნებინა წიგნთ-საცავში; ხოლო თვით ამ წიგნთ-საცავში, ადგილის უქონლობისგამო, ყოვლად შეუძლებელია გულდადებითი შრომა;

გ) იოანე გუთელ ეპისკოპოსის კურთხევა მცხეთას; ზ) ახალი და დიდი საეურად-ღებო კარიანტი ბაგრატ მეოთხის ცხოვრებისა (1027—1072 წ.); ჟ) ათონის მონასტრის აღაპები, რომლისაგან, როგორც ჩვენ სრულის შედარების შემდეგ დავ-რწმუნდით, წა გიორგი მთაწმიდელს შეუდგინა ერთი ნაწილი წილს კეთილ მთაწმი-დელის ცხოვრებისა; თ) უძველესი კარიანტები წილს იოანე და კეთილის ცხოვრებათა, დაწერილი 1074 წელს, და წილს გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა, გადაწერილი მე-XII საუკუნის ხელით; ი) კათალიკოსის ნიკოლოზის მიერ 1176 წელს ახლო ხინებს შედგენილი საკითხავი სვეტი-ცხოვლის სასწაულები; იბ) ცხრა ჭადაგება ქართველ მწერლისა იოანე ბოლნელისა, ჩვენმიერ აღმოჩენილი მათე საუკუნის ხელ-ნაწერებში (ეკლ. მუკ. №№ 95 და 144), საუკეთესო და უძველესი ნაშთი ჩვენის მჭკვერ-მეტყველობითის მწერლობისა; კ) ორი ჭადაგება წმინდის ნინოსი, მარჯული X საუკ. ხელნაწერში (ეკლ. მუკ. №№ 95 და 144): თუმცა ძნელ დასაჯერებელია, რომ თვით წას ნინოს აღწეროს ეს ჭადაგებანი, მაგრამ, დრმად დაკვირვების და კრიტიკულად გარჩევის შემდეგ, უოკელს ეჭვს გარეშე რჩება, რომ მოხსენებულის სიტყვების დამწერს სახეში ჭეკოს ის კრი, რომელიც თავიანთს სცემს ნათელს, ცნებლს და მზეს და, მასსადამე, ჭადაგება დაწერილია იმ დროს, როდესაც ქართველი მზეს თავიანთს სცემდენ: მჭადაგებელი სცდილობს, ქრისტიანობა დაუხლოვოს ცნებლისა და მზის თავიანთსმცემელთა სარწმუნოების უმთავრეს დოქმატებს და ამ მიზნით ქრისტეს ჭსახვს მზედ, ცნებლად, სითბოდ, ნათელად, რომელიც გამობრწყინდა აღმოსავლეთით და განანათლებს უოკელს მისი მოსაკს, ხოლო ურჩით და უსჯულთა დასწავებს; ხოლო თვით მიღება ახალის სჯულის არის იგივე „ნათლის მიღება“ (ბერძნულად-გი „განბანვა“ — ბაპტიზმოს; ხოლო რუსულად — крещение, ე. ი. ჭარბ მად-ღება), რასაც ესეიან ცნებლთ-მისურნინა; მონათლა მღვდელთა მიერ არს ნათ-ლის ღება“ ანუ იგივე „ნათლის მიღება“, რომელსაც ეტროფადენ მზის თაქუნის-მცემელნიცა: ცნებლ-მსახურთა მომდერებით, რომელნიც არ მიიღებენ ამ განმაცხ-რეებელს ნათელს, ისინი დარჩებან საუკუნო ბნელში, ენაში და სატანჯვალში. ამ ნაირად მჭადაგებელი არა თუ არ არდევს ხალხის ცნებლთ-თაქუნის-მცემლობითს აზრებს და დოქმატებს, არამედ უახლოვებს მას თითქმის ერთ უოფამდე ქრისტიანობას, რომელიც შეიჯავს ჭეშმარიტს ნათელს, რომლის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე, ჭეშმარიტს მზესა, რომლის გარეშე სუფევს ბნელი და სიკვდილი. ესრეთი მიმართულება მოხსენებულ ჭადაგებისა სრულად ეთანხმება შემდგომ.

მდეგს ცნობას წმიდა ნინოს ქადაგების მიმართულებისას, რომელიც იშკრება წმიდა ნინოს ეკლესია ცნობილ ცხოვრებაში, ორნი იგი მღვდელნი და დიაკონნი ნათელსცემდეს ერსა, და მიატულებოდა ერთი იგი ურთიერთთაის, მისწრაფებით ეუბნებოდენ მღვდელთა, რათა პირველად მასვე ნათელსცეს, და ესრეთ სურველ იყო ერთი იგი ნათლისღებისათვის, რამეთუ ესმინა ქადაგებამა წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყვნ: „ყოველმან, რომელიმან არა ნათელ-ილოს, არა პოვოს მან ნათელი საუკუნო“, ესე იგი, მისი თაყვანისმცემელნი ქართველნი, შემდეგ ესრეთის წმიდის ნინოს ქადაგებისა, დაწვენიდენ, რომ თუ ახალი სჯული არ იქამეს და არ მოინათლენ, ისინი მოაკლდებოდენ იმ ნათელს, რომელსაც უჭადდა მათ თუთ მათივე წინანდელი სჯულა. ცხადია, რომ ერთი უმთავრესთა მიზნებათა იმისი, რომ წმიდა ნინომ ადვილად მოაქცია ხალხი, არის ესრეთ ხელაწყურად დაუწება ახალის სჯულის ქადაგებისა. — თუთ ტექსტი ეს სრული განმარტება ამ ქადაგებათა და სრული თარგმანი მისი ერთად რუსულ-ქართულად დაწერილის და განმარტულის დავით აღმაშენებლის ანდერძთან, რომელიც შარშან გამოკვეთი მისი მეფეების გარის ეპისკოპოსის ალექსანდრეს საფასით, ჩვენ პირველად (1892 წელს) გაუგზავნეთ ერთს „პროფესორს“ პეტერბურგში, რათა მას დაბეჭდილებინა ესენი რომელსამე რუსულს ანქელოლოგიურს გამოცემაში, უსასუადლოდ, როგორც საუკეთესო ნიმუშები უძველესის ქართულის მწერლობისა და საისტორიო საბუთებისა. სამწუხაროდ „პროფესორს“ ჩვენი ნაშრომა, სწინს, არ მისწონებია და ეს უნდა ეთილიყო მისთვის იმისი, რომ მასუხივ არ გაგვცა ჩვენს წერილებზე და როდესაც უკანასკნელ ერთს ჩემს ნაწილს მივანდექი პეტეო „პროფესორის“ აზრი ჩვენს ნაწერებზე, მის შემომითვალა უკანასკნელის პირით, რომ არცერთი რუსეთის ანქელოლოგიური გამოცემა ამ საბუთის დაბეჭდვას არ ჰქონს რულობა... აქ ჩვენ რაღა გვეოქმის იმის მეტი, რომ ან „პროფესორს“ არ წარუდგინა დასაბეჭდად ჩვენი შრომა, რადგან უკარგისად უცნია, და ან თუთ ანქელოლოგიურ სასოკადობათა მწვერბნი ვერ არჩევენ უმაღლესის ყურადღების ღირსთა ანქელოლოგიურთა ნათთა უმაღლესებისათვის, რომელნიც დაუბრკოლებლად იბეჭდებიან ეკლესია ანქელოლოგიურ გამოცემაში, თუ ეს იმ ქართულ „პროფესორების“ კრიტიკას გაუძლებენ, რომელთა ხელში უსათუოდ უნდა გატარდეს ეკლესია ქართულ მწერლობის შესახები და ქართულ ტექსტიანი შრომა. ხოლო როდესაც ჩვენ პირდაპირ სამეცნიერო აკადემიას გაუგზავნეთ სხვა ჩვენი შრომა, რომელშიც აქა-იქ ქართული იყო ქართული ტექსტიც, ცნობა მივიღე, რომ სამეცნიერო აკადემიამ საუურადღებოდ სცნო რა თუთ მასალანი და განსაკუთრებით ის ისტორიული მეთოდი, რომელსაც მისდევდა ჩვენი განმარტებუ ღირსად სცნო მისი დაბეჭდვა; მაგრამ როდესაც ქართულის ტექსტის შესწორება მიხედო ქართულ „პროფესორს“ (მეორეს), უკანასკნელმა ვერ იცნო ღირსად დაბეჭდვისა სამარკალისაგამო მრავალ-გვართა შედგომათა და სხ. და სხ. ჩვენ ჯერ ვერ მოგვიღვია იმისთვის, რომ უკანასკნელს ღირსეული პასუხა გაეცნეთ სინერჯისა და მიდგომილებისთვის, მაგრამ ის ეი ცხადია, რომ ჩვენი ქართული „პროფესორები“ გზას უგრავენ ქართულ მწერლობის მუშაობა პირდაპირ და შენ-

ჩემობით, გინა თაჲ-მოყვარულის ანგარიშებით, რაჲცა ვეჲლაზე ნაკლე უნდა შეჲქე-  
ნოდეს პროფესიორობას. ეს ზემოხანმოკელილი ახალა უმველესის დროის საბუ-  
თები სიკრცისაგამო ჩვენ ვერ შევიტანეთ ამ წიგნში, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვაპირობთ  
ამ მასალების ცალკე წიგნად დაბეჭდვას, როდესაც მოკრჩებით ამ „ქრონიკების“ მე-  
სამე ტომის გამოცემას.

მეორე ნაწილი წინამდებარის წიგნისა შეადგენს ჩვენგან შეკრებულ „ქრონიკას“  
თამარ მეფის სიკდილიდან დაწყებულს მე-XVII საუკუნის დასასრულამდე. ამ ნაწილში  
მოთავსებულია: ა) ოც-და-სამი „ცხრილოვანი ქრონიკები“ ანუ ქრონოლოგიური  
ცნობები, ჩვენგან ამოკრული სსკა-და-სსკა ხელნაწერებიდამ: „აფხაზთა ქრონიკა“,  
ეკლესიის მეზეუმის ხელნაწ. № 85 ჩართული ქრონიკები, „ადიანთა ქრონიკა“,  
„წიგნი ქრონიკონნი“, ქრონიკები, ჩართული ჩემს უმბეჭეში №№ 2 და 3; ქრო-  
ნიკები, ჩართული გულახებში: სამს გელათისაში (ორი გელათისა და ერთი წმიდა  
გიორგის ეკლესიისა), წმიდა ნიკოლოზის ეკლესიისაში (ბეკეს ახლო), უნჩათისაში  
ბედიისაში (ეკ. მეზ. № 186), ქვათსკეისაში, ცაშისაში, შემოქმედისაში; აგრ-  
თვე ქრონიკები, ჩართული იკორთის: ძილისპირში № 6, წერა-კითხვის საზოგადოების  
ხელნაწერებში №№ 252 და 1204; ეკლესიის მეზეუმის პარაკლიტონში № 49,  
და ცალკე რვეულებზე სსკა-და-სსკა პირთაგან სსკა-და-სსკა დროს ხელ-ნაწერთაგან  
გადმოწერილნი ქრონიკონნი: ნ. ანთაძისა (გელათიდან), „ჩხეიძის ქრონიკა“, მღ.  
პოლიეგეტ კარბელაშვილის მიერ პოწილი და გადმოწერილი ქრონიკა და რამდენი-  
მე ქრონოლოგიური ცნობები, ცალკე ქაღალდზე დაწერილი, ნ. ანთაძის მიერ გად-  
მოცემული. — სისრულისათჲს და გასაადვილებლად შესწორებისა, ჩვენ ამ ქრონიკებს  
ჩაურთეთ ესრედ წოდებული „კახუტის ქრონიკა“, დაბეჭდილი ქცხსაში II, გვ.  
237—257. შემდეგს ჩვენს შრომაში ჩვენ დაკმატვიცნობთ, რომ ეს ქრონიკა კახუტ-  
ტის არ ეკუთვნის (მას მხოლოდ რამდენიმე ცნობა ჩაურთავს იმაში), არამედ სსკა  
პირებს, რომელთაც ეს ცნობები ამოუკრებათ სსკა-და-სსკა ხელ-ნაწერებიდან. ჩვენს  
ქრონიკებთან შედარებით მკითხველი დარწმუნდება, თუ რამდენად აშართლებს, აწო-  
რებს ანუ ადავსებს ჩვენს ქრონიკებს პირველს და რამდენად საყურადღებო და და-  
სანდობი უოფილა იგი; ბ) სსკა-და-სსკა ხელ-ნაწერებში ჩართული კერძო. საბუთები  
და ისტორიული ცნობები, რომელნიც ჩვენ ქრონოლოგიურად და ისტორიულად  
განვმარტეთ და თითოეულს თვისი წყარო ზედვე ეუწიკეთ. განსაკუთრებულად ყუ-  
რადღების ღირსად მიგვაჩნდა ისტორიული წერილები და ცნობები, ჩართული ადა-  
ნე ზეთელის კვინკლოსში. ამ მასალის დაწერილებითს ნუსხას მკითხველი იბრავს ჭკომო,  
სარჩქეში; გ) კერძო საბუთები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა არა-  
ნა უმველესნი: სამი საბუთი მეფის დავით-ნარინის დროსა (აქამდე არცერთი სა-  
ბუთი არ იყო ცნობილი მისის მეფობისაგან), ულუ-დავითის დროს 1262 წლის  
ახლოხანებში მოშხდარის საეკლესიო კრების „ბეგლესაგან“ ფრიად საყურადღებო  
ნაწიკეტი; რკონის სიგელი 1259 წლის და ამირკვბთა საკვარეულო ისტორიუ-  
ლი სიგელები, ბირფასა სიგელი მეფის დავით VII 1355 წლის, რომლის დრო-  
საგან აქამდე არცერთი არ იყო ცნობილი, და სსკა მრავალი კერძო კვარების სი-

გელ-გუჯარნი, ქრთნოლოგიურად დაწყობილნი და განმარტულნი; დ) ისტორიულნი წარწარანი, აღმოკითხულნი სსკა-და-სსკა სელ ნაწარკბში, სარტ-ჯარკბსუ, შენობათა კედლებსუ, სამღვდელო შესამოკლებსუ და სსკა; ე) სიგელნი და გუჯარნი სსკა-და-სსკა მონასტრთა და ეკლესიათა, უმეტესად მცხეთისა, ბიჭვინტისა, გელათისა და სსკა, ქრთნოლოგიურად დაწყობილნი და, სადაც საჭარო იყო, განმარტულნი; გ) მცხეთის სიგელ-გუჯართა ნუსხა, აღწერილა კათალიკოსის ნიკოლოზ ამილახორის ბრძანებით (1676—1688 წ.), რომელშიც ჩვენ ვებოკეთ მრავალი უმაღლესის ღირსების საისტორიო ცნობანი (იხ. ჭეკელი დაწარკლებითი შინაარსი წიგნისა).

უგელა საბუთებს ზედკუ უწარია ისიც, თუ სადაც არაან ამოღებულნი; ხოლო მონასტრ-ეკლესიების საბუთებს და ნუსხებს იქვე უბის ნომრები და ჭართული ნუსხები, რომლითაც მსურველი ადვილად მოსძებნის იმ საბუთებს იმავე ნომრებს ჭეკელ სინოდალურ კანტორის გუჯარებსა და რესკტრებს, რომელნიც დაცულნი არაან თფილისის და ჭუთასის სასკელშიყო ჭონებათა გამკობაში და საეკლესიო მუჭუემში. რადგან სიგელ-გუჯარნი იწუებანი გრძელ ღუთის-მეტრეველურ წინასიტყუაობით და ჭბოლოკადებას გრძელად დაწარკილის წყუუ-კრულვით, ამისგამო ჩვენ ეს ნაწილელი განკუბი გამოკუშვით შესკოლებსათვის ჭ მხოლოდ რამდენსამე გუჯარში დაკრტოკო ნიშუშად; ხოლო იმ გუჯარებისაგან, რომელნიც შინაარსით ნაკლე მნიშუნლობისად ვცნით, ჩვენ ამოკრამეთო მხოლოდ უფრო საჭარო ცნობები სიტყუა-სიტყუით. სადაც ჩვენ განკუბი გამოკვებავა სიტყუები ანუ მთელი სტრქობები, იქ დავსხით მრკალი წარტილები (...), ხოლო რომელი ალაგი დედანს აკლდა ანუ კარ აღმოკითხებოდა, იქ დავსხით მოკლე ხაზები ანუ - დუფიზები“ (- - -); სადაც-ც-ც მოსეული ანუ დოზიანებული ტრქსტი ჩვენ მიგნებით აღმოკვითხეთო და ანუ ნუსხით აღკადგინეთო, ის სიტყუები და ფრასები დიდს ფრჩხილებში ჩაქსით ([ ]). რომელს სიგელ-გუჯარებს უზის ორ-ორი ნომერი, რუსული (არაბული) და ჭართული, ამისთანა სიგელ-გუჯარები ჩვენ გვიბოკია თუთ-ასლიც (არაბულ ციფრის ნომრით) და ნუსხით (ჭართულ ასრებით დანომრული, ნუსხისაგან № 507).

შეთქესმეტრე საუკუნის ნახეკრიდამ დაწყობული საისტორიო სიგელ-გუჯარები და სსკა საბუთები, კარდა „ჭრთნიკებისა“ ჩვენ ან შემოკლებით შემოკლანეთ ამ წიგნში და ან სრულიად გამოკუშვით, რადგან საჭაროდ ვცნით ეს მასლა მოკრქ-ციოთ ამ „ჭრთნიკებისა“ მესამე ტომში, სადაც ჩვენ დაწარკლებითის განმარტებით და საბუთების შედარებით ერთად გვინდა გამოკვეთ უმთარკენნი დაბეჭდილნი და ჩვენგან ბოკნილნი დაუბეჭდავნი ისტორიულნი საბუთნი მე XV—XVIII საუკუნისანი, რათამ გვარად გამოკვებით სრულიად ცხად კუთ ის, თუ რას წარმოკვადგენს ჩვენ ესრქად წოლებული მერე ტომი „ჭართლის ცხოკრებისა“, ვისგან და რა საბუთებით არის იგი შედგენილი, შეთხზული, გინა აღწარილი, —კანტანტ მეფისაგან აღწარინებული, როგორც თუთონ მოკვითხრობს, ანუ მისის კომისიისაგან, გინა მხოლოდ კანტანტის რქაჭვითი გასწორებული, როგორც რომელთამე გამოკსტკეს, და რა დღეწილი მიუძღვის მასში თუთი კახუშტის.

აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენი მატიახე XIV—XVI საუკუნეთა აღ-  
ხაესკა დიადის ნაკლულეკანებით და მეტად ღარიბია თვით ცნობებით. ამ წიგნში და-  
ბეჭდილ მასალასაც რომ დააკვირდეს გონიერი მკითხველი, იგი უსათუოდ უნდა  
დარწმუნდეს, თუ კითხრის სიბუნელით მოცულია ჩვენი მატიახე XIV, XV და XVI  
საუკუნეობის: ამ საბუთებში მკითხველი იპოვის იმერთა და იმერთა არა ერთს და  
ორს შეუეებს, რომელნიც სრულიად მოხსენებულნი არ არიან ჩვენი მატიახეში და  
ისრუთა მსიკილ-მსხვილ მოკლეხათა, რომელნიც ცალის სიტყვითაც აღნიშნულნი  
არ არიან. მაგალითად ავიღოთ კახთა მეფენი: ქართლის ცხოვრების და თვით ვა-  
ხუშტის ისტორიით მე XV—XVI საუკუნეობაში კახეთში უმეფენიან მხოლოდ სამს  
მეფეს; დაჰიოს (+1471 წ.), მისს მეს გიორგის (+1492 წ.) და ალექსანდრეს  
(+1511 წ.). ხოლო ამ წიგნში დაბეჭდილ ცნობებიდან სჩანს, რომ ამავე დროს კა-  
ხეთში უმეფენიან შიადს მეფეს: დაჰიოს, ალექსანდრე I-ს (იგივე ლეონ I),  
გიორგი I-ს, ალექსანდრე II ს (+ 1476), გიორგი II ს (+ 1492), კახტანგს  
და ალექსანდრე III ს, აკ-გიორგის მამას. ესრეთივე ნაკლულეკანება სჩანს სამცხე-  
საათაბაგოს და იმერეთის ისტორიაშიც. დროა, შეუდგეს ჩვენი უკეთესი საზოგა-  
დოება იმას აღესახას, რაც ვერ შესძლო მხოლოდ კახტანგ მეფის მეცადინეობამ  
და ასალი წყრობები აღმოუჩინოს ამ საუკუნეთა წყვდადს ჩვენი ისტორიისას (XV—  
XVI საუკ.).

გარდა ზემოხსენებულის XVI—XVIII საუკ. საისტორიო მასალისა მესამე  
ტომში ჩვენ გააგრძელებთ ზემოდასახელებულ ცხრილთან ქრონიკების ბეჭდვას  
და რამდენსამე ახალს ცხრილოკანსაც ქრონიკებს ჩაურთათ XV—XIX საუკუნე-  
ობისას და აგრეთვე სივლე-გეგმრებიდან და ხელ-ნაწერ წიგნებიდან ამოკრეფილს საი-  
სტორიო და სამწერლობო მასალას, ხოლო დამატებაში დაბეჭდათ მრავალს ახალ  
ისტორიულ წყარობას, რომელნიც ქრონოლოგიურს რიგს ჩვენი ქრონიკისას ვერ  
ეთაკებთან. \*)

დასასრულ კალად ვრაცხ გამოკაცხადო, რომ ამ წიგნის დასტამების მიზნით  
არის უბრწინებელი თაკად, კამერკერი მისის იმპერატორებითის უდიდებულე-  
სობისა, კახტანტინე იკანეს მე მუხრან-ბატონი, წინამძღოლი თფილისის გუბერ-

\*) აქ საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა შემოვიტანო იმ მიზეზთა შესახებ, რომ-  
მელთავამო დავიანდა ამ მეორე ტომის გამოცემა 1893 წლიდან ამა 1897 წლამდე. ჩვენ  
უკვე პირველსავე ტომში აღვნიშნეთ, რომ რამდენთამე ჩვენთა პირადის ანგარიშებით დაბ-  
ეჭდილთა პირთა სასტიკი ღვენა დავვიწყეს იმავე დროიდან, რა-დროსაც გამოვაცხადეთ  
ხელ-მოწერა ჩვენი შრომის დასაბეჭდად, არა თუ ბულვარ-ქუჩებში, არამედ თვით მწერლო-  
ბაშიც და შეაყენეს ხელისმოწერა (იხ. „ქრონიკები“ წიგნი I, გვ. IV—V და LXVII—  
LIX). ხოლო როგორც-კი გამოვიდა პირველი წიგნი ჩვენი შრომისა, ესვე პირნი გამოვიდ-  
ნენ ნიღაბამოღებულად (ფსევდონიმებით) და გამოაცხადეს, რომ ჩვენი შრომა უნდა იყოს  
გადმობეჭდილი პ. იოსელიანის ვითამდა დაკარგულ ისტორიულ კრებულად. რა თქმა უნ-  
და, ამ გვარის ბრალმდებლობით ვერცერთს, ისტორიაში შეგნებულს, კაცს ვერ დაარწმუნებ-  
დენ, რადგან თითოეულს ჩვენს ისტორიულს ცნობებს იქვე გვერდზე უწერია თვით ის წყა-

ნისი თაკლ-აჩნაურობის, რომელმაც კეთილ-ნება და მიბრძანა მე უკვლა ჩემგან შეკრებილის საინტორიო და საკრამატიკო მასალის და თსზულებათა დაიტამჰვა სრულადის მისის უბრწინვალებობის სარწით. ამასთან, მისმა უბრწინვალებობამ გამოიძახა, რომ თვით დაბეჭდილა წიგნები დაჩრქეს აკქისონის სასარგებლოდ. ესრეთი გულ-სუვი შეწირულობა საზოგადო საქმისადმი, სამშობლო ისტორიის და მწერლობის გამოსაკვლეკად დაილაღ თკალსაჩინოა, და ჩვენ კერძებით ესრეთა ნღობა მკურან-ბატონისა გაკამირდლოთ. რაც მათგან გამოცემულის წიგნების გასქიდვისა-

რო, საიდანაც ამოდებული გვერნდა დაბეჭდილი ცნობები, სად ინახება ის წკარო და რომელ ნომრებით და სს. და სხვ. მაგრამ მოგესხენებით, ჩვენს საზოგადოებაში სპუციალისტები ნაკლებობა და მოკიშპეთაც ამისი იმედი ჰქონდათ. ჩვენს სახასუხოდ დაწერილ შენიშვნებში მაშინვე დავარღვიეთ ცილის წამება უსახელოთა მბრალმდებელთა და აღმოვაჩინეთ არა თუ თვით ის ვითომდა დაკარგული ჰ. იოსელიანის კრებული, დავამტკიცეთ, რომ ამ კრებულადმ ჩვენ აღმოვიწერია არა უმეტეს ორის გვერდისა და ყოველგან დაგვისახელებია ავტორად არა ჩვენი თავი, არამედ თვთ ჰ. იოსელიანი, ხოლო რაკ მისის ხელით არ იყო დაწერილი, ის უსახელოდ დაგვიღვია ესრე: „იხილე ჩემი ისტორიული კრებული“, გვ. ღ სს. აქ უნდა შევნიშნო, რომ ეს კრებული არ ვესთვისს ჰ. იოსელიანს, არამედ შესდგება სხვა-და-სხვა პირთა-მიერ დაწერილს მასალასგან, ხოლო ერთი მესამედი დაწერილია თვთ ჰ. იოსელიანის, ხელით და წარმოგიდგენს შავს მისის ნაწერებისას, რომელთაგან უმეტესი უკვე გამოცემულია. განსვენებულმა დ. ბაქრაძემ დაშლა ეს კრებული, რომელიც ბაქრაძისგან ხელით თაზიდამ გოლოგამი აღნუსხული იქო, და რაკ საჭირო და გამოსაყენებელ მასალად სცნო, ის თვისთვის დაიტრება და ცალკე ყდაში ჩასამევირა, ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც უფარგისად სცნო, მე მიბოძა; რომელსაც მე პირველ წიგნში და ამ მეორეშიც ვუწოდებ „ჩემი ისტორიული რა-საკირველია, კრებულად“, როგორც ნივთს და არა როგორც შრომას. თვთ დ. ბაქრაძე ამვე კრებულს უწოდებს მასს საკუთრებად ყველა შემთხვევაში, როდესაც აქილამ ამოაქებს ცნობები (იხ. მისი შენიშვნები ვახუშტის ისტორიაში, და „საქართველოს ისტორიაში“ და სს.). ამ ნაირად, იმ თავითვე ძირიანად დარჩდა უსახელო მწერალთა ცილისწამება. მაშინ უკანასკნელთ ეს ხერხი იღონეს: რაკ კარგად იცოდნენ, რომ სხენებულის ჰრებულისგან მე მქონდა ერთი მესამედი და დანარჩენი დაცული იყო დ. ბაქრაძის ჰკრების სახლში, ამისგამო მათ შეავონეს და ათქმევინეს უკანასკნელს, ვითომ დ. ბაქრაძის ჰბილითყეკაში არავითარ ნაწილი იმ კრებულისა არ იბოვებოდეს და ვითომ მან არც ის იცოდეს, თუ რა გზით ჩამივარდა მე ხელში ერთი ნაწილი კრებულისა. აქილამ ცილის-მწამებელთ ორგვარი იარაღი იზოვეს: ერთი ის, რომ მათ მიეცათ საშუალება, ყველა ჰქნა-უნებეში გავერცელებინათ ხმა, ვითომ მე სწორედ ის ნაწილი კრებულისა უნდა დამბეჭდოს და მიმეთვისებინოს, რომელიც აკლდა ჩემს კრებულს და რომელიც დაბეჭდვის შემდევვითომ ცეცხლში უნდა დამეწვას, ხოლო მეორე და უმწარესი ის, რომ სადაო კრებულს უკანონოდ მიითესება და დასაკუთრება დამბარალონ. ამ ნაირად, საჭიროდ გახდა პირველად დ. ბაქრაძის ოჯახში აღმოგვეჩინა დანარჩენი ნაწილი კრებულისა, ხოლო მეორედ გამოგვეტეხა დ. ბაქრაძის ჰკრივი იმაში, რომ სხენებული ნაწილი სადაო კრებულისა მე მქონდა თვით მისის ნება-ყოფლობით და არა მალვით. ამაზე ატიხლომა პოლემიკამ სრულად გაუანტა ყველა ბეჭები: დ. ბაქრაძის ჰკრივიმან აღვეკატი ფრენკლის პირით გახუთხეობა და აქილამ განაშაურა: 1) მეორე ნაწილი სხენებული კრებულისა უკვე აღმო-

გან ფუფი შეჭრებიცა, ჩვენ სრულად მოკასმარებთ საქართველოს ისტორიის და მწერლობის გამოკვლევას და ყოველს ამ თასხით დაბეჭდილს შრომას გამოვეცემთ მისის უბრუნეაჯისობის სისჯულით.

ჩნდაო დ. ბაქრაძის წიგნებში და ამ კრებულში იპოვებო ეს-და-ეს გვერდები (სრულად ჩამოთვლილია) და დანარჩენი აკლიაო. სწორედ ის გვერდები, რომელიც აკლდა ამ ხელ-ნაწერს, აღმოჩნდა ჩემს კრებულში და, მაშასადამე, მთელი კრებული აღდგენილ იქმნა; 2) ამასთანვე დ. ბაქრაძის ქვრივმან გამოაცხადა, რომ მან 1892 წლიდამ, ესე იგი, პოლემიკის ატენამდი ორის წლის წინეთ უკვე უწყობდა ჩემბან, რომ ხსენებული ნაწილი სადაოდ დადებულის კრებულისა მე მქონდა მისისავე ნებაყოფლობით და ცნობით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ დ. ბაქრაძის სიცივლის უმაღლვე ყოველ ემებების ასაცდენად, მე მოვახსენე მისს ქვრივს ზემოაღწერილი გარემოება, რომ ზემოდასახელებული ნაწილი კრებულისა ნაბოძები მაქვს-მეთი განსვენებულის დ. ბაქრაძის მიერ და თუ ჩემს საკუთრებად იცნობთ, კარგი, თუ არა, მიბრძანეთ და მოგართმევთ-მეთი. ქვრივმა არ ისურვა, რომ ის კრებული ჩემს საკუთრებად დარჩენილიყო და მხოლოდ დროებით, ნათხოვრობით, დასტოვა ჩემთან, სანამდი დასრულდებოდა ბეჭდვა ჩემის თხზულებისა: „Антошій I, Католикосი“. ამის შემდეგ მეტი რაღა დამრჩებოდა: გამოვეცხადა ცილის მწამებელთ, რომ მობრძანებულნიყენ და ორივე ნაწილი კრებულისა შეესწორებინათ და, თუ რასმე ავტორის გამოუცხადებლივ გადმობეჭდილს იპოვნიდენ ჩემს „ქრონიკებში“, გახეთით გამოეცხადებინათ. მაგრამ მოწვეულნი არ გამოაცხადდენ, ნიღაბის ახდა სირცხვილით ვერ იკადრეს, სოროებში მიიმაღლენ და გაიხანენ, და ამით საქვეყნოდ საქანურ ქმნეს, რომ იგიინი თვთონაც სრულიად დარწმუნებულნი იყენენ იმის სიცრუეში, რასაც სხვას არწმუნებდენ.

მთელი გრძელი პოლემიკა, ზემოხსენებულ კრებულის გამო ატენილი, დიდად საყურადღებოა, როგორც ისტორიული მასალა, დამახასიათებელი ზნე დაცემულობისა იმ ნაწილის ჩვენის; ვითომ-და ინტელიგენციისა, რომელსაც ის ნაკლულევენება-და აქვს, რომ შრომა ეზარებათ და მამულის სიყვარულისა და კაცურ-კაციაზობისაგან გადაკარგულნი არიან. ამის-გამო ჩვენ განზრახული ვვაქვს ზემოხსენებულ პოლემიკა სრულად გამოვეცემ.

გარდა ამისა, რადგან ერთმან უსახელო პირმან გახეთს „იერიასში“ სწორილი გამოაცხადა, რათა შეიკრიბოს თანხა პ. იოსელიანის ყველა თხზულებათა გამოსაცემათ, ამისგამო ჩვენ დიდის სიამოვნებით გამოემცემთ იმ საისტორიო კრებულს, რომლის ერთი ნაწილი მე მაქვს, თუ-კი ამისთვის საჭირო თანხას გადმომცემენ. რედაქტორობასაც მე ვკისრულობ, რადგან პ. იოსელიანის ნაწერებში აუარებელი ისტორიული შეცდომები მოიპოება, რომელიც შიგ ტექსტში ან შენიშვნებში თუ არ გასწორდა, ყოველი ფასი დაეკარგება გამოცემას, ხოლო დაბეჭდვის შემდეგ ხსენებულს ხელნაწერს გარდასცემ მე. ბაქრაძის ოჯახობას ანუ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს. ამას-კი მინც საჭიროდ ვრაცხ ამ თავითვე გამოვეცხადო, რათა ბოლოს საზოგადოების საყვედური ავიცილინო, რომ ის ნაწილი კრებულისა, რომელიც მე მაქვს, ვერ შესქენს ჩვენს ისტორიას ახალს ცნობებს. მხოლოდ უმცირესი მისი ნაწილი (ორმოციოდ გვერდი) გამოსაყენებელია ჩვენის ისტორიისთვის და ღირს სი დასტამბვისა.

სოლო ეს გამოცემა ჩვენ ვუძღვევით დაუვიწყარს სხსტკარს ტანსკენბულის ნინო სამეგრელოს მთავრის ლეკან დადინის ასულისა, და ივანე კოსტანტინეს ძის შუსრან-ბატონის მეუღლისას. უკვლამ იცის და ჩვენმა მწერლობამაც აღიარა, რომ განსკენებული ნინო, მიუხედავად მეფურის შთამომავლობისა, იყო შესანიშნავი მშრომელი, მსნე, მოღვაწე, მეოფანე და მაღალკეთილშობილურის ხასიათითა და ზრდილობითა შექობილი. იგი იყო ჭკმარტი სხსე ჩვენის ძეგლის დედაბისა, „უგანასკნელი დარბაისელი ქართველი ქალი“.

უგანასკნელ მაღლობასა კისწირავ უკვლამ იმ მეგობართა, რომელნიც ზნეობით, რჩევითა ანუ საისტორიო მასალის მოწოდებით შემეწივნენ, განსაკუთრებით ბატონს ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელიც მრავალ-გვარა დახმარება აღმოაჩინა მე ამ შრომაში.

# ლაქაბეჯანი

I

ქმელი მრისთავთა.)

თავი ამისი დაკარგულარს სიძველითა, ღ იწყების მხოლოდ ისტორია ესე ამა ლექსილამ<sup>2)</sup>:

„დასაფლავებისათჳს საფლავი მისცეს, ხოლო ერისთავობა არავისი ინებეს,

1) ეს ფრიად საუურადღებო ისტორიული წერილი, შეგლად წოდებული, ჩართული უოფილა ერთს ტუევის დაზიანებულს სვინაქსარში; თავი ჭკლებია და შიგადა-შიგ რაქდენიშე სტრიქონები წაზღალულა სიიკელით. ამ ტუევის სელ-ნაწერილამ 1828 წელს ეს წერილი გადმოუწერია უმეტ-ნაკლოდ თ. რეკაზის ესე შალვა ერისთავს. ამ რეკელილამ 1830 წ. უმეტ-ნაკლოდ გადმოღებული ზირი ვიპოვე თ. ნიკოლოზ ერისთავის სასლში, სოფ. ჭკემში. უკანსკელამ მიბობა მისგანვე სწორედ გადაღებული ზირი ამ მატანისა, რომლისათვის უგულითადქის მადლობას კუქდენი თ. ნიკოლოზ ერისთავს.

თვით ას ტუევის სვინაქსარის სელნაწერი, რომელშიაც ჩართული უოფილა ეს მატანე, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ვერ-ვერობით. მაგრამ ის წიგნი სელში ჭჭონლად და ძეღკენიქსუცესლკეს, რომელსაც გადმოუწერია სსენებელი ისტორია ავადმიკოსანის ბროსსესთავს; უკანსკელს ფრანგულად გადაუთარგმნია და დაუბეჭდაქს თჳსს *Addit. a l' Hist. de a la Géor. p. 372—384*): სოლო ქართულძ ტექსტი ამ მატანისას არ არის გამოცემული ბროსსეს შრომებში.— შედარებილამ ცხადდება, რომ ჩვენს სელნაწერი უფრო სრულა და სწორედ აღმოკეთსული, ვიდრე ბროსსესგან ფრანგულად გამოცემული.

შესანიშნავა, რომ ერთი ნაწილი ამ „შეგლისა“, ცოტაოდქს შემოკლებულად და ზოგან სიტუა-დართვით (როგორც ჭკემო დავენახავთ), შეტანილია მინგრელიის ვარიანტის „ქართლის ცხოვრებაში“ (წერაკით. სელნაწ. № 354, გვ. 498 და შემდეგი; ის. აკრთუე ბროსსეს *Addit. p. 368-371*). — „შეგლი არისთავთა“ წარმოკვიდგენს შესანიშნავს საისტორიო მატანეს, როგორც თვით ამ წერილის შინაარსილამ სჩანს, თანამედროვესგან აღწერილს, რომელსაც შუქი შემოაქეს მე XIII—XIV საუკუნეთა; ბნელს აშუბში, „ქართლის-ცხოვრებაში“ მოკლედ და ბუნდად აღნიშნულებში (ჭცხ.

რამელ ეძიებდეს კაცსა ესე ვითარსა, რომელმანცა პატივით იპყრნა ღ ღ არა მძლავრობით ღ იგიმცა დამკვიდრეს შუა ქუტყანისა მათისა, ღ მოსწრაფე იყენეს ყოყელნივე შენებას ლარგვისისა ყოველი კეენი. — ამა ჟამთა შინა იქმნა ფრიალი შოლოთი ქვეყანასა ოსეთისასა, ღ იქმნა ფრიალი სისხლთა დათხევა მეფეთა შოლოთის მათთა; მაშინ მძლე-ეკმნეს შვლნი უხუცესის ძმისანი, ღ გარდმოიყუანნეს მთასა ზახისასა შვილნი უმარწყემისანი: როსტომ, ბიბილა, წითლოსან და ძენი მათნი, სამეოც-და-ათითა მონითა, კეთილითა, ღ მოაყენეს ქუტყანასა დვალეთისასა. მაშინ შეკრბეს ყოველი დვალნი, ღ თქუს: „არა გვირდა მეფე შჯდომარე ქუტყანასა ჩუენსა რათამცა შემკამნა ჩუენ“. ხოლო მათ თქუს ფიცითა მტკიცითა, ვითარმედ არა გვერქვას მეფე, არამედ ქუტყანისა მის, რომელ მომცეთ, სახელი მისი გუტრქვას ჩუენ. მაშინ მისცეს ქუტყანა ბიბალ-მთა ღ უწოდეს ბიბილურნი.“<sup>1)</sup> და დაიწყეს შენებად ციხისა ღ სახლებისა დიდ-დიდებისა, რომელ ეგე ვითარი არა იყო ქუტყანასა დვალეთისასა. მაშინ გულის-კმა-ყვეს დვალთა, შეკრბეს და სთქუს: „ხედავთა, ვითართა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა, დაღათუ სახელ ვზდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაფარავს გვარნათესაობასა მათსა, და შემდგომად მკირედისა ეუფლენენ ყოველსა ქუტყანასა ჩუენსა, და მართვეთა სხმა დაბოლთა(?) დაბამდის განვაძოთ ორ-თავი გველი მუცლით ჩუენით“. აღიყენეს და მოახხნეს კეესა ისროლისასა ნაკაფოვანს, როსტომ და ყოველი ძმანი და მონანი მისნი. — მას ჟამსა ცხრა-ძმის კეველნი ბრძოლივლ იყენეს ციხესა გრუვისასა ხუთ თვე; მაშინ როსტომ მივიდა შეველოდ მათდა და მას ღღესა ნამ გზის მთამდის ომითა გამოცხნეს ღდიდად მოუძღორებულნი და დაკოდილნი ცხრა-ძმის კეველნი; მაშინ მივიდა როსტომ, ძმითა და სამეოცდა ათითა მონითა და წარუძღვა წინა ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხვი სიფიცხითა, ვითარცა ჯიქი სიმხნითა; და მივიდა იგი და ყოველი ლაშქარი ციხესა მას და ბრძოლა უყვეს ბრძოლითა სასტიკითა, რომელ არაოდეს ეხილვა ეგე ვითარი. და მას ღღესა ადღეს ციხე ზემო და გამაგრდეს ვრუელნი ორსა მას ციხესა ქუტყოსა, და ჰყვეს ზავი და მას

I, 433—437). მაგრამ „მეგლის“ პირველი ნაწილი, როგორც სჩანს, დაწერილია გადმოცემით, და ამ ნაწილის ისტორიულ სიმართლის კერძოკანად გამოჩვენება, კერძოკანად, შეუძლებელია.

<sup>2)</sup> ცხადია, რომ ჯამდის ეს ზემო მოყვანილი სიტყვები დართულია გადაწყვირისაგან; ხელნაწერს თავი ჰქვამსა შემდეგს სიტყვებამდე: „დასაფლავებესათვის, საფლავი მისცეს.“

<sup>3)</sup> სხვა საბუთებამდ არ სჩანს, რომ ერისთავნი იყენენ ბიბილურის გვარისხნი. სამების „სულთა მატან“-გი გვიმტკიცებს, რომ არაგვის ერისთავნი XIV—XV საუკუნეთანი უოფელან გვარით შაბურბენი, მაგრამ რადგან გვარები ქართლში მუტად ხშირად იცვლებოდა (გაძიანელი მამების სახელი გვარად გადაქცეოდით სოლემე მუტებს), ამის გამო ერისთავთა ბიბილურობა ამით ვერ ირდეება.

ლამესა შვიედა როსტომ ჭ წაულო ორივე ციხე ჭ ვითარცა განთენდა, დააქცუნეს ციხენი იგი ყოველით ზღუდით და ნაშენებითურთ მისით. მიშინ თქუეს ყოველთა ცხრა-ძმის-კეველთა: „არა განვიშოროთ ჩუენგან ამიერიოვან კაცო ესე. გოლიათი, არამედ ვყოთ ყოველი, რააცა უნდეს მას“. მაშინ რქუა მამას სახლისმან ლარგვისისამან ხუციან-დაბის-ძემან: „უკეთუ გნებავს მკვიდრ ყოფმ ქუეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს, და სოფელნი ესე, რომელნი ღვთიე გვირგვინოხანისა იყო, იუსტინიანე აღმაშენებელისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღუარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს“. მაშინ რქუა როსტომ: „მე მოვითხოვო ყოველისა ამის ერისაგან, გარნა შენ შემიქმენ მარჯუენით კერძო საკუთხოველისა, ადგილსა უუმჯობესსა; და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა, და შუა ნათესაეისა შენისა და ჩემისა, რომელი პატივი და კელი შენი, რომელ მეფეთაგან მოცემულ არს, არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა უკუნისამდე, და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა, მეტყოდე მე“. მაშინ რქუა გუგაკ: „მე თავი ჩემი დაესდვა ვრდგულებით მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი“. მაშინ რქუა ყოველმან ერმან როსტომს: „რა გნებავს, რათა ვჰყოთ შენთვის?“ ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგვისისა და საჯდომად სახლი შუა საყდრის-შვილთა, და ცხრა-ძმის ციხის-თავის ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრა-ძმის კეველთა: შუა ცხრა-ძმის ციხის-თავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი, საფლავი ლარგვისისა და საჯდომი ქვენიფენეს, და უწოდნეს ქვენიფენეველნი, რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს. მაშინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა; და უკეთუ სადა იყვის ლაშკრობა, იგინი იყენიან წინამძღუარ ბრძოლათა, ჭ არაეინ იპოვებოდა მარტოდ ბრძოლი როსტომისა, და შეეყუარნა ყოველმან ერმან ცხრა-ძმის კევისამან. და შემდგომად მკირედის ფამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთაობისა ბირებთა ერისათა, რამეთუ იტყოდეს: *ევისიცა იყოს საფლავი, მას შეჰვაეს ეკლესია ჭ ყოველი მიმდგომი მისი*“. მაშინ მეფემან იუსტინიანე <sup>4)</sup>

<sup>4)</sup> რასაკვირველია აქ იგულისხმება ბერძენთა მეფე იუსტინიანე I (527—565) ანუ იუსტინიანე II (565—578). იუსტინიანე I-ს მართლა ეწოდა ჭართველთ მეფე ფარსანანს „ტასკუნთა“ ანუ ტარ-სკეთათა წინააღმდეგ 551 წლის ახლო სანებს (ამისა საბუთები იხ. ჩემს „ჭარონიკებში“ წ. I გვ. 52 ჭ 56) და თუ ქსნის ერისთავი ურია ამ ლაშკრობაში, მას შეეძლო აქ მოხსენებული ვიღღო მიეღო ბერძენთ მეფისაგან (იხ. ბროსსეს აზრიც მისს Addit a l'Hist de la G.p. 374 n1). მაგრამ ჩვენ უფრო საბუთიანად მიგვიჩნია იხ, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს იუსტინიანე II, რომლის მეფობის დროს სპარსთა დროებით გააუქმეს საქართველოს მეფობა (ჭვხ. I. 162); გარნა ჭართველთა მოუწოდეს იუსტინიანე მეფეს, რომელთა „გზანსხნეს უსკუულნი იგი სპარსნი და და იპურეს ქვეყანასა ესე ქვენი: მიერთვან ერისთავნი იქმნეს ქვერობელ ქართლისა“ (იხ. ჩე-

ბრძანა მოწოდება ყოველთა ცხრა-მის კველთა წინაშე მათსა, და იხილნა მეფემან, რამეთუ ყოველთა მახლობელთა დიდებულთა და აზნაურთა შეექმნა საფლავი, ნუ თუმცა მიუბოძნა ქუცყანანი შეწირულნი ეკლესიისათჳს. მაშინ ბრძანა მეფემან: *«ვისაცა საფლავსა შეგავს უპატიოსნება, მისი არს ეკლესიისა მისაგებელ (გასაგებელი?) ყოველი სამართლად, უკეთუ ენებოს ერთა»*. მაშინ იკადრა წინაშე მეფისა კლიტეთ მპყრობელმან ეკლესიისმან, ვითარმედ მარჯუპნით კერძო საკუთხეველისა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა არს საფლავი როსტომ ქუცნიფნევილისა მიცემული ყოველთა ცხრა-მის კველთაგან და უკეთუ იწებოს მეფობამან თქუცნიან, მას შეგავს ყოველი გასაგებელი ეკლესიისა, მსახურება თქუცნი და მთავრობა შეიღთა მათ კვეთაჲ. მაშინ იკითხა მეფემან: *«ვითარნებაჲს ერთა?»* და სცნა, ვითარმედ ნებაჲს იგი ყოველთა. კვეთა შუა მკვიდრობისათჳს. მაშინ მიუწოდა როსტომს წინაშე მისსა და ვითარცა იხილა, ბრძანა, ვითარმედ კაცი ესე ღირს არს ყოველისა პატივისა. მაშინ მიუბოძა შეიღნი ესე კვენი გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრა-მის კვეისა, და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თჳსი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი. ესე მიუბოძა მეფემან იუსტინიანე როსტომს, და წარმოგზავნა სიხარულითა. მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგეპისა და განასრულა, და შეამკო ყოველითურთ ეკლესია-

და მოკვდა როსტომ და დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგეკელ. და შემდგომად იუსტინიანესა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატიანი<sup>5)</sup>. ამან ფრიალ განადრდა ქუცნიფნევილი ლარგევილი და სახელ სდვა ერისთავთ-ერისთავად, და მისცა მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან შუა არაგვსა და ლიახვსა, ზემოთ შორის მდინარისასა; ამით ყოველთა უბრძანა, რათა შემდგომად მეფისა იყვნენ მორჩილ და თანა-მოლაშქრე ერისთავთ-ერისთავისა, ლარგეპისა.

მა ქრონიკება, წ. I. გვ. 56). ძნელი დასაჯერებელი არ არის, რომ იუსტინიანე II, დაშპრობი და დროებითი გამგე ქართლისა, რომელსაჲ უზიარტკოსობას მიანიჭებდა ქსნის ერისთავებსაც. უკანასკნელი აზრი უფრო ეთანხმება შინაარსსა „ეკლეიასსა“, სადაც იუსტინიანე დასახულია როგორც გამგე საქართველოსა. აქედამ ცხადია, რომ ქსნის ერისთავობა უნდა დაწესებულ იქონიეს იმ დროს, როდესაც სამეფო გაუქმდა და „უკურსა უფლებსა ქართლისა აზნაურთა“ (ქ.-ცხ. I, 162), ე. ი. 567—575 წლებში, და როსტომიც იმ დროს ცხოვრებულა.

<sup>5)</sup> აქ ხელ-საწერის არმარზე მერმინდელის ხელით უფილა მინაწერი: „დავით მე-69 მეფე 1299 წ.“ (Addit. p 374 n. 3). მაგრამ აქ მეფე „დავით ბაგრატიანი“ უნდა ჰქონდეს გურამ დავითიან ბაგრატიანი. მართლაც გურამის შემდეგ მეფედ იქცა მეფე იუო კახტანგ II (1289—1292 წ.) ანუ კახტანგ III (1289—1292 წლებში), რომელს დროსაც, დაახლოებით, აღგოწერს შემდეგი ნაწილი იქვე.

და მოკვდა ლაზრეკელ და დაჯდა ძე მათი დიმიტრი, და გარდაიცვალნეს ქეფენი 26-ნი<sup>6</sup>) და ერისთავნი 24-ნი და წელიწადნი არა მკირენი<sup>7</sup>).

მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე<sup>8</sup>).

და მოკვდა<sup>9</sup>) ერისთავი ვარშელ და დაშთა ძე მისი შალვა სამის წლისა და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათა მათთა<sup>10</sup>). [და მოკვდა მეფედ და<sup>11</sup>] დაშთა ძე მისი ვასტანგ ექუსისა წლისა<sup>12</sup>), [მაშინ მამის ძმამან მისმან, დავით; დაძპყრა მეფობა<sup>13</sup>] და არა მისცა ძმისწულსა თვისსა ვასტანგს. მაშინ შალვა, გაზრდილი მამისა მისისა, არა განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას. მაშინ დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა ღიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას და<sup>14</sup>) მან არა ისმინა, არამედ განამაგრა ციხენი და შევედრნა ერდგულთა მონათა და თვთ წარყვა ძესა. მისსა<sup>15</sup>) ურდოს; მაშინ მეფემან და-

<sup>6</sup>) ე. ი. გურამიძამ (№ 39) 26 მეფე, რაიფა უდრის (39+25=64) დიმიტრი თავ-დადებულის მეფობას († 1289 წ.), ანუ (39+26)—ვასტანგ II-ისას († 1292 წ.). სწანს, „ძეგლის“ აღმწერს „ქართლის-ცხოვრება“ საკმაოდ შესწავლული კჭონია.

<sup>7</sup>) აქედამ დაწვებული შენიშვნადი № 39 შეტანილია მეგრულიის ქართლის ცხოვრებაში № 354, გვ. 498 და ფალავანდოვისაში (Brosset. *Add. a l'Hist. de la G.* p. 368—371). რაც „ძეგლიდამ“ მეგრულიის კარიანში გამოტოვებულია ანუ შემოკლებული, იმს ჩვენ დიდს ფრჩხილებში ჩაკვამთ; ხოლო სხვა დანარჩენს განსხვავებას ორისავე წყაროსას ჩვენ აღენუსხავთ შენიშვნებში.

<sup>8</sup>) მეგრულიის კარიანტი იწყება: „ჩქეს: უმ: (ე. ი. 1220 წ.) დაჯდა მეფე ადარნასე და განაგებდა სამეფოსა ქართლისას“ (გვ. 468). ცხადია, აქ ქორთონიკონი შერეა განამასინჯებულად შეტანილი სხვა-და-სხვა წყაროდამ, რადგან „ძეგლში“ არ მოიპოვება. ამ დროს მეფე ადარნასე ცნობილი, არ არის. შეიძლება ადარნასე იყოს შკტი სახელი ვასტანგ III-ისა.

<sup>9</sup>) აქ შეკვბ. კარ. უმატვას: „ქსნისა“.

<sup>10</sup>) მეგრ. კარ.: „მათათა“.

<sup>11</sup>) ამ ოთხ წინა-სიტყვის მაგაურ მეგრ. კარ. სწერია: „და მისსა შედგომან და მოკვდა მეფე ადარნასე“ (დაჯდა?)

<sup>12</sup>) აქ. მეგრ. კარ. უმატვას: „და დაშთა (დაჯდა?) მეფედ დავით. მამის ძმის მისი, ადარნასესი“. ფალავანდოვის კარიანტი დავით იყო ძმა ადარნასესი (Add. p. 368).

<sup>13</sup>) აქ მინგრ. და ფალავ. კარ. უმატვენ: „და განაგებდა სამეფოსა ქართლისას. მაშინ მამის ძმამან მისმან დავით მეფემან არა რაა“ (მისცა ძმის-წულსა და სხ.). ბროსსეს აზრით ადარნასე უნდა იყოს დიმიტრი II (III?), ხოლო დავით — დავით VI, ხოლო მეფის ძე ვასტანგ—ვასტანგ III (Add. p. 368 n. 2.)

<sup>14</sup>) მინგ. კარ.: „ხოლო“ („და“-ს მაგეთ).

<sup>15</sup>) აქ მინგრ. და ფალ. კარიანტი უმატვენ: „მეფისასა“. შედინეთ-ხუნეთის წაკითხულშიც კარე უოფილა (Add. p. 374).—შეად. ქ.-ცხ. I 433, სადაც მოხსენებულია შალვა ქუნიფიგეელის საქმე.

ვით შეჰკრიბა ყოველი ლაშქარი თვის ღ თათარნი შირვანელნი ღ ყოველნი მყოფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე კეესა შაღვას საერისთოს, და ამოაოხსნა დვალნი და ხადელ-ცხაოტელნი და ყოველნი მთიულნი ქუტაისნი, დასწევს და მოაოკრეს ყოველი ცხრაძმის კევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ბრძოდეს: ქუტაისნი, ქარაოხს<sup>16)</sup>, ქოლოთს, და ისროლს, არამედ ვერა აიხნეს და შვიდ წელ განგრძელდა ომი მათი. ხოლო ციხოვანთა ესეოდენ შესჰკირდა, დააწყეს ჰამად ღვედისა და ესე ვითართა ზედა მოვიდა კახტანგ და შაღვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხვითა სპითა.

მაშინ დაჰვით დგა ბაზალეთს, და ვითა სცნა მოსვლა მათი, მიმართა ციხესა დარეილისასა და მიუდგა უკანა სპაა ყოველი, და შეაარეს<sup>17)</sup> არაგვი და გარდავლეს ჯვართაყელი და ჩვიდეს დარეილს და მოადგეს<sup>18)</sup> ციხეს გველეითისას; ხოლო შაღვა დადგა ხადოს, და ეს ოდენ ძლიერად ბრძოდა, რომელ ერთს დღესა აალო ცხრა ციხე და დაარღვია და მას ერთსა კვირასა დაარღვია ციხე ოკცახუთი, (და) თხოუმეტი იქით არაგვისა. მაშინ მისცა კახტანგ დაჰვითს ჯავახეთი და დაღისტანი (აღისტანი)<sup>19)</sup> და გამოაყვანა გველეითით.

ხოლო შაღვა მიმართა კევთა დვალეთისთა და გააოხრნა ყოველი, (და) მოუხდეს შავ-დვალნი ღამესა ბნელსა, დაუხდეს მომლოდენლნი, რამეთუ ესმა შოლვას მოსლვა მათი. მაშინ დააწყედინეს იგინი მოხრებლსა კლდისასა, და ერთი ცა მათგანი ვერლარა წავიდა და მოსწყედეს სიმრავლე არა მცირედი დვალთა. მაშინ მოწუნეს და მოაოხრეს ყოველნი კეენი დვალეთისანი და შემოსრდეს და დაარღვინეს ყოველნი ციხენი თრუსით აჩაბეთამდის.—მაშინ წარვიდა ყოველი სპა სპარსთა. მაშინ შეფემან მიუბოძა შაღვას თრუსი<sup>20)</sup>, ღუდა, გაგასძენი, მღეთე (მღეთი?)<sup>21)</sup>, არაკვეთი, კანლო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორანნი<sup>22)</sup> დილუმი, გავაზი - - -<sup>23)</sup> აწერის, კევი<sup>24)</sup>, ბეკუშე, და ყოველთა

<sup>16)</sup> მინგ. კარ.: „ქარაოხსა. შუად. ქ. ცხ. 434—435.

<sup>17)</sup> მინგ. კარ.: „შეიყარეს“ შუად. ქ.-ცხ. I 436.

<sup>18)</sup> აქ. მინგ. კარ. უმატებს: „დაჰვითს“ ხოლო მეღვინეთ-ხუტესოკი—„კახტანგს“.

<sup>19)</sup> უკელა კარიანტუბში „აღისტანი“ სწორია; მაგრამ სჩანს ხელნაწერში გადამახინჯებულია „დაღისტანად“. რომ მეფის დაჰვითისთვის მიუციათ ჯავახეთი, ამას ბრძენსეუ ასახულებს ქართულ ფულით. რომელსაც აწერია: „ჯავახთ უფლისა“. (Add. p. 375. n. 2) შუად. ქ.-ცხ. I 437.

<sup>20)</sup> მინგ. და ფაღავ. კარ. „თრუსკი“.

<sup>21)</sup> მეღვ. ხუტ. კარ. „მღეთი“. ხოლო ფაღავ. „მეთე“.

<sup>22)</sup> მინგ. კარ. „ძაგნაკორანანი“.

<sup>23)</sup> აქ გადამწერი შენიშნავს: „ამაში ამოფხეკილია კარგა ალაგა“. ეს შენიშნა მეღვინეთ-ხუტეოკის კარიანტს არა აქვს (Add. p. 375).

<sup>24)</sup> მინგ. და ფაღ. კარ.: „აწეკერის კევი“.

დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედვედა; [ხოლო შალვა მოაყუანა ცოლად ოვსთა მეფის ასული, სახელად ზირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის <sup>25</sup>) და შეჰქმნა ყოველი სამსახური ეკლესიისა ოქროსი და ვერცხლისა, ბარძიმი, ტაბაკნი, კანდელნი და სხუა ყოველი სამკაული და მოსჭედნა ხატნი, და შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა].

მაშინ მოკვდა დავით მეფე და მასვე წელსა მოკვდა ვახტანგ მეფე; მაშინ დაჰპყრა მეფობა გიორგი ძემან დავითისამან <sup>26</sup>). ხოლო აბაზას ძე ნაწროზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოღვომად ციხესა ლოწობანისასა. მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და ბრძოლა სასტიკად ოთხ-დღე და მებნუთესა დღესა აღიღო იგი; მაშინ მოაყენანა ორნი ხატნი ფრად შევიერნინ.

ხოლო მეფე გიორგი განილაშკრა მალაროს და დიდად ეგნოთ მთვან ვიწროთა მთ კევთა სიმრავლითა საგორავისათა, და დიდად მწუხარე მოვიდა და კუალად მგორედ წარვიდა დღეთა ყველიერისათა, და იყო სიცივე დიდი და შიშისაგან საგორავისა წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებულო, და მაშინ უმეტეს ეგნო; რამეთუ იმჭეროდა ცხენები და კაცი იგი მსგავსად მკეტვა შესვარულნი სისხლითა, მოსდევდეს მათ. ხოლო შალვა ორსა ამას ლაშქრობასა არა იყო მუნ, არამედ ძენი ხოლო მისნი იყვნეს; რამეთუ ესხნეს ძენი ქამეტნი, ქუბლნი და გონიერნი.

მაშინ შალვა წარვიდა ლაშქრითა თვისითა, მივიდა, დასხ(დ)ა უმჯობესის ლაშქრით მზირად ღამე და (რა) განათლდა <sup>27</sup>), მივიდა მცირედითა ლაშქრითა და მოწვა და მოაოკრა ქუბყანა მათი და არა რა აძლო ლაშქარმან ალაფი თვნიერ აბჯრისა, და წარმოვიდეს; მაშინ მოუდგეს უკანა ლაშქარნი იგი მის ქუბუყანისა(ნი) და წარკდეს მზირთა, და აღსდგა ყოველი ლაშქარი დამალული; და მოუბრუნდა შალვა და შეაწყვიდინეს ადგილსა ვიწროსა, და მოკლეს მუნ ორმოცდათუთხმეტნი კაცი და მრავლნი შეჰპყრეს.

მაშინ კვალად შთავიდეს და დადგეს და მოაოკრეს და დაწუპს ყოველი ქუბყანა მათი და წარმოვიდეს გამარჯვებულნი ალაფითა დილითა <sup>28</sup>).

<sup>25</sup>) აქიამ ცხადია, რომ ხელ-ნაწერი-სვინაქსარი, რომელშიც ჩართულია „მეგლი“, ლარგვისის მონასტრის კუთვნილება ყოვიდა და ლარგვისშივე უნდა იყოს დაწერილი.

<sup>26</sup>) ამ უკანასკნელ ფრანსის მაგიერ მინგრ. და ფალავ. ვარ. სწორენ: „დაჟდჷ მეფედ ძე დავითისი გიორგი და განაგებდა სანქმესა ქართლისასა“.

<sup>27</sup>) მინგრ. ვარ.: „განთად“.

<sup>28</sup>) აქ მინგრ. და ფალავ. ვარ. უმატებენ: „ქკას: იზ: ქრისტეს აქეთ: ჩხადა:“. ეს ქორონიკონი არკულია, რადგან ქკნი: იზ: უდრის 1229 წ. და არა 1284-ს. გარდა ამისა აქ მოხსენებული გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც მთიულეზე გაილაშქრა 1329 წლის ახლო ხანებში. შეიძლება, — თანხმად

მოკვდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგველი ერისთავად. ამან აღაშენა უკანა ციხე თავსა ისროლის კვეისასა და ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქუჩნიფრევს. ამან შეჰქმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თვისისათა და მოსჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თეოდორესი<sup>29)</sup> და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდნა.

ამას ეამსა აღიღდა ქსანი და წარიღო ერთი კერძი ზღუდე აღმოსავლით ჭერძ და სამრეკლონი დიდ-დიდნი და შეენიერნი.

მოკვდა ლარგველი და დაშთეს სამნი ძენი მისნი და დაჯდა ერისთავად ჟუხუცესი ძე კარშელ სრული ყოვლიდა კეთილითა).

ამას ეამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაჯპყრესო, და დიდად შესწუხნა მეფე გიორგი, მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა რომელს ერქუა პიპა, გზასა კმელთასა მრავლითა ძღვენითა წინაშე მისრელისა [და წარყუა-თანა ბადანდას ძე<sup>30)</sup> დეკანოზი იოანე] და მივიდა პიპა წინაშე ნესრელისა; ხოლო მან სიხარულითა შეაწყნარა ძღვენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვინა, ეზიარა [და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღვართ-მოძღვარად; და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა კარშელსა, და ყოველსა ერსა ცხრაშემს კვეისასა, რათა მოძღვართ-მძღვარობა ნუვის კელენიფეგების თვინიერ ამისა და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღვარად - - - -<sup>31)</sup> ხოლო პიპამან მოალოცნა წმინდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმინდათანი] და ხატნი შეენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელეთით, და მოვიდა წინაშე მეფისა და მოალო იერლპყი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოველისა მისისა; ფრიად განიხარა გიორგმან მეფემან, რამეთუ მიეცნეს კლიტენი ქართველთა.

მაშინ მოადგა ოვსთა, გორს მყოფთა და ბრძოდა ამ წელ<sup>32)</sup>. ხოლო კარშელი და ლაშქარი მისი უმჯობეს ბრძოდა სპათა ყოვლისაგან და აქებდეს

„ძეგლისა“, — აქ იგულისხმებოდეს „გიორგი მცირე“, დაკითხის შეიდეგ. „ორ-წელ მეფე ქმნილი“ (1310—1312 ასლო ხანებში): ქ.-ცხ. I. 446—447.

<sup>29)</sup> ეს ფრასა არ იშლება მეღვინეთ-ხუცე წყაითხულში (Addit. p. 376):

<sup>30)</sup> მეღვინეთ-ხუცე კარ.: „ბანდასძე“.

<sup>31)</sup> აქ გადაშწერი ქმოწმობის: „ამას ადგილსა აკლავ ერთი სტრიქონი“ ხოლო მეღვინეთ-ხუცესოვით—ერთ-ნახევარი (Add. p. 377, n. 1). მისრულად ანუ ნასრულად ქართველნი უწოდებდნენ მეგვიპტეთს, რომელნიც ამ დროს მძლავრობდნენ აღმოსავლეთში და პალესტინეში (ქ.-ცხ. I, 440—441). შეიძლება აქ „ნასრულად“ იწოდებოდეს მისრუთის ანუ ეგვიპტის სულტანს „ნასარ-მელაქი“, რომელთანაც ქართველ-მონგოლთან სახელაოვანი ბრძოლა ქმნიდათ. 1296 წლის ასლო ხანებში (ქ.-ცხ. I, 441).

<sup>32)</sup> ეგვალს კარანტებში: „სამ-წელს“ ოვსნი ზღვანს მსხდომნი იხ. ქ.-ცხ. I.

ქებითა დიდითა, რომელ ესე შეგზურთვეს მთიულთა არაგვისათა, და თქულს: „უკეთუ ომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემეზნენ ჩუნ და იხილოთ რომელნი უმჯობეს ვართ“. მაშინ შეჰქმნეს პაემანი და დაამუქრნეს და შემდგომად გორისა აღებისა აუწყეს ურთიერთსა და შევიდეს ჯირშელ და ყოველი ლაშქარი მისი მთასა ლომისისა, ხოლო არაგვისა მთიულნი დადგეს ლოასთავს და აწვედეს ლომისსა. ხოლო იგინი ტყესა, ციხესა ლოას-თავისასა და ქარაფსა კლდეთასა არა განემორჩენს.

მაშინ მოვიდა დავით ძე გიორგისი და არლარა აუშენა საომრად<sup>33</sup>). არამედ განყარა ყოველნი კევისთაენი<sup>34</sup>) და წარგზავნეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი და წარვიდეს ყოველნი თვნიერ სამთა მათ კვეთა. მაშინ წარმოვიდა ჯირშელი და შთამოვიდა ვაკედ, ხოლო ლაშქარნი წყაროთა, მუხათა და წისქვილთა თანა გვერდსა მას შთამოვიდოდა; და ვითარცა ესმა ესე მთიულთა არაგვისათა, წარმოვიდეს უკანა მათსა და გამოვიდეს ლომისას.—

და დავით, ძე მეფისა, მუკლთა დაუყრიდა, ლომისასა მყოფნი ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდნენ, რათა არა სდევდნენ. ხოლო მათ არა ისმინეს; არამედ მრავლითა გინებითა მოსძახდეს და საგორაჲისა სიმრავლესა ჩამოყრიდეს. მაშინ ჯირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი სამისა ამის კევისანი, და რქუა მათ: „აწ არლარა იქმნების ომი, რამეთუ გაყარა ლაშქარი ჩუნნი, არამედ კვლავ შევეკრიბოთ ლაშქარი ჩუნნი<sup>35</sup>) და მაშინ ვებრძოლნეთ მათ“. არა ინებეს ესე მცირედთა მათ ლაშქართა, არამედ თქულს: „მამანი ჩუნნი მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა დიდთა და მრავალთა, და უკეთუ არა ვართ შეილნი მამათა ჩუნთანი, რაასთვის გვაქუს მამული მათი?“ მაშინ განიზიშელეს ფეხები მათი და წარიძღვნეს დროშა და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისა და ჩამოგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელთ გარეთნი. და ყოველი მიმდგომი მათი [და ერთსა მას ხადელმოკვეენი და მიმდგომნი მათნი]. მაშინ ჩამოყარნეს საგორაჲენი ურიცხვნი და აღვიდეს კვალადცა, რამეთუ დაბურვილ იყვნეს ფარითა, ვითარცა ს(ი)პითა და დაასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვიმისა. მაშინ შეგქმნა სომრავლე, ისრისა, ვითარცა სეტყუა ხშირი და ფუცავდნენ ღმერთსა, რომელ ქვემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჰვიანი კაცი გააარის და მიწასა ნახევრად დაესვის; აღმოაწვადეს კრძლები და<sup>36</sup>) ახვნეს და აღემართნეს აღმა მთასა მას და გორვიდეს ჩამოდმა, და იგი იყო უმჯობესი მათ შორის, რომელმან დაჰყარის აბჯარი და ტანი-სამოსი და შიშველი მირბოდის.

მაშინ ჯირშელმან ერთსავემან იხილა რამ ესრეთ უღონო ქმნილნი მებრ-

<sup>33</sup>) მინგრ. კარ.: „და არა ჩაუშენა ომად“.

<sup>34</sup>) მინგრ. კარ.: „თავის-თავ“. :ქ მეღვინეთ-ხუტესოვის კარაანტში სიტყუები  
 \*კლდა (Add. p. 377).

<sup>35</sup>) მინგრ. კარ.: „ჩემი“. —<sup>36</sup>) მინგრ. კარ. უმატებს: „შეგვდეს“.

ძილნი მისნი, უბრძანა არა კოცად მათდა, არამედ ჰყრობად; და დევნად და მიუდგეს უკანა და გაჰყვეს იქით არაგვისა. და მოვიდა ერისთავი ლომისსა და გაუშენა ყოველნი, რომელნი კელთა დარჩომოდეს, და შესწირა ლომისსა არა მცირედი, და ისტუმრა შინა დაჰყოთ, ძე შეფისა [და შემოსწირა ეკლესიასა ამას სჯნაჰსარა ესე კეთილი <sup>37</sup>]. და ერისთაობასა შინა მისსა იზრდებოდა ქვენიფნევეს ორმოცდათუთხმეტი სახლი უძლოურთა და დაგრდომილთა და სამარადისოდ ყოველ პატრონის ტაბლისგან მიეცემოდა დლითი დღე.

და მოკვდა ერისთავი ვიწქელი და მეუღლე მისი გჰანცა, სამსა დღესა შინა, და დარჩეს სამნი ძენი მისნი: ქვენიფნეველი, იოანე, და გიორგი, რამეთუ მცირე იყვნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაძმის კვევლთა ბიძა მისი <sup>38</sup>) ცხრა წელ <sup>39</sup>). მაშინ აღიზარდა ქვენიფნეველი და დაჯდა ერისთავად, და იყო კაცი კეთილი, მშვიდი და გონიერი გამზრახი, ქებული და მოშიში ღვთისა, და მოყუარე მღვდელთა და ფრიად წარჩინებული წინაშე მეფეთა. ამან აღაშენა ქუცნიფნევეს ეკლესია და დარბაზოვანი დიდ-დიდი და მშვენიერი; ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოათა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესია, და შეკრიბნა მღვდელნი და მონაზონნი და პატრი სკა ურუმეტეს ყოველთა ერისთავთა პირველ(თა) და შემდგომთა, და აღაშენა საზეთე და განაჩინა ჩვიდმეტი ალაზი, და შემოსწირა ცხრა ვენახი, და გლეხნი მსახურად ეკლესიასა.

ამათ ჟამთა იყო შალვა ერისთავის ნათესავი სამოცდა თორმეტი შუბოსანი, და ყოველნი მორჩილებასა ქუცზე ქვენიფნეველისასა; მაშინ ჩამოვიდნეს ცხოტელნი ჟამურს. და მისცა დმერთმან გამარჯვება გიორგის, ძმასა ერისთავისასა, და გააქცივნეს აღმა მთის სიმაღლესა, და ვითარცა აღვიდეს მთად, იდგეს წინა მამასახლისნი, და აღარ სდევნეს, რამეთუ სთქუცს: „კმა არს ბრალი ესე“, რამეთუ მომკვდარ იყო გარეშე წვრილის ერისა თვრამეტი თავადი კვიისა ბერი ცხოტელნი.

და მეორესა წელსა მოუხდეს ყოველნი დვალნი. მაშინ ბრძოლა უყვეს ჟამურელთა, და იყვნეს ბეგარის მკრეფელნი ცხრა-ზმელნი და მოვიდეს იგიცა, და ვითარცა ესმა დვალთა მისლვა ცხრაზმელთა, ზარი დაეცათ და გააქცეს, და შეახვეწნეს ციხეთა ქნოლისთა. მაშინ სთხოვდეს ჟამურელნი; ხოლო მათ არღარა მისცნეს, ზე წარმოვიდეს ზე შთაათრივეს ყოველი იგი მკვდარი დვალი, ზე მოვიდეს წინაშე ერისთავისა და შეასმინეს ქნოლოელნი. მაშინ განრისხნა ქვენიფნეველი და განილაშკრა ქნოლოს და დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქუცყანა მათი. ამისა შემდგომად დვალთა წაასხეს ხვასტანგი ჟამურით. ესმა ერისთავს და წარ-

<sup>37</sup>) რომელშიც ჩართულია ეს ისტორიული წერილი. <sup>38</sup>) პიპს.

<sup>39</sup>) სიტყვა „ცხრა წელ“ მეღვინეთ-ხუცესოკს „წილონად“ აღმოუკითხავს. ვიწქელი, მისი მეუღლე გჰანცა ზე სანიაკე აქ მოხსენებული მისნი ძენი დასახელებულნი არიან კელ. მუხ. კტრატის სახარებაში, № 25.

ვიდა; მივიდა ზოხოს<sup>40)</sup> და ნახევარი ლაშკარი მათ დაასხა მალულად, და ნახევარი დადგა (მოადგა?) სამსა მას სოფელსა და ციხესა ზემოსა. მაშინ შექმნა კმა და წარმოვიდეს ყოველნი მამანი ქუცმოთა მათ მახლობელთა სოფელთანი და შემოვიდეს ზემო მალულთა ლაშკართა და გამოუხდეს ზურგით და მიეტევენეს ზემონი, და შეამწყვდივნეს შუა და ერთიცა მთიანი არა განერა, და დაარღვივნა ციხენი მათნი, და მოსწყვა ქუცყანა მათი, და აღივსნეს ყოველნი ლაშკარნი აღფითა, და წარმოვიდა დიდად გამარჯვებული, რომელ ერთიცა ლაშკართა მისთავანი არა მოაწყლა. ხოლო გიორგი, ძმა ერისთავისა უმცროსი, ლაშქრობდის იქით არაგვისა და სტყვენვიდის, რამეთუ იყო კაცი გონიერი, და შემართებული. ხოლო საშუალი იგი ძმა, იოანე, მარადის იყვის წინაშე მეფისა, რამეთუ იყო მხნე, გოლიათი, ბრძოლათა შინა უძლეველი, განმძრახი ქებული, უშიში ვითარცა უკორცო, რომლისთვისცა პატივს-სცემდეს მეფენი და საკუთრება და თანა მზრახულობა მისი ვითარცა დიდი შესაძინებელი შევირაცხა, რამეთუ მრავალგზის გამოაცადა იგი ყამსა ბრძოლისასა, ფრიად განთქმულ, და სახელოვან, და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა]. ამით ყამთა მოვიდეს [თურქნი] წინაძღომითა, ბედარის ძის ხოსიასითა, და მოკლეს მეფე გიორგი, და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართულებნი და მუნვე მოვიდა<sup>41)</sup> ერისრავი ქვენიფნეველი ქს ქს აა<sup>42)</sup>. [ხოლო ივანე სიმხნითა და სიტუპლითა თჳსითა განერა მთიან სასტიკად ბრძოლვილი, მოვიდა და დაჯდა ერისთავად, და ახოვანებასა და სიმხნესა მისსა ზედა შესძინა სამართალი, რამეთუ იყო იგი მამა ობოლთა, და ფრიად საზარელ მტერთა, და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზედა, მოშიში ღვთისა, მოყუარე მღუდელთა, პატივისცემელ მონაზონთა, განმადიდებელ ეკლესიათა, შემამკობელ ხატთა, და სათნო ღვთი-

<sup>40)</sup> შედგინეთხუც. ვარ.: „სოსხოს“.

<sup>41)</sup> უნდა: „მოიკლა“.

ველგან სახლნი და ავაგენ ეკლესიანი რიცხვით ყოველნივე (sic)\*. — აწ წმინდანო, მღვდელ-მოძღვართა მთავარნო, რომელნი შემდგომად ჩემსა ღირს იქმნეთ წინამძღვრად წმინდას ამას დედა ქალაქსა და იხილნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი წმინდასა ლოცვასა თქვენსა მომიხსენეთ საწყალობელი ესე სული ჩემი, რათა თქვენცა ღმერთმან სასყიდელი მოგანიჭოს ამინ. ქორონიკანი იყო :სმ: — და ამით ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად სამხრით საღაიკნოსა წმიდათა მოწამეთა სამარტვილოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის გაზრდილი ჩემი იოვანე საფლავსა ჩემსა ზედა და უჩინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და და ჟამის მწირველსა მიესცენ თქმს გლახნი სამნი ფოძითა სრულითა და ვენახი ა, მიწა ა, წისქვილნი ა და ქალა და ოტათლოანს გლეხი ა, ციხე-დიდს გლეხი ა, ორნივე ფოძითა სრულითა და ვენახი ა; მცხეთას სენაკი ა, ბოსელი ერთი, ყანა ა, და ვენახი მცირე ა. ესე ყოველი თავის-უფლობით შეუვალად ჰქონდის ყოვლისა შესავალისა სასეფოსაგან, დიდისა და მცირისაგან და არა ვისა აქუს ამასზედ კელი, თუნიერ ხუცისა, რომელი საკურთხეველსა ამას ჩემსა ზედა ჟამსა სწირევდეს. ესე სიცოცხლესა ჩემსა გავაგე და ვითა ზემოთ დამიწერია, იოვანე საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველად დავადგინე და მიუთუალე ესე, გასარმელი (Sic) ვირე ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს და მილოცვიდეს და შემდგომად მისსა შვილთა და შვილის-შვილთა მისთა დაუტეოს და იგი დგეს და ჟამსა სწირვიდეს და გვილოცვიდეს და შეუცვალებელად ჰქონდეს ესე გასარმელი საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველსა ხუცესსა უკუნისამდე ჟამთა, ვიდრემდის წმიდა ესე დედა-ქალაქი ეგოს. და ამა სამარტვილოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე საკრამანგი-თა, მოვქვიდე ვეცხლითა, და დავდგი ბარძიმ-ფეშხომი ვეცხლისა და კოვზი ვეცხლისა, სანაწილე და ასაპყრობელი და საცეცხური და სასაკმეგლონი ვეცხლისანი, შესამოსელი, საკრამანგი ა, ზეწარი, ა; და დავკვიდე ეზო საკრამანგ შეოღელი ერთი და ამას წმინდასა დედა ქალაქსა შიგან დავდევე აღაპი თვესა იანვარსა კდ. დღესასწაულსა ყოველსა წმინდათასა ღამის თევითა და ჟამის წირვითა აღსრულებოდის. აწ წმინდანო მღვდელთ მოძღვართა-მთავარნო, რომელი შემდგომად ჩვენსა და შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ წინამძღვრად წმინდასა ამას კათალიკე ეკლესიასა და ნახნეთ ნაქმარნი ესე, ჩემნი განგებულნი ესე და განწესებულნი, რომელ ცოდვილისა ამის სულისა ჩემისათვის (დამიძს) და მიჩენია შეუცვალებელად და უქცეველად დაამტკიცეთ, რათა შემდგომად თქვენსა სულისა თქვენისა გაგებული და განწესებული თქვენი დაემტკიცოს. და რომელმან ქართლისა კათალაკოზმან, გინა რამანცა გუარამან კაცმან შემდგომად ჩემისა და შემდგომითი შემდგომად, ვიდრემ-

\*) აქ ძველს გუგაჩში № 378 დამატებულია :რე: (ქ. ა. 105).

დის წმინდა ესე დედა-ქალაქი ეგოს, ნაქმარნი და განწეგებული ესე სულისა სემისა-თვის შეუცვალოს, რომელი ზემოდგან ქვემოდმე დაგვიწერია, რასაცა ეპსა, რასაცა მიზეზისა მოღებითა აქციოს და ამა საკურთხეველსა და საფლავთა ჩემთა (ზედა ხუცესი) და ესე განსარომელი მოაკლოს, ანუ აღაპი ჩემი და ძმათა ჩემთა შეცვალოს, რისხამსცა მამა, ძე და სული წმინდა და წმინდა კათოლიკე ეკლესია, სვეტი ცხოველი, ხატი ღვთაებისა, ყდ წმინდა ღვთის მშობელი, ძელი ცხოვრებისა და წმინდა ესე მარტულინი და კლებულმცა არს წესისაგან საეკლესიოთა და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს, რომელმან განყიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და დამკაისაჯების უარის მყოფელთა თანა ღვთისათა. ესე ვითა ზემო დამიწერია ქვემოთ კელითა ჩემითა დამიმტკიცებია. ვინ აქციოს კრულია დაუსაბამოსა ღვთისა პირითა, წმინდისა ღვთისა მშობლისა მადლითა, წმინდისა კათოლიკე ეკლესიის მადლითა, წმინდათა მოციქულთა მადლითა და ყოველთა. წმინდათა მადლითა, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სულით და კორკით ორსავე ცხოვრებასა ამისი გამტეხელი და ვინ დაამტკიცოს ჯუარი და კურთხევა აქუს. — თქვენ წმინდანო მღდელ-მოძღვარო, რომელთა ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემის-თვის ჰნახოთ, თქვენც სიტკიცე დასწერეთ. — ღვთივ დიდებულნო, (ძლიერო) ბაგრატ აფხაზთა მეფეო, და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურა-პალატო და ძლიერო მეფეო კვირიკე (კე), არწმუნოს ღმერთმან მეფობასა თქვენსა, ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათვის კელითა თქვენითა დამიმტკიცეთ.

ესე ვითა ზემოთ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოსსა დაუწერია და საქმე სულისა მისისათვის გაუგია, მე ბაგრატსა ნებითა ღვთისათა აფხაზთა მეფესა და კურატპალატსა, კელითა ჩემითა დამიმტკიცებია, მტკიცე არს და უტკეველ ნებითა ღვთისათა. — ესე ვითარ, — დიდებულ ჰყუენ ღმერთმან სული მათი მელქისედეკ ქართლისა კათალიკოსისა, — სულისა მათისათვს გაუგია და დაუწერია და შემდგომად, აღიდენ ღმერთმან, ბაგრატ კურატპალატსა კელითა მისითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა კვირიკე მეფესა და დისწულსა კვირიკე მეფისასა კელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია, მტკიცე არს და უტკეველი ესე; და ვინ უტკიოს ესე ზემო-ხსენებულნი წმინდანი ყოველნი რისხვენ. — კულად \*) ესე ვითა სულ-დიდებულსა და სულ-კურთხეულსა გამზრდელსა ჩემსა და ვჰადრო მამასა მელქისედეკ კათალიკოსსა დაუწერია და გაუგია თავისა სულისა-თვს, აღიდენ ღმერთმან ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, მეცა უღირსსა, გლახკსა რეცა სახელიც კათალიკოსსა დამიმტკიცებია, ქართლისა პატრიარქსა \*\*) მტკიცე ჰყავნ ბრძანება მათი ქრისტიანეთაგანმან კაცმან. — ესე ვითა სულ-

\*) გუჯარში № 378 ამ სიტყვის მაგაერ სწერია: „კ ლნ“, ე. ო. კიზიკეისონ.

\*\*) გუჯარში № 378 სწერია: „...რეცა სახელით :გ: (.ჴ:) დამიმტკიცებია :ჴს: ეს ორასა უნდა იკითხოვდეს ესრე: „რეცა სახელით კათალიკოსსა დამიმ-

დიდებულისა მამისა ჩემსა მელქისედეკს ქართლისა კათალიკოზსა \*) (ქ:კ:) დაუწერია და იოანე მღვდელი დაუწერია და მათისა სულისა მღვდელად ჟამის მწირველად დაუწესებია და მისი გასარომელი უჩენია თვითთა კელითა სიმტკიცე დაუწერია, აღიდენ ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, და მეცა გლახაკსა ქრისტეს მიერ კათალიკოზსა ოქროპირს ჩემითა კელითა დამიწერია, ჭ მათი ბრძანებული დამიმტკიცებია და მტკიცე არს უკუნისამდე, იოანეს-თვს და ნებიერი არს იოანე ყოვლისა ამის ბძანებულისა, ვისთვისცა იოანეს უნდეს მიცემად და დატევებად. და ვინცა ვინ რამანცა გუარმან კაცმან რასაცა ჟამსა ამისგან რაცა დააკლოს და შესცვალოს, კრულმცა არს წმინდათა მოციქულთაგან, ჯუართთა, წმინდისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და ჩვენითა ჯუართთა მკვდარსა და ცოცხალსა ზედა, ცათაშინა და ქუეყანასა ზედა, და თუ უქციოს და ამისაგან შესცვალოს, არსმცა კრული, წყეული ღვთისაგან და ჩუენგან.

ქუთაისის ეკლესიაში, რომელიც მიშენებულია დაძვეულ ბაგრატ III-ის ტაძარზე, ჩვენ ვაზოვნეთ შემდეგი ფრთად შესანიშნავი ხელნაწერი წიგნები:

I დიდი ხელნაწერი, სეგურთი-ნუსხა მე-XII საუკუნისა, სქელ ჭაღალდზე in-folio, უთავ-ბოლო; თითოეულს ბეურდზე დატეულია 40 სტრიქონი. ხელნაწერი მეტად დაზიანებულია ნოტიოსაგან.

ეს ხელნაწერი შეიცავს „დაბადებას“ ანუ ძველ-ადრეაქსის წიგნებს განმარტებითურთ. ტექსტი „დაბადებისა“ დაწერილია მსკვილ ასოებით ზეაში; ხოლო გარეშემო ფართო არშებზე დაწერილია შუა გულში მოყოლებულ ტექსტის განმარტება ანუ სსოლიები, ხშირად კითხვა-შეკვებით. განსამარტავ სიტყვებს და ფრასებს ტექსტისას უწერია წითურად ციფრები ქართულ ასოებით (მაგ. 1, 4... 11 და სხ.) ხოლო ტექსტის და ან წითურების ზირ-და-ზირ არშიაზე გამოყვანილია იგივე ასოები და ზედ-მოხმულია განმარტება ანუ „სსოლიონი“ ამ ასოებით აღნიშნულ სიტყვა-ფრასებისა. უოკელ სსოლიონს ზედ აწერია სსელი იმ წმიდათა მამათა, რომელთა ნაწერებისაგან ამოღებულია სსოლიონი. ამ წარწერათაგან სხანს, რომ სსოლიები ეკუთნის წმინდა მამებს: სჯიზხოსს, თოდორიტეს, მინიკეს(?), სეკირ-მინიკეს, ეესების, ოქროპირს, აკაის, სეკერიოსს, ნოსელს (გრეგოლს), აზოატინს, კარილეს (კარილესი „ღლაფურათაგან“), სხვრინოსს, ორიგენს, ირინელს, აკვლას, სეკირიანე გაბრიელს, სეკირუსს, დიდუმოსს (Дидимъ) და სხ.

რადგან ამ წმიდა-მამების (II-V საუკ.) ნაწერები ნაკლებად არის ცნობილი სამეცნიერო მწერლობაში, ამის-გამო შემოხსენებულს სსოლიებს მნიშვნელობა უნ-

ტკიცების (ოქროპირს“. ხოლო სუბინოვი ასოებს :111: კითხულობს „ქორან-გონსა (ს)პ“ (1060 წ.).

\*) აქ გუჟარი № 378 უმატებს: „იოკანეს“.

და მიეცეს მეცნიერებაში. როგორც სჩანს, სხოლიები შედგენილია თვთ ქართველ მწერლისაგან, რომელსაც უოკელ განსამარტავ სიტუკა-ფრასისთვს გამოუწერია აზრი ზემოხსენებულ მამთა ნაწერებისაგან. შესანიშნავია, რომ თითოეულს განსამარტავ სიტუკას ან ფრასას მარტო ერთი სხოლიო აქვს, ერთის რომლისამე ზემო აღრაცნილ მამთა ნაწერებისაგან ამოღებულა.

ჩვენი ქართველთათვის და ქართულ მწერლობისთვის სხოლიებზე უფრო ძვირფასია თვთ ტუქსტი დაბადებისა, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენი ძველი დაბადება, მე-XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელისაგან სელახლად გადათარგმნილი და გასწორებული, არსად მოიპოვება, და თვთ კასტანგ-მეფემ ვერ იპოვა, რაისაგანო რამდენიმე წიგნი ძველის აღთქმისა სლავანურ ენადამ გადმოქართულეს (ანუ, უკეთ რომ ესთქვით, გადმოამისწავს) არზილ მეფემ და იასებ სამებელის კომისიამ (სისზე იხ. „იასებ სამებელი“, ჩემი გამოკვლევა, უერნ. „იკერა“ 1884 წ. № II—III და აღ. ცაგარდის «Свѣдѣнія» Т. I, გვ.). ათონში დაცული მე-X საუკუნის დაბადება ზირანდელ დროის დაბადების ზირია და არა გიორგი-მთაწმიდელისგან თარგმნილი და შესწორებული.

სამწიქსაროდ, ჩვეგან ნაპოვის დაბადებას თაზ-ბოლო ავლია. მაგრამ ამ ნაკლს შესამინეკვად აღაკებს მეორე ცალი სელნაწერ დაბადების მე-XIII საუკუნის სელით დაწერილი, იმ ვარისავე სხოლიებით, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ იმავე ეკლესიაში, თუმიც ეს უკანასკნელი დაბადებაც მეტად დაზიანებულია. ერთი მეორის შესწორებით ჩვენი დაბადება, გიორგი-მთაწმიდელის თარგმნილი, შეიძლება აღმოჩოს. გარდა ამისა ჩვენ ვიპოვეთ მესამე ცალი დაბადების, მხედრულად ნაწერი მე-XVI საუკუნის სელით, თულებათ საკრებულა ტამარში. ამ უკანასკნელს შესანიშნავ სელნაწერსაც თავი და ბოლო ავლია (თავში ავლია ითხი რვეული ანუ 32 ფურცელი), მაგრამ რაც დარჩენილია, კარგად შენახულია (დარჩენილია მესთე რვეულიდან 69 რვეულამდი, ე. ი. 520 ფურცელი ანუ 1040 ტკერდი).

აქიდან სჩანს, რომ წინააღმდეგ კასტანგ-მეფის მოწმობისა, საქართველოში გიდეკე მოიპოვება გიორგი-მთაწმიდელის დაბადება. იმედა უნდა ეაჭონიოთ, რომ ჩვენი მწერლობა და სასულიერო მთავრობა მაჰტეკეს უერადლებას ზემო-ნაჩვენებ სელნაწერებს და დაბადების ახლ გამოცემის დროს ისარტებებს და ისელმძღვანელებს იმ ვარანტებით. მიუცილებელი საჭიროებაა, რომ თუ სსკა ვარანტებს ვერ აღმოკაჩნთ, ესნი მანის არ დაეკარგოთ, რადგან თუ დაბადება დაგეგეკარგა, მეორე გიორგი-მთაწმიდელს, ამ დაჭეეთების დროს, უმეტეელია, ვერ მოგესწრებით.

ზემოხსენებულს სელ-ნაწერს სჭირია სრული აღწერა. ჩვენ მხოლოდ მოკლე აღწერისათ მასს შენაარსს.

სელნაწერი იწეება 1) ლეკიტელთა მეორე წიგნიდან და შეიცავს სრულად მესამე წიგნს: 2) წიგნი მესამე ლეკიტელთა კეთრისათვის, თავი :იდ:“. თავებად არ უოფილს დაუოფილი, მაგრამ მე-XVII საუკუნის სელით შემდეგ მიუწერიათ თავები;—3) რინსენი მეთა ისრწლისთანი აღწერილი მოსესი“ და ზედვე სსკა სელით: „თავი 1“.

ეს წიგნი ესრე იწეება: „და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ უდაბნოსა სი-

ნამსახა, კარავსა შინა წამებისასა, ერთსა მეორისა თთვისასა, წელსა მეორესა გამოსლოვისასა“...

იქვე ამავესა არშაზე წარწერა ტექსტის ხელთ, სხვა მეზნით: „მეორესა თთვისა მეთესა (ე. ი. 10-ს აზრის) კათალიკოზ ყვეს ბერი ევსტრატია“. რადგან ქართლის კათალიკოზებში ევსტრატია არ სჩანს, ამის გამო ის უნდა იყოს იმერეთის კათალიკოზი, რომელიც ისტორიამ არ იცის. მე-XII საუკუნეში ცნობილი ევსტრატია ბერი მთაწმიდელი იხ. ჩემს «ქრონიკებშია», წ. I, გვ. 213; 232. შეიძლება ეს ევსტრატია გზად დაესკათ იმერეთში გიორგი-მეფის დროს († 1112).

მეთორმეტე რკვეულის მესამე ფურცლის მეორე მხარეს არშაზე აქვს შემდეგი წარწერა ტექსტის ხელთ წითურად: „სხვსაჲ“. „ესე საოლიონნი (სხოლიონნი?) ყოველნი იმერისა პირისა კამენსა შეეტყულებინ: და რომელთაგან მუნ არა დაეტეოდეს სიგრიძთა - - ერთისა მის დიდისა სხოლიონისაჲთა. რომლისა მუნ დაწერაჲ საჰირო იყო. რომლისაჲცა დაწყებაჲ არს, ესე: შესწავებულ უკუჲ იყავნ, ვითარმედ ვითემე ესე ჰგონეს მისთჲ“:

აქ მოხსენებული კამენია იყო მე-V—VI საუკუნის ქართველი მთარგმნელი წიგნთა (ამ კამენზე იხ. ჩემი „ქრონიკები“, წიგ. I, გვ. 223).

3) მეორე სასჯულოჲ აღწერილი მოსესი წწყლისა და შჯულის მდებელისა“.

ეს წიგნი მოსესი იწყება ესრე: „ესე-სიტყუანი არიან რომელთა ეტყოდა მოსე ყოველსა ისრაელსა“.

მეთორმეტე რკვეულის მესამე ფურცელს არშაზე აწერია: „კაპადაოკთა იტყეს დამკვდრებულად იროირითგან ვიდრე ღაზადმდე, რომელთა განასხნეს. ოდესმე ეველნი“:

მეთორმეტე რკვეულის მეორე ფურცელზე აწერია არშაზე წითურად: „ესე სხოლიონი იმერისა პირსა შეეტყულებინ: გარნა დედასა ესრე წინა-უკმოდაღებით ეწერა“.

მეჩვიდმეტე რკვეულის მეორე ფურცელს არშაზე აწერია „ლიმენი:“ და იქვე მოყვანილია არშაზე კამენის კარანტი ძველის აღთქმის („რიცხუთა“) თარგმანისა, ხოლო ამის ჰირდაზარ შიგ ტექსტში წა გიორგი-მთაწმიდელის თარგმანი, ესრე:

არშაზე წითურად კამენის ძველი თარგმანი:

„და ვინ არს კაცი, რლსა მიეთხოოს ცოლი და არა შეერთოს. ებლოდენ და მიიქცინ სახიდ თჲსსა. ნუ სადა მოკუდეს ბრძოლასა შა, და კაცმან სხუამან შეერთოს იგი“.

ტექსტში სწერია (გიორგი-მთაწმიდელისა):

„ვინ არს კაცი, რნ აღაშენა სახლი ახალი. და არა ჰყო სატფური, მისი, ვილოდენ და მიიქცინ სახიდ თჲსსა, ნუ უკუჲ მოკუდეს ბრძოლასა შა. და სხუამან კაცმან ყოს სატფური მისი... (და სხ.)“

ამ საირად ჩვენს წარწერას გაძღვეს ახალს და ძვირფასს ცნობებს: 1) კამენი, რომელსაც უთარგმნია ქართულად შექელისის წმიდანების ცნობრება (იხ. ჩემი „ქრონიკები“ წ. I გვ. 223) დაბადების წიგნის მთარგმნელად უთავდა, და აქ, ამ წარწერაში, ერთი ნიმუშიც გვაქვს მისის ნათარგმნისა; 2) როგორც შედარებადამ სჩანს, კამენს უთარგმნია ებრაულ ტექსტით, ხოლო წა გიორგი მთაწმიდელს — სამეოცნა-ათთა მთარგმნელთა ტექსტით. ამ უკანასკნელის აზრის სრული გამოარკვევა ცალკე შრომას ითხოვს.

4) „იისოვ ნავისი“. ეს წიგნი იწეება ესრე: „*Մա. იսո Մը აღևրուղեմն-նա*“...

5) „მსაჯულნი“. ეს წიგნი „მსაჯულთა“ იწეება ესრე: „*და -- აღևრუղე-ბისა იისუჲსა*“...

6) „როვითი“. ამის შემდეგ ბერი ავლია, ფურცლებზე არეულია და გულდადებით შრომა უნდა მათს დაწეობას და ცნობაში მოყვანას.

6) „ეზეკილი“. — სსკა წინასწარმეტყველების წიგნების ფურცლებიც არეულია და მტკად დაზიანებული.

შესანიშნავია ისიც, რომ ღოგიერთი წიგნები არა თუ თავებად, არამედ მუს-ლებადაც დაუყვიათ მე-XVII—XVIII საუკუნეებში და არაბული ციფრები დაესვათ. აქ-აქ იპოვება იმისი კვლიც, რომ მერმინდელს დროებში (XVIII საუკ.) ბევრი ტექსტი შეუსწორებიათ ახალ დაბადების ტექსტთან. ყველა ამას სჭირია გულდადებითი შესწავლა და გამოარკვევა.

ხელნაწირი ქუთაისის ტაძარში, სობორში, ძველს ქალაქზე მე-XII საუკუნელთ *in folio*, შეიცავს ბასილ დიდის ასკეტიკონს, გადაწერილს, რამდენადაც გიცნობთ, თუ ეფრემ მცირის კელით, ბოლოს წარწერა ტექსტის ხელთ: „*ლიღება და მადლი ღა. აქა სრულ იქმნა ასკეტიკაჲ ღიღისა ბასილისი*“:..

და ზედვე: „*საცნაურ იყავნ, ვითარმედ უმეტეს ათორმეტისა წლისა ეამთა მოველოდენით პატრონისა მღღელისა პროკოპის მკერ თარგმნაღის ასკეტიკასა ამას წისა ბასილისსა: და გინათუ ეამთა სიჰავითა, ანუ კაცთაცა სიგრილითა არავინ მოგვტანა, არცა ზემოთ, არცა სამეფოთ: ამისთვის ვითარცა სასოწარკვეთილი მისიგან. ბრძანებითა წისა მამისა ანტონი ტბელისათა პირველ ესოდენთა წელთა დაწყებულსა. ვიძიულე ბერძელისაგან თარგმნად. რამეთუ მაშინ მეწყო ოდენ. და რამ მესმა დავიცადე. ღღითი-ღღე წყურვილად მოლოდენითა მისითა: ხოლო აწ შიშითა ეამთა და გზათაგან ვერ მოწვენი-სათა ვთარგმნე ამით გულის სიტყვთა. რათა უკეთუ ოდესმე მოიწიოს მისი თარგმნილი: მისი იპურათ ვითარცა უხუცესისაჲ. და ესე ვითარცა უმრწემისაჲ: და რომელი რამე მუნ ჰმატდეს გინა აქა ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ. და სხუტბრობაჲ ნუვე გიკვრს: რამეთუ თუ ბერძელნიცა წიგნი ვითა-*

რიცა ვინ ღვდაჲ ჰპოვოს ეგრე გარდაიწერებინ. და თუთ (თუთ?) ორთა წიგ-  
ნის საცაეთა სვემონ წმიდისათა ასკიტკონნი. სხვთა და სხვთა ჰმატლეს ურთი-  
ერთას: ამისთვის თუაღისაჲცა მოვიღეთ: და თვთ მათვე ბერძენთა უბრძენსთა  
და უსულიერესთა კითხეთა ძალისებრ სისრულე და სიმართლე ვიხარ-  
კე: - : - : - : -

არბიებზე აქა-იქ სხოლები უწერია. ამ სხოლებში ყურადღების ღირსია შემ-  
დეგი: ტუქსტის ზირდაზირ, სდაც სწერია: „და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლი-  
სა“ არ შააზე გამოყვანაღას შეიდეგი: „შეისწივე რამეთუ ძუტლთა სახარებათა ბერ-  
ძულთაჲცა ყოფილა სიძისა და სძლისა: ხოლო აწ არცაღა მათთა არს და არცა  
ჩუწნსა სახლსა (სახარებასა): რამეთუ უსრულესისა მიმართ წარებმატა ეკლესიაჲ  
ღვთისაჲ (ღ.ჲ)“.

აქიღამ ცხადია, რომ მე-XI საუკუნის მწერალი ეგრემი ახალ სახარებად უწოდს  
წა კეთიმის და გიორგის: თარგმნიღს, ხოლო ბეკლს: სახარებად — უწინდელს მე-  
IV—V საუკუნეში თარგმნიღთა. \*)

მას მოსდეკს წმიდანების ცხოვრება, რომელიც დახოლოკებულაა წარწერთ:

„ქ. ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორიაჲ. რომელ არს ღ-თის  
მოყრებით თხრობაჲ: რამეთუ ვითარ იგი კლემეჰსსა და დიოლოლონსა იგივე  
ბერძული სახელი უწოდიან ქართულადცა. ეგრეთვე ამისთვის უსაკუთრეს არს  
წოდება ფილოთეონ ისტორიაჲ: — რომელი ესე თვთ აღმწერელისა ამისისა  
თეოდორატესგან სახელდებულ არს ამისდა: ხოლო საჭირო არს თქმად თვთ

\*) აქ საწიროდ ვრაცხ შეგნიშნო ისიც, რომ ჩვენის აზრით, ეგელა ჩენი მკვლევ-  
არნი დიდათ შემდგარნი არიან, რო დესაც იგინი ამტკიცებენ, „ქართლის-ცხოვ-  
რების“ მისეჯით (გვ. 110), ვითომ სახარება ზირეულად თარგმნიღი იყოს (ქარ-  
თულად) 434 წელს დედოფლის საგდუხტისთვის. საჭმე იმაშია, რომ ქ-ცხოვრების  
(გვ. 110) აზრი ჩვენ მკვლევართ სწორედ კერ გაუგიათ. ქ-ცხებით საგდუხტი იყო  
რანის ერასთვის ბარზახადის ქალი და მამსანდამე სხარსი. როდესაც იგი მირდა-  
ტის: მეუღლედ გახდა, მან ქართული არ იცოდა და ცეცხლ-მსასური იყო. მაგრამ  
„ამან საგდუხტ ღვთაფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რამეთუ ქმარმან  
მისმან მოპვარანა კაცნი სჯულის მეცნიერნი (სხარსულის ეჩის მცოდნენი), და  
უთარგმნეს სახარებაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ამხილეს, ვითარმედ  
ქეშმარიტი ღმერთი ქრისტე არს... მაშინ საგდუხტ გულის-ხმა ჰყო და ცნა  
სჯული ქეშმარიტი და დაუტევა ცეცხლის მსახურება, ნათელ-ილო და იქმნა  
მორწმუნე და ამან აღაშენა სიონი სამშვილდისა“ (ქ-ცხ. I, 110). — ცხადია,  
რომ საგდუხტისთვის, როგორც სხარსისთვის, „ქართულით სხარსულად უთარგმნათ  
სახარება, რადგან მან ქართული არ იცოდა. აქ სხვა-აზრის დადება შეუძლებელია.  
აზრადაც მოსასლელი არ არის, რომ ქართველთ მირანინადამ საგდუხტამდინ მთე-  
ლის საუკუნის განმავლობაში სახარება არ ჰქონოდათ ქართულ ენაზედ და მხოლოდ  
მეხუთე საუკუნეში ერთის ქალისთვის, საგდუხტისთვის, ზირეულად ეთარგმნათ ქარ-

მისდა თეოდორიტესთვისცა რათა უწყოდით. :-

თეოდორიტე არს ნათესავით ანტიოქელი. სადა იგი იშვა და აღიზარდა. და განისწავლა: რომლისა საზომსა გონიერებისა და სწავლულებისასა ცხად ჰყოფენ აღწერილნი მისნი: რომელთა მიერ თავთა გამომეტყულთა და აღმწერელთა თანა შერაცხილ არს ბერძენთა შორის: რამეთუ ვინაათგან გამორჩეულ იქმნა ებისკოპოსად ქალაქისა კროასა. რომელი ახლავს დიდსა ქალაქსა ანტიოქიასასა: მიერითგან ვითარ თვთ მისწერს ლეონ ჰრომთა პაპისა. არარაჲ კორციელი განსაგებელი უღუწიეს: თვნიერ წინამბრძოლობაჲ ეკლესიათაჲ: რამეთუ იტყვს ვითარმედ სამასი ეკლესიაჲ შეესძინე მწვალებელთა და მეკერპეთაგანი მართლ-მადადებელთა ეკლესიასა: ამასთანა ყოველთა ძუელთა და ახალთა წიგნთა თარგმანებანი აღუწერიან დაბადებთგან ვიდრე სამოციქულოდმდე: და სხუანი პირად-პირადნი საეკლესიონი ჟამთა მოთხრობანი: და ბუნებათა მეტყუტლებანი: რამეთუ სიჭაბუკითგან იწყო და დღად სიბერედ მიიწია: :-

არამედ შურითა ემშაკისაჲთა დაკნინდა წარმატებულებაჲ მისი: რაჟამს თანა შემწეობისათჳს თვისისა მამაქმთავრისა] ანტიოქელ პატრიარქისა [წინააღმდეგობანი თავნი დაწერნა [კვრი]ლეს მიმართ აღექსანდრიელისა: რამეთუ დრტენვიდეს მისთვის. რომელ თვნიერ თანა დახუდომისა მათისა ქმნა მან კრებაჲ ეფესოსასა და განკუეთაჲ ნისტორისი: ვინაჲცა წინააღდგომაჲ კვრილესი. შემწეობად ნისტორისსა შეურაცხეს მას: და განავდეს ეკლესიით: ვიდრემდის ბრძანებითა ლეონ ჰრომთა პაპისაჲთა კდ შეიწყნარა იგი კრებამან ხალკილანისამან. და სიყდარსა თჳსსა დასუეს და რიცხუსა მათსა თანა აღმავსებელ ყვეს: და მიერითგან ყოველნი ხალკილანისა კრებისა შემწყნარებელნი თევდორიტესცა შეიწყნარებენ: და მხოლოდ თავთა მათ მის მიერ დაწერილთა წინააღსაღმდეგად კვრილესსა შეაჩუძნებენ და განავდებენ: ხოლო სხუანი წერილნი მისნი დღად წარჩინებულად და საზებუროდ ჰქონან: და თვთ თეოდორიტე ვითარცა არსცა წინამბრძოლად მართლმადიდებელთა კრებულისა აქუს. ძლიერებისათჳს სიტყუათა მისთაჲსა და ბრწყინვალეობისათჳს ცხორების მისისა: ; .

ამის მიერ აღწერილისა ამის ფილოთეონ ისტორიასა მოსურნე იყო წა და ლთშემოსილი ბერი ჩნი ანტონი. და მისითა ბრძანებითა და ლოცვითა

თულად, მაგრამ ამ ეთისკას სკენ შეიდეგ დაკებრუნდებით. აქ მხოლოდ მოგისჩინებთ, რომ წ. ვითვისი წიგნთ-საცავსა ინასება ორი ძველი სამოციქულო დაწერილი ერთი V<sup>II</sup>—V<sup>III</sup> სსუკ., სოლო მეორე IX—X სსუკ. ხელით), რომელთა წინასიტყვაობას წარწერთაგან საეკლესიისებეღია, რომ სრული სამოციქულო სათაურითურთ უთარგმნითა ქართულად „მეოთხესა (წელსა მეფობისს) არკადისსა და მეხუთესა (წელსა) ჭონორისსა“ ე. ი. 399 წელს. მოსჩინებულს სამოციქულოს ფრიად მნიშვნელობა აქვს ქართულ მწერლობისთვის და უმეტეს მენციურებისთვის.

ითარგმნა ესე თვთ მისდად: რათა მსგავსი მსგავსთა თანა იშუპბდეს. რომელთამე ჰყდებოდის (sic). ხოლო რომელთამე შეესწორებოდის. და 'არსმცა ვითარ იგი არს. მათებრვე სრულ ლუწლითა. და მათთავე შემკულ გვრგვნითა: . . ხოლო აქუს წიგნს ამას ფრიადი სიღრმე სიტყუათაჲ: უმრავლესი ბერძულად. და არა მცირედი ქართულადცა: რომლისა შეცვალეზა და გამარტივეზა არა ძნელიყო. გარნა შემინდვეთ უღირსსა მონასა თქუნესა ეფრემსა მცირესა. რამეთუ ესრეთ უმჯობეს ვგონე რათა ხატი და მოქცევი სიტყუათაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ: რამეთუ ესეცა არავე უკმარ არს მათთვის რომელნი ჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობისაჲთა და მიწვეწულ ჰასასკა მტკიცისა საზრდელისასა: ხოლო მოქცევობაჲ სიტყუათა ამის წიგნისათაჲ ესე ვითარი რაჲმე არს: რამეთუ რაჲჲს სიბრძნის მოყუარე ანუ ღ'ის მგალობელთა მწყობრი თქუას. მონაზონთა სახელად: რამეთუ ქეშმარიტად ფილოსოფოსობად ესე იგი არს სიბრძნის მოყუარებად ქეშმარიტსა მონაზონებასა სახელედების. ხოლო ღ'თის მგალობლობაჲ წ'ისა დიონოსის სიტყუათაჲ არს: . და კ'დ რაჲჲს მონასტერსა იტყოდის. ოდესმე არვედ უკმობს. ოდესმე სიბრძნის საწურთელად ოდესმე სტადიონად: . ესე და ესე ვითარი ქტეულეზა გინა თხზულებაჲ სიტყუსაჲ, არაუკმარ არს სწავლის მოყუარეთა და კეთილად გამომეძიებელთათჳს. რათა წინაგანზხადნეს უღრმესთარე წიგნთათჳს: . .

ზანდუკი წიგნისა ამის: **ღ**: იაკობისთვის: . **ყ** იელიანესთვის: . **ჩ**: მარკიანესთვის: . **ც**: ვესევისთვის: — **ძ**: პოპლიოხსთვის: **წ**: სუმეონისთვის ძუელისა; **ჭ**: პალადისთვის. რ'ლისა არს პალადე წ'ჲ: — **ხ**: აფრატესთვის: **ცხ**: პეტრესთვის: **ძ**: თეოდოსისთვის. რ'ლსა არასუსისა თეოდოს წ'ჲ უშენებია: . **წღ**: რომანისთვის: . **წყ**: ზინონისთვის: **წჩ**: მაკედონიოხსთვის: — **წც**: მისუმეასთვის: . **წძ**: აყესიმახსთვის: — **წძ**: მარონოხსთვის: . **წხ**: აბრაჰამისთვის: . **წცხ**: ვესევისთვის: **წცძ**: სალამანისთვის: **ყ**: მარისთვის: — **ყღ**: იაკობისთვის: . **ყყ**: თალასოხსთვის: . და ლიშნასიოხსთვის: **ყჩ**: ივანესთვის: **ყც**: ზევინაჲსთვის და პოლუზრონიოხსთვის: . **ყძ**: ასკლიპიოხსთვის: . **ყწ**: სუმეონისთვის პალაბელისა: . **ყჭ**: ვარადატისთვის **ყხ**: მალელესთვის: **ყცხ**: მარანაჲსთვის და კვრასთვის: **ყცძ**: დომინიანსთვის.

„სიტყუაჲ საღ'თოჲსა სიყუარულისათჳს“ და იქვე წარწერა:

„შეისწავე- რამეთუ შუენი თხრობანი თვთ კერძონი სხუათაგან სმენილნი დაუწერიან ძუძლად ყოფილთანი: ხოლო რვითგან ოცდაერთამდე მათნი. რომელნი მისთა ჟამთა შ'ა აღსრულებულ არიან და თუალითაჲ უხილვან: . ხოლო ოცდაერთითგან სხუანი ყოველნი ჯერეთ მაშინ ცოცხალ ყოფილ არიან ოდეს ესე მათთვის დაუწერია: . .“

იქვე წითურად:

„ქ. ნეტარისა: თეოდორიტე; ეპისკოპოსისაჲ: კვროს ქალაქისაჲ; ღ'თის: მთყუარებითი: თხრობაჲ: გინათუ: მოლუაწყდა: მოქალაქობაჲ: . . .“

ბოლოს:

„თეოდორიტე ეპისკოპოსისა კვროს ქალაქისა ცნობებამოლუაწეთა მოქალაქობისაჲ. დიდება... მამასა და ძესა და სულსა წესა, რომელმან... სრულ ყო ესეცა წიგნი მამათაჲ: ლოცვითა ბერთა ჩუნთათაჲ: გვედრები ყთა მკითხველთა და მსმენელთა და გადამწერელთა: რათა ლოცვასა ჰყოფდეთ ლთშემოსილისა მამისა ანტონი ტბელისათჳს, მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და შვილთა მათათჳს, რწნ ოხითა თჳსითა ლთისა მიმართ უბრძანა ჰირუტყვ სახეობასა ჩემ მცირისა და უნჯოასა ეფრემ უნარჩევვისისა მოწაფეთა მისთასა, რათა სახელად სიწმინდისა მისისა გამოვსთარგმნო ბერძელისაგან ახლად ქართველთა ენასა ცხოვრება ესე წთა ამით მამათაჲ, რომელნი განბრწყინდეს ანტიოქიას და გარემო სანახებთა და საბრძანებელთა შორის მისთა. უკეთუ რაჲ აქ შინა კეთილად ქმნილი გეზოოს იგი ლთისა სამადლობელ და მათდა სალოცველ ყავთ: ხოლო მე ცთომილებჲ ოდენ მომიტყვევთ. რამეთუ იგი ოდენ არს ჩემი უღებებისა დაუღირსებისა ნაყოფი, ხოლო კეთილი ყი ლსა არს და თარგმნობჲ ესე ჩემი საბაჲს და ანტონის მადლითა და ლოცვითა ქმნილ არს: რლთა საუკუნომცა არს საკენებელი და კურთხევაჲ მათი“.

(*სუადარე ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 220*).

სსჲჲ ხელით (XV საუკ.) წითურად: „ლო შე ცი ხარიტონ...“  
 მე-XVI საუკ. ხელით: „ლო შე ფდ ცი იე პატარიძე...“  
 მერე მასდკეს წა ანტონის ცხოვრება ფდ ვრცელი, ბოლო აკლავ.

### ნიკორწმინდის სიგელი XI საუკუნისა.

დადებულის ტაძრის ნიკორწმინდის (რჭაში) გუჯრებში ჩვენ ეპიპოკთ ტუჯიეს გრძელი სიგელი (გრაზნადი) სუგურ ნუსხად საწერი, რომელსაც თავი აკლავ და ბოლოც მოწყვეტილი და დაზიანებული აქვს: ზალეოკრაფთული მისი ნიშნები გვიჩვენებს, რომ სიგელი დაწერილია მე-XI საუკუნის ხელით; ამას ეთანსსება თვთ შინაწისი სიგლისა, რომელშიაც მოსსენებულნი არიან იმავე საუკუნის ისტორიულნი შირნი: იოანე, ერისთავთ-ერისთავის ღამზარტის მე, რომელიც სსანს 1058 წ. და მეფეს გიორგი II-ის დროს (იხ. ჩემი „ქრონიკები“, წ. I, გვ. 204 და ცალკე გამოკვეთვა: „Къ материаламъ по исторіи Грузин“, დაბეჭდილი ჟურნალში: „Въ ПМП. Общ. Ист. и Древ. Россійскихъ“, т. 174, 1895 წ.); კასპური, რომლის დროს აღშენდა ნიკორწმიდა ბერატ IV-ის მეფობაში (Brosset. Rap. XII, 55—60), კარაზ-ვახე, ჭკელაჲს მე და სსჲ. ეისგან არის მიცემელი ეს სიგელი, რომელშიაც აღწერილია სია უცნობ შირისაგან შემქნელ ნიკორწმინდის მამულისა და ნიკოთულობისა, არა სსანს. მაგრამ ცხადად დასანსია, რომ შემქნელი თვთ ნიკორწმინდელია (ე. ი. ნიკორწმინდის წინამძღვარი), რომელიც ამბობს: „მე დამხვდა იოდგარი ნახევარ დაწერილია: (ე. ი. სიგელი) და გაეასრულე ყოვლითავე სისრულითა: შეემოსე და მოე-

ცარიე და შვებეჟედ და მისისა დაწერისა და შეკანზისათჳს მივეც ღრაჰკანი  
 ღლუკატი :იე:“ და სხ. ფრასა: „მე დამხვდა“ გუგულისხმებანებს, რომ სიგლის  
 მიმცემელი ნიკორწმიდის უცნობი წინამძღვარია, რომლის უწინ სხვა წინამძღვარი მჴდა-  
 რა ნიკორწმიდას. ესეუ აზრი უმეტესად მტკიცდება სიგლის ფრასითა: „რომელნი  
 მე თვთ მიყიდიან რიცხვთ ოც და-ათი ესე, რომელ აქა შიგან დამიწერია  
 ...ყოველი ერთგულებით მიმსახურებია წმიდისა ნიკოლოზისათჳს და პატრო-  
 ნისათჳს....“. რადგან ამასთან სიგლიდამ სჩანს, რომ შემწირველი მდიდარი და  
 წარსინებულ გვარის კაცია, ამისგანომ ჩვენ კვტი არა გუჴქს, რომ ამ სიგლის მიმ-  
 ცემელი არის კირილე, ძე ერისთავთ-ერისთავის რატისა. ამ კირილეს შეწირუ-  
 ლობათვან აქამდი დარწმინდა ნიკორწმიდაში ძიარფისი ჟუკარი გრაფინია უვაროვი-  
 სვან ფოტოგრაფიულად გადმოღებულის წარწინებულის წარწერით, რომელიც მისს  
 გამომცემში ფრადის გადასხვაუბით წაუთხუღია (იხ. Материалы по археологии  
 Кавказа стр. 138). აგრევე მძიმე შეცდომებით წაუკითხათ ეს წარწერა ზო-  
 მადლოკისი (Сборник. № 97) და კანდაკუ — ბჴრამკის. ამისგანომ ჩვენ აქ ჩაურ-  
 თავთ ჩვენგან სწორად აღმოკითხულ ტექსტს წარწერისას, რომელიც სრულად წა-  
 გავს ირსეთის დასავლეთის კარბისი 1020 წლის ასომთავრულ ასობს: „ქ. მე:  
 კახაბეროფილმას: კირილე: ძემს სულ კურთხელის: ერისთავთ ერისთავის: რა-  
 ტისამან მოკვლე: სტი: ესე ჟურფუმასია: ნუგეშინის: მცემელად: და: საღისე-  
 ბელად: სულისა: ჩემისა: ცოდვიდისად: და: სადღეგრძელეულად: მის: ჩემის: ერის-  
 თავთ ერისთავისა: რატის ერისთავისა: რატისად:“ — ამ კირილეს გიორგი II-ის მე-  
 ფობაში აღუშენება სპსრის კვედერა ნიკორწმიდისა, როგორც ამასე მოკითხ-  
 რობს წარწერა იმავე ეპიტორისა, შეცდომით აღმოკითხული არქეოლოგთვან. ამ  
 კირილეს შეიღის: შეიღი, ეწის რატის ქალა, დედაოფლთ დედაოფალი ეფემია, სჩანს  
 იმავე ტამრის წარწერებში (გვ. 131). გრ. უვაროვის აზრი, კითომ ნიკორწმიდა  
 აღშენებულ იფოს ბერატ II-სვან 1434 წ. იმდენად უსაფუჴლოა, რომ ამასე ღაზა-  
 რავიც მეტი იწება. გრაფინია შეცდომასში შეუუვანია დ. ფურცელამის მიერ შეცდო-  
 მებით გამოცემულ და ქრონოლოგიურის მხრით გადამსინჯებულ გუჴრებს (И. Гуд-  
 жери, стр. 129).

ჩვენის აზრით ამ სიგელს მრავალ-ფეროვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ძველის ენი-  
 სა, შინაურ ძველ წეს-წყოობილებათა და წოდებათა დამოკიდებულების შესახებულად  
 და გამოსკვლეველად, და ამისგანომ შეუცვლელად და შეუმოკლებლად გეჴდავთ.

--- შემოსწირა --- | --- კობასტი <sup>1)</sup> | --- იხვე შუ შანამან --- | --- ისაი  
 ვეცხლისა :ა: --- | --- საე :ა: ი ე ლ ი პ ა რ ი ტ ი ს [ძემან <sup>2)</sup> შემოსწირა] | სტავ-  
 რი (Sic) ლომოანნ ბერძ --- | --- და უკიდავს: კახაბერსა <sup>3)</sup> --- | --- სოლო-

<sup>1)</sup> კობასტი არის ლეჩაქი. ანუ ჩიქლია: სჴქმე მოციქ. IX, 39 სხასს ღვესიგო-  
 ნი). —

<sup>2)</sup> ცნობილი ღიპარტი IV და ძე მისი იფანე, 1058 წ. (ქრონიკები I, 204).

<sup>3)</sup> კახაბერი ერისთავთ-ერისთავი, შხას ამ სიგლის მიმცემელის ნიკორწმიდე-  
 ღის კირილესი (Rap. XII, 56 — 60). კირილეს ბერობის სახელი არის კახაბერ.

მან ზაზი შე[მოსწირა] | [ზა]ლდალური აფი \*) :ა: და შევეკ[რე] [ენ] კუარ-  
 თი :ა: და სასთაული :ბ: \*) | ნუშ (ანუშ?) შემოსწირა კუბსტი ბერძენლი |  
 :ა: და კუართად შევეკრეთ: და გლეხი | - და ალაბი გარდაეცდების სულისა |  
 [წ]სა მოფენასა: წორბელმან შემოსწირა | ზნაკუს გლეხი :ბ: და მიწანი და  
 მისთვის ალაბი გარდაიკდების ჯრისა გამოჩინებასა. ჯარს ჯაქ შემოსწირა მისა  
 მისისათჳს ფუთს \*) გლეხი :ბ: და ალაბი გარდაეცდების დღესა ახალ კვრიაც-  
 სა: წირქუაღელისა ძემან შემოსწირა გლეხი :ზ: და მას თანა შემოატანეს ჯო-  
 რი :ა: ძოლოა (Sic) \*) :ა: კრძალი :ა: და ამისთვის გარდაეცდების ალაბი დღე  
 ფერისცვალებამ და საფლავთა მისთა ზა დაგვდგენია ჟამის მწირველი :ა: და  
 რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთვის გამიცემია ეკლესიისაგან  
 განძად და პირუტყუად. მეტეხარას (Sic) დუბორანისი ძისაგან ვიყიდე გლეხი  
 :ა: და მისთვის მივეც ძულოი ახალი ერთი (sic) და შედეგი იქულოა. :ა: \*) ს-  
 ბასტაი (ტაბასტა) \*) სომხური :ბ: ჯაქჳ :ა: \*)<sup>10)</sup> და კარი კარგი :ა: სასთული  
 ხირათს<sup>11)</sup> კარგი :ა: და ქაფი<sup>12)</sup> ჯაქჳსა :ა: და მოწამე არიან კაცნი: მის-  
 ვე დუბორანისი ძისაგან ვიყიდე: პარტახტი :ა: \*)<sup>13)</sup> და მივეც ცხენი :ა: და  
 წახლასი<sup>14)</sup> გუდამეურული :ა: და მოწამე არიან კაცნი: და მუნვე მეტეხარას.  
 კასადის ძისაგან ვიყიდე: ვენაკი :ა: და მივეც კარი :ა: და სავნისი :ა: და მო-  
 წამე არიან კაცნი. ჟინჯარაძს ძისა გლეხისაგან ვიყიდე: ნოთხალი ვენაკისა:  
 ჩნ თანა ეღვა და გავისკუთრე და მივეც ზროხა :ა: და ორმოცისა დრამისა  
 კქლადი<sup>15)</sup> და მოწამე არიან კაცნი. (sic) მუნვე მეტეხარას ჯინჯინომისაგან  
 ვიყიდე: ვენაკი ჩნსა გლეხსა თანა ეღვა და მივეც ფური :ა: და კმელადისა-  
 მოც-და-თხუთმეტისა დრამისა და მოწამე არიან კაცნი: და მუნვე მეტეხარას

\*) „აფი“ (ქაფი?) ლექსიკონებში არ არის განმარტული. —

\*) სასთაული = ბაშბის ბალიში (საბა).

\*) ფუთს = ფოთს (?).

\*) ძოლოა არის მცირე ორსუა, საღისა (საბა).

\*) იქულოა უნდა იუოს იგავე ძოლო (შენიშ. № 7).

\*) სბასტა სწეია, მაგრამ უნდა იუოს ტაბასტა. ტაბასტა ანუ ტაბასტა-  
 კი არის ძეირფისი წითელ ფარსეული, რომელსაც ფესთ დაუფენდენ მეფეთა. ტაბას-  
 ტა = სისხლის დინება (საბა).

\*) „ჯაქჳი, რომელ არს აბჯანბი, ჟაქჳნი (საბა).

\*) „ხირაული“ = თსელი ფინიკი (საბა), ე. ი. მატელის ფარდაგი.

\*) ქაფი = ჯაქჳნთ შემოსწირებელი სამკარ-ღლაბეი (საბა).

\*) პარტახტი = უნამეშვარო ადგილი (საბა).

\*) ე. ი. ჟაქჳის თავ-საბურავი საომრად (საბა)

\*) ე. ი. ნიუთეულობა. დრამა არის ექვსი დანგი ანუ 12 ქართლის წონა (სა-  
 ბა). „ორიანი სუთი დანგი (ეგრტსლი) ერთი აბაზი (წარწერა 1670 წ. გადაწერი-  
 ლის ადბუღას კანონის სელნაწერისა).

დავდგი სასაწინებლოა ქვეთიკრი :ა: (sic) და შიგან ყურძნისა საწინები ქვეთიკრი <sup>16)</sup> :ა: და შეშისა საწინებელი :ა:

ზნაკუას შევქმენ სასაწინებლოა ქვეთიკრი :ა: ლ შიგან ყურძნისა საწინები :ბ: და შეშისა საწინებელი :ა: <sup>17)</sup> [ქვეთ]კირი ბოსელი :ა: და ზედა ხერხული ბედელი :ა: ქვეთიკრი ფარები :ა: და ზა ქორეთი <sup>18)</sup> სხელი :ა: და დავფალ მარანსა შა ქური :გ: და მუნვე ზნაკუას :ეკე: მწ. მქელ <sup>19)</sup>: წარბელისგან და გახტანგისგან იყიდა მიწა ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაკვ :ბ: და იგი მიწა წა ნიკოლაოზს შექოსწირა: და მუნვე ზნაკუას ვიყიდე ავარასთანა აბულათაჲს მისაგან ვენაკი :ა: და ყანაჲ :ა: და მისთვის მივეც ცხენი კარგი :ა: და მოწამე არიან კაცნი: და მუნვე ზნაკუას გახტანგის ვლენისაგან ვიყიდე: ყანაჲ :ა: და მივეც ხუარბალი: გრივი <sup>20)</sup> :გ: და მოწამე არიან კაცნი: მუნვე ზნაკუას კუპოჲს მისაგან ვიყიდე ყანაჲ :ა: და მივეც კარი ერთი. რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ და ქალამანი :ბ: და მოწამე არიან კაცნი და მუნვე ზნაკუას: გახტანგის ვლენსა მივეც სახლი :ა: და მისგან ავიღეთ ყანაჲ :ა: და მოწამე არიან კაცნი. გლეხსა წუესსა ცხენი მოჭჳარეს მუნვე ზნაკუას და საზღავად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი :ბ: და მოწამე არიან კაცნი: აჭმემოისმისაგან ვიყიდეთ მუნვე ზნაკუას ჯუარისას ჩამომართებით ყანაჲ :ა: და მისთვის მივეც ფასი სრული.

ნიკოლაოზს წმიდას (sic) შევქმენ სახლი ქვეთიკრი :ა: და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი :ა: მარანი ქვეთიკრი :ა: და დავჴვალ შიგან ქური ნავარძული :იგ: შევქმენ სახლი მუხისაჲ :ა: და ზედა სხელი ქორდაიანი და სენიანი (sic) :ა: სხა სახლი შევქმენ ფილაფიას (sic) და მუხისაჲ :ა: სხა სახლი შევქმენ მუხისაჲ სამზარაულოა :ა: სხა სახლი შევქმენ სახუტოა: მუხისაჲ :ა: და ნაძვისაჲ :ა: ზეთაზბულსა შეუქმენ სახლი სრული ვითა კამს ყოვლითავე ფერითა :ა: ქიშკარი (sic) შევქმენ :ა: ქვეთიკრი შევქმენ ბოსელი :ა: და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი: :ა: სამეკრეოა სახლი შევქმენ :გ:

საკადს რომელ ვიყიდენ მიწანი: ქეკლამისაგან ვიყიდე ზახლეულს მიწაჲ :ა: და მისთვის მივეც კარი :ა: საენის :ა: და მოწამე არიან კაცნი: შუბაჯათაგან ვიყიდე კანკათს ყანაჲ :ა: და კევემელს :ა: მისთვის მივეც კარი :ა: და საენისი :ა: და მოწამე არიან კაცნი: კეკემელს: მაღლა ყანისა ნახევარი შემოსწირა და ნახევარი ფასითა ვიყიდე: მოწამე არიან კაცნი: შხროს ზა ნავარქასისაგან (sic) ვიყიდე ყანაჲ და მისთვის მივეც ხუარბალი გრივი :ა: საყნისი (sic) :ა: <sup>21)</sup> და მოწამე

<sup>16)</sup> ეს სიტყვა სტრეიქონ-ზემო აწერია.

<sup>17)</sup> აქ განგებ ამოშლილად ორის სიტყვის აღაგია.

<sup>18)</sup> ქორეთი ანუ ქორელი სახელი, ე. ო. „ქორდოთა ზედა სახლი“ (ყემო სა-რთული სახლისა; МЕЗОНИЦЬ).

<sup>19)</sup> ე. ო. „ქორისთავთ-ქორისთავმან მიქელ“, ეს შიში უცნობია ისტორიაში.

<sup>20)</sup> გრივი ნ წ ლიტრაჲ (12 ფუთადი).

<sup>21)</sup> სახნისი?

არიან კაცნი: ქველად მის შვილთაგან (sic) ავიღეთ საზღავედ მიწა შხროს ზა რუსისძესა თანა და მოწამე არიან კაცნი: ცხსკარას მისაგან ვიყიდე შხროს ამომართებით ყანა და ტყე და მისთვის მივეცი ფასად დრაჰკანი :ა: <sup>22)</sup> საკ. ნისი :გ: მდილა (sic) დაკოდან კელსისის კანა და მის დასაზღავედ ავიღეთ ველი ქრულსა რააცა იყო მისი კერძი: მოწამე არიან კაცნი. კვდილანისა სულისათვის შემოსწორეს შხროს ყანა: მოწამე არიან კაცნი. ზნაკვა თაესა კვდილანისა შემოსწორა მიწა სანახევრო მოწამე არიან კაცნი. ნესრელთაგან ვიყიდე ვანათს ყანისა ნახევარი და მისთვის მივეცი ფური :ა: ხაჟოა კაბიწი :ბ: <sup>23)</sup> ფეტვ კაბიწი :ე: მოწამე არიან კაცნი: კლარეთ (sic) შემოსწორეს შომეთს (შოშეთს?) ჩნ თანა საზიაროა ყანა და მოწამე არიან კაცნი: ქუმელანის ვიყიდე სვოჯამისაგან ყანა :ა: და მივეც რკინა და მატელი: დრაჰ მისა :ლ: საა. მოწამე არიან კაცნი: ჰერნელისა თაესა ვიყიდე თაჰტრეჟისაგან ყანა და მივეც ფასად ოცისა დრამისა: და მოწამე არიან კაცნი <sup>24)</sup>.

ხოტვეს ვიყიდე გაბოშისაგან მიწა და მივეც კარი :ა: და ზა აგარა დავდგი. სახლი სენათა (sic) და ქუეშე ორითა ბოსლითა დავდგი ბეღელი სადაგი :ა: <sup>25)</sup> და ზა შეელი. (sic) ხერხული :ა: ხაურკისაგან ვიყიდე მიწა და მივეც ოთხმოცისა დრამისა მოწამე არიან კაცნი: ეფრემ შემოსწორა ყანა :ბ: სოტკელისა სულისათვის. იგი და ნასყიდი ერთგან შეეკრიბე და გლეხი დევისახლე აგარასა შინა და ბეგარსა გარდაიკიდის: ვიყიდე აგარასვე თანა ყანა ოტაბოას მისაგან და მივეც კარი :ა: და ქუაბი :ა: საქუაბე :ა: და კარის ტყავი :ა: და მოწამე არიან კაცნი: კოროფსის შვილისაგან ვიყიდე ყანა აგარასათანა და მივეც კარი :ა: და მოწამე არიან კაცნი: ლატკისაგან ვიყიდე მიწა ხლოანი და მივეც კარი :ბ: ხუარბალი გრივი :გ: და მოწამე არიან კაცნი: და ვიყიდე სამთა ჟუართა იმერთა ყანა ეფრემის მისაგან და მივეც ლაფაზა (sic) სტაერასა <sup>26)</sup> და მელის ტყავი შიგან ამოკერებულნი. მოწამე არიან კაცნი: ვიყიდე მასვე მიწასა თანა ლისმსაგან ყანა და მივეც ზროხა :ბ: და მოწამე არიან კაცნი: ვიყიდე მასვე მიწასა თანა ალმისაგან ყანა და მივეც მას: დრაჰკანი კოსტანტინატი (sic) :ბ: <sup>27)</sup> მოწამე არიან კაცნი: ძირგულს ვიყიდე სე-

<sup>22)</sup> დრაჰკანი უდრისო 1 1/2 მანეთს (Brosset: Introd, p, LCXXXIII).

<sup>23)</sup> „კაბაწი არს სამი კოდი, გინა სამი გრივი; კეთილმე ათს კოდს ერთს კაბაწად იტყვიან“ (საბა). გუჯრადამ სჩანს, რომ ერთი კაბაწი ჰური უდრის 400 გამოძესკარს ჰურს; თითო გორულ ჩარქიანს (გორული. ლიტრა=400 მეტელი) გამოდის რომ კაბაწი ყოფილა 22 1/2 ფუთი (იხ. ჩემი გუჯ. წ. II, 21 და 133; 123).

<sup>24)</sup> აქ მუქმინდლის XVII სსუკ. სელით ჩამატებულია: „აქა სოტკეა“.

<sup>25)</sup> „სადაგი არს ძნელსა და ადვილსა სსუკლო“ (საბა), ე. ი. შუათანა.

<sup>26)</sup> ცხადია, რომ „ლაფაზა“ არის ქურჭი.

<sup>27)</sup> „კოსტანტინატი“ ანუ იმპერატორის კოსტანტინე მონომახის ფული (1042—1054 წ.)

ფესა ყანასა თანა ჭარტლისმისაგან ყანაჲ და მივეც ორი მოცეთი (sic) ზროხაჲ მოწამე არიან კაცნი: მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ გრძიასი ერთისა სათესაჲ: ღ მოწამე არიან კაცნი: მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ ეჭუსისა კაბიწისა სათესაჲ და მოწამე არიან კაცნი: კაჩეთს სქელათეგან ავიღე ყანაჲ ცხენისა საზღავდ და მივეც ხაკაძისა ველიშეულს: ფარმანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაჲ და მივეც ჯაჭვი :ა: და ღრაპკანი კოსტანტინატი :ბ: და მოწამე არიან კაცნი.“

ჩემს გუნაფაძისაგან ვიყიდე ვენაკი და მივეც კარი :ა: ცხოვარი :ა: და საენისი :ა: მოწამე არიან კაცნი და გლეხთა მივეც: მუნვე კევს ზოსქლელისაგან ვიყიდე ვენაკი და მივეც კარი :ა: საენისი :გ: და ქალამანი შოლტი :ა: მოწამე არიან კაცნი და მივეც გლეხსა საბეგროდ: ვიცვალე კევს ვენაკითა ჩემითა მოგებულითა. ადგილი და ფასად ზედა დაუბრთენ უღელნი კარნი და რუგა აყურაჲ<sup>28)</sup> და მას ზედა დავდგი სასაწინებლე კეთიკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწინები ქეთიკირი :ბ: და შეშისა საწინებელი :ა: და შქმერს ვიყიდე შქლოასგან გლეხი :ა: და სასეთონი ყანანი და ფასად მივეც ჯორი :ა: ცხენი :ა: ღრაპკანი კოსტანტინატი :გ: კარი :ბ: ფური :ა: და მოწამე არიან კაცნი: ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან :ა: და მივეც ცხენი ხუადი ორი: სტაერაი კაბაი :ა: ღრაპკანი კოსტანტინატი :გ: და ავშარაი (sic) რკინისაჲ :ა: მუნვე ცხილათს მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწამე არიან კაცნი: წონელამან მოჰკიდა ჩინას სახლი მისი წა ნიკოლაოსს და ერთა წელიწადთა მოსცემს მარილსა ლიტრასა :ლ: სა ფ[?]ეთამან<sup>29)</sup> შემოსწირა [?]ჯითს<sup>30)</sup> ვენაკი :ა: მოწამე არიან კაცნი: [?]ხას<sup>31)</sup> ვიყიდე აჩილისაგან გლეხი :ა: ბობოთს და მივეც ცხენი :ა: კარი :ა: ღრაპკანი კოსტანტინატი :გ: ცკლი: ლიტრა :იდ: და ბოსლაი :ა: და კელის საწერლოდ მივეც ცკლი ლიტრაჲ :თ: და მოწამე არიან კაცნი: შევექმენ საწირეს ქეთიკირი ბოსელი :ა: და ზა სახლი სამამასახლისოჲ :ა: და მარანი მუხისა :ა: და დავჰვალ შიგან ქუჩრი :ი: და დავდგი ზდა ბედელი ხერხული :ბ: სხა სახლი ცილოფისაჲ :ა: და ზა საჯუარე :ა: სხა სახლი სამზარაულოჲ :ა: და შევექმენ ქიშკარი ბოსელქორედიანი :ა: და შევექმენ სხა ბოსელი ქეთიკირი :ა: საწირესვე ღთის-მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაკი და მივეც ფური :ა: აყურაჲ :მ: მუნვე საწირეს ვიყიდე ყანაჲ და მივეც ფური :ა: ჯაჭვ :ა: ჩაბალახი<sup>32)</sup> ვეცხლი ღრა: მა :კ: და მოწამე არიან კაცნი: მუნვე საწირეს ნადარბაზვესა ძულსა (sic) უკანათ მოვიგე მიწაჲ და მივეც გლეხსა საბეგროდ: და მოწამე არიან კაცნი: და შევექმენ მუხურას ქეთიკირი ბოსელი :ა: და ზა სახლი :ა: და ხირხული

<sup>28)</sup> აყურა წერილი ფულას.

<sup>29)</sup> აქ შუა ერთი ასო აკლია.

<sup>30)</sup> —<sup>31)</sup> ამ სიტყუებს თავში ორ-ასობადუნა ალაგი მოგლეჯილი აქვს.

<sup>32)</sup> აქ გადაკერებულად სსკა ფურცელი ტყავისა.

ბელელი :ა: <sup>33)</sup> დადღი კიშკარი ზემო-ქუემო :ბ: ოკრიბას ჯუარისას ვიყიდე  
 ნასრამისას ასულისაგან გლეხი რომელი მიეცა მისდა წირქუაღელის ძესა მამა-  
 მთილსა მისსა ევლწერით უკე და მისთვის მივეც ფასად ცხენი :ა: დრაპკანი  
 დაუკატი :ზ: <sup>34)</sup> და ფური :ბ: და მოწამე არიან კაცნი: და ეკე-მას შქლ შე-  
 მოსწირა წიგნი სუნაქსარი :ა: და მე დამხუდა იადგარი ნახევარ წერილი :ა:  
 და გავასრულე ყრთავე სისრულითა შეგმოსე და მოვცუარე და შევებუდე და  
 მისისა დაწერისა და შეკახზვისათვის მივეც დრაპკანი დუკატი :იე: და ვიყიდე  
 წიგნი პარაკლიტონი :ა: და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი <sup>35)</sup>: ქართველნი  
 ხუტცენი <sup>36)</sup> მოვიყვანენით და დავაკარგენით მათ ზა გავცემია დრაპკანი კოს-  
 ტანტინატი :ნზ: სააღსებოდ: ლეითის ძროქსა სახნერს სასკესა დაესხა და  
 დაკოდნა და მისთუნ საზღავედ ავიღე საკიდს სახლი ჯავთა გაეთი და ზა [კა]-  
 ბალა დადესდევით: რლ ჩემობსა გლეხნი შემოწირულ არიან და რნი მე  
 თვთ მიყიდინან რიცხვთ ოც და ათი ესე რომელ აქა შა დამიწერია ყლი  
 დაუკლებელად წა ნიკოლაოს აქუს და სხა რლი გავითა (sic) მგონები --  
 შემძღებელ ყოფილვარ ყლი ერთგულით მიმსახურებია წლისა ნიკოლაოსის-  
 თვის და პატრონისთვის მიმსახურებია ღთი მხედვარ და წა ნიკოლაოს: — <sup>37)</sup>.

და შდ ჰლ დაწერილისა ამის კდ ვიყიდენ ცხელაფს გლეხნი :ბ: ნიქრ - -  
 ძისაგან და მივეც ფასად დრაპკანი დუკატი ;ლვ: მუნვე ცხილათს ვიყიდე გლე-  
 ხი წა - - ლისაგან :ა: და ფასად მივეც - - - <sup>38)</sup>

გუგრის მეორე პირზე ლამაზის მე-XVI საუკუნის ხელით ხუტვრად მეტად  
 ქქრლად წარწერილია (დად ფრნსილეკში სასმული სიტყუება გადასულია):

ღვთიე გვრგვოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კდ აღაშენა ეკ-  
 ლესია [წმიდ]ისა მღვდელთ-მოდურისა ნკოლოზისა მისდა [სადლე]გრძელიოდ  
 და გასამარჯვებელად [და] საუკუნოდ საცხოვრებელად რამეთუ მრავლნი ძალ-  
 ნი და სასწაულნი იხილნა. - - გნ(?) ძილსა შინა და ცხადად - - კმელთა და  
 წყალთა ძლევიით - - - შეწვენა და წარმატება იგულსმოდგინა თვთ მყრო-  
 ბელმან [მეფემან] ლ უძღველმან კელმწიფემან [შექმნა] მონასტერი ესე ეკლე-  
 სიად და დამადგინა მე განმგედ და ეფისკოპოსად ულიქისი და ცოდვილი  
 მღვდელ-მთავარი მანუელ და განუჩინეს რაქის შესავალი და სასჯულო და  
 საკურთხი ადგილნი - - თვისის სამართლიანის მზღობითა - - საყანე და სანანი-  
 რო და ათის თავზე "... (ამას იქით ვრცლად ჩამოთვლილია უფულებანი და მამულე-  
 ბი, როგორც გელათის დაწესების გუგარში 1519 წ. ის. ეს წიგნი 1519 წლის  
 ქქმ. — მანუელ ბაგრატ III-ის დროს ის. 1534 წლის ქქმე).

<sup>33)</sup> ეს ორი სიტყვა სტრაქონთ ზემოა დაწერილია.

<sup>34)</sup> დუკატი ანუ ფული იმპერატორის კოსტანტინე დუგისა (1059—1064 წ.).

<sup>35)</sup> აქ გადაკერპულია ახალი ტყუის ფურცელი.

<sup>36)</sup> ე. ი. ქართველები.

<sup>37)</sup> ამის ქვევით დაწერილია სხვა მელნით, მაგრამ იმავე ხელით.

<sup>38)</sup> ამას იქით ეტრატე მოხუცულია.

**1078 წ.** გელათის გუჯარებში ჩვენ ვიპოვნეთ ნაწიეკეტი ტყევის გუჯარისა, რომელსაც თავი და ბოლო მოგლეჯილი აქვს. გუჯარი დაწერილია მე-XII საუკუნის ხელით მეტად ლამაზად მიქელ კატარაწის მიერ და დამტკიცებულია მეფის გიორგისგან მიქელსე წელს მისის მეფობისას, ე. ი. 1078 წ. ამავე მიქელ კატარაწის და მეფე გიორგი II-ს მიერ მღვიმეს 1082 წელს მიცემული გუჯარი ჩვენ უკვე დაბეჭდვით ცალკე წიგნში: „მოამღვიმის ძველი საბუთები“ (გვ. 12—14), სადაც განვმარტეთ ჩვენი აზრი, რომ აქ მოხსენებული მეფე გიორგი II-ა და არა გიორგი III ანუ გიორგი ლაშა. ამ სიგლით მეფეს უბოძებია გელათის მონასტრის მეფის სამონაგვლოსთვის სოფელი დერზი. სიგელი გვიტყვიცებს, რომ გიორგი II-ის დროს აფსაზეთის კათალიკოზმა გაუქმებული არ ყოფილა.

- - - - ბელიყო - - - | - - - ვინცა თა ჯერ იყო - - - წინამძღუ-  
 რისაგან და ბანჯას ნასყიდი არს - - - მწირველისა ჩუენისაგან, იგიც ამის  
 სამწირველოისა ჩუენისა-და დაგუიმტკიცებია; ჰქონდეს სოფელი დერჩი სამწირ-  
 ველესა ჩუენსა რაიც მონასტერს - - - და არს მისითა მზღვრითა და მიმდგო-  
 მითა, მითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა, საღუინითა,  
 სათბობითა და ყოვლითა სამართლიანითა მიმდგომითა მისითა, თავისუფლად და  
 შეუვლად, ვითა სხუანი მონასტრისა [სო]ფელნი შეუალნი არიან და არავინ  
 გვიბძანება მშლელი და მქცეველი ბძანებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუბღლე,  
 მაგნებელი და დამაკლებელი მისი. — აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებია და სიგელი  
 ესე ჩუენი ერისთავთ-ერისთავთა, ოთხმისდურთა, ნაცვალთა, ტყის-მცველთ-  
 უბუცესთა და ყოველთა მთ ქუეშეთა, კელის-უფალთა და საქმის მოქმედთა  
 ჩუენთა, დაამტკიცეთ და ნუვინ უშლით ბძანებასა ამის ჩუენსა, ნურცა რას  
 ვინ დააკლებთ თუნიერ შეწევისა და თანადგომისა და თქუენ წმინდანო მე-  
 უფენო: ა: და: ქ: კზნო (ე. ი. აბსაზეთისა: და ქართლისა კათალიკოზნო) და  
 წმინდანო მღვდელთ-მოდღუარნო უჯუარობითა დაამტკიცეთ.—დაიწერა ბძა-  
 ნება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მე :ვ: სა კელი-  
 თა მწიგნობრისა ჩუენისა მიქელ კატარაწის ძისათა.—(სხვა ხელით): ქ. ჩემ  
 გიორგი მეფისაგან მტკიცე არს და უქცეველი ნებითა ლეთისათა.

**1125 წ.** ელისაბედ ხაღლის ასულის თემნარკის ხელ-ნაწერებში ჩვენ ვიპო-  
 ვეთ ქართულთ წმიდათა მამთა ცხოვრება (მარტირაგა), მე-XVIII საუკ. გადაწერი-  
 ლი (იოანე მესხიეის მიერ), რომელშიც გადაწერს შუეტანია წის მეფის  
 დავით აღმაშენებლის ანდერძი, საკვდილის წინ დაწერილი. ეს ანდერძი მ. ს-  
 ბინინის მრავალ-მნიშვნელოვან შრომაში „საქართველოს სამოთხეში“ არის დაბეჭდი-  
 ლი ჰირეულად; მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. სპინინი არ გვიჩვენებს წყაროს, საიდანაც  
 ეს ძეგლითა სხუთი ამოუგოთხაეს. მით უმეტეს გვეუბნება, როდესაც ეს „ანდერძი“  
 ჩვენ ვიპოვეთ ზემონაჩვენებ ხელნაწერში. შედარებდავ ადმონდა, რომ ჩვენი ვარაუ-  
 ტი „ანდერძისა“ საყურადღებოდ განერჩევა ბ. სპინინისას და ამის გამო აქ შეუ-  
 ცდელად შემოგვაქვს.

## ანდერძი წმინდა მიხეილის დავით აღმაშენებლისა,

ჰანკრატონ დავითიანისა, რომელი წარმოუხსნა მოძღუარსა თვისსა არსენის უახსია  
გარდაცულებისა თვისისასა ყოველთათჳს დაჯებულთა თჳსთა.

გიბრძანებს და მოგაკსენებს მეფეთა მეფე დავით, დღეთა შინა სიკუდი-  
ლისა და სოფლით განსლვისა მისისათა ჩემ მიერ უნდოჲსა და უღირსისა  
მლოცუპლისა მათისა ბერისა პირითა, —

თქუნს ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კა-  
თალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

უკუდავი და დიდებისა მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ  
და არამოდეს მოვიკსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლჳსა ჩე-  
მისასა და ვერ უძლვე დატევებად საწუთოსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუ-  
თომან და დამძიმებელი ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განმიყუანა წინაშე  
მსაჯულისა; რამეთუ მრავალნი წყალობანი ჰყუნა ჩემზედა სოფელსა ამას შინა.

რამეთუ მომცა პირუტლიად შული ესე ჩემი დიმიტრი სიბრძნითა სიწმი-  
დითა, ახოვნებითა და სიმკნითა უმჯობესი ჩემსა; —

და ნამდვლ ესე ვითარი ჯერ იყო მეფე მოცემული ღუთისა მიერ მკვდრა-  
თათჳს სოფლისათა მართლ-მორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა:

რამეთუ მზიარულ ჭყაფდის ყრმაჲ ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და  
მენებაცა მოკლა საწუთოსაგან მეფე-ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმერთ-  
მან და მე და ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან უწყით.

გარნა მძლო საწუთომან და წალმართ ქადებულნი ჟამნი მიმტყუნავე და  
მომავო ჩემნი და მამისა ჩემისა ჳირნი, რომელთა მიმიტყევიან ამისგან პირნი  
და თუაღნიცა.

გარნა განბჳო მართლად მსაჯულობამან ღუთისამან და ესერა მიმიწოდა  
მე და უწოდა მაგას მეფობაჲ მამული; და ახლად მოგებულნი ღუაწლითა ჩემი-  
თა და თქუნითა ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოგსეთიღგან სო-  
ერად და არგეაწადმდე:

და მივანდუნს შულნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღუთისათა,  
რათა მამა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემ-  
დგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ  
შულთა ჩემთა საყუარელთა:

ამას ყოველსა თანა წარუძღუანე წმიდა ძელი ცხოვრებისა და მივეც დრო-  
შა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და  
ქუტმონი:

ხოლო დრაჳკანი კოსტანტი ცუატა[ს] და ჩემთა ალალი (ჩემნი ღაღნი?) და თუალ  
მარგარიტნი, ხახულისა ღუთისმშობლისადა შემიწირავს, ხოლო ღუკატი და პო-

ტანიტი (ბოტინატი) ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემისა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა, თუ არა ნახევრისათჳს წინაშე ლუთისა ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთვის.

ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩუმი და საძვალე შველთა ჩემთა უსაჩუქლად და წარმყუა მისთვისცა ტკივლი სამარადისო.

აწ შველმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოველითურთ საუკუნოდ (საღოცხად) ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათჳს; რომელი მიმიცემია, მისგან ნურას მოაკლებს და ადგილნი, რომელნი მიშოვებიან უმკვდრონი და უმამულონი; მათვანიცა ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერათა და სიგელთა განასრულონ ყოველითურთ უნაკლულად.

ზემო დაბეჭდილ „ანდერძში“ საგულისხმეა მეტად ბუნდით გამოთქმული ფრასა: „გარნა მძლო საწუთრომან და წაღმართ ქაღებულნი (ე. ი. იმედი დედის ხნის გამარჯვებთის ცხოვრებისა) მიმტყუნავე და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა ჭირნი, რომელთა მიმოქცევიან ამხატან პირნი და თუღნიცა“. უკანასკნელის ფრასის აზრი ჩვენ ასრე გვესმის: დემეტრან გადამხდეკინა იმ ჭირას სამაგაერო, რომელად მე და მამა ჩემსა (თუ: მე მამა ჩემს?) მიჯაყუნეთო ვასმე (მაგ. ორგულებს სამეფოაისას) და რომლისაგან ზიზღით ვაზრადებ პირსა და თაღთაცაო. რომ მეფის რაღაც სიუბწილის (სიუბრმისა და ცთომილებასა) ცრდაჲ მიუძღრდა, ამას თკითონსვე გვაწუქებს მისს „ანდერძში“ შიომღვიმისადმი მიცემულში (იხ. ჩუმი: „შვი-შჩანიე გრუ. ი. დავიდა Возобновителя 1123 г. Тифлиси, 1895 г. გვ. 12 და 24—25) და ქ. ცხზბც ნათლად გვიჩვენებს ამას და მეფის „სინანულის გაღობებშიც“ (რომლის ძველი ტყავზე ნაწერი პირი ტელათშა დატული) გამომსჭვირვალებს (იხ. „სამოთხე“, გვ. 513—517).

ამავე მარტივებაში იმავე ხელთ შეტანილია:

ა) „თამარ-მეფის საფლავსა ზედა ესრეთ წერილ არს: „როს ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს | რუსნი (თურქნი?) სპარსნი და არაბნი სამზღვარსა იქით ვამესხნეს | თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა შიგან ჩამესხნეს | და აწ ამისსა მოქმედსა კელნი გულზედა დამესხნეს“.

ბ) იამბიკო ესე არს თქმული რუსთველის მიერ, რომელს წერდა აწს ხატისა ხაზულისა დვთაშშობლასას:

ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო, | აზრდ საიდუმლოდ ზენაჲსა ვანგებისად ძისა ლთისა | ქედ მეშე იქმენ არსთა მაცხოვანად | მე თამარ მწენი ტომთაგან დავითისებრთაჲთ | მამკვე, შემამკვე, მადიდე, აღმამალოე. | აწ მეცა კელეკავ შემკობად ხატსა თქუნესა | დედისა ძითურთ და მეცა ძითურთ შვა-რევედ.

გ) „სანცხე-საათაბაგოს მღვდელმთავარნი“ და „ქვედ დ) კათალიკოზთა სსა

მწყსო სამცხე-საათაბაგოს\*. ამ საკითხსავეს თავში აწერია: „ესე ვიხილე ჩვენთა ძველთა მეფეთა მოთხრობათა შორის და გადმოვწერე, ვითარ სახელ ესე აღწერილ იყო“. ეს საკითხსავეს დ. ბაქრაძეს უპოვნია და დაუბეჭდავს (Цурія II Адшарія გვ. 69). უგანასვენელის საკითხის თუთ ასლი (XVI სსსსსს) კიბოკეთ კანტორის გუჟარებში №  $\frac{6}{358}$  და თავისს ჯაგას დაუბეჭდავს. ხოლო ჰირველი საკითხსავე რამდენადმე განიხილა დ. ბაქრაძის კარანტისსაგან და ამის-გამო აქ შემოგუჟეს.

**სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ-მითხარნი.**

**ქ. ჰააწყვერელი** გვრგვან-ბისონიანი არს: ქმისს სამწყსო ყვიბისი<sup>1)</sup> და სადგერი არს, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გადმართი გურიის წასადგომამდი.

შენიშ. 1. აქ დ. ბაქრაძის კარანტი უმატებს: „ორტანეთის შუა რომ წყარო ქსდის, ამას ზევით კეობა და სადგური“ (ყვიბი ის. კასუმტის გეოგრ. გვ. 82).

**ღ. კუმურდომლის** სამწყსო ხერთვისის ზევით სულ ჯაგახეთი ზევთამდინ (ხვეთი ის. კასუმტის გეოგრ. გვ. 100).

**ი. იხანელის** სამწყსო გურჯიბოლას აქეთ სულა (ორთომი, ტარს ქვემოთ, არტანუჯის თავი, საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი; გადმით ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკაცასი(ძ)ო, ისპირი ტრაპიზონის მთას გადმოღმა.

**ბ. ანჯელის** სამწყსო სამწყალს აქეთი ხანტხას<sup>2)</sup> და ოპიზას შუა დახატულა, ამის ქვემოთი ნიგლის-კევი გაღმა და გამოღმართი გონისს სამძლურამდინ.

შენიშ. 2. ხ ა ნ ტ ხ ა, უეჭველა, არის ძველი ხ ა ნ ტ ხ ა (ხანტხას მონასტერი), რომელსაც შატბერდის მონასტრის ნაწილი ანუ განყოფილება იყო. ცხადია, რომ შატბერდის მონასტრის იქვე (ართვინის მარჯვნივ) უნდა იყოს და არა სასომხეთში, უფრატის დელეში.

**ჟ. მთხვარის** სამწყსო დახატულას ზედათი ანკერთს აქეთი, სულა შვეშეთი მიქიხიანთ ბატონის კათალიკოზის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიცი ყოფილა; აჭარა დანდალოს ზევითი მას ჰქონებია და დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

**ჩ. წარსაბელის** სამწყსო ხურსიძის სახლი; სულა ბოჯოთ-კევი ხერთვისის ქვეითი მისთ.

**ც. წაროსთუხელის** სამწყსო ზევითი და იმას ზევით პლაკაციო კოლის სამძლურამდინ, მტკვარს აქეთი: აქ(თ) არტანი.

**კ. მარუშელის** სამწყსო ტალაშოს ზევითი, სულა არტანა კოლის სამძლურამდინ.

**ღ. ვალაშკირელის** სამწყსო ყაზევანს ზევითი, ვალაშკეთის აქთ ზინუ-

სი და დევანბონის აქეთი (ხინუსი ზაბურთის ახლო, დეკაბონი ის. ვასუშტი გვ. 76 და 120).

13. ანელის სამწყსო სულა ზარიშტიანი და შირვონი და ბალახბერეთი.

14. კარლის სამწყსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღერის გარდმოლა გგეჩიანი (გაგჩეკანი?) და კალზევანი.

15. ბანელის სამწყსო სულ ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარიზის-კე-ობა (ჭაგზის?), სულა ოლთისი და ნამურაკანი.

(იგ?) დადაუნელის სამწყსო სულა კოლა და ხორტევიანი ყარასალზელ მიღმამდინ.

ამა ეპისკოპოსთან მწყემსი და უშირატიანი სპაქართეკელს კათალიკოსი ამის კელათ ფოფილან.

### 1103 წ. ძებლის-წერა რუის-ურბნისის კრებისა.

ეს ძვირფასი საბუთი ჩვენის ისტორიისა ჩვენ ვიპოვნეთ საეკლესიო მუზეუმის ნუსხა ხუცრუად სქელს ქაღალდზე დაწერილს დიდს წიგნში № 76, in folio, გვ. 618. პოლეოგრაფიული ხასიათი წერისა უეტკელ ჭუოფს, რომ ხელნაწერი ეკუთნის XII ანუ XIII საუკუნეს. ამასვე გვიტყვიან ამ ხელნაწერად გამოდებული ზირი რუისის ხელნაწერისა, რომელსაც არშეიბე აჭხ მხედრული წარწერები მე-XIII—XIV საუკუნეთა ხასიათისა.

მოხსენებული ხელნაწერი შეიცავს სრულს საეკლესიო კანონებს, მსოფლიოთა და ადგილობრივთა კრებათაგან დადგენილებს, რომელიც რუსულს მწერლობაში წოდებულია „Кормчая книга“-დ. ცნობილს არქიმანდრიტს ტაძასის (მესხიშვილს) შუადრებას ეს წიგნი ზემოხსენებულს „კორმჩისთან“ და მე-617 გვერდზე წარწერია შედგეი: „ქ. წელსა 1831. რაც ყოველთა კრებათაგან კანონები დასხმულია ყოველივე თითოეულად შეემოწმა თავის წინასიტყვაებით რუსულს კორმჩის წიგნს, მხოლოდ ესენი, რაც აქ სწერია, თვინიერ ქართველთ (რუის-ურბნის) კრებისა, გინადგან ესე საკუთრად საქართველოსია და არა მსოფლიოა. მ. შ. ტარასი. იოხეთ წწო მიამნო“.

წიგნი დაზიანებულია და მე-XVI საუკუნის ხელით განახლებულია; თავში ახლად გადაწერიათ გვ. 1—6 და ბოლოში იმავე ხელით გვ. 496—617. შეგ-და-შეგ, სხადც ტექსტი დაზიანებულია სიძველით, ახალი ქაღალდი დაუწებებიათ და ზედ განახლებული ტექსტი დაუწერიათ.—სხვა მერმინდელ წარწერათაგან სხანს, რომ ეს წიგნი სეპტიცენტოკედის ეოფილა, ვანხაქეთა რაინს და მისს შვილს ბოქაულთ უხუცესს იორამს სტამბოლში ოსმალოთაგან დაუხსნიათ მას ჟამსა, „როდეს მეფე ბატონი სოიომონ ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთქართანა. ელიად წაველით და ეს წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ და დავინხენით და ვიციდეთ ოთხმოც ელურად. მოვიტანეთ და შევსწირეთ სვეტსა ცხოველსა“. სეამონ მეფე დატ-

შეკვდა 1599 წ. (იხ. მსგერული წარწ. ტე. 618). სსკა მინაჟღანბისაგან (ტე. 570; 617) სჩანს ჰეტრე მცხეთის კანდლაკი 1719 წ. და ჩნისსტის კანდლაკი დაჯით, რომელსაც ეს წიგნი სხარსთაგან დაუსხნია მამინ, როდესაც შახ-თამაზის თფილისი აუღია (1735 წ.). მე-492 გვ. არშიაზე აბოკება წარწერა იოსებ თფილელის (ჩვენის საბუთებით თბილელი იოსებ სააკაძე „დიდ-მოურავიანის აქტიონი“ დაჯდა 1660 წელს შემდგომი კლისე საგინაშვილის სიკვდილის და ცოცხალი იყო 1681 წ.).

სადაც ტექსტი მოხსენიებულია ხელნაწერის (გვ. 474 — 495) დაზიანებულად, ის ჩვენ აღუადგინეთ გელათის კარიანტით ღ დიდს ფრჩხილუბში ჩავსკით. მართლ-წერა ღ სასკენი ნიშნები დედნისა დაუტოვეთ, რადგან სასკენი ნიშნების ხმარებაში დედანი და რუისის ხელნაწერიც წარმოგადგენენ დიდად საყურადღებო კარიანტებს: მამაში დაცულია XI საუკუნის მწერალთა იოანე ფარაჯუნელის და ეფრემ მცირის მიერ შემოღებული სასკენი ნიშნები ასე წერტილთა გავრცელება საკითხავთაჲ“ (იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, 218), მაგრამ წერტილების გარდა ხშირად უხმარნიათ აგრეთვე მამამე (,) და წერტილ-მამამე (;), რომლის ხმარება არა-იშვათად აბოკება მე-XIII საუკუნის ხელნაწერებში (მაგ. ბანისის გრაგინი სიგელში, რომელიც ქვემო დიხუჭდება\*)). შესანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ხელნაწერში დარჩენილა ხმარება ისრულია ნიშნებისა და სსკა-და-სსკა მეტად იშვითად ხმარებული ნიშნები ხმის სპეცკეად, სიტყვათა შესაკავშირებლად, განკვირვებისა და კითხვის კილოს მისაცემად და სს. სამწუხაროდ ეს უკანასკნელი ნიშნები ჩვენ კერ დაჯიციეთ, რადგან მათი გამოხატულება სტამბაში არ მოაბოკება.

როდესაც ჩვენი კარიანტები ბ. საბინინის გამოცემის შეკვდატო (სამოთხე“ ტე. 518 — 530), აღმოჩნდა აჭა-იქ სიტყვათა მეტ-ნაკლებობა, რაცა უსათუოდ უნდა მომხდარ იყო, რადგან ბ. საბინინს (ამ დიად თვალ-სწინაო მოტრფილეს ჩვენის საკვლეისო მწერლობისას, მეტორეთაგან ტანჯულ-წამებულს) სსკა კარიანტი არ ჭკონია. დიდად საყურადღებოა და სახუტეშო ის, რომ ბ. საბინინს მანც ტექსტი არ დაუხმინჯებია და გულდადებით გამოუტია. ერთის კარიანტით და უდგენოდ უბოთასად გამოცემა თითქმის შეუძლებელი იყო ჰეტრებურგის სტამბაში. ხოლო რაც შეეხება „სამოთხეში“ ჩართულს ქართველ წმიდანების სურათებს, ეს ისრეთის ცოდნა-ხელაგების, აღმტებულის სიყვარულისა და დაუღალავის მეშვობის ნაყოფია, რომ მარტო ეს (სსკაც რომ არა იყოს-რა) სკამაა ბ. საბინინის სახელად და ჭკმ. მარტიოთა ქართველთა სიჭადუღად. მთელმა გუნდმა იმ ვითომ-და პატრიოტთა მეტორეთა, რომელთაც ცილისწამების ახრალით ბოლო მოუღეს მისს მიღუკარებას, კერ შეკვიქმნა ახრდილიცა ესრეთის შრომისა.

\*) მისის ყოვლად უსამღველოკობის ეპისკოპოზის აღუქმანდრეს სურვილით ბანისის სიგელს ჩვენ ჩაყურთავთ წიგნში: „შომიღვიძის მონასტრის ძველი საბუთები“.

ამგლის წმინდა წმიდისა და ღმირი შიქრამულისა ქრისისაჲ. რომელი შიქრამულობა ბრძანებითა ქეთილად მსახურისა და ღმირი დაცვულისა მფრისა ჩუმიცა. დავით (ღმ) აფხაზთა და ქართვალთა (sic) რანთა და ქახთა მფრისასა. პირთათჳს რომელი ქუმო მოსამეზულ არიან: <sup>1)</sup>

ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა სოფლისა. და ყოველთავე საცნაუტთა და გრძობადთა ბუნებათა. არა არსისაგან არსებად მომყვანებელმან ღმერთმან. უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათ ძალთა ბუნებაჲ, უკუდავებითა და უხრწნელებითა შეამყო: ხოლო ქუტნაჲსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი, ქმნისა და ხრწნილების შორის განაწესნა: ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რამე და უცხოჲ დაბადებული. რომელსა თვთ მის თავადისაცა დაბადებელისა. და სიტყვებისა ჳ პირუტყვსა ჳ ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა, ზიარებაჲ თავსა შორის თვსსა მოაქუნდეს. ჳ მის მიერ ვითარცა საზოგადოჲსა საკრეველისა მიერ, შეერთებულად ღმირსა შემოკრებულად ყოველნი დაბადებულნი: ჳ თანად ზუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიქსნებოდნ: რომელი ვითარცა მეორე რამეჲ სოფელი მცირე დიდსა შინა. ანუ დიდი მცირესა შინა. დაადგინა ქუტყანასა ზედა. ღმირე შუტნიერი იგი და დიდებული სამოთსჲ დასსა აღმოსავალსა ედემისსა: გარნა ვინაჲთგან მან, ნივთად თჳ მფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინა უკუმოდ საღოთჲსა ნებისა იკუმია. და შურითა ეშმაკისათა და განმცდებლობითა დედაკაცისაჲთა ცთომილი. ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმირსა, სიბორცისათჳს ექსორიბ იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი. ბერეულთა ვნებათა და ძკრთა მიერ უფლებულ იქმნა: რამეთუ პირველად სისხლთა მიერ ძმისთა მენწამულ მყოფელმა კელთამან კაღნ, კულად მეორისა ღმირსა მიერისა წყევისა თანამდებ ყო ქუტყანაჲ: მერმე სიბორცემან გმირთჳმან, შეწანებაჲ არწმუნა დაბადებელსა. უცხოჲსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ, საკვირველებით დაბადებისაჲ: ჳ წყლითა რღუნისაჲთა აღკოცაჲ ყოვლისა აღმდგომისაჲ პირისაგან მიწისა: ამისსა შემდგომად სილაღითმან კელყოფამან გოდლის მამენებელთამან, შერეენითა ენათაჲთა ჳ მიმოდაყოფითა ნათესავეთაჲთ. მეოთხედ დასაჯა ნათესავი კაცთაჲ: ხოლო გამოჩინებამან კერპთა-სიბორცისამან. ჳ ნაცვალად დაბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან, სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმირსაგან: მერმე ღალადებამან სოდომელთა სიბილწით სღვისამან წუნწუნბასა თანა აღრეულთა ცეცხლითა, მოწუვად დაძულა სოფლები ხუთ ქალაქისაჲ: კულად გულფიცხელობასა ფაროჲსსა, და უსახურებასა მეგვტეტელთასა: უცხოთა მძღავრებათათჳს. უცხოჲ მიეგო მისაგებელი. და გუჲმთა მათთა. უცხოჲ დაბ-

<sup>1)</sup> ქოსთათჳრა წითჳრად არის დაწერილი. რუს-უბნისს შუჲ გრება იყო 1103 წ. (ქცხბა, I, გვ. 242: Brosset: Hist. de la Gé. 355—365. ჩემი უქრინა-კეპი“ გვ. 238).

მარხველი საფლავები: ამისა შემდგომად დიდი მოსე. შჯული. მღღელობაჲ. მსხუპრპლნი. [სალ]ხინგებლნი თითო სახენი: მსაჯულნი. მფეობა. წინასწარმეტყულებობა. ყოფადთა წინასწარი ცნობაჲ. სახის შეცვალეზითნი ლთის გამოცხადებანი: მერმეცა კულად კერპთმსახურებაჲ. თვთ მის მოსეს მიერ ეგვპტი გამოყვანებულისა და სჯულ დებულისა, და ესოდენტა პატივითა ღირს ქმნულისა, ჰ პირმზოდ ძედ აღსარებულისა ერისაჲ: ამისა შემდგომად კულად მძღაერებაჲ. კულად ტყუპობაჲ. მრავალგზის მრავალთა ნათესავთა. ჰ უკუანაჲ-კნელ ბაბილოვენელთა მიერი: რომელთა მეფისა ღთის წინა აღმდგომსა მოგონებასა. საქმით აზხალეს სამთა მათ ქაბუკთა ისრაიტელთა: რაჲჲს საკრველითა რკინისათა განმღვევლმან საკუმოლმან, შეუხებელად დაიცვნა მათნი ადვილად განსალევენელნი თმანი და შესამოსელნი: მერმეცა კულად ქალაქი და ტაძარი, კულად სჯული და მღღელობაჲ. და რაოდენნი რაჲ იყენეს სჯულისანი. და საკრველიისა მის სჯულიერისა მსახურებისანი: გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველ თქუმულთა ამათგანი შემძღებელ იქმნა კურნებად ბუნებისა: გინა თუ მტანჯველობითა და საშინელებათა. ანუ ქველის მოქმედებითთა სიტკობებთაგანი: რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყენეს, ბუნებითა ვიტყვ და დაწერილსა. და უძლიერესი, საკმარ იყო წამალი, საღმობათათვს უბოროტესთა:.

ამისთვს თვთ გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი. და თანა არსი ღთისა მამისა სიტყუაჲ. რომელი დასაბამად იყო. და ღთისა თანა იყო, და მარადის იყო: მოვიდა ხატისა თვისისა. ჰ უხრწნელთა მათგან ჰ ყოვლად უბიწოთა სისხლთა, ჰეშმარიტებით ჰ საკუთრად ღთის-შმობელისა მარადის ქალწულისათა. კორცნი შეიმოსნა კორცთათვს. ჰ სულსა გონიერსა ჰ სიტყვტრსა შეეზავა სულისთვს ჩემისა (ჩუტნისაჲ?), მსგავსითა მსგავსა განწმედად. რამეთუ მიუღებელი უკურნებელცა არს. ჰ თვისსა ქმნულისა წილ: თვთ მიითუალა ბრძოლაჲ: ჰ ესრეთ ყოველივე კორცთა მიერი განგებულებაჲ. ჯუარისა თანა ვნებათა. საფლავსა და ღთიე შუტნიერსა აღდგომასა სრულ ყო რაჲ ქუტყანასა ზედა დიდებით აღმავალმან ზეცად. წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თვნნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა: რათა ღთის მეცნიერებისა ნათლითა, ყოვლით კერძო სოფლისაჲთ განკადრან ბნელი უღთობებისაჲ: და სახელისა მიმართ წშიდისა სამებისა ნათლის ცემითა ასწონ, თაყუანისცემჲ თანარსისა ერთლთაებისაჲ. და დამარხვითა საცხორებელთა მცნებათაჲთა, კულად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებისთა დიდებასა:.

ესენი ვითარცა შარავანდდენი მზისა მის სიმართლისანი. განეფინნეს რაჲ კიდეთა ქუტყანისათა. ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღმთოებისაჲ, მახვლითა სულასაჲთა მოჭრეს. და ცეცხლითა სარწმუნოებისაჲთა მოწუტს: ჰ ერქუნითა ჯუარისაჲთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი: და დასთესეს მათ შორის თესლი, კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაჲ: ჰ მხოლოჲსა და ჰეშმარტისა ღთისა მსახურებითი თაყუანისცემჲ: მრავალთა და სიტკრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ, ღთიე შუტნიერებით ასწავეს: და სა-

კერპოთა მათ წილ ტაძართა და ბომონთა, სიმრავლენი ეკლესიათა და საკუ-  
რთხვევლთანი აღუმართნეს ღმერთსა ყოვლით კერძო ქუტყანისაჲთ: და სიძუ-  
ლილი სოფლისაჲ, და მტერობაჲ კორცთაჲ რწმუნებით ასწავეს. მათ, რომელ-  
თა იგი ღთად შეერაცხა სოფელი. და კორციელთა გემოთა მძლავრებისა და  
მონად მიეცნეს თაენი: და განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქე-  
რისა ვიეთისაჲმე. სიმარტიევითა ღთივ სწავლულისა მათდა სიბრძნისაჲთა. რომ-  
ლისათჳს იგი პავლეს ჰბასრობდეს ათინელნი. ყოვლად სიბრძნით მხილებულ  
ყვეს. და არცა ერთისა სიტყუსა ღირსად გამოაჩინეს. მათნი იგი ზღაპართ  
მწერლობითნი კელოვნებანი: და ღიდისა კლიმინტოსის მიერ დასხნეს კანონ-  
ნი საეკლესიონი რიცხვთ ოთხმეოცდა ხუთნი: . .

რომელთაგანი ერთი, პირველ წოდებული ანდრია. ძმად თავისა მოცი-  
ქულთაჲსა პეტრესი ვიდრე ჩუწნდამდევცა მოიწია. და ჭადაგა საცხოვრებელი  
ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუტყანასა საქართველოჲსასა: და ურიცხვნი  
სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ გშმაკეულებისა: და  
ერთისა ღთისა, და ქრისტეს მისისა, თანაარსით მათით სულითურთ. რწმუნე-  
ბით თაყუნისცემაჲ ასწავა: დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისაჲმან. სიმ-  
რავლესა შინა ეამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ. და საცთურისა-  
ვე მიმართ კერპოთაჲსა მიაქცია: . ამითისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოცეცნენს. ყო-  
ვლით კერძო ყოვლისა სოფლისაჲთ. სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა  
ქრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა მოწამეთანი: ვინაჲთგან სამასნი მცირედ-  
თა სხუთა თანა, ვიდრე მეფედ ქადაგებადმედ ღიდისა კოსტანტინესსა, შორის  
გარდაყდეს წელიწადნი: რომელი იგი პირველად ქრისტეანე იქმნა მეფეთა შო-  
რის. და თვთ მოციქულ და ჭადაგ საცხოვრებელისა ქადაგებისა. და ნათელსა  
თავისუფლებისასა მიმეწენელ, ქრისტეანეთა ღთივ შუტნიერისა მოქალაქობისა: .

ამისთავე უკუტ ეამთა სრულიად მომხედნა ჩუწნცა აღმოსავალმან მალ-  
ლით. და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუტ ქმნულისა. რომელსა იგი ნუნად  
კაპალდეკიელად. აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნი სეკლესიოთა მო-  
თხრობათანი: <sup>2)</sup> სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი საესებაჲ,  
ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ საკვირველთ მოქმედებითა, ნიშებ შემო-  
სილთა სასწაულთაჲთა: რაჲმს იგი ქართველთა მეფემან მირიან. მეფეთა შო-  
რის ღიდისა კოსტანტინესსა მივლინებითა და მისგან გამოთხოთა მეფობისა თვ-  
სისა. ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ეესტათი ღიდი საყდრის მპყრობელი  
ანტიოქელთა ეკლესიისაჲ: და წმიდათა მიერ კელთა მისთა ნათელ ილო მან  
ღ ყოველმან ერმან ქართლისაჲმან. და თვთ პატრიარქთა შორის სახელ განთქე-

<sup>2)</sup> ფრასა „აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნი“ ცხად ჭყოფის, რომ ანდ-  
რეას ქადაგებაჲ და ნინოს დავლზე ცნობება ამოკრებილთა ქართულ წყაროთაჲს,  
როგორც სწახს, ეფრემ-მცირის წერილიდამ, რომელიც აქ გულისხმებულია (იხ. სე-  
მი „ქრონიკები“ I, გვ. 33—38).

მულმან ევსტათი. კელითა თქსითა შთადგა საფუძველი. მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ: რომელიცა ფრიადისა თანა გულს მოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ, განწმენდაჲ იგი: და კელთ დასხმულ ყო მას შინა მათ. თვს, ეპისკოპოსი კათოლიკოსი:.

ამან საუკუნოდ კსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი ღმრთობითა წმიდაჲ კრებაჲ. ნიკეას [სამას ათრავამეტა წმიდათა მამათაჲ. რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვით] ოცნი: რომლისა პირველად ქმნილ იყენეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი: პირველი ანკვირის, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდა ოთხნი: მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოფხმეტაჲ. ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოჲსა კრებისა, სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი. ვითარ იგი ღანგრისაჲ. რომლისა კანონნი არიან ოც: და კულად ანტიოქიისაჲ დამსხმელი კანონთა ოცდა ხუთთა: ამათთანა ლაუდიკიისაჲ ფრიგვიისაჲ: და კანონნი მისნი ოცდა ერთნი:.

ამათსა შემდგომად მეორე წმიდაჲ და მსოფლიოჲ კრებაჲ კოსტანტინოპოლისა ასერგასისთა წმიდათა მამათაჲ. რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შვდ: მერმე მესამე ეფესოსაჲ წმიდაჲ ღმრთობითა კრებაჲ. მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებულნი. რომელმან დასხნა კანონნი რვაანი:.

მეოთხე ხალკიდონს. ექუსას ოცდა ათთა წმიდათა მამათა მსოფლიოჲ კრებაჲ [კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებულნი. და განმარტებულნი კანონთა რიცხვთ] ოცდა რვათაჲ: მერმე ადგილობითი კრებაჲ კართაგენისაჲ. და კანონნი მისნი ას ოცდა ათრავამეტნი: ხოლო მეხუთემან წმიდამან მსოფლიომან კოსტანტინოპოლისა შემოკრებულმან [წმიდამან] კრებამან, მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწმენებისათჲს:.

არამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანესზე კეთილად მსახურისა მეფისა. გუმბადასა შინა სამეფოჲსა პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი. რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვთ ას და ორნი: კულად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრავამეტნი: ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი, მასვე სამეფოჲსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა, შეკრებულნი კრებანი. რომელთა განუწმენიან კანონნი რიცხვთ ათ შვდ-მეტნი:.

ხოლო წმიდასა და მეშვდესა. წმიდათა ხატათვს შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწმენიან კანონნი, რიცხვთ სამნი ოდენ: ამთ წმინდათა კრებათა მიერ განწმენებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწმენებულნი, და თანა აღრიცხულნი კანონნი:.

ღვთაშობისა აღექსანდრიელთა მთავარ ეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი:.

პეტრე აღექსანდრიელთა მღვდელთ-მთავრისა და მოწამისა კანონნი, ათ ხუთმეტნი: გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკრველთმოქმედისა ეპისტოლე კანონი ანი: (ქ. ი. კრთი).

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმოცდა ხუთნი: მისივე ეპისტოლე კანონი ანი დიოდორეს მიმართ:.

მისივე ეპისტოლე კანონი ანი გრიგოლის მიმართ ხუცისა:.

მისივე ეპისტოლე კანონი ანი ხორ ეპისკოპოსთა მიმართ:.

მისივე ეპისტოლე კანონი ანი მის ქუცშეთა ეპისკოპოსთა მიმართ:.

მისივე ამფლოქეს მიმართ სულისა წმიდისათჳს მიწერილთა მათ თავთაგან: გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი: . ტიმოთე აღექსანდრიელისა კანონნი ათხუთ მეტნი: ფილოთეოს აღექსანდრიელისაჲ, ღთის გამოცხადებისათჳს თქუმულისაგან: .

მისივე სხუანი კანონნი ათნი: .

მისივე ეპისტოლე ავეიონის მიმართ ეპისკოპოსისა: .

მისივე ეპისტოლე აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა: .

მისივე ეპისტოლე მინაჲს მიმართ ეპისკოპოსისა: .

კვირივე აღექსანდრელთა მთავარ ეპისკოპოსისა კანონნი შუდნი: .

გენანდი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა. და მისთანა წმიდისა კრებისა. ეპისტოლე მიტროპოლიტთ. მიმართ გარემოთა სამთავროთაჲსა: . ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი. დაბეჭდულნი და დამარხულნი. თვნიერ ყოვლისა შემეტებისა და მოკლებისა, და ამთი მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და მტკიცედ ჰყრობაჲ უკმს. ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა: მღდელთ მთავართა ჳ მღვდელთა ჳ დიაკონთა: და ჩუცნ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა: . და ერთბამად ყოველსა საესებასა მართლ-მადიდებულთა ეკლესიისასა: . ხოლო ჩუცნ ესე ამისთჳს მოვიკსენით, რათა პირველიდგან პირი სიტყუსა ჩუცნისაჲ განვჳმარტოთ. .

ვინაჲთგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებათ თჳსსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყუადეთ: რათა მის მიერ ვითა საზოგადოჲსა საკრელებისა მიერ ხილულთა და უხილავთაჲსა თაჳსა თჳსსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი. სათნოებით რაჲ საკუთარ ეჳმნას იგი შემოჳქმედსა თჳსსა: . ხოლო იგი ეგე ვითარისა მის მადლთა სიმდიდრისაგან განშიშულდა ცთომისა მიერ. და განდგომილთა და რისხეულთა მონათა მონება მოატყუა თაჳსა. არამედ არა სახიერმანცა დაბადებულმან მისმან: რამეთუ ვითარმცა თაჳს-იდვა უგულბემელს ყოფაჲ. ესოდენისა კელთა მისთა საქმისაჲ, რომელ არს კაცი: . არამედ უხრწნელსა შინა საშოჲსა ყოველად წმიდისა ღთის-მშობელისა და მარადის ქალწულისასა. არლარა პირველისაგერ იჳსსა მადლით, არამედ გუჲმოვნებით შეაერთა იგი თაჳსა თჳსსა. და ზესთა ბუნებისა განალთო მის მიერ მღდებული იგი და მისთანა ერთ გუჲმჳქმნილი კაცი: . და რომელი იგი იყო პირმშოჲ ყოვლისა აგებულისაჲ, თაჳს იდვა პირმშო მრავალთა მძათა შორის ყოფაჲ: რათა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლითა მძად მისსა აღსაარებულნი, რომელი იგი ყრმათაცა ეზიარა კორციითა და სისხლითა და გუჲმად ერთისა მის ყოველთა თ[ავის]ა გამოჩინებულნი, მუნ აღმოყვან-

ნეს კულად განკორციელებითა თვისითა, სადა იგი თვთ არს თავი სასოებისა ჩუპნისაჲ: და თანა მოქალაქე მყენეს წმიდათა, და სახლეულ ღთისა. და სამკვდრებელად მისსა გამომაჩინნეს სულითა: რაჟამს თავისა მიმართ შემოკრებეს თითოეულენაი ასოთა განყოფილებისა და თბისა მიმართ გარდაიენითოს ვითარებაჲ ყოვლისა აღსუარულისაჲ:

ვინაჲცა ამისთვის მოგუტცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული: ამისთვის იქმნა განკაცებაჲ ღთისაჲ: ამისთვის ქალწულისაგან. შობაჲ ზაგაჲ. წარგრაგნაჲ. ანგელოზნი მადიდებელნი. ვარსკულავისა სრბაჲ. მოგუთა ძღუნის მომართუმელობაჲ. წინა დაკუტთაჲ. ნათლისღებაჲ: ზეცით წამებაჲ. განცდაჲ. ქოლვაჲ ჩუტნთს. ღნებანი უვნებელისანი: განცემაჲ. შემსჭეველაჲ, დაფლვაჲ. აღდგომაჲ. აღსლვაჲ ზეცად: ამისთვის ქადაგებანი მოციქულთანი: სისხლნი მოწამეთანი. სწავლანი მოძღუართანი: ოფლნი ღირსთა მამათანი: გულს მოღვინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი: წადიერებანი ღთისმოყუარეთა მთავართანი: კანდიერებანი ღთის-სახისა მღღელთ-მთავარობისა რწმუნებულთანი, წინამძღოლისა თვისისა თანა სიმკნით თანა მბრძოლებანი მღღელთა და სამღღელთათანი: ცოდვისა მიმართ სიმკნით წინა განწყობანი, ნივითაგან განშიშულებულისა მონაზონთა დასისანი. და მათთანა ერთკმობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი:.

ამისთვის იქმნნეს ქრისტეს მოყუარეთა და ღთივ დაცველთა მეფეთა მიერ ჟამად ჟამადნი კრებანი. ღთის მოყუარეთა ებისკოპოსთა და ღთისა სათნო ყოფილთა მამათანი: რათა საქმეთა მიერ განსრულდებულთა სარწმუნოებითა. შეაერთნეს ღმერთისა ქრისტეანენი: რომელთასა კეთილად ებაძეა შურსა ჩუტნცა ესე გვრგვინისანი: მჩრობლ მარჯულნი და შეყუარებულნი. გვრგვინი [თავისაჲ] და სასურველი ძე დავით: [რომელი ესე ერთბამად მქნეცა არს, და ბრძენ: მართალად, და წმიდა, იგივე მყულროცა, და მშვლ. სახიერ, და ტკიბლ: მოწყალე და ძვრუქსენებელ და მისგავსებულ სახიერებასა ღთისასა. რომელი აღმოუბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა. და ზრდის ყოველთა წვმითა სწორებით: ესე ვინაჲთგან გარეშეთა ბრძოლათა შინა, წინა დაუღდრომელობით უბრძოლველ და გარეშისა სახისა ქმნულებითა: სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო: რამეთუ კეთილ ღიდ არს ვითარცა გმირი. შუტნიერ არს ვითარცა სიძე: ბრწყინვალე არს ვითარცა ცისკარი. ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითარცა აღმოსავალი. ყუაფილოვან წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე ღთისა: არა თავს იღვა რათა არა უმეტეს მოლუაწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთა ცა სიკეთეთა სულისათა: ვინაჲთგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულდებლობასა თანა ღთისასა, თანა დაუსრულდებელ არიან:.

ამისთვის შემოკრბა კრებაჲ ღთის მოყუარეთა ებისკოპოსთა. პატოსანთა მღღელთა და ღირსთა დიაკონთაჲ: ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუღაბნოეთაჲ: სანაჩებთა ქართლისათა. მახლობელად ორთა სეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა<sup>3)</sup>). გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველ-

<sup>3)</sup> სსანს, რომ შემოკრებულთა სიმრავლისა გამო კრება გაუმართავთ მინდორ-სე, რუს-უბნისს მუა.

თა სარწმუნოებისასა ბიწრ რაამე შეჭებოდა, ნუ იყოფინ ესე. არა გეცრუენთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუპნო კათოლიკე ეკლესიაო. არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუპნო მართლმადიდებლობაო. რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ. ვინაჲთაჲნ შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ; მოწამე არს ქეშმარტებაჲ: არამელ სხუათა საეკლესიოთა და სამღვდლოთა, და საქრისტიანოთა ძიებათათჳს; რომელთა თაჲ და წინამძღუარ და პირ წმიდისა მის კრებისა იყო. ლუთისა მიმართისა საკუთრებისა თანა, სიმშვიდითცა სულისაჲთა მიმსგავსებული მოსესი. და მსგავსად ღიდისა სამოელისსა წინა მლოცველი ერისაჲ, ღმცხებელი მადლით სრულ ყოფადთაჲ; იოვანე ყოვლად ღირსი მთავარ ეპისკოპოსი. კათოლიკოსი. და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამათ მთავარი \*). და მისთანა სიმრავლე პირველ კსენებულთა მთ სავსებისაჲ:

II. \*) ზ პირველად ეპისკოპოსნი [ვინმე ვერ]ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა. და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსო მთავრისანი განვკუტებით და უცხო ვყვენით მღვდლობისაგან: ვინაჲდგან არა წმიდისა შეხებაჲ სიწმიდეთაჲ არა უცთომელობა არს: და მახლობელი ღთისაჲ, მახლობელ ცეცხლისა არს. და უკმს, რათა ყოვლითურთ ოქრო იყოს: ხოლო არა კრულ ვყვენით და არცა შევიჩუპნენით, ნუ იყოფინ. არამელ ლიტონთა ერის კაცთა თანა ზიარებად ფლობილ ვყვენით \*). უკეთუ ოდენ ამიერითგან მმარხველ იყენენ სიწმიდისა: და ნაცვლად მათდა სხუანი დავდგინენით რომლისა ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებაჲ და კეთილად განეწუართენს კორცნი დამორჩილებად სულისა:.

III. ამასთანა სულ მოკლებადცა კელთ დასხმადთაჲ. ვითარცა უწესოჲ და უკანონოჲ დევჰკენით. და განვაწესეთ რათა ამიერითგან არღარა ვინ იკადროს ქმნად. თვნიერ ვითარ იგი განაწესებს კანონი: რათა ეპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისაჲ. მღვდელი ოცდაათისა წლისაჲ: დიაკონი ოცდახუთისა წლისა და წიგნის მკითხველი რვისა წლისაჲ კელთ დასხმულ იქნებოდინ: ამასთანა სხუიცა უწესოი წესი კელთ დასხმათაჲ დაქსნად განვაჩინეთ: ვითარცა მასვე და ერთსა ღღესა კელნი დაესხნეს ვისმე. წიგნის მკითხველად. კერძო დიაკონად, დიაკონად და მღვდლად. ანუ თუ ეპისკოპოზადცა: რომელი ესე უკეთუ იქმნასლა სადა ამიერითგან, კელთ დამსხმელი და კელთ დასხმული ერთბამად განიკუტენენ მღვდლობისაგან: რამეთუ პირველად წიგნის მკითხველად, და კერძო დიაკონად ოდენ ჯერ არს კელთ დასხმაჲ. და ორისავე ამის ერთსა ღღესა შესაძლებელ არს ქმნაჲ: და მერმე დიაკონად. და ვითარცა და-

\*) ეს იოანე კათალიკოზი ცოცხლად მოხსენებულაჲ 1123 წელს დაწერილს დავით აღმაშენებელის „ანდერძი“ (იხ. ჩუენი რუსულ-ქართული გამოცემა, გვ. 11).

\*) კანონების თაჳს მუხლები (I, II, III და სხვ.) ჩუენ დაესხით.

\*) ეს ამოწმებს ჭე-ხნის თქმულებასაც (I, გვ. 242). ამ კრებაში განუკუთითათ მოადისტოს, მმ. ძაგანისი (იხ. იგივე „ანდერძი“ დავით აღმაშენებელის).

ყენეს დღენი დიაკონობასა შინა. და ჰმსახუროს მღვდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმელა მოიყვანონ მღვდლობად: ხოლო უკეთუ ეპისკოპოსობად მომავალი იყოს. შემდგომად შვდთა დღეთა [ჟამის წირვისა]. მერმელა მოიყვანონ მღვდელ წირვისა მოიყვანონ (sic) კელთ დასხმად ეპისკოპოსობასა: და ამას ვიტყვით მათთვის, რომელთა საჭიროა რამე მიზეზი ასწრაფობდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი რამ აქუნდეს სათანადოა მიზეზი მასწრაფობელად; მათ წელიწადი და წელიწადნი დაყენენ თვითოეულსა ხარისხსა შინა. და უფროსლა დიაკონობისასა. ვინაჲდგან თვნიერ დიაკონთა სიმრავლისა, ვერაჲ მიიღებს შუქნიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი: ამისთვის ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა. რათა უფროასლა დიაკონთა განმრავლებისათვის მოღუაწე იყენენ ეკლესიათა შინა მათთა: ხოლო მონაზონთა რომელნი მღვდლობად [მოვიდოდენ] და ეპისკოპოსობად მომავალ იყენენ. პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა. და ვგრეთლა მღვდლობად მოსლვასა:

II. ხოლო წესი კელთ დასხმადთა სრულებისაჲ ვგრეთ აღესრულებოდედ. ვითარცა ახალთა შინა კურთხევითა ნეტარებით მოკსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს: ვგრეთვე კურთხევაჲ ეკლესიისაჲ. და დაბყარებაჲ საკურთხეველისაჲ. და წმიდა ყოფაჲ ღმერთ მყოფელისა მიპრონისაჲ, ვგრეთ სრულ იქმნებოდედ ვითარცა მუნ შინა მოკსენებულ არს:

III. ხოლო ქრთამისათვის და საფასისა რომელსა მიიღებენ კელთ დამსხმელნი კელთ დასხმადთაგან. ზემოთთაგანისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისაებრ, განჩინებად ვიკადრებთ ჩუქნსა. რათა მოახსოს ვგრეთ ვითარი იგი ეკლესიისაგან. და აღიკოცოს მღვდლობისაგან მკურთხეველისა თვისისა თანა: რომლისა ქმნაჲ ამიერთგან ნულარამცა ვის უკადრებვის. რათა არა იგიცა შეესძინოთ. ვითარმედ შეიჩუქნოს ვითარცა სვმონ მოგვ პეტრე მოციქულისაგან. და ნუშცა მიიღებენ რაჲთურთით ნუ რა რას ნუ ოდეს ნუცა პირველ კელთ დასხმისა; ნუცა თვთ მას კელთ დასხმასა შინა. ნუცა შემდგომად კელთ დასხმისა: ნუცა ქრთამსა. ნუცა ძღუქნსა: ნუცა ევლოგიასა: ნუცა კათალიკოსი ეპისკოპოსთაგან. ვინა ხუცეს დიაკონთა და ხორ ეპისკოპოსთა ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღვდელთა და ხორ ეპისკოპოსთა, ნუცა [რათ სხუთა სამღვდლოჲსა დასისაგანთა ანუ რომელთავე საეკლესიოთა მწეთაგან].

IV. მერმეცა სამღვდლოთა ჭურჭელთა. და ღთისადა შეწირულთა სიწმიდეთათვის. რომელ არიან ბარძიმ, ფეშხუქმ, სამწერობელნი. და ყოველივე ეკლესიათადა შეწირული. და ერთგზის ღთისადა მიცემული: ოქროჲ. ვეცხლი. თუალი. მარგალიტი: ქიქაჲ. სტავრაჲ. საქსოვი. სინი. რვალი. რკინაჲ. ძელი. კეცი. ქვაჲ: ამას განჯწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთაჲთა. რათა არა ვის კელწიფოს კმარებად მისსა არა რად: არცა ტყუქმთა საკსრად: დაღათუ ცუდადცა და უკმრად მდებარე იყენენ. და ფერკითა დასათგონველად ისხნენ ეკლესიასა შინა, და საქურჭულესა მისსა: ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამითგანისა რაჲსაცა. (სამის ჯსოს ლაგაიმოშლიდა) ვარგნით მის ეკლესიისა. და

თანიერ მისსა ვითარ იგი განწესებულ იყოს. და ვითარ სახედცა სამსახურად ეკლესიასა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს, სხუად რადცა კმარებად; მოელოდდეს აქა უკუტ ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანანიას და საფირაას სასჯელსა, ხოლო მუნ ცეცხლსა საუკუნესა. განშაღებულსა ეშმაკ-თათს და ანგელოსთა მისთათს:.

**ქ.** ამასთანა ესეცა მოვიკენეთ. ვითარმედ თანიერ ეკლესიისა და საკურ-თხეველისა. არცა ნათლისცემამა შესაძლებელ არს არცა გვრგვნთა კურთხევაჲ: არცა მონაზუნისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაჲ: და არცა მონო-ზონსა ხუცესსა გვრგვნთა კურთხევად კელეწიფების: არცა ერისგანსა მღდელ-სა მონაზონისა კურთხევად: ხოლო შემდგომად გვრგვნთა კურთხევისა. პირ-ველთა და მეორეთა ცოლქმართა. წმიდათა სახელუმლოთა ზიარებაჲ უკმს. მას დღესა რომელსა იკურთხნენ უტკუტლად. არა თუ გარდარეულითა რაჲთამე ბილწებითა შებღალულ იყვნენ: დაღათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ. და მერმე აღსრულებამა კანონისა უზიარებლობისა მათისასა: ხოლო მეორეთა გვრგვნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივაღს მათ თანა: ნუცამცა მეორეთა ცოლ ქმართა პირველნი გვრგვნი ეკურთხევიან: ხოლო სხუტბრ ზე არა ესრეთ მოქმედი ამითი; ხუცესი უკუტ განკუტისა, ხოლო ერ-ისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს:.

**ხ.** კუალად ამასცა განვასაზღვრებთ. რათა ამიერიდგან არღარა ეკურთ-ხეოდინ გვრგვნი ჩჩვლთა ქალ ყმათა: არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მათ დიად დაუწინდნენ იგი ურთიერთას. და რაჲმს ჰასაყად მო-ვიდნენ ორნივე მაშინ იქორწინნენ: და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲ-სი, ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა: ხოლო ამის განჩინები-სა დამკნენლო, თანამდებ იყავნ ზემოკსენებულისა მის განჩინებისა:.

**ბ.** კათალიკოსისა, და ეპისკოპოსთაგან. ხორ-ეპისკოპოსი სჯულისა და საღთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ. მღდელი ანუ დიაკონი და ში-შითა ღთისაჲთა. ემცნებოდედ მას. [უბიწოდ] დაცვაჲ ყოველთავე საქრის-ტეანოთა წესთაჲ: რათა არა რაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათს. არცა რაჲ განყიდოს ვეცხლად ვითარცა იუდა უფალი; რათა არა შიშთვილიცა მისი და-იძკდროს:.

**ღ.** შემდგომად ამათსა ამისიცა სითანადოდ ვგვონეთ მოკსენებაჲ. ვინაჲდ-გან მოძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ. ფრიადი და აღურიცხუველი არს სიმრავლე. და ერთსა მონასტერსა შინა, ხუთნი და ათნი. მრავალგზის ოცნიცა და ოცდა ათნი იპოვებინ დიდი თუ იყოს მონასტერი, და მრავლი-სა შფოათისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი: ამისთვის განვაჩინებთ რათა ამიერთგან დასცხრეს ესე ვითარი ესე უწესობებაჲ: ზე პირვე-ლად ამას განვასაზღვრებთ. რათა უმღდელოსა არა კელეწიფებოდის განმკით-ხველობად სულთა. არა თუ ეპისკოპოსი იყოს; ანუ მღდელი, ანუ დიაკონი. რაჲთუ პირველად შეკრვისა და განკსნისა კელეწიფებასა უკმს ქონებად და

ფგრეთლა განკითხვისა სულთაჲსა კელყოფად: ამასთან რათა დიდთა მონასტერთა შინა ორ ორი. ხოლო მცირათა შინა თითოჲ ხოლო კმა იყოს მოძღუარი: და უტყულო ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰკდეს, უტყუელად ესმეს მას: ვითარმედ ხოლო კლდომისაგანთა მათ და ურჩთა ქეშმარიტებისათა. და მორჩილთა სიკრულსათა. რისხვად და გულის წყრომად. ჳირი და იწროება და შემდგომი:.

**11.** წესი იგი რომელსა კრებულითა დასხმად უწესენ. ნულარამკა კადრებულ არს ქმნად ამიერივითან: ნულა მონასტერთა შინა შექმნად სავაჳროთა ერისა კრებათად: ნულამკა რაჲ სხუად სამოქალაქო და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა. რათა არა სალოცველთა მათ აღგილთა ქუბ ავაზაკთა შექმნითა, სულთაცა თქუნთა საფარდულეღი საღთოჲსა სიტყუსა მიერ დაიქცეს. ვითარცა მეკერმეთა მიერ ტაბლები: და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ, განკანონებისა თანამდებ იქმნეთ:.

**12.** ხოლო ერთსა საკურთხეველსა, და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა. მრავალთა სულთათჳს. მრავალთა მღდელთა მიერ ქმნად წმიდისა ჟამის წირვისაჲ უწესო არს და განგდებულ. რომელი ესე ნულარამკა სადა ქმნილ არს: უფროჲსა თავად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა. საეპისკოპოსოჲსა გინა მონასტრისასა. ერთისა-არა ვისთჳს წეს არს ჟამის წირვად არა ოდეს. არცა ცოცხლისა არცა მიცვალეგულისათჳს. თჳნიერ აღაბთა და სულისა საკენებელად განჩინებულთა დღეთაჲსა. არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა. და ერთბამად ყოველთა ქრისტანეთა ცოცხალთა და მიცვალეგულთათჳს ჯერ არს ჟამის წირვაჲ: ხოლო ერთისა კაცისათჳს, ანუ ერთისა სულისათჳს ეგუტერთა სადმე შინა, ანუ შტოფა ეკლესიისათა ჯერ არს თითოეულისა ხუცისაგან ჟამის წირვაჲ:.

**13.** რომელნიცა ღთის მვენებლობითისა მის წვალებისაგან ხაჩეცართაჲსა რომელ არიან სომეხნი. მართალსა და უზაკუველსა სარწმუნოებასა მოუკდებოდინ. და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ. და ბიწსა მას წვალებასა ერთ-ბუნებიანთა. და ერთისა ნებისა. და ერთისა მოქმედებისა. ღთაებისაგან და კაცებისა შეზავებულისა: და არცა საღთოჲსა არცა კაცობრავისა, არამედ შერეულისა რაჲსმე და უტხოჲსა, ქრისტეს ქეშმარიტისა ღთისა ჩუქნისა ზედა სიჩქურით მეტყულოთასა შეაჩუქნებდენ. ესრეთ განვაწეჳსებთ მათთჳს. რათა სრულიად ნათელ სცემდენ ვითარცა წარმართა. ვინაჲთგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვჰპოვებთ მოქმედად ამისსა. ვითარ იგი არს საპატრიარქოჲ საყდარი ანტიოქიისაჲ. და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიეჲნი ყოვლისა აღმოსავალისანი:.

**14.** კულად განვაწესებთ. რათა არცა მართლმადიდებელი მამაკაცჳ მწვალებელსა გინა წარმართისა დედაკაცსა; ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლენ: ვინაჲთგან ყოველი მართლ მადიდებელი ტაძარი არს ღთისაჲ. დამკვდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუქნ შორის: ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი. ანუ ყოვლად არა მადიდებელი, ტაძარი არს ეშმაკისაჲ: ხოლო ვი-

თარმელ არცა ერთი ზიარებაჲ არს ტაძრისა ღთისაჲ კერპთა თანა, ვითარ იგი ბნელისაჲ ნათლისა თანა, მოწამე არს საღთთაჲ მოციქული: ხოლო რომელმან ამიერიტგან იკადროსლა ქმნაჲ ამათი, განიკანონოს იგი პირველ თქუმულთა მით კანონითა:.

**18.** ვინაჲთგან ესეცა უწესოებაჲ მრავალთა მიერ აღსრულებულად გუქსმა. უფროასლა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა. და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად. რომელ არს კიდესკიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გვრგვნთაჲ, ქარწინებით ერთ კორც ქმნაღთა მეულლეთაჲ: ვითარ იგი ჰყოფენ უსჯულთობით. დედაკაცისასა უკუტ, სხვა ვისმე უცხოასა მამა კაცისა თანა კურთხევასა: ხოლო მამა კაცისასა მამაკაცისავე სხვა თანა. რომლისასა რამეცა იყო სხუაჲ უუწესოესი: და უსაცინელესი: ანუ არა ყოვლითურთ მსგავს არსა. მარკიონის მწვალდებელთა მიერ მკუდრისა წილ ნათლისცემასა ცოცხლისასა: რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამა კაცი ზ დედაკაცი. ნუ უკუტ შეირაცხნენ ნახევარ მემრუშედ ცოლ ქმრად. ვინაჲთგან სხვაჲ იკსენების სახელი, და სხუაჲ წარმოდგომილ არს მუნ: ხოლო ორთა მათ ერთაგან კურთხეულთა მამაკაცთათჳს რაჲ ვინ მოიგონოს სახელი. გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბასროს. ესე ვითარი ესე, სჯულისა და კეთილისა წესიერებისა ჩუქნისა. და კაცობრივისა ქცევისა და ჩუტულებისა გარეგანი უსჯულთობაჲ: რომლისათჳს ამას განვასაზღვრებთ. რომელნიცა მოაქმდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმცერებისათჳს: ხოლო უკუტთუ აწ საღმე იპოვნენ ვინმე ეგე ვითარნი, იგინი სჯულიერად ცოლ ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან: ამიერიტგან კულა, ნულარამცა ვისგან კადრებულ არს ქმნაჲ ამისი: და უკუტთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი. და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი. ექუსნივე განიკანონნენ:.

**19.** მერმეცა ღთის მოძაგებულისა მის და ლუთის განმამწარებელისა, ცოდვათა უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაჲსა: რომლისაჲ არა უწყითთუ ვითარ შეეთჳსა იგი უბადრუქსა ამას ნათესავსა. და სრულიად განაშორნა და უცხო ყვნა ღთისაგან, ვიეთთანაცა ჰოვა თავისა მისადრეკელი: ამას განვასაზღვრებთ სიტყვათა ღთისაჲთა. და სამოციქულოთა კელითა. და მამობრივითა განჩინებითა. დაღა თუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხუსა მძლენი ცოდვანი: ვითარ იგი მტერობანი: შურნი: სიძულიონი: კაცის კლვანი: მრუშებანი: ცრუ ფიცებანი ზ უკუანაჲსკნელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ კერპთ მსახურებაჲ: და თაყუანისცემისა შეცვალეებაჲ დამბადებელისაგან დაბადებულთა მიმართ: გარნა არცა ერთისა მათგანისათჳს აღძრულ არს აღუძრველი იგი. ვითარცა თჳთ იტყოდა აბრაჰამის მიმართ: ვითარმედ დაღადებაჲ სოდომისა ზ გომორისაჲ მოიწია ჩემდა. და გარდამოკვედ ხილვად, უკეთუ დაღადებისაებრ მათისა არიან საქმენი მათნი: რომლისა შემდგომად იხილეთ თუ რაჲ იქმნების. და თუ ვითარ ნივთნი ესე სამსახუროდ კაცთათჳს. დაბადებულნი ღთისაგან, წინა უკუმო ბუნებისა თჳსი-

სა შესცვალებენ ბუნებითა ძალსა თვსსა. და უცხოჲსა ცოდვისა აღსაკოცელად, უცხოჲსა მოიპოვებენ მოქმედებასა: რამეთუ მარადის აღმართ მოძრაჲი და სუბუქი ბუნება ეთერისა ჳეცხლისაჲ, ვითარცა ზრქელი რამე და მძიმე, დაღმართ ჳყოფს დამოდინებასა: და სახედ მძაფრისა წვზისა, საშინელებით მქეფე-რარს აღრეული წუნწუნებას თანა. მრისხანედ განსალევენლად უკეთურთა მათ საბილწეთა მრავლითა კაცთა: ხოლო წულილი და თხელი უფერული ბუნება ჰაერისაჲ. მიზეზი ცხოველთა აღმოფშვნიისა და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ აღმურისა კშირისა. და ფერად კელით საძიებელისა ბნელი-სად და შემაშთობელად, კუამლად სასწაულად რისხვისად შესცვალებს თავსა თვსსა მათ ზედა: ამათანა ქუტყანაჲ მყარი და მტკიცე. და მტვრთველი [სიმძიმესა მას ზედა მდებარეთა გუამთასა], ვერღარა იტვრთავს სიმედვრესა ბილწებათა მათთასა. არამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თვსთა და სიღრმით იატაკთა თვსთაჲთ აღმომდუღარე. ჰაერად აღმოიხუაჲს სიღრმეთა, საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა: და მიწად გარდმოიხუაჲს სიმაღლეთა გოდოლ ტაძრებისა მათისა სიმავრეთასა: მერმე განაღებს ვიღრე მუნ ჟამადმდე განუღებელსა პირსა და თანად ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქამს არღარა კაცებსა, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა. და ოდესმე ყოფილთა კაცთა, საწყალობელსა ნეშტებსა: ხოლო წყალი, იგიცა უცხოად იხილვების შეცვალებულად მათთვს: ზ არღარა საშუაბელად და საკმარს: არამედ სხუათა ნივთთაგან დაშთომილისა ნეშტისა მათისა აღსაკოცელად. პირსა ზედა მათეულისა ქუტყანი[სა უფროჲსაჲ საფლავ მათად] ქმნილისა ჯოჯოხეთისა, [იხილვების] მოდინებულად. ეგოდენ შეცვალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა. რაჲოდენ იგინი სხუათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა: ამან უსჯულოებამან. ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუტყანისათა დამპყრობელი მეფობაჲ, ტყუედ წარუქცია სპარსთა და მიღთა. და სრულიად აღმოჰფხურა ქუტყანით საკსენებელი. არა ხოლო მეფე და მძღავრი, არამედ კაც ყოფისაჲ მათისაჲ: ამან ცოდვამან. დიდი იგი და ყოვლით კერძო ყოვლისა ქუტყანისაჲთ კმა განსმენილი ნათესავი სომეხთაჲ, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამკუჲა, არამედ სრულიად აღილო კაცთაგან სახელი მათი. რომელთაჲ ვერვინ ჰოოს დღეს. ერთიცა მეფე ანუ მთავარი. მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაჲ. დაღათუ ყოველიცა ვინ პირი მიწისაჲ მოახილოს: ამან ბილწებაჲმან სპარსთა იგი მაღალი და მარადის ჰრომთა მეფობისა კლომა ფლობაჲ. მეციკის ბუნებათა ვითემე კაცთა ავაზაკურითა ზედა მოსლვითა, მიწადმდე დამდაბლებულყო. და ვიღრე მოაქამდე მძღავრებისა მათისა მორჩილ ყო. ესე არა უწყით თუ ვინაჲ უკეთურებით შემოგხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს მოსახელისაჲცა ერისასა: რამეთუ რაჲ ზიარებაჲ იყო ბელიარისი ქრისტესთანა და კელსა უცხოთესლთასა მიცემითა დასასრულ მახვლისა მათისა ქმნი-თა, ნეშტნი ოდენდა დამიტევნა ისრაჲლისანი. რომელნი უკეთუ ვეგნეთლ

მასვე უკეთურებასა ზედა, ოი ჩემდა, დავიდუმო ძნელ სიტყუაჲ, [რომელი] ყოველთადა ცხად არს დაღაცა თუ ჩუენ ვპრიდოთ: ამისთჳს ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მკირესა: მდიდარსა და გლახაკსა: მეფესა და მთავარსა: აზნაურსა და მდაბიორსა: მღვდელთა და უმღვდლოთა: მოწესეთა და ერისკაცთა: ბერთა და ქაბუეთა, და შუა კაცთა: ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა. და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა. უფროჲს[და] საძაგელისა ბილწებისა: და ესრეთ დაუმტკიცებთ სახელითა უფლისა ჩუენისა ისრაჲლისკაცთა: ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან. ამთ სიტყუათა მსმენელმან. რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა, არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ [რ]ეცა ლაღობით ფერებისა. და სიტყუთ თქუმისა. რათაცა სამისოთა, და მისთა დამსახველთა სიტყუათა და საქმეთაგან, უტკუტლად მოიწიოს მის ზედა. ამას უკუც საწუთოსა. საშინელი რამე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამედელი რისხვაჲ მსგავსად წუნწუნბასა თანა აღრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ: ხოლო მუნ იგი მიმთუალველ ექმნეს. მას რომელი ვალს წინაშე პირსა უფლისასა. და შესწუეავს გარემოჲს მისსა მტერთა მისთა. ვინაჲთგან სიყუარული კორცთაჲ მტერობაჲ არს ღთისაჲ. და რომელმან განხრწნას ტაძარი ღთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან: და ამასთანა და ჩუენგან უღირთა მონათა. საღთოჲსა მონებისა ღირს ქმნულთაჲსა, გოი, ჩუენდა, არღარა კურთხევაჲ, არამედ კდებჲ და მხილებჲ დაიმკვდროს საუკუნოჲ.

ხოლო ვინაჲთგან მიზეზად ურთიერთას პატივით თაყუანისცემისა, ჩუენ შორის მყოფი ხატებჲა ღვთისაჲ აღსაარებულ და ქადაგებულ არს. დიდთა მოძღურთა და მამათა ჩუენთაგან, ცხად არს ვითარმედ თაყუანისმცემელი ხატისა ღთისაჲ, თაყუანისცემს მის მიერ. მაგინებელიცა საღმე ხატისა ღთისაჲ, ღმერთსა აგინებს უტკუტლად. ვითარცა წმიდათა შორის დიდი ზასილი ესრეთ დასწერს ამას: ამისთჳს განვასაზღვრებთ. რათა ესეცა ღთის შემაწუხებელი, და ღთისა შეურაცხის მყოფელი ცოდვაჲ სრულიად მოისპოს ყოველისაგან ენისა და ნათესავისა ჩუენისა: და რომელმან ამიერითგან შეგანოსლა სულრ გონებაჲ და პირი თჳსი უსახრითა გინებითა ზემოწერილისა ამის თანამედბე იყოს [იგიცა განკ]ანონებისა:

**მეფისა დავითს მოწაზონი არსენი. <sup>6)</sup>**

ამათღა მომართ რასა იტყუ, რომელსა ჰსიბრძნის ჰმოყუარებ შენ უფროჲ,

<sup>6)</sup> ეს სათაური წითურ სამოთავრულით არის დაწერილი. აქ მოხსენებული არსენი ის ბერია, რომელსაც დავით აღმაშენებელმა მიანდო შიომღვიმეში კვლევის აღმუშავება და არა მოძღვარი მეფისა (ის ჩემი გამოცემა I 123 წლის „ახდერძისა“).

სად ბრწყინვალეო თუალო ყოველისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო: რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროა ხილულისა სოფლისა შორის: საჩინო, ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის: ბრწყინვალე, ვითარცა ვთერი ნივთთა შორის: ნათლის ფერ, ვითარცა ელვაა ღრუბელთა შორის: ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის: ტკბილ, ვითარცა არე ეამთა შორის: ღთის სახე, ვითარცა სიყუარული სათნოებთა შორის: გულის სათქუმელ, ვითარცა ოქროა მიწათა შორის: ელვარე, ვითარცა ჯაკინთი ქვათა შორის: მაღალ ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის: შუშნიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის: აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუცყანისა შორის: ძლიერ, ვითარცა ლომი მკეცთა შორის: მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუტთელთა შორის: სახელ განთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის: ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა შორის: მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის: მკნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის: უბრძოლელ, ვითარცა აქილლეე ვლლენთა შორის: ბრძენ; ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის: მშვდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის: შურის მძივებელ, ვითარცა იოსია შარავანდელთა შორის;

უზარო, ვითარცა მაკელონელი მფლობელთა შორის:

განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღესტოს კეისართა შორის:

კაცთ მოყუარე, ვითარცა ჩემი ისრა ღმერთთა შორის: ბუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთ ქმნულთა შორის: მკურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის: საყუარელ, ვითარცა იოვანე მეგობართა შორის:

მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის: სახის დასაბამ უტომეფლისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე თვთ მპყრობელთა შორის:

სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის:

სათნო უჩანანა, ესენი მყუდროებასა შენსა; განსუწმენებულ არსა ამათ ზელა სიბოროტისა სულთაა მღვენელი დავითიანი სული შენი: რომელნი ესე აწ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთაა (sic) სიმრავლისამან.<sup>7)</sup> რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა, და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე უფალი: რომელ მოსწრაფებით შემოკრებაა უბრძანე შენ,<sup>8)</sup> და დიდისა ამის და ღთისა სათნოებასა წარმათებისა თანა შუამდგომელად ღთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საყუთარნი მონანი: რათა რომელიმე ღთისა სახისა მღდელთ [მთავ]რობისა მიერ, მახლობელ ექმნებოდის შენთვის ღმერთსა: [რომელიმე მღდელ შუშნიერითა მსახურებითა, რომელ-

<sup>7)</sup> აქედამ სჩანს, რომ ეს შესხმა, დაწერილი არსენის მკურ, კრებთა სახელით მიუძღვნეს მეფეს. არსენიზე ახ. კიდე „ქრონიკები“ I, 238.

<sup>8)</sup> საყუარადლებას, რომ კრება შეუკრება დავით მეფეს და არა მისს მამის: გიორგის. ცხადია ისიც, რომ თუმცა 1103 წ. გიორგი ცოცხალი იყო, უპირველესობა მეფობისა დავითს ჰქონია.

ნიმე შეყუარებითა] დამბადებელისა: სხუასა [კმე]მნი მოაქუნდენ. სხუასა გან-  
დნობაჲ ცრემლითა: სხუასა ლამე ყოველობითი მღვდარებანი: სხუასა კემლ-  
სარეკლობაჲ: სხუასა რაჲთურით არა რას ქონებაჲ კეისრისასა ყოველსავე-  
ლთისასა: მხოლოდ კორცითა ოდენ და მათცა მარხვითა განლეულთაჲ: სხუ-  
სა სიტყუაჲ, დაღათუ მდაბალი და უნდოჲ. გარნა არავე უპრმოჲ არცა უმუ-  
სიკელოჲ მომზიდველ ყოფად სმენისა: ამის-თანა შემსგავსებულცა ძალისაჲ: ყოველთა ვედრებაჲ. ყოველთა ლიტანიობაჲ. ყოველთა ერთკობაჲ. ვითარმედ-  
დავით კეთილად მსახურისა. და ღთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა მრავალმ-  
ცა არიან წელიწადნი: <sup>9)</sup> :—:—:—:—:—:

კეთილად მსახურისა და ღთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა გიორგი (გ-  
რ) მეფეთა მეფისა. და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრ-  
ავალმცა არიან წელნი):. <sup>10)</sup>

კეთილად მსახურისა და ღთის მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა  
[ავღუსტინაი]სნი, მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი]. <sup>11)</sup>

დავით ღთის მსახურისა [ღ ღთივ დაცულისა] მეფისა [ჩუენისა] აფხაზ-  
თა და ქართველთაჲ რანთა ღ კახთა თვთმპყრობელისა, მრავალმცა არიან  
წელნი <sup>12)</sup>):.

წმიდისა დედოფლისა და ღთივ სულიერისა დედისა ჩუენისაჲ, მარიამ მო-  
ნაზონისა, საუკუნომცა არს კსენებაჲ: <sup>13)</sup>

იოვანე წმიდისა მთავარ ეპისკოპოსისა ჩუენისა, კათოლიკოსისა. და ყოვ-  
ლისა საქართველოჲსა, ყოველად ღირსისა მამათმთავრისა მრავალმცა არიან  
წელნი):.

<sup>9)</sup> აჭ უნდა თავდებოდეს შესხმა, რადგან ამას ქვეით ხელ-ახლა იწეუბა „მრ-  
ავალ-კამიერობა“ ამ რიგობაზე: მეფის გიორგის, მართა აგუსტინასა და ისევ მე-  
ფის დავითისი და სხ.

<sup>10)</sup> ცხადია, გიორგი მეფე, წინააღმდეგ ეკელა მისიტორიეთა, ცოცხალი ყოფი-  
ლა 1103 წ., და მართლაც ჩუენის ქრონიკებით ის მოკვდა 1112 წელს (და არა 1089  
წ.). — დაღს ფრანგიებში ჩასმული გელათას კარიანტი ადგიენილი ტექსტია.

<sup>11)</sup> ეს მართა ბაგრატ IV-ის ქალი და იმპერატორის მიქელ დუგის ცოლი  
(შეირთო 1071 წ.), ბერძენთაგან „მარიამად“ წოდებული, ქმრის სიკვდილის შემ-  
დეგ (1078 წ.) დაბრუნებულა საქართველოს, ხოლო 1081 წელს სელჯუკთაგან  
საქართველოს აოხრების გამო ისევ საბერძნეთს წასულა; და რა ქართველობა ისეე  
გაძლიერებულა, ისეე სამშობლოში დაბრუნებულა და 1103 კრებასა დასწრებია (ამ-  
ზე იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 211, 229; 234; 209).

<sup>12)</sup> აჭ მეორედ ისხენება დავით მეფე, უფროს-უმცროსობის რიგით.

<sup>13)</sup> ეს მარიამი, მოღოზნად შესული, ბაგრატ II-ის ცოლია; 1103 წელს მოკვდა-  
რი ყოფილა.

წმიდისა ბერისა, და სულიერისა მამისა ჩუწნისა. ევსტრატე მონაზონისა მრავალმცა. <sup>14)</sup>

ღირსისა მეუფისა ჩუწნისა. და თულად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა. გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უბუცესისა, მრავალმცა: <sup>15)</sup>

ყოვლად ღირსთა კრებისა ამის ყოველთა მამათა მღვდელმთავართა მღვდელთა, და მონაზონთა, მრავალმცა:.

სჯულიერისა მოღუაწისა არსენი მონაზონისა კალიპოსელისა, მრავალმცა: <sup>16)</sup>

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან: ყოველნი მწვალებელნი შერქუნებულ არიან: <sup>17)</sup>

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებელთა: პირველ აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩუწნთა, საუკუნომცა არს კსენებაჲ, და კურთხევაჲ მათი: \*).

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღვდელთ მთავართა და მღვდელთა, საუკუნომცა:.

საუკუნოაჲსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუწნთა ეფთჳში და გიორგი მთაწმიდელთაჲ, <sup>18)</sup> საუკუნუმცა:.

ღირსთა მამათა ჩუწნთა დავით ტბელისა. და სტეფანე სანანოასძისაჲ ს[აუკუნომცა]. <sup>19)</sup>

დაუსრულებელისა ნეტარებისა მკვდრთა, ბერთა ჩუწნთა, საბაჲ სულაჲს

<sup>14)</sup> შეიძლება ეს ის ევსტრატე იეოს, რომელიც კათალიკოსად დაუსვამთ (იოანეს შემდეგ?): იხ. ზემო, გვ. 38 და „ქრონიკები“ I, გვ. 213, 232.

<sup>15)</sup> ეს გიორგი შეიძლება იეოს გიორგი ათონელი, გიორგი-მთაწმიდელის ბიოგრაფი, თუმცა „მწიგნობართ-უბუცესობა“ მასი არ სწინს. ძნელი დასაჯერებელია, რომ „გიორგი დიდი“ სვიმონ-წმიდელი, გიორგი-მთაწმიდელის მოძღვარი, ცოცხალი უოფილიეოს 1103 წელს.

<sup>16)</sup> არსენი კალიპოსელი (მწერალი) სსუჲ არის და არსენი მონაზონი სსუჲ („ქრონიკები“ გვ. 237—8; 219; 221; 226; 310).

<sup>17)</sup> აქ დედანშიც სტრიქონი გაუოფილია, რადგან ამას ჭკეით მსოფლად ძველნი გარდაცვალებულნი მოღვაწენი მოუხსენებიათ.

\* აქ არშაჲჲ ღურჯ მელნით ძველ ასომთავრულით წარწერა: „ღარარიონ შუ“.

<sup>18)</sup> წა კეითიძე † 1028 წ., ხოლო წა გიორგი — † 1065 წ.

<sup>19)</sup> მე X საუკუნის ცნობადნი მწერალნი სტეფანე იეო ჭეონდიდელი, სანანოასძე (სანანო ეპეელის ერისთვის ძე? ამაჲჲ იხ. „ქრონიკები“ გვ. 126 85; 114; 221—222) დავით ტბელი (თუ ტბელიძე?), ძველი მწერალი („ქრონიკები“ გვ. 168; 85; 113—114; 124—8).

ძისა, და ანტონი ტბელისა, და ეფრემ მცირაჲსაჲ, და არსენი მონაზონისა იყალთელისაჲ საუკუნო: .<sup>20)</sup>

ღირსებით მოკენებულთა მამათა, ეფთვი გრძელისაჲ,<sup>21)</sup> იოვანე რეხუტს ძისაჲ შეილითურთ, მიქელ ქუაისაჲ (გელათის ვარიანტით „მიქელ ქულაისაჲ“) და გიორგი ბერისაჲ. საუკუნომცა.<sup>22)</sup>

კულადცა, [ვახსენო] ყოველნიცა მწვალებელნი შერქუნებულ არიან:

ყოველნიცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან: .

ყოველთა მართლმადიდებელთა წელნიცა მრავალ არიან: .

ყოველთა მართლმადიდებელთა, საუკუნომცა არს კენება: .

ყოველნი მწვალებელნი საუკუნომცა შერქუნებულ არიან: .

ყოველთა მწვალებელთა, საუკუნომცა არს წყევალ და დაუსრულებელი შერქუნებაჲ.

იქვე ქვემო არმაზე წარწერ. XVII საუკ. ხელით: „ღიდება ღა რნ სრულ ყო: —“.

1189 წ.—გელათის მონასტრის საბუთებში ჩვენ ვიპოვეთ სვეული ანუ გრაჲ-ნილი ჩინებულს ტყაგზე მხედრულად დაწერილი, თამარ მეფისგან ხელმოწერილი. ეს სიგელი, ფრიად დაწიანებულია (რომელიც უნახავს დიმიტრი ფურცელაძესაც: იხ. მისი Церк. гуджары стр. 60). დროს უქონლობისა გამო ჩვენ ვერ მოვასწარიით გუღდადებით აღმოგვეკითხა და სრულად აღგვედგინა დაწიანებული სიგელი. აქვე უჭდავთ მას ისე, როგორც შეეძლეოდა ზირკელის თვალის გადაკლებით მისი აღმოგვეკითხა. სიგელი, როგორც სჩანს, დაწერილია მესეთეს წელს თამარის მეფობისას; ე. ი. 1189 წ.—თამარის სელის ჩართვის შემდეგ იპოვება წარწერა მისის ქმრის დაკითხვისა. რადგან სიგელის თავში დავით მოხსენებული არ არის, ამისგანც ცხადია, რომ სიგელი დაწერილია მაშინ, როდესაც თამარს ქმარი არ ჰყოლია. ერთს წარწერაში დავითი ამტკიცებს რა სიგელს, თავის-თავს უწოდებს ერისთავად (ეს წარწერა ეკუთნის იმ დროს, როდესაც ის ქმარი არ ყოფილა). ხოლო მეორე წარწერაში დავითი ამბობს, რომ „სკიბტრა-შარაკანდთა მეფობისათა მფლობელ გაქმენო“ და ამისთვის „სამადლობლად“ რადგან შეუწირავს. ცხადია ეს უკანასკნელი წარწერა მერმინდელთა, როდესაც დავითს ედარსა მეფობა თამარის შერთვით, რადგან ჩვენის „ქრლ-ნიკები“ ყოფილა იმავე 1189 წელს.

<sup>20)</sup> ეს მწერალნი (1060—1095 წლებში) ანტიოქელ—სკიმონწმიდელნი: იხ. „ქრონიკები“ ტვ. 203; 214 215; 219; 237—8; 220; 223—5; 221; 227.

<sup>21)</sup> ცნობილი იერუსალიმელი X საუკ. (და არა ათონელი); ამაზე იხ. „ქრონიკები“. ტვ. 125—7.

<sup>22)</sup> უცნობნა მწერალნი V—X საუკ. სტუფანე ჭულეკელი XI საუკ. იხ. „ქრონიკები“, 221.

„სახელითა ღთისათა მე თამარ ბაგრატიანი[მან] ნებითა ღთისათა აბზახ-  
თა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან შარ-  
ვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთ-მპყრობელმან  
[და მქონებელმან ვიგულე რათამცა] წარსამართებლად მეფობისა ჩემისა და  
ყდ - - მომავალისა ჩემისა (რწლასა?) - - - [ჩემსა - - -] დგომისა ეამს  
სალხინებლად სულისა ჩემგან - - - (მერჭჭვი?) სასაქმე ჩენილ იყო; ღვთივ  
გვრგვანოსანთა] მეფეთა პაპათა ჩემთაგან სრულ ქნილსა, ყოვლითურთ შემოკ-  
ბილსა საყოფელსა ღთისასა, სამკვდრებელსა დიდსა მონასტერსა გელათს შინა,  
რომელი აღეშენა სალოცველად სულისა მათისა და წარსამართებლად შდ  
(შემდგომად) მათსა მომავალთა ტახტსა მათსა ზედა მსხლმთა მეფეთა, და არა  
იყო დაკლებული და გაუგებელი მის მონასტრისა საქმე, ამისგან კიდე, რომელ  
აღეშენებასავე მის მონასტრისასა ზედა თორმეტი მწირი იყო დაწესებული  
სპონდიოსა გარეთ და არა იყო საზრდელი მათა თვნიერ რომელ, თუ ვინ  
გარეთმან გარდაიკადოს ალაბი, მაშინ შეუშუნინ ტრაპეზსა და სხუებრ არა  
ჰქუნდა ტრაპეზისგან და ყოვლითურთ უღონონი ეგრეთ უცხოდასა საზრდ-  
ელსა მიმლოდენ (მიიღებდეს); იკირვოდეს. — ესე ეწყინა მეფობასა ჩუენსა,  
რათგან განწესებულად ჩნდეს, სხუასა კელთშემხედ-ვარდობაი, ამისთუის  
შეესწირე და მოვაცენე დიდსა ლავრსა და მუნ შინა დაუსრულებლად გან-  
ჩენილსა ტრაპეზსა არგუთის ქორვილი კავაის ძისა ტოლყოლი (ტოჭ-  
ყოლი?); ჰქუნდეს ტრაპეზსა მიუკნ (მიუგუნისამდე) და დასხდებუდიან ყოვლადვე  
დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზსა, ვითა მას მონასტერსა. ში-  
ნა მყოფნი ძმანი დასხდებიან, ეგრეთვე იგი თორმეტი მწირი დასხდებუდეს  
და ჰქუნდეს ტრაპეზით პური და ულოცვიდენ მეფობასა ჩემსა სოფელსა ამას  
შინა წარმართებისათუის და სიგრძობისათუის დღეთასა ჯა მერმესა მას საუკუ-  
ნესა შესანდობლად ჩემდა; ჰქუნდეს არგუთის ქორვილი კავაისძე ტოლყო-  
ლი წსა ღთისმშობელსა ხახულისასა და მუნ შინა განჩენილსა ტრაპეზსა მით-  
თა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქულითა და ყოვლითა სამართ-  
ლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საკმრითა და უკმრითა მკუიდრად,  
თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა  
თუით სხუანი საქუნელნი მის მონასტრისანი აზანდი (sic) და შეუვალნი არიან;  
და არავინ გუობძანებია მშლელი და მქცეველი ბზულისა (ბრძანებულისა) ამის  
ჩუენისა, არცა მეუნებლეს; მავნებელი და დამაკლებელი მისი; და თუ ვინმე  
იკადროს ამას ჩემსა გაგებულსა შეცვალებად, გინა თუ კელმწიფემან ანუ რა-  
მანცა გუარამან კაცმან, რი აც მიზეზისა შემოღებითა, გამცაუარისხდების მამაი,  
ძე და სული წდაი, შემცადებების ძრწოლა კანისი, შიშთილი იუდასი, დან-  
თქმა დათან-აბირონისი და კრულმცა არს სიტყუითა ღთა მკუდარი და ცოც-  
ხალი გაუესნელად და ნუმცარა წარემართების მას, საუმჯობესოდ ქნილი. აწ  
ვინცა ჰნახათ ბზაი (ბრძანებაი) და სიგელი ესე ჩემი შემდგომითი შემდგომად  
მომავალთა მეფეთა, ეწვთა, ეწვთა, აზნაურთა, ოთხმესღურთა, ნაცვალთა,

აჯამეთის აბრმდათა (?) ტყის მცველთა, უცხოთა (უცხოთა), გოგნისა ციხის - -  
 [ციხისთავეთა, კელისუფალთა, მზირთა ღეჲთა საქმი [მოქმედთა] ჩნთა, დიდთა  
 (და) მცირეთა დაუმტკიცეთ ღეჲ ვინ [უშალავთ] ბზასა ამას ჩუენსა, ნუცა-რა-ვინ  
 დააკლებთ ნუ დიდსა [ნუცა მცირესა] თვნიერ შეწვენისა და [თანადგომისა]  
 და თქვენ წო - - - ნ: (წმიდანო) კზნ (კათალიკოსნო) და წწო მღღელთ-  
 მოძღუარნო [უჯუ]არობითა [დაუმტკიცეთ. დაწვირა ბზაი და სიგელი [ესე]  
 ჩემი ინ[დიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მე[ხუ]თესა [კელითა] საწოლისა და სა-  
 ქურქლისა მწიგნობრისა არსენ სამძივარისა[ითა] - - - - -

აქ მიკრებულთა მეორე ტყავის ფურცელი, იხვე სელით ნაწერი:

- - - სავლისაგან) და სამ - - - და სატრაპეზოსაგან] კიდე და არა  
 რაი საქმე უც მათანა და არცა ვისი კელი შევიდო[დეს] არაის გუარის კა-  
 ცისაი არა [ჩუენი], არა ჩუენთა სამეფოთა კელისუფალთა] - - -

მეორე ლამაზ სელით სკეულად, თავისუფლად მოწერილთა თუთ თამარის სელით;  
 მელსნი მქრდაი და ტყავი მეტად დაზიანებულია:

ქ. ესე ვითა დაწმინდისა - - - ნ სასოებით და გულსმოდგინებით—ჩემისა  
 საქმისა - - - განაჩენი ჩემითა კელითა ცოდვილითა დამიმტკიცებია. ვინც და  
 [ანუ რა]მანცა [გუარამან კაცმან შალოს] ბრძანება [ესე ჩემი] - - - მტკიცე  
 არს - - - (აქ გადაკრებულია საგელი) შეცვალენ შენ ყოვლად წდაო ღის მშო-  
 ბელო - - - და ჩემთა] ცოდვითა და ბრალთა [მზღვეველ არს] - - - იგი დღესა  
 განკითხვი[სასა] და სიტყუა იგი მ[ას] ზედამცა აღ[ესრულების]: სის[ხლი] - -  
 მ[ა]კისი ჩუენზედა და შილთა ჩ[უენ]თა ზედა - - - - -

აქ კიდე გადაკრებულია სხვა ტყავის ფურცელი, დაგლეკილი, სხვა სელით  
 დაწერილი:

[ქ: სახელითა ღთისა და [მეოხებითა ყდ წმიდისა ხახულისა ღთისმშო-  
 ბელისათა, მას ჟამსა, ოდეს] [ს]კიპტრა შარავანდთა მეფობისათა [მ]ფლუბ ვიქ-  
 მენ, ამისთვის ვითენ კ - - - - ძღუნიელი სამადლოთა და ტაძარსა შენ წ[მი-  
 დასა] დიდებ - - - სა განსაკ[უ]რ[ნებელა]დ ქრ - - - შენისასა, განვაჩინენ გლა-  
 ხანი - - - და მუწაფეთა შენთანი: - - - ჩემთვის ოხათა მირთუმელობდენ  
 შენდა მოწყალებისა მნებისა და ნამდული - - - ნათელ მყუისა ძისა მი - - - ითა  
 შენდა გუქ - - - სა გარნა გუნებადცა - - - - ჩემგან განგებნისასა შერისხვი-  
 თა მოეკადენ - - - - ნესტორ და ორიგესი.

ქ. ამას თამარის ბრძანებასა მე ნებითა ღთა ეწვი (ერისთავი) დაკით  
 ვამუწმებ და ვამტკიცებ. მტკიცე ყოს ღწ

სხვა სელით, მხედრულად:

ქ: ესე ვითა ღთივ გვრგვნოსანსა მეფეთა მეფესა და დედუფალთა დე-  
 დუფალსა თამარს დიდისა მონასტრისა მათისა შენ გელათს მეფობისა მათისა  
 წარსამართებელად და სულიერად ცხონებისათჳს კორვილიი შეუწირავს მუნ  
 შინა მყოფთა მწირთა საზრდელად და სიგელი ესე დაუწერია და საუფლოთა  
 კელითა მათითა დაუმტკიცებია, — მტკიცე ყავ ღმერთმან ბრძანება მათი, — მეცა

მოგითხრა თქუქნ საკრველი ესე და ესრეთვე შეუძლებელი მარტოჲსა მიერ, რამეთუ წინ მოწამემან თვთ აუწყა ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ღობილსა კელყოფაჲ ამის საკვირველისა აღშენებისაჲ. ხოლო ბასილი მწუხარებითა შეპყრობილმან ზე ზარ-განკლდომან თხარა ეგეოდენი სიღრმე ქუქნ-შე მიწასა, ვითარცა ჩანს ზედაით ტაძარი ესე ზე მათ სიღრმეთაჲთაგან იწყო შენებად, და ესრეთ განასრულა ტაძარი ესე საკრველი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი მარტოებით. და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუქნა, მასხედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად. ამისსავე მუშაკობასა შინა ქვაჲ განებო. ხოლო წმიდამან მოწამემან ჰრქუა: „შთადეგ ბასილი და განზომე ეგე, რაოდენი არსო“, და შთადგა მას შინა და შემოაჭირა წმიდამან იმიერ და ამიერ მით განაპებითა ქვათაჲთა [ხოლო] ბასილი ემაყო: „ვაჲმე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალოჲ, წმიდაო მოწამეო!“. ხოლო წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: „აღმოკედ ზე ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ ქმენ ტაძარი ჩემიო“. ხოლო ბასილი სადაცა წარიყვანის ჯორი იგი და სთხოის საკმარი რაჲმე სამუშაკოჲ, მათ აჭიდიან და მარტოებით მიართჳს კერძო კარაულმან ნუტარსა ბასილის და არა-ვინ იკადრის წინა-წარზიდვად, ვითარცა არს წესი ჩუქნულებისაჲ ცხენთა და კარაულთათჳს; და ვიდრე მუშაკობდა, ამით საკრველ-

ბითა მწე ექმნებოდა წ<sup>ა</sup> ესე ახოვანი დიდი მოწამე გიორგი, ვითარცა მომი-  
თხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, მე აჯანყსა, რომელსა ამას შინა აღწე-  
რისათჳს იოვანედ უწოდ და რომელსამე მახლობელნი მისნი. \*)

და ესე ჯუარი წ<sup>ისა</sup> მოწამისა სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარ-  
მოწამისასა, რომელმან ჩემგან თუალით ხილული და ამის სასწაულისა მომ-  
თხრობელი ყრმა ვინმე გამოიყვანა, ვითარცა ძუძულოდესმე ბორღალეთით,  
აღიტაცა განძაბთ და დასუა ალავერდს, კარსა წ<sup>ისა</sup> მოწამისასა. ხოლო იხი-  
ლეს რაჲ ეკლესიად მოსრულთა ლოცვისათჳს ჟამსა ცისკრისასა შებორკილებუ-  
ლი რკინითა განძას დაძინებული და მუნ მდებარე, შიშისა და საკრველები-  
საგან ვითარცა მკუდარი, ღ<sup>ა</sup> აღრამადგინეს ძლით და მრავალ-გზის-კომობით გო-  
ნებასა ზედა მოგებულსა, დასკვდეს რკინანი და აღიდგდეს ღმერთსა ყოველ-  
ნივე შიშითა და სიხარულთა შეპყრობილნი და დიდსა მოწამესა მისსა გიორ-  
გის: და ესე ყრმა იმყოფებოდა ეკლესიასა შინა წმიდისასა ვიდრე მსგფესაღმდე-  
და მოვიდა წ<sup>ა</sup> ახოვანი და მისცა კელთა ცხენი თჳსი ჰარმაგი და ჰრქუა:  
არებდი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა, ვიდრემდის კულად წარვიყვანდეთა.—  
„და ესე ცხენი თჳთ მომდევდის, რეცა-თუ ჩუწნების სახედ სადევეთა (sic) კელთ-  
მქონებლობისაჲთა და შეხებითა კელისაჲთა ვერ ვაგრძნითა, — იტყოდა ყრმაჲ  
იგი, ვითარცა შეჰგავს ნივთიერსა და თუალით სახილავსა, და კელთა შინა  
ჩემთა იყენეს სადევნი-იგი (sic) ცხენითურთ, და ვითარცა ეკლესიასა შინა  
ვქტეოდე, ჰონე (sic) იგიცა ჩემთანავე ვიდოდის, რომელსა თუალითა, ვითარ-  
ცა კორციელსა, ვხედდევ, და კელით განსახილველად იყო, ვითარცა ჰარო-  
ლი მზისაჲ, რომელსა მე ოდენ ვხედდევდი და სხუაჲ ვერა-ვინ. და რაჟამს მოხო-  
ვი წ<sup>ა</sup> გიორგი უწუტრულისა ჰაბუკისა სახითა მყოფმან, ვითარცა ვიხილე  
განძაბთ აღტაცებისა ჟამსა და იტყოდა ესრეთ: „ოდეს მოვიდა, ძილად მწო-  
ლარე ვიყავ და წარმომადგა ზედა ჰაბუკი შეწნიერი, ნათლით შემოსილი სრუ-  
ლებით და მრქუა: „ამის მათრაკსა მოპყრობილსა კელი მოყავ და მევედრე და  
წარგიყვანო უმქუელადო“; და მე ამისსა ურწმუნო ქმნილსა მრქუა მე კუა-  
ლადცა მრავალ-გზის იგივე: და რაჟამს მივყავ კელი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანე-  
ბაჲ და მოესწყდი მიწასა, წარმიტაცა გონებამან, რეცა თუ ძილის სახედ. და  
ოდეს კმა მივეყს კარსა წ<sup>ისა</sup> მოწამისასა კახეთს ეკლესიასა ალავერდისასა,  
მაშინდა ძლით მოვეგე გონებასა, და მითვე სახითა მყოფმან, შემომვედრა ცხე-  
ნი და მერმე წარიყვანა ჰუნეს (sic) თჳსი წმიდამან. მაშინ მე წარმოვედ ტაძ-  
რით წმიდით ახოვანისაჲთ. ხოლო ყრმაჲ ესე სომეხთა შორის ზრდილობისა-  
თჳს იყო ენითა ქართულისაჲთა მცირედ რაჲმე ნაკულეყვანი“.

\*) რადგან ამ ხელნაწერის გადამწერს, ახუსერძის ტბელის დროს, 1233  
წელს ბაილას შეიღის-შვალდ იოსებ ცოცხალი ყოფიდა (ის. ქეჟო გვ. 119) ამით ჩვენ  
სახეთი გეგმეკა დაჯანსჯანთ, რომ წ<sup>ა</sup> გიორგის კეკელია ბაილასგან აღშენებულ  
უნდა იყოს თამარ-მეფის დროს.

და ვინაჲთგან ვიიძულე შეკადრებად შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი ველ-ვეო: დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი,\*) მუნ-მყოფნი ვინმე კაცი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაჲსამე ღონედ სიგლახაკისა თვისისა და მუნ-მყოფთა გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუპ იქმნეს. ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარსმულთა, გულსკვა-ყვეს დღესასწაული წისა გიორგისი, დიდისა მოწამისაჲ: ერთმან გულს-მოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა, დაღაცათუ ევედრებოდა მისთანავე იგი(ცა); მეყსეულად (sic) მოვიდა წმიდა მოწამე, აღიტაცნა ორნივე; და რომელმან უმეტესი აჩუნა სარწმუნოებაჲ, მეყსა შინა დასუა კარსა ეკლესიისასა ცხმორისისა, სადა არს ტაძარი სახელსა ზედა მისისა; და იხილეს რაჲ მუნ შემოკრებულთა დღესასწაულობად, აღიდებდეს ყოველივე დიდსა მოწამესა გიორგისი; და აწცა კვიდან (sic) ბორკილი-იგი წინაშე მისისა, და ეწოდა კაცსა ამას კუანილი. ხოლო მეორე ურწმუნო-ქმნისათჳს დაღაცათუ არავე უგულუბელს-ყო წმიდამან, გარნა არღარა მეყსეულად მოაწია აქარას ქუცყანასა მისსა, სადა აღზრდილიყო და დასუა საზღვარსა ქრისტიანეთასა და წარმართთასა და ძლით-ღა სლვით მოიწია წინაშე წისა მოწამისა, სადა იმყოფებოდა, დაბასა ცხმორისისასა, ჳ მას კაცსა ეწოდებოდა პონილი (sic), რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკვრველისა აღშენებისა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. სასურველად წისა მოწამისა ოდეს მოგებისათჳს ცოდვთა ჩუენთაჲსა სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ივტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუქდასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცის-შვილთასა წარწყუქუნვასა და მოკრებ(ა)სა დედა-ქალაქისასა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ღიბთა იმერისა საქართველოჲსათა, ესე ჯუარი ქვისაჲ, რომელი ესუნა სახვასა (სახელსა?) ზედა წისა მოწამისასა, რომელი ბასილის და ძისა მისისა იოანესთჳს არა-დამორჩილებულ-იყო ტაძარსა შინა საკვრველებით აღშენებულსა დასუენებასა, ხოლო ჩუენებით ხილვითა ნეტარისა იოსებისითა და ხარებითა სამცხესა ზედა მშვდობისაჲთა, რომელი საქმითა აღესრულა, მასღა ეამსა შეესუნა წმიდა ნამუშავესა თჳსსა დს შუარტყალს (ბუარტყალს?) შინა მყოფი თჳნიერ ნეტარისა იოსებისსა და მისთა სახლწულთაჲსა არვირ დაშთა ულტოლოველი კერძოთა აქარისათაჲცა და ესრეთ უწყებულ-იყო ნეტარისა ბასილისთჳს, ვითარმედ „მე უწყი ეამი ჩემისა ეკლიად დასუენებისაჲ“ \*) ჳ ესე

\*) ცხმორისა იქვე ჯგარაში, ჳორთხის ჳეობაში: იხ. Материалы по археологии Кавказа, изд. Моск. II. арх. Общества, соч. Павлинова стр. 36; 64.

\*\*) სუარაზმელთა ანუ ვალ-ედინთან ბრძოლა ქართველთა გარნისს და თფილისს დაპყრობა მოხდა 1225 წ. და მეორედ თფილისის აღსრება 1229 წ.—ეს წერილი გუბღუგის ასლად ცნობებს: სუარაზმელთ იმერეთიდ მოუოხრებათ, ხოლო შაშუეთ-აჭარა უგნუგელად დაჩეჩილად (Brosset. list. de la G. I, p. 499, n. 1; 510, n. 1; Addit. p 336).

წმიდათა მოციქულთაებრ სისულელით გამორჩეულთა ნეშტი ამის სასწაულისაჲ ნეტარისა იოვანეს შვილისა იოსებისთვისცა დაუტყევა, რამეთუ მღვდლობასა მისსა [და?] მონაზონებასა ეპატოვა კელთა მისთა მიერ დასუწნებაჲ, რამეთუ ესე ჯუარი წისა მოწამისა, მრავალთა-მიერ ძნიად სატკრთავი, აღვილად დასუწნა და დაამყარა ტაძრსა თვისსა მარტოებით მოქმედმან შეწვენითავე წმიდისაჲთა და ესე ვითარითავე საკვრველებითა დაესუწნა ნამუშავესა თვისსა წმი. და, რამეთუ ამდ ჟამდამდე გარეთ ესუწნა კარსა ტაძრისა მისისასა. ზოლო ამას ნეტარსა იოსებს, ვითარცა პაპსა მისსა ბაილის და მამასა მისსა იოვანეს, ჩუწნებით ეზრახებოდის წმიდაჲ ესე, ვითარცა ნივთიერი და ხილულთა კორცთა შინა მყოფი, და ოდესმე კმა ესმოდის მოწამისაჲ და ოდესმე თუაღლითა იხილის სხვათა-და-სხვათა ხატითა და ყოვლადვე არა უკვრდის, ვითარცა კორციელისა მეგობრისა ნეტარი იოსებ, დაღაცა-თუ არა ცხად-ჰყოფდა, გარნა მამაჲ დაფარულთაჲ მოაგებდა მას ცხადან სიტყუსაებრ საღთოჲსა პირისა დავიდუმენე სასწაულნი წისა მთავარ-მოწამისა გიორგისნი, ვინაჲთგან ვერცა ყოველი სოფელი აღპრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თვითიელისა ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა ზედა წისა გიორგისასა, ვერცა თუ ნეტარისა ამის იოსების ეკლესიისასა, სიტყუსაებრ წისა სახარებისა და ესე ნეტარიცა გარდაიკვალა ცხორებასა საუკუნესა და დაეკრძალა საფლავსაჲ პაპისა და მამისა თვისისასა შტოსა შინა მისევე საკვრველისა ტაძრისასა, დაღაცათუ არა შემძლებელ-ვართ ჯეროვნად დიდების მეტყუტლებასა ჩუწნთს ვნებულისასა, გარნა დიდება მადიდებელსა წმიდათა მისთასა, რომლისა თანა მამასა შუწნის დიდებაჲ ცხოველს-ყოფელით წმიდით სულითურთ მიუკუნისადმდე, აწ.

ოაწყით (უწყით), რამეთუ არა ვარ შესარცხავი ღთივ მონიჭებულისა კეთილისა \*), გარნა ამთ წმიდათა ღთისათა მეონებამან მეცა მომანიქოს სრულქმნაჲ ჩემგან სამუშაოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაჲ, რომლისა მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღსრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან კსნისანი, ქვისა დასაცემელად განზადებულისა მრავალთა არღარა მოსაწყუტდელად გარე-უკუნ-ქცევანი და წამოქცეულთა კლდეთაგან მუშდობით კსნანი მრავალთანი და ამის ზარის განსაცდელად მაღალსა და ტიალსა აღვილსა შთასაკრელად განზადებულთა კაცთა და ფერკ-ჩატუმილთა (sic) აღმოყვანებით კსნანი და მრავალთა მუშაკობით-მოქმედთა და თანა-შემწეთა მათთა ხანგრძლიად სასწილოდ განზადებულთა მეყსეულნი კურნებანი და კაცის-მკამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა \*\*) და დედისა ღთისა ხატისა მისთაჲ გა:

\*) აქ არშიაზე ტექსტის სეღით აწერია: „ამათს ზემოდთსა სასწაულთა კ[ინა] აღწერდით, წისა გიორგისთა ვისცა გეგნებოს“.

\*\*) აქ არშიაზე გამოტანილია ტექსტის სეღით: „ამას ხატისა -- | განრუენ -- | რბი მარჯუ -- | კელთი -- -- | განკერ -- რ | შა რი -- -- | დარა -- -- | ნით. და -- -- | თქუწნ ესე -- | დეთ ღ.თი -- | ეხო ე -- -- |.“ (არშია წაჭრილია).

რეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაე ჩემი \*) გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოთა წინაშე მდგომარეობითა და დაუღუმებელითა კითხვითა წინა სახარებისათა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა. ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნი და ძალსა სიტყვასა მოკლედ მოვიდე მე არა ღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუთა და სიყუარულისათვს იძულებული და არა-საკადრებელად ვერ-მომთმინე აბუსერისძე ტბელი, ძე ენისა (ერისთავთ-ერისთავის) ივანესი და დედოფლისა ხათუთასა, რომელსა შემდგომად ქმრისა მისისა, თურქთა კელითა აღსრულებისა\*\*) მონაზონებისა მისისათვს მალლისა ეკატერინე ეწოდა, ძმა ენეთა (ერისთავთ-ერისთავთა) აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა კელეყავ შენება ეკლესიისა სალოცველად გარდასრულთა ჩუნთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუნთა და საკენებელად პაპისა ჩუნისა აბუსერისისა და ძმისა მისისა სანანოასთვს, რომელმან ნებისთ თვით თავი თვისი უცოლო და უშვილო ყო; ჩუნისა წყალობისათვს ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი ბრძანებითა ღთისა სწორთა პატრონათათა, და მიპარვით შესულასა შინა წა იგი ახოანი გიორგი ღამით ვარსკვლავის (sic) სახედ გამოუჩნდის და კმა უყვის ვითარცა კორციელმან და ასწავის გზა შესასულელი. ესრეთ დაიკუნა ამას საზარელსა კლდესა ჩაქრისაგან და გვბოძნა ხიხანი კელთავე და აჩუპნა ჩუნზედა წყალობა გამოუთქუმელი მობაძვი მცნებათა მითათა, რომლისათვს დაითმინა ღუაწლი წამებისა და მას აქამთ მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუნმან და ვერცა ძმათ ჩემთა და ვერცა მე ღირსებისაებრ ამათ სიტყუთა კადნიერმან და მიძილა ეკლესიისა მკირაობითა ერისა ვერ-დატევენამან და ჯარვისა (sic) მიზეზითა გულს-მოდგინებისა მათისა ნაკლოღევანებამან, ღ ძუელი სახლოვანი და შილილიყო და ამისთვს კელ-ყავ შეკადრებად აღწენებისა, რომლისა სრულ-ქნა მანვე ახოვანმან მოგუანჩქოს\*\*\*). მამულისა ჩუნისა კაცთა წესისაებრ დიდი ქირი

\*) სათუნა-ყოფილი ეკატერინე, ღდა ტბელისა (იხ. ქვემო შტო).

\*\*\*) ივანე უნდა მოკლეუღიყო ბასიანის ოპში 1201 წ. („ქრონიკა“ გვ. 290);

\*\*\*) ხიხან ციხის მტრებზე გაცემა და მისი დაბრუნება ტბელის ზამას აბუსერისაგან და სანანოსგან ისტორიამ არ იცის. თუ მივიღებთ, რომ 1233 წელს ტბელი იქნებოდა 50-ის წლისა, მაშინ ზამას მისი აბუსერი, დასლოკებით, 60—70 წლის წინეთ მიხედ უნდა ცხოვრებულაიყუნენ და მაშასადამე ხიხან ციხის შეპარვით ღლებს იქნებოდა გიორგი III-ის მეფობაში 1156—1184 წ., როდესაც განუწყვეტელი ბრძოლა იყო თურქთა და ქართველთა შორის. აქ უნდა იგულისხმებოდეს ილდიგუხ სულტინაგან აკლებს სამხრეთის საქართველომას 1172—1173 წ. (Addit. p. 255—6). — „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და სიხათა“ მოხსენებულაა ქრცხ. I, 225, 1050 წლის ახლო ხანებში და იქვე გრიგოლ, ძე აბუსერისა (გვ. 226).

ნახეს; გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჭირვის, რომელთა ვაზირობითა და შემოხუცწითა ეკლ-ეყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაჲ მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჳიდროებისა მათისა ნუგეშინის-საცემულად და პატრონთა მშობელთა ჩუქნითა და მამიდათა ფოტინეს და საგდუხტისა სულსა და ჩუქნ სამთავე ძმათსა და პატრონთა ჩუქნთა დათასა საგდუხტისსა და ცაცაქსასა მოიკენებდით და დიოფალ-დელოფალისა (დ'ფლ დ'ფლას) დისავე ჩუქნისა ვანენისა, რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წ'ისა იოვანე მახარებელისაჲ და ღ'თის მეტყუპლისაჲ სამკვდრებელი ჩუქნი და აღავსო საწყაული კეთილი დიოფალ დეოფლისა (დფლ დფლას) ნისიმესი, პაპისა-ჩუქნისა-პაპის-დისაჲ და წამიოხველნი ამისნი გუაქსენებდით ამით ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ.

ესე ძილის-პირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულთა და ვირე ცოცხალვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიგმარებ და დასაგულეებლად განალამცა - - - - \*) ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტაჲ წაავო საშენსა შინა წ'ისა მთავარ-მოწამისა გიორგისსა და მას ჭ მისთა შვილთაცა აქსენებდით: რუსუდანს, ზაქარიას, ივანეს, ონოფრეს და აღსართანს, და თულა რაჲ მიეცეს სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღ'თისაჲ და წ'ისა მთავარ-მოწამისაჲ; ჭ ჩუქნ სამთავე-თანა მძისწულსა ჩემსა [გ]რიგოლსაცა მოიკსენებდით; და ორნი ჩჳლნი ქალ-ყმანი ჩემნი მარჩბინნი მიიწოდნა ზენამან სუფევაჲმან და მათცა მოიკსენებდით. პატრონმან ძმამა ჩემმან აბუსერი მრავალნი კარგნი ხატნი დაასუქნნა დიდრუანნი: ერთი წ'ისა გრიგოლი პართეველისაჲ და მეორე წ'ისა დიმიტრისი, მესამე წ'ისა გიორგისი, მეოთხე წ'ისა ი'ე ოქროპირისაჲ, რომელსა ზედა წ'ჲ მოწაფე მისი პროკლე (?) ხატავს სახითა მთავარ-დიაკონობისაჲთა მსახურებად მალლისა მღღელთ-მთავრობითისა ჯუარის აღპურობისა მისისა, მეხუთე ხატი სალოთასა პირისაჲ და მეექუსე ყ'დ წ'ისა ღ'თის მშობელისაჲ ჩჳლელი: — და მეუღლესა ამისსა დ'ფლ დ'ფლსა დედასა გრიგოლისსა თამარს მოიკსენებდით, რომლისა სული დიდებულმცა არს წინაშე წ'ისა სამებისა და მეორესაცა მეუღლესა ე'ვისა (ერისთავთ-ერისთავას) აბუსერისსა დ'ფლ-დ'ფლსა ვახახსა ესრებთვე მოიკსენებდით, რომელი ესეცა მიიწოდა ზენამან სუფევაჲმან და ესე უწინარეს ჯერიყო. სულსა პატრონისა ზუაშახსა ე'ვით (ერისთავთ-ერისთავათ) მისით ქმრით გრიგოლითურთ, რომელნი იყვნეს მშობელნი აბუსერისნი, პაპისა ჩუქნისანი და სანანო ახონანსანი, პატრონთა და[თა მათ]თა ცუარისა და აგუტისანი, რომელთა სქულნი ეგრეთვე მოკსენებითა დიდებულ-ყოს ღ'ნ [პატრონი] ერისთავთ-ერისთავით ბიძაჲთ ჩუქნით

\*) აქედამ დაწვებული 24 სტრაქონი ტექსტის განკუბ ამოფსკეილია და ამოფსკეილს აღავას XVI საუუენის სელთი ნაჳდებნია მხედრულად „ხელთა“ და ერთს „ხელთას“ აწერია მხედრულად: „ღ'ო შეიწაჳლე ცოდეჳალი მალაქია“ (ახამიქე, ჳერეკ'ში იპერეთისა 1519 — 1542..)

გრიგოლითურთ ღ ბებერსა ჩუჲსნსა ჰატრონსა ბალიანდის მოიკენებდით; ძმისა ჩემისა ვარდანის მეუღლესა დიოფალ-დიოფალსა (sic) ნაზის მოიკენებდით წლ[ითი] წლად მიუცილებელად სასოებით შემოკრებულნო ერნო, და ძმის-წულსა ჩემსა ნათელს, ასულსა აბუსერისსა მოიკენებდით, და ვარდანის ასულთა, ძმისწულთავე ჩემთა, ხათუნსა და ვანენის და ვითაცალა სოფლისა დასასრული მოგვწოდებდეს, გინა-თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელიმე, სადამდინცალა წაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წისა გიორგისთა დაგულოცვედით **ბა** ესრეთ იტყოდით შემდგომად წაკითხვისა მდღელი: „ამთ ყოველთა შემოკენებულთა მეოხებითა წისა მთავარმოწამისათა და ყოველთა წმიდათათა მიუტევენ, მეუფეო ისო ქრისტე, ღმერთო ჩუჲნო, თანა-არსო მამისაო და ყოველად წმიდისა სულისაო.“

უკეთო ვინმე მდღელი არ-კარგი მკითხველი დახუდებოდეთ, ამას ასომთავრად **ბონადმდე** კარგსა მკითხველსა წაკითხვებდით და დონსა ქუჲმოათ **ბონადმდე** რომელ წერილ-არს მდღელმან ბრძანე, ერისაგან ამინის მთქუმელობითა, ორსავე დღესასწაულსა (ე. ი. 23 აპრილს და ნოემბერს) ცისკრად“.

**გვარგველობითი შტო აბუსერიძეთა (950—1233 წ.).**

ზემო დაბეჭდილის აბუსერიძის ტბელის ისტორიულ წერილთ ჩვენ აღვადგინეთ შემდეგი გვარგველობითი შტო არტანუჯის ერისთავთა აბუსერიძეთა (რაც ფრჩხილებში ჩასმულია, ის „ქართლის-ცხოვრების“ ცნობათაგან ამოღებულია და ზოგან მხოლოდ მიგნებით დასმული):

შენიშ. სადაც ვარი უხის(†) ანუ ფრჩხილები, ის პირნი 1233 წელს მიცალღებულნი ყოფილან, ხოლო დანარჩენნი—ცოცხალნი.—მე-XIII საუკუნიდამ აბუსერიძენი „ქ-ცხაში“ არ სჩანან, მაგრამ ჩემს „ქრონიკებში“ მოხსენებულნი არიან: აბუსერიძე ივანე ამირსპასალარი 1352 წლის ქვეშე და გრიგოლ 1355 წლის ქვეშე.

- № (აბუსერი? 950 წლის ხსლო ხანებს: ის. ჩემი „ქრონიკ.“ I, გვ. 126).
- № (ბრიგოლ აბუსერიძე 990 წლის ხსლო ხანებს: ის. ჩემი „ქრონიკება“ I, 126).
- № (ივანე აბუსერი არტანუჯის ერისთავი? 1027 წ.: ქ-ცხ. I, გვ. 220).
- № (აბუსერი, „ხიხათა ერისთავი და არტანუჯის: 1050 წ.: ქ-ცხ. I, 225).
- № (ბრიგოლ; ქ-ცხ. I, 226, 1051 წ.).

ისიამე, დეოფალ-დეოფალი †	№ (აბუსერი? 1089—1125 წ.).
--------------------------	----------------------------

№ (აბუსერი? 1089—1125 წ.).

ევი გრიგოლ †; (1125—1156 წ.?) მისი ცოლი სუჰამა.	აგუტინ †	გუარი †
-------------------------------------------------------	----------	---------

ევი აბუსერი †; ცოლი მისი ბა- ლიანდი (1156—1184 წ.) ამბუ- სერემ და სანანომ მტრებს წაარ- თვეს ხისა (ცისე).	სანანო (ასოკანი) † უცოლო.
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------

ევი გრიგოლ † (ახ. კიდეკ ქცხოვ. 322, 1203 წ.?)	ევი ივანე †; თურქ- თაგან მოკლულა (მა- სიანის ომში?); ცოლი მისი ხათუნა (მოლოზ- ნობაში ეკატერინე).	ფოტინე †	საგდუსტი †
-----------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------	------------

ტბელი, მწერალი „მი- ლისპირისა“ და ისტო- რიულ წერილისა 1233 წ. ცოლი მისი ბაგულ, მეორედ აღმასწავლებელი ხისას წაგის ეკლე- სიასა.	ევი აბუსერი, ცოლი მისი დი- ოფალი თამარ †; მეორე მისი ცო- ლი — დიოფალი კახას †	ევი პარ- დიან, ცო- ლი მისი სა- ზი.	კანენი დი- ოფალი, დი- ოფალი, იოანე მას- რებელის; ეკ- ლეკიას მას- მესელები.	საგდუსტი ცაცა.						
<table border="1"> <tr> <td>რაქსუდანი.</td> <td>მაცქრია.</td> <td>ივანე.</td> <td>ონიფორე.</td> <td>დსირონი.</td> <td>ოიი ქალი, მკვდარი.</td> </tr> </table>	რაქსუდანი.	მაცქრია.	ივანე.	ონიფორე.	დსირონი.	ოიი ქალი, მკვდარი.	გრიგოლ (თამარის- გან).	სათუნ (ქალი)	ივანი (ქალი)	
რაქსუდანი.	მაცქრია.	ივანე.	ონიფორე.	დსირონი.	ოიი ქალი, მკვდარი.					

1236 წ.— „ქორონიკონსა :უ63: დასაბამითზან :ხჳმ: აჲა ღ•თ (დავით) მთხედ დაჴდა, ძი რუსუდანინი (აფხაზთა ქრონიკა).

დავით, ძე რუსუდანისა, მეფედ კურთხა „წლისა კითარ ქექსისა“ (ქ.ცხ. I, 356, Hist. G. I, 508); მასასადაჲე ის დაბადებულა 1230 წ., დაქორწინება რუსუდანი-სი „ორტულაშვილთან“ ანუ იკონიის სულტნის უილიჴო-არსლან III-ის შვილთან მოგიდ-ედინთან მოსდა „ორის (ანუ სამის) წლის შემდეგ“ ლაშას სიკედილისა (ქ.ცხ. I, 351; Hist. G. I, 500—1), ე. ი. 1225 ანუ 1226 წელს; თამარ უნდა და-ბადებულეიყოს რუსუდანისაგან 1226 ანუ 1227 წელს, და მასასადაჲე 1228 წელს თამარ ერთის ან ორის წლისა მიუთხოუბათ გაათო-ედდინ ქაისოსრო II-ს თვის (იგივე უასიდან), იკონიის სულტნისა, რომელიც იყო ბიძაშვილის-შვილი იმ რაქ-ედანისა, რომელიც დაამარცხა თამარ-მეფემ ზასიანის ომში 1203 წ. (Hist. G. I, 500, n. 3). ამ ნაირად, ზემოხსენებული ცნობა „აფხაზთა ქრონიკისა“ გუაძღვეს მტკიცე ქრონოლოგიურს ცნობებს, რომელნიც დიდად განირჩევიან ვახუშტის ქრო-ნოლოგიისაგან და თვალსაწიოდ უახლოვდებათ ბროსსისას. — ამ ნაირადვე მისდგეს სსჲა ქრონოლოგიაც რუსუდანის მეფობისა: გარნისის ომი 1225 წ.; ქ.ცხბით, სამის წლით შემდეგ ლაშას სიკედილისა (ქ.ცხ. I, 349; Hist. G. 500, n. 1), რაიც სრულიად ეთანსშება სტეფანოს ორბელიანის ცნობას (Et. Orbelian: „Hist. de la Sioumie Brosset p. 226; თფილისის აღება ჴალ-ედდინისაგან 9 მაისს 1226 წ. და მეორედ აღება თფილისისა 1229 წ. Hist. G. I, 505; 508); აიანა ათაბაგის მსარგრძე-ლის და ჩინეისხანის სიკედილი 1227 წ. (Et. Orbelian, p. 225; Hist. G. I, 521, n. 9); ავაგის სიკედილი მე-23 წელს შემდეგ აიანეს მიტეალებისა, ე. ი. 1260 წ. (Et. Orbel. p. 225; 232; Addit. 362); — ჴალ-ედდინისაგან საქართველოს აოსრება 1224—1231 წ. („შოჲდს წელს“. იხ. ქ.ცხ. I, 355; 349 Et. Orb. p. 227; Hist. G. 507; h. 2; 509; n. 4); მონგოლების მეორედ მობრუნება განძაში 1230 წ. Hist. G. I, 511); ხლოო ჴართლში 1238 წ. (Hist. G. I, 513, n. 1); — ჴალ-ედდინის მოკლჲა მონგოლთაგან სეკედ. 1231 (Et. Orb. H. G. p. 511); შიდი-წლოკანი ბრძოლა აღმუთლებთაბ—1245—1252 წ. (ქ.ცხ. I, 382, 371—5).

1245 წ.— „ქორონიკონსა :უ64: დასაბამითზან :ხჳმთ: აჲა რუსუ-დან მჲქდა (მოკვდა) და მასჳმ წელსა ღ•თ (დავით) ბამოვიდა“ (აფხაზთა ქრონიკა).

ორივე ცნობა ამ ქრონიკისა ახალია და მართალი. ვახუშტის ცნობით და ქ.ცხბით (I, 371) რუსუდან მოკვდა 1231 წ. მაგრამ ეს ქორონიკონი რომ მერვა შუტანილი (XVIII საუკე), ეს ცხადია იქიდან, რომ იგი არ იშოკება მართამ დედოფ-ლის ხელნაწერ ჴართლის ცხოვრებაში (წერა-კითხ. ხელნაწ. № 30) და მსოლად XVIII საუკუენში დაწერილს უკელა ქ.ცხბაში იშოკება: 1231 წელს გაზდაიცილა ჴალ-ედდინ, მამინ მჲყრობელი ჴართლისა და არა რუსუდან, რუსუდანის წერილი

პაპის კრიგოლისადმი 1240 წლის თარიღით ცხადი საბუთის იმისი, რომ ამ დროს ის ცოცხალი იყო. ბროსსეს აზრით რუსუდან მოკვდა 1248—1249 წლებში (Hist. G. 528, n. 5; Addit. 305; Et. Orbel. „Hist. de la Siounie p. 235—6); ხოლო ჩამოინახით. — 1247 წ., რაიფა უფრო უახლოვდება ჩვენის ქრონიკის ტექნიკის ცნობას.

რადგან უახლან ან გაათ-ედღის დამარცხდა 1243 წ., რომელსაც შეუდგა რუსუდანის დამორჩილება და მისას შეიღის მონგოლებთან გაგზავნა, აქედამ საგულისხმია ნარინის მონგოლეთში გაგზავნა 1243 წლის დასასრულს (Hist. G. I, 522, n. 3), ხოლო მისი შეფად აღიარება მონგოლთაგან 1244 წ. (ibid. 528, n. 2). — ლაშას მის უფუ-დავითის გამოსვლა ჩვენის ქრონიკით მოხდა 2245 წ., რუსუდანის გადაცვალებისას; თემცა-ვი მისი განთავისუფლება შედეგი არ ყოფილა რუსუდანის სიკვდილისა (ქ-ცხ. I, 377). რადგან ლაშას შემ დავითმა ხუთი წელი დაყოფა ორმოში, ამისგამო შირველად მისი ორმოში ჩაგდება იქნებოდა 1240 წ. (ქ-ცხ. I, 369; 370); ხოლო ზღვაში ჩაგდება მისი ორის წლის წინეთ 1238—9 წელს (ქ-ცხ. I, 267—8; 377); მისი შირველად გაგზავნა უახლანთონ ყოფილა დავითნარინის გამეფების წელს, ე. ი. ჩვენის ქრონიკით 1236 წ. (ქ-ცხ. I, 356; 366); — გათხოვება რუსუდანის ქალისა — 1237—8 წ. რადგან 1246 წელს ლაშას შემ დავით დაესწრო გააქმის ტახტზე ასვლის დღესასწაულს, ამისგამო მისი მონგოლეთში გამგზავნება ყოფილა იმავე 1245 წ., როდესაც იგი განთავისუფლდა (შეად. ბროსსეს ანგარიშები: Hist. G. I, 537, n. 1—2). რადგან დავით-ნარინმა ხატაეთს (მონგოლეთში). ხუთი წელი დაჭყო (ქ-ცხ. I, 378), ამისგამო ორისავე დავითის საქართველოში დაბრუნება მოდის 1247—8 წელს (Hist. G. I, 542—3; ქ-ცხ. I, 380—1).

1236 - 1248 წ. — სინოდ. კანტორის სიგელი № 39.

ეს სიგელი (სიგრძით ერთი არშინი, ხოლო სიგანი 5 1/2, კერძოკი) დაწერილია ტყეპუკე, მხედრულად, მე-XIII საუკ. ხელით, ხელაწერად, შელანი გადასულია და ტექსტი სიგელისა მღვივლა ივითება, ხოლო რამდენიმე ნაწილი სრულიად კერ გამოცნობება. გარდა ამისა სიგელს თავი აკლია. — ამ სიგელში მოხსენებულია დემეტრე მემღვიმე, რომელიც სურამელის კრიგოლის და კრის ნიკოლოზის დროს სხანან ამას ქვემო დაბეჭდელს სინ. კანტ. გუჟარში № 34, ხოლო ეს შირინ სცხოვრობდენ 1236—1248 წლის ახლო-ხანებში. გარდა ამისა ამ გუჟარში მოხსენებულია „ხუარაზმელთაგან (ე. ა. ჟალ-ედინისაგან) მორბევა“ ქართლისა, რაიფა იუფ 1225—1230 წლებში (Hist. G. I, 500; Et, Orbelian „Hist. de la Siounie, p. 226, ბროსსეს გამოცემით).

1) - - . . . ესე დაწერილი მე დემეტრე - - მაძამან ჩემან ნიკოლოზ და ძმთა ჩემთა იოანე და გი- დავიწერეთ - - ძმისა შენსა დნს (დანიელს?) და უ-თა მომავალთა თქუნთა, მას ეამსა ოდეს ჩინისა გამორცხულისა ანუ მთა-

კარგისკომპოსისა სამწირველო ჰ[ური]თა ჰქონებოდა დაწერით ზე მათი აღარ ვინ იყო და უკაცურობითა] და ეამთა შეშლითა სახლი და საქონებელი ყუელი დაშავებულ იყო, აწ თქუენდა მოგუიციემა მკუილრად მამულად სახლი და პური უკვადვი და (ა)გარას ორი ვენაკი მიწიანი, სხალტას ვენაკი და მიწიანი და წყლის ჰირს ვაზნი კითხვითა და] ნება-დართვითა სრულად მლუიმისა კრებულთათა ესე ყუელა [გამზრდელისა ჩნისა მისგან აშენებულისა ნათლისმცემლისა ეკლესია ზე უშენი ზე სუარაზმელთა მორბეკასა შიგა ყუელი მოიშალა და მას ეამსა ესე გამოვარჩიეთ, რომელ მლუიმეს გქონდის ჩნსა [სამწირველოსა [სახლსა] ზე [შაბათ] კუირეთა ზე დღესასწაულთა ჩნსა ეკლესიასა შიგან ლირ - - იოვანე მთავარებისკომპოსისა და ჩუენთვს კურტის (ბურჯვის?) ჯრის(?) - - თე - - ლგი-თი გაკაციილდეს ამავე საქმითა შენ გქონდეს ვენაკი და მიწიანი რლიცა სხალტას [არია]ნ ყუელანი აგარას გოგთური, გოთანო[ური], ბულახური გუთანი ერთი - - - სამი გუთანი მესხურისა მიწისაგან, გათანი არი ამას რანიცა მიწისა მეტნი აგარას, თუ ჩემისა გუარისა კაცი არ იყოს მლუიმეს, იგიცა ამავე სახლსა მისაყენებელნი არიან ბოლოდ და რაიცა რუეთს ნასყიდნი არიან იგიცა გამზრდელისა ჩემისა და ჩემგან მოგებული ყუელი საბოლოოდ ამა ეკლესიისათვის მოგუქა (მოგუენაჯავს?). აწ გიბენდიეროს ლნ ერთგულობასა შინა ჩუენსა - - მებაობასა და - - ბერსა: საბასა და მამასა შენსა და მ - - - არა არა შეგეცვალოს ჩემ დემეტრე წირკნელისაგან, არცა ძმათა, ძმისწულთა და მომავალთა ჩუენთაგან - - ამისი მოწამე არს სდ კრებული. აწ ვინცა რაისაცა მიზეზითა შეუცვალოს, ჰრისხავსმცა ლთი დაუსაბამოი. . . (წუქავა:.. ) და მის მთავარ(ებისკომპოსის) იოვანეს ჯუართა: და მადლითა და ვინ დაამტკიცოს (ღნ აკურთხოს) \*.

მერე ხელმოწერილია სხვა-და-სხვა პირთაგან, მაგრამ სრულად გადასულა.

სათაური სიგელისა: „ავარული და სხალტბისა ნასყიდობისა და შეწირლობის სიგელი“ (ეს მერმინდელის ხელით).

1236 - 1257 წ. — სიბედი სინოდ. კანტ. № 34.

ეს სიგელი (სიგრძით 1<sup>1/2</sup> არშინი, სიგანით 5<sup>1/2</sup> კერძოკი) დაწერილია ტყუ-სეიდ მე-XIII საუკ. ხელით, მსუდრულად. სიგელს თავი აკლავ და რაც დარჩენილია, ისიც დატეხილია და დაზიანებულია. ამ სიგელში მოხსენებულნი არიან ისტორიულნი პირნი: 1) ეკი გრიგოლ მსახურთ-უხუცესი სურამელი (ჭცხ., I, 364—5; 377—8; 390—2), რომელიც უკანასკნელად მოხსენებულა ქცხბასში 1257 წლის ახლო-ხანებში (გვ. 390—2), 2) კათალიკოზი ნიკოლოზ, რომელიც 1246 წლის ახლო ხანებში მონგოლეთში წავიდა და ყარაყურუმიდამ მოიტანა „იერლავი“ (ოქმი) საქართველოს ეკლესიის და სამღვდლოების სახელმწიფო ხარჯთაგან თავისუფლობისა (ჭცხ. I, 380; Hist. G. I, 541—2); 1280 წლის ახლო-ხანებში ნიკოლოზ-

მს კათალიკოსობა გარდასცა აბრაამს (ქ-ცხ. 418; 415; Hist. G. I, 599). მისი წინა-მოადგილე, როგორც სჩანს, უოფილა გიორგი (იხ. ზეჟო, გვ. 93—8).

[ცხოველს მყოფელისა:.. | - - მეტყუელისათა და | - - მღრღელთმო- |  
- - - მამა ჩნთა იოანე (იწე) ბო - - | - - [მო]გაკსენეთ ჩუენ სრულიად მღუი- |  
- - მნათებან თაფაოზ და ყ - - [სუ]რამელსა გ<sup>რ</sup>დ მსახურთ უსურესი - - აღგ<sup>რ</sup>შე-  
ნენით წისქუილნი მტკუარსა ზედა სალოცველად დღეგ<sup>რ</sup> - - თქუენისა თავი-  
სა ზე იყიდეთ ჩუენგანვე ციხედიდს გლეხი ქავთარერი ნ - - - - მეწისქუილედ  
და ავიდეთ თქვენგან ფასი სრული . . . [თქვენგან აღშენებულთა წისქუილ-  
თათჳს საკაზმავედ შემოსწირე წ<sup>რ</sup>სა შიოს და მის მიერ აღშენებულსა უდაბნო-  
სა მღვმისასა სალოცველად და საკმარად სულისა თქუენისათჳს, რომელი ყ<sup>რ</sup>თა  
დღეთა და ყ<sup>რ</sup>თა ლოცვათა გილოცვიდეთ და მოგაკსენებდეთ და ვითა წ<sup>რ</sup>ისა  
ევაგრესობითგან გუქონებია უცილობელად და უწყინელად, ეგრეთვე თქუენთა  
ჩამომავალთაგან გუქონდეს და არავის საქმე უც თქუენისა სახლისა ჩამომავ-  
ალთა თუნიერ თქუენსა სულისაგან კიდე, რომელ სამსახურთა ამისთა სული  
თქუენი იკსენებოდეს წ<sup>რ</sup>ა ამას უდაბნოსა მღუიმისასა და ნუცა ვინ თქუენისა  
სახლისა ჩამომავალნი და მომავალნი შიგა დგომითა ნუკვევითა და სათხოვე-  
ლითა და სხუითა რაიმე აწყენენ და არცა რაჲ ვის საქმე უც და ვითა ციხე-  
დიდს სხუაი საქონებელი მღუიმისა არს შეუვალი, ჰაგრევე ესე ქავთარული  
თქუენგან ნასყიდი გლეხი შეუვალი იყოს თქუენისა სახლისაგან და მცხეთისა  
სახლისა ბეგარი თუით არცა რაი წინასა (წნისა—წნისი?) ზედა სდებია და ვი-  
ნაითგან თქუენითა ოქროითა თქუენისა სულისათჳს გიყიდა, არცა რა ამას  
წალმა საქმე უც მცხეთის სახლსა შესავლობად არაის თანად არა და არცა რაი  
სათათროი გამოჰვიდოდეს: მალი: ყაფჩერი: სალაშქროი: და საიამე არასთანა  
გამოიღებდენ და წისქუილთა რაცა საკაზმავეი უნდოდეს ესევე ჰკაზმიდეს და თუ  
რას წისქუილთა შიგა შეგუტდებოდეს, ჩუენ მღუიმელთაგან ეკითხვოდეს და  
ჩუენ გარდავადევედეთ და სამართალი თუ რაი იყოს ჩუენგანვე აიღებოდეს და  
წელიწადსა შიგა სამსა დღესა სამებაუსა(?) იქმოდეს და ხრილისა ნახევარი ჩუე-  
ნი იყოს და ნახევარი ამა ჩუენის მეწისქუილისა იყოს და ვინ გინდა მოფქვი  
იყოს და ფქვიდეს, მისდი ნუ ვისი. ნუ აიღების, თქუენისა სულისა სალოცვავედ  
ფქვიდეს ზე მეწისქვილე ეგ ზომისა საპატიოსა აიღებდეს რ<sup>რ</sup>უმე (სიღ) ერთსა ეყო-  
ფოდეს ზე ენკენას და წელიწადის თაჳს მემღუიმეს ძღუენსა მორათუმიდეს სამ<sup>რ</sup>-  
სა სქელსა პურსა და ერთსა კორჩხალასა ლუინოსა და სხუებ<sup>რ</sup> არაი გამოჰვა,  
რაი<sup>რ</sup> არ დაგუიწერია ამისგან მეტი; და გლეხსა არ სუხრაუბაი, არ გენდგაუბაი,  
არ მოწიგნორობაი, არ საბანჯრე, არ საკმარი და არაისთანაი არა. ვინც ესე  
თქუენგნით გაგებული შეცვალოს, შემცაიცივლების სჯულისაგან ქრისტეანე-  
თასა და ჰრისხავს - - - სული წმიდაი და კრულმცა არს ლ<sup>რ</sup>თისა პირითა. . .  
(წვევა გრძელა).

სხვა ხელა მეტად ღამაზა, მხედრული:

„...ესე ვითა... დაუწერია... დიდის მსახურებ: უმუცესის ვრიგოლ სურამელის

სალოცავად... დაუწერია... ჩუენცა გლახაკო ქეს მიერ ქართლისა (sic) კზნი ნკლოზ (ნიკოლოზ) მოწამე და დამამტკიცებელი ვარ... (წუკა-გურჯელა).

სსვა-სელით, მხედრულად: ... მე დემეტრე მოძღუარი მოწამე და თანაღამედომი ვარ... (წუკა).

სსვა სელით, მეტად ღამაზით: „ესე ვითა სურამელსა გგლს მსახურთ უბუცესს მათისა სულისათს მღვმელთა წისქვილინი აუშენნა და მღვმელთაგანვე გლეხი იყიდა მეწისქვლედ და მათვე მღვმელთა შესწირა სახელდებით ქავთარელი, მე ქეს მიერ ქსა (ქართლისა). შკსა (მთავარეპისკოპოსსა) გი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ... (წუკა).

1246 - 1250 წ. — სიგელი მფხე-ღაპით-ნარინის დროება.

გელათის გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ სიგელი № № 49 და 8978 დაწერილი წარჩინებულს ტუაჩე (ეტრატზე) გელათის დეკანოზის აკობის სელით, რომელიც სრულად ჭტაქს ზემო დაბეჭდალს თამარ მეფის მწიგნობრის აკობ აწრელისძის ნაწერს (იხ. ზემო გვ. 80), რისგამტ ჩვენ ერთ-პირად მიგვაჩნია ორსავე აღნიშნულს სიგლებში მოხსენებულნი მწერალნი, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ 1246 წელს აკობ მოდღეკნებული იქნებოდა. ამ სიგელში მოხსენებულია რამდენიმე გელათის მამულები და ხატები. ეს ერთადერთი სიგელია თ ვ ი თ ა ს ლ ი დავით-ნარინის დროისა, ჩვენს დრომდე მოღწეული და მით უმეტეს საყურადღებო. ჭკემო ჩვენ ჩაუერთაჲთ სამსა იმავე მეფის სიგელებს, რომელთა პირი (და არა თუთასრელი) ჩვენ ვიპოვეთ იმავე მონასტრის გუჯრებში.

ქ: სახელითა ლთისათა და ნებითა ყდ წმიდისა ლ[თისმშობელისა]თა | ცხოველსმყოფელისა და პატრონისა ჯუარისათა, წდათა ზეცისა ძალთათა | და ყთა წდათა ლთისათაჲთა ლთისა სწორთა პატრონთა რუსულდანის ძისა დავით | მეფეთმეფისა წყალობითა მათად სადიდებელად და სულისა ჩემისა სალოცველად მე | დიდის მონასტრისა დეკანოზმან იაკობ (ქს მწიგნობარსა თამარ მეფისა იხ. ზემო გვ. 61) ვავაჩინე ესე: პირველად ხატი მაცხოვრისა: მოკედი ბერძული, კარგი ხატი ხახულისა ლთისმშობელისაი თუალიან მარგალიტე [ბიანი მინითა, მისითა კუბოითა, ესე თვთ ხახულისა ლთისმშობელსა წე სასუენებელად მომიკნენებთან. მამული ჩემი მკულირი პატრონთაგან ბოძებული მალლას აბანოისა სახლი პირველცა სადეკანოზოდ შემექნა, თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა ხახულისა ლთისმშობლისათუის შემეწირა და აწცა ვითა მომიკნენებია, განაღამე პავრევე მას ჰმსახურებდეს: მისსა სახლს აქაით ქიჯგუს ძე :ა: ვაშაბერისძე :ა: ფარსმანყანვეს ხაკოსძე :ი: (ა?) მათითა მიწა-წყლითა, ტყითა, ველითა, სანადიროითა, საკმართა და უკმრითა ყოვლითა; სამნი პარტახნი რომელთაგან გამოსავალნია: გუჯაბური, დერუტული (დარაფცული?), ქობაული, ჯისილაური, ზარათს ლთისა სწორთაგან ჩოქითა ბოძებული ნასყიდო.

ხოელისძისეული მამული, სასახლე, ზედა ჩემი გაზდილი დავასახლე და მითურთ გლეხნი კუამლად შუილნი; არსენისძისა სახლი :ა: გოგლისძისა :ა: ტირილიუსძისა :ა: ლილუსძისა :ა: ჯუაროსა :ა: ჯაპლოისძისა :ა: ეკლესიითა, ტყითა, ველითა, წისქულითა, სანადიროითა, საკმრითა ზე უკმრითა ყუელითა. არგუეთს ზენსკანდეს (ჟენასკანდეს?) ნასყიდსა მამულსა ზედა მემშუილდე დავასახლე კუამლად :ა: ტყირბულს: ბოგუერაისძე ხუცესი აღბულოისაგან მისსა (აჟ გადაჟუბუჯდა მეორე ტყავის ფურცელი), პირველად კარგად ყოფასა შიგა მოცემული. მონაზონთაგან არ ვითამე ვაჟს, მაგრა მიზეზი იყო ჩემსა და მას შუა შეუყრელობისაი და შესაყრელად მომცა კელმოკსნით სანნი გლეხნი ნასყიდნი რაჟას, ქორთას, ლეთუსძე, მიქისძე ზე დათუსძე; ორნი მუხურს: ეთქისძე და ბერნისძე. ამით ყუელათა გლეხთაგან სხუასა ბეგარასა აჟიით ოცდა ოთხი ლიტრა ცუილი (ცუდი) გამოვალს. ზარათელთა გლეხთა გამოჰვალს მონასტრულითა დიდითა კოკითა თურამეტი კოკაი ლუინი ზე :ა: გრივი ქურამი (?). მალააკელთა ზე ფარსმანყანველთა გლეხთაგან გამოვალს სამი ურემი ლუინი უბარტახტოდ და ტყისაგან მოდი რა:ცლა მოვალს: იჟელი, ფეტვი ზე ლომი ზე ამით ჯუმლათა(?) ოთხოთხი თეთრი საყაჟობოი ზედა აც. — ამას ჩემგან სასოებით ქმნილსა ზე ხახულინსა ლთისმშობლისათუის მკუსენებულსა ზე შეწირულსა ლთისა სწორისა მეფეთმეფისა დავითის სადიდებელად და ჩემ მიწისა მათისა დეკანოზისა იაკობის სალოკავად და სალაპედ გაჩენილსა ვინც ამასად შლად ეელყოს გინდა დიდებისა მქონებელმან, ანუ დიდებულმან ზე აზნაურმან, პრისხავსმცა მამაი, ძე და სული წა, ესე ყდ წა ლთისმშობელი ხახულინსა, . . . . (ბოლო აქვია. მეორე მხარე ეტრატისა ცალაურია და მსოფოდ მე-XVI ხაჟუჟინის სელთ სურენის წარწერა აჟას: „სიგელი: ჟაჟ: მეფეთმეფისა დთ: აღმსუენებელისა:?)

**1230 – 1250 წ.** ამ წლებს ეკუთნის ქვემო დაბეჭდბლი წარწერება სობის ზ მარტკელის სატებისა, რომელშიც მოხსენიებულინი არიან ისტორიულნი პირნი XIII საუკუნისანი:

ა) სობის დეოისმშობლს სატის ზურგზე ასომთავრული წარწერა:

1) „მშობელიო სიტყვსა ლთისაო, ყდ წო ლთისმშობელიო, აღიდე შენ-მეფრითა დიდებითა ლთივ გვრგვინოსანი ძილიერ (sic) და უძლეველი მეფეთა-მეფე დავით, ძე რუსუდანიისი. ზ ყდ წო ლთისმშობელიო დედოფალო, შემწე და მეობ და მფარველ ყეჟ გულს-მოდგინედ მამკობსა წისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ე(რისსაჟო)ერისთავსა მანდატურთ უხუცესსა ბედანსა და დინანსა და დიოფალ-დიოფალსა (sic) ხეაშაქსა, რომლისა, შემოწირვითა მოიქვდა ზურგი ესე“ (ხეაშაქი, ასული ბეგა სურამელისა და ცოლი ბედასისა, ის. ქვემო).

ამაჟე სატის პირზე ძველის X საუკ. ასომთავრულით წარწერილია მოხსენება სულისა ლეონ მეფისა, რომელიც როგორც უკვე განვამარტეთ, იყო აზნაზთა მეფე („ქრონიკები“, წ. I, გვ. 90 — 1).

ამჟე მაცხოვრის დიდს სატზე ასომთავრული წარწერა:

2) „ყოველთა ღმერთო, ქტისტე, ღთისა სიტყუაო, კაცთა ცხოვნება და მოწყალებათა კაც ქმნილო, შენისა ხატისა სურვილით მამკობელი კახაბერის-ძეთა ასული თეონილა, ზვიადის დედა, მარჯვენით შენსა ღვთამდ ღირს მყავ სასუფეველსა შენსა. ან“.

და ზედეკი, ოდნავ გარჩეულის ხელით:

3) და აწ მოწყალებითა შენითა მყოფთა, პატრონთა დადიანისა სახლი-სათა ნათელს (ნათელას) შეუნდვენ და იასენ ყოველთა განსაცდელთაგან, და მასვე პირველ (პლ) შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნაწილსა თანა მარ-ჯვენით შენსა მღვდომელ (დგომად?) დააწესე იგი და ძე მათი : ვნ: (ვარდან) და-დიანი (და) მანდატურთ უხუცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი ბეგისა ქართლისა ერისთვის ასული ხვაშაქი და ძენი მათნი: ერაშაზრი, გ'ი (გეორგი) და ივანე მსგავსად მოწყალეებისა შენისა დაიცვენ ყოველთა საწებელთა სუ-ლიერთა და კორციელთაგან და ყოველნი ჟამნი ცხოვრებისა მათისანი წარვა-მართენ (წარუმართუნ?) სათნოდ ღმრთაებისა შენისა ცხოვრებულთა. ქე, ძეო მღრთისაო, და - - მრთებისა (წარმართების?) მისისა (ქვემოთა, მოშორებით) და განმახლებელსაცა შენისასა ბერსა ათანასიას შეუნდვენ. —

ამას ხატსა ზედა იყო ორას ოცი ვეცხლი; აწ რვაასი ვეცხლი; ოთხმოც-და-ათი ოქროი ღრამისა წონაი“. (ეს წარწერები იხ. Rap. VII, 40—8).

4) მეორე ღვთისმშობლის ხატზე, ასომთავრულად:

„სამ-მნათობიერსა ერთ-არსისა და სამთავან ერთ-არსისა, შენ-შორის შე-წერილ-ქმნით კორც-შესმით კაც-ქმნილისა სძალო, ქალწულ-დღეაო ქმნადთა-მიერ ჩემთა აქაცა დასჯილი და ბრალთაგან დანთქმული, საუკუნოდ უღირსი შენდობისა ხვაშაქი უნდოთა ამით წვლილთა წილ ვითხოვ, რათა არა შორ მყო შეწვევნისაგან შენისა სასჯელსა ძისა შენისა მიერსა“.

5) ხოფის სამსრეთის კედელზე შიგნდამ დასავლეთ-სამსრეთის კუთხეში და-ხატულია გაცი გრძელის და ჭრელ ტანისამოსით წვერ-ულგაშანსა და ძვირფასად შემუყელის ქუდიით: ამის გვერდზე გამოსახულია ქალი და მათ შუა ემსწავლი 8—10 წლისა. ამ ნასატეს აწერია ასომთავრულად: „ერისთავთ-ერისთავი შერგილ და-დიანი. დედოფალთ-დედოფალი ნათ[ელა]. ძე ამათი ცოტენ“. (ამ პირთაგან ქცხსაში ცნობილია მხოლოდ ცოტენ, დიდად შესანიშნავი გიორი XIII საუკ. 1245—1250 წლებში: ქ-ცხ. გვ. 364—5; 371—2).

ესეუ შეკვიდ და მეუღლე მისი დედოფალი ნათელ მოსხენებულნი არიან შა-ტარა მცხეთარის ხატის წარწერაში, რომელშიც ჩანს მუღა: თამარ-მეფის: გულ-საკი-დი ჟვარი (იხ. „ქრონიკეა“ I, გვ. 268—9). შემო მოსხენებული კედლის მხატრო-ბა და წარწერაც ვერ შეუნიშნავს ავადემიკოსს ბროსსს და ვერც უკანასკნელი წარ-წერა აღმოუგითხვს სრულად, სოლო თამარ-მეფის გულზე-საკიდი ჟვარიც მისის წარწერებით ერთ აღწერელი დაჩენია, Rap., 40—48). ეს გარემოება ვკვნიდა ჩვენ სხ-ხეში, როდესაც ამის შეკესებით („ქრონიკეა“ I, 268—9), და არა „ბროსსს შრო-მის დაძვირება“, როგორც უსამართლოდ გაპარადა ჩვენ ბ-ნ ს. დოდოპერიძემ (იხ.

მისი თარგმანი ბროსისეს ისტორიისა). ბროსისეს სასულად (სვენი-ვი სირცხვილად) ისიც ეუფა, რომ მან, ფრანცუზმან (ღ არა ქართველს) ამ საუფუნეში ჰირველმა სული მოჰქვიდა და ზურბელის შრომით ნათელი მოჰქვიან სვენი სასულაჲს ისტორიას, რომელიც უკლაზუდ შემეტესად მივაწებულა და გზობილი (როგორც უოკელივე ქართული) სვენი წინანდელის გადაკარბეულის უგულ-უსულა-უიჯალა ვითომ-და ინტელიგენციასკან, რომელთაც უოკელივე უნსოეთური შეუქენ-შეუთესებათ, გადდა თვისის ერას და კრონოსობის სიუკარულისა. უოკელს კეთილს და სარტფიალის უსათუოდ თან-მისდევს ნაკლულებსკან, როგორც ბროსისეს ნამომსნაც; და სვენი (თუ სხვისგან) ნასვენიბი თითო-ორთა ნაკლი მისს სახელს კერ დაამდბლებს და კერც სამშობლო ისტორიას არას ანებს. ბროსისეს რომ კერ ამოჰეთხავს სარტყე სახელი ნათელასი, შერგილის ცოლისა, არც კედლის წარწერაში სასულეა შერგილ-ცოტენ-ნათელასი, ეს კერ დაამდბლებს მასს შრომას, რადგან მგზავის აჯალად დასწება ბევრ რამ შეუნიშნავი, და უთუოდ სვენიც ბევრ რამ შეუნიშნავი დაგვჩნებოდა.

6) ამავე ტომის წინა-სვეტებზე დასატუენი არიან ორნი მღვდელ-მთავარნი წარწერით; „კ“ზი ილარიონ“; „კ“ზი ნიკოლოზ“.

7) მარტვილის ძეგლის დკთის-მშობლის სარტყე, რომელიც გაუფუჭება საბინ-დუსს მსატკარს, აქვს ზურგზე შემდეგი ასომთავრული წარწერა, ფრად დაღიანებული გადამკეთებელისგან:

--- მამასა დ'თისა სულით წმიდით --- არსებით არს ქმნილს --- მცირეთა ნივთთა მომძლუნე აღსამკობად უღუ: ლელა: ზე შვერდომით მოიკისენე მათთვის, რომელი საწუთროსა ლხინ ჰყუნენ ჩემთვის შევილითურთ ზეადი და გიორგი იოხენ დედოფალა.

აქ მოხსენებულნი უადუ, ლელა, ზეადი და გიორგი უნდა იყვნენ ძველი დადაიანე XI საუკე.

8) იქვე: „ჩ“ზ უბიწოო დ'თის მშობელი ქალწული ოდიკტრისაო, ბრწინვალიო სახეო, მოქენე ესე შენდამი წყალობისა ახლად მამკობელი კნინთა მიერ უღირსი მანდატურთ-უხუცესი ბქედანი დადიანი და მეუღლე (მისი) ვითხოვე მე უღირსი ხეშაქი, ქართლის ერისთავისა (ბეგასი) ასული ძითურთ გიორგით და ივანეთ, გვიოხენ ყდ უხრწნლო, რაჲმს დაჯდეს ძე შენი განკითხვად დღესა მას საშინელსა...

9) ათანის ადაზეში, 1074 წლის ხელნაწერში, № 153, ჩაწერილია იმავე ხელთ, რომლითაც ჩაწერილია თამარ-მეფის სახსენებელი (ის, „ქრონაგები“ I, 270) „თა ივლისსა :ბ: დადება სამოსლისაჲ ყდ წ'ისა ვრაქერნას. ამას დღესა განუწესეთ ალაბი ვარდანს (დადაიანს?), კოსტანტინეს ძესა და მეუღლესა მისსა მარიამს ზე შვილსა მისსა გიორგის: მოსცეს ეკლესიასა პ'ჲჲ (პერპერაჲ) :ოა: ზე სამი ზოლო ორხაოა... (გარდაისდიდენ) ვითარცა შემომწირველთათვის, რომელთაჲ შემოუწირავს :პ: დრაჰკანი“. — თამარ-მეფის დროს მართლა სხანს ვარდან დადაიანი (ქ.ნ. I, 269; 276- 281); დადაიანების უმთავრესი სატი იყო კლავქერნი-

სა (ბედიას) ღვიძისმშობელი, რომლის დღესასწაულის დღე განგებ ღაზად განუწყესებათ კარდანიისთვის, აღბათ, როგორც დადანიისთვის.

10) ცატარის „Каталогъ рус. книгъ Синайскаго монастыря“ № 53-ში ჩაწერილი შემდეგი აღბა: „მოხსენებისათვის და განხვეწებისათვის დალიანისა ბერგლისა შს ღწ. მისსა მეუღლესა ნათელს შს ღწ.“.—ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს წარწერა შეცვლილად აღმოვაჩინოთ: „ბერგლის“ მაგიერ ეწერებოდა იქ შერგილ, რომლის ცოლი, როგორც უკვე დაგამტკიცეთ, მართლა ნათელა ერქვა.— შერგილ დადიანი მოხსენებულთა მარტვილის სეთისმშობლის ხატის წინ გაკეთებულს მარმარილოს ჩარდახის წარწერაში.

ამ სინოდ, ზემო მოხსენებულ წარწერებში ასახლს ცნობებს გვაძლევს დადიანთა შესახებ: უდუ (და ცოლი მისი) ლელა უნდა ეკუთნოდენ ბაგრატ III დროს; თეონილა კახაბერძენის ასული (წარწერა № 2 კახაბერი X—XI სს. უკ. იხ. ზემო გვ. 44, შენიშ.) უნდა იყოს პირველი ცოლი უდუსი ჭ დედა ზედადისი (ლელასიგან უნდა იყოს ნაშობი გიორგი); ზედადისი სინანის გიორგი I-ის მეფობაში (ჩემი «ქრონიკები» I, გვ. 156); ივანე დადიანი—ბაგრატ IV-ის მეფობაში (ქ.ცხ. I, 225); კოსტანტინე— დიმიტრი I-ის და გიორგი II-ის დროს (წარწ. № 9); შანშე— გიორგი III-ის დროს; კარდარ და ცოლი მისი აღმარაში და იქ მისი გიორგი (კოსტანტინეს ძე: № 9)— თამარ-მეფის დროს; შერგილ და ცოლი ნათელა— ღაზის დროს (წარწ. № №: 3; 5; 10); ამათი შვილი ცოტნე— რუსუდანიის დროს და ცოტნეს შვიდეგ უნდა ყოფილიყვნენ ბედიან-დადიანი ჟუანშერის ძე (ქ.ცხ. I, 392; Hist. de la G. I; p. 560); ბედიანის ცოლი სეუშაქი, სურამელ ერისთვის ბუგას ასული (წარწ. № №: 3; 7; 4)— დაკითხვარის დროს; — ამათის ძენი: ერმაჯრ (№ 3), გიორგი და ივანე (№ №: 3; 7). ეს ის გიორგი უნდა იყოს, რომელიც დადიანად დასვა გიორგი-ბრწყინვალე, † 1323 წ.

ეს ცნობები დიდად სწვლის და აქებს ბრძოლის გენიალოგიას (Hist. de la G. I, 560; 546; 385; 646 Kap. VII, 44): შემდეგის დროს დადიანება ცნობილი არიან.

### 1259 წ. რაქონის სინოდი.

სინოდ. კანტარის საბუთებში დაცულთა მხედრულად ნაწერი ტყეპის გრანული № 46 (ხვა № №: 2, 4), სიგარით 9 არშინი და სიგანით 5 1/2 კერძოკი. სიგელს თავი მოკლეკალი აქვს და გაერდებიც აქა-იქ მოცრცნილი. რამდენიმე ნაწილი სიგლისა ჩვენ აღვაჯგინეთ ახრთა მიმდინარეობით და დიდს ფრანხილებში ჩავსვათ, სოლო სხვა აღვაჯგინეთ იმავე საბუთებში დაცულისა მე-XVII საუკუნის სელით. დაწერილ მისის პირითა № 485, რომელიც (პირი გურჯისა და არა თუთ ასლი) ბრძოლისაგ უნახავს და მისი ფრანგული თარგმანი შეუტანია თვისს Hist. de la G. II, II, გვ. 452—9. სიგელში მოხსენებულნი არიან უმეტესი ნაწილი იმ-დროის ისტორიულ პირთა, რომელნიც დასახლებულნი არიან ქ. ცხოვრებაში, და მათის სხვაგვარის სელის წარწერით დამტკიცებულთა სიგელი.

სიგელი მიუცა მეჭურჭლეთ უხუცესს კახა თორელს ანუ ახალ-ქალაქის კრი-  
სთავს (მოხსენებულს ქ.-ცხოვრებაში I, გვ. 390—2, 1257 წლის ახლო-სახეში და  
გვ. 408) რკონის მონასტრისათვის, რომელიც ექლა დაწვეულია და მისი ნაშთი  
კახას სურათითურთ ჟერ-კადე იზოგება ახალ-ციხის ახლოს (ახ. კახუშტის გეოგ-  
რაფია, გვ. 198 და რუკა № 2, სადაც რკონი შეცდომით დასახელებულია „რკო-  
ნი“-დ).

სიგელი დაწერილია შემდეგ კახს დაბრუნების ბაღდადის დაშრობითგან, ე.  
ი. შემდეგ 1258 წლისა, როდესაც ქართველ-მონგოლთა დაშქარმა ბაღდადი „გატე-  
სეს“ და დაიჭირეს (ქ ცხ. I, 385 Hist. Gé. II, II, გვ. 549, ი. 5). ამის გამო სი-  
გელი უნდა დაწერილიყოს 1259 წლის ახლო-სახეში.

შინაარსი სიგელის მრავალ-მნიშვნოვანია და ამის გამო შეუმოკლებლად კბეჭ-  
დავთ.

[მადლითა და წყალობითა დადებულისა და ყ-დ ქებულისა ღ-თის | მშო-  
ბელისათა და უპეტეს | ლ - - - | - - - ა დიდება (და) მეოხებითა ყოველთა  
წმიდათათა | - - - რომელთა აჩუენეს ს - - - | დითა და განეკუთნენს - - |  
(უ)ღ-თა - - თათა რომელნი სა - - | და სათნო - - ღთისა ჩუენისად - - |  
(ც)ათა და - - - ესე დაწერილი [დაგიწერეთ და მოგაკენეთ] | თქუენ [რკონ]ისა  
ღთის|მშობელსა: სას|ოსა და მფარველსა ჩუენსა მე | კახამან და (თანამეცხედ-  
რებან ჩემან <sup>1</sup>) სათათამას: შვილი არ გუეს|ვა და ვიყიდეთ (სოფელი) ხოვლე  
თქუენ|თვს მემამულეთა აღბულასგან <sup>2</sup>): და მისთ|ა შვილთაგან გას|ყი-  
დულნი ვითა | თითი დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგუსმანან | [ორ-  
ტალთა] <sup>3</sup>) ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ: მ|ათ ჟამთა დია |  
ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან ოქრომ ძური|ად | [იყვის და] სოფელი:  
იფეად <sup>4</sup>): პატრონმა მამამან ჩემმა ეზამი მამული დამ|იგლო რომე თუმცა | სხუა  
რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა: ესეც: კელ|მეწიფებოდა | მაგრა თუ  
შვილი მომეცემის მას არ ვემართლები: და [თუ შვილი არ მომეცემის: ჩემთა:  
ძმათა არ უზმიდი: და ჩემგან: ნასყიდი: უკეთე [დაგრჩებოდა.— მას ჟამსა ოდეს]  
ბაღდადი გატეხეს თათართა <sup>5</sup>): პატრონ|მან აფხაზთა მეფემან ულაოს <sup>6</sup>): წი-

<sup>1</sup>) მცირე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩვენგან დაბეჭდულია.

<sup>2</sup>) შეიძლება ეს აღბულა იყოს დავით-ნარინის სიგელში მოხსენებული აღბუ-  
ლო (ახ. წგომ, გვ. 129).

<sup>3</sup>) იარტალი ბროსისე განმარტებით არის „მოკაჭრეთა საზოგადოება“ (Hist  
G. II, II, p. 452. n. 4). საბას ლექსიკონით კი „ჭროართკე არს მეფეთა მინა-  
წერი ბრძანება, შეუცვლელი“ (ახ. სიტყვა „წერილი“).

<sup>4</sup>) ქ.-ცხბაც (გვ. 386) ამას ეთანხმება, რომ 1254 წ. მონგოლებმა დიდი  
ხარკი დაადეს საქართველოს. ახ. აგრეთვე სტეფანოსის Hist. Siounie.

<sup>5</sup>) ეს მოხდა 1258 წ.; ქართველნი პირველნი შევიდნენ ბაღდადს და ფრად  
გამიდარდნენ (ქ. ცხ. I, 385—6) „ბაღდადს ნაშოვნის ფულით“ მრავალი ეკლესიე-

ნაშე გამგზავნა: მოციქულად: მაშინ ბაღ[დადური ა]||ლაფი ყუელაჲ: იფვად იყო და მე არა მქონდა: სასყიდელი: წავიდი ორტალთაგან ლარი ჭ თეთრი ავიღი: ვიარებოდი: და ვიყიდი თულსა | მარგალიტსა: და ზარქჳსა<sup>7)</sup>: ორტალთა: მათი: კეთავე მივსცი და მე შიგა | ეზომი დამჩხა: შენთა წყალობითა: რომე ხოვლისა ფასი მითა: მოვიგე: და | ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისგან: ნახევარი: და ნახევარი | ჰასან: სუმბატისძისა სომეხისაგან: და იოსებ ბულბუღაისძისა: ჰურიისაგან: მათ სამოცდა ხუთი ათას თეთრად ეყიდა: აღბულასგან: და მისთა შვილთაგან | ვითა: დაწერილთა: შიგა: სწერია: და აწ მე მივეც: ფასი: სრული: და ჰასრე მიმქირდა იმისსა: სყიდასა: შიგა: რომე ზოგი: მათ მომსყიდელთა: წამილიან: იფვად: რაიც ხუთი ათას თეთრად: ღირდის ორ ათასად: ძლივ დავაქირვინი: და ზოგი: სხუაგან: დიდებულთა ზედა: გავყიდი: რაიც ათი ათას თეთრად: ღირდის: ხუთი ათასად: ძლივ: გავყიდი: და ვგრე: გარდავეც: ყუელაი: და არა ვისი: წამიგია: ამას შიგა: რომე ასი ცხუარი: და ექუსასი: თეთრი: პატრონმა: მამამ ჩემმა: მიბოძა: და მისთუეს: მწირველი | გამიჩენია: მისითა: წყალობითა: დია მქონდა: მაგრა: ამის მეტი: არა წამიგია და ჩემთუის: სიკეთისათუის: ხუთასი: თეთრი: ბიძამ: ჩემმა: მამობა: და | ერთნი: ჯუბაჩანი<sup>8)</sup>: სამხადავლა: სხუი: არაი ვისი მომიკმარებია ხოვლის ფასს: შიგა: არც მამეულისა არც დედულისა: არც [სხუა] | რა გუარისაი: ამა შემოწერილთა: მადღმან: ჭ მან დღემა: რომლისა | - თუის: შემოგუიწირავს და არამად შემოგუიწირავს: თუ შვილი | არ გვეისო: თუ მოგვეცეს ვგრეც: თქუნდა: მოგუესენებია: ჩემის სულისათეს: მიყიდა: და არავის: საქმე უც: | ხოვლეს: გუერდით: [არცა] შვილსა: და არც: ძმასა: და თუ შვილი: | მომეცეს: და ერთიც: სოფელი: არლა ქონდეს: და გამოძებულიც სით მოვიღოდეს: დასაქირავად: ანუ მოქსაკმარებლად: ში: გაც ვერ გაიაროს: და თუ ტყუედაც ვინ ჯდეს: ჩემის გუარის | კაცი: მითა: ნუ იქსნების: და თუ ღმერთი (ღთი) შეგუერისხოდეს და აფხაზთა მეფეთა არაი: | შეცოდებია: შემოუვიდეს: თუ მონასტერს: და საფლავთა: დათხრას: ემარ | თლბოდეს: ხოვლეს: ნურაი მაშინ კელი მიჰყოს: ღმერთმან (ღთმან): მას აფხაზთა მეფეს | ჰკითხოს: ამას ყოფასა: და მას საუკუნეს: და თუ მე რაი: შემეცოდოს: თუ ცოცხალი | ვიყო: ცოცხალს გარდამაქდეინონ: და თუ აღარ ცოცხალ ვიყო: ჩემნი ძუალნი: ძალთა: მიუყარენ: და სხუითა მამულითა გარდამაქდეინონ: ხოვლესთან | ნურცა რაი: ვგრე: საქმე უც: ჭ რა გინდა ვალი:

ბი აუშენსბიათ და განუახლებიათ ქართველთა (ის. ჭეკო გუჯ. აბულეთის ბეთ. №).

<sup>6)</sup> ულახო ანუ ულაო იყო მეფე მონგოლთა 1250—1264, ასიას მმართველი (ქ.ცხ. 379—391).

<sup>7)</sup> ზარქჳსი — ოქრო-ვერცხლეული, „სირმასა და მესირმესა ჭჭეია“ (სახა)

<sup>8)</sup> ჯუბანი: ის. ზემო გვ. 44—49.

ანუ დაქირება: დაემართოს: ჩემსა გუარის: კაცსა: ვითა: გიშელთა: და ფანასკერ-  
ტელთა: მამულსა თანა <sup>9)</sup>: არაი საქმე უც: ეგრევე ხოვლესთანა არაი საქმე ედვას:  
ღ თუ ბერთა: არა სწადდეს: ვერცა ვინ ერთი ღამე გაათნოს: შიგა ღნ უც ვინ: იკუე-  
ბის შიგა რაიზომ გინდა ვინ: მორკმული ღ მძლავრ: იყოს: ანუ ბედითი: ღ დავარ-  
დნით: მოგუიკანებია: სოფელი ხო|ვლე ზურითა, ხოდაბუნითა: ტყითა: ვე-  
ლითა: წყლითა: წისქვილითა: და ყოვლითა სამართლიანითა: ზღვრითა: საკმ-  
რითა: | და უემრითა: და სოფელი სამსახურითა და ბეგრითა: ვითა მე გამიჩე-  
ნია: ორი მიწა: მეტებთა: ღ თის მშობლისა: იყო შეწირული | ბეყურეთი:  
და გორგაითი: მათ კიდე გაეყიდა: და მე ეგრეც: მეტებთა: ღ თისმშობელს:  
მოვაკენე: | ჩემის სულისათვის: მორბედის ძის მიწა: ვარძის: ღ თისმშობლი-  
სა: იყო: შეწირული: და მასვე: მოვაკენე: ხოხალისძე: და აბესაძე: კე-  
თას შეწირულნი: იყუნეს: და მასვე შევსწირენ: ესენი ბეგარს: რათაც: შეწი-  
რულნი: არიან: მუნ მიიღებდენ: ღ სამართალი: ღ მამითი განაღამცა: თქუე-  
ნივე იყო: შეწირული: ნებერი: და სიგლოსანი: ერთობ ყულელი: მიყიდა:  
ვითა: მათთა: დაწერილთა: შიგა: სწერია: და გაუჩინე: ესრე რომე: სამას სა-  
მოცდა ხუთი: დღე არს წელიწადსა: შიგა: და ამისგან: ოცდა ხუთი: დღე გა-  
მოვიღე: მარხვათა: შიგა რომე ჟამი არ იწირვის: მისთვის: და სამას ორმოცი  
თეთრი მოვიღოდეს: წელიწადსა: შიგა: ყოველთა: დღეთა: ჩემსა ეკუტერსა:  
შიგა: ჩემს: ბარძიშს და სიწმოდის: სამსახურსა: ზედა: თვითი: მოლაზონი: რიგ-  
მოღებით: ჟამსა წირვიდეს: ვისიგინდა: მწირველი იყოს: და თეთრი მიეცემო-  
დეს: თეთრი: მეეკუტრის: ჩემისა: კელსა: ეკუტერსა შიგა ღ ვისდა ეგრე მიე-  
ცემოდეს: და თუ მონასტერსაც რადმე არავინ ღირს იყოს: წირვი-  
სა: მას დღესა: თუ გართუცა შემოიყვანენ: მწირველსა: ნუ დაგუაკლებენ:  
წირვასა: და ვინც: დაგუაკლოს: ღმერთმან გამოაკლოს: სასუფეველსა მისსა:  
და ამას: ორს დღეს: ჩემთვის წირვიდენ: და ერთსა: ჩემისა ცოლის: ხათუთას-  
თვის: მერმე ვისი გინდა: ალაბი იყოს: ყოველთავე დღეთა: რაიც ტრაპეზს: დე-  
ბოდეს: მოწილე: თვითი: ღიდროანი: სეფისკუერი სამინდეს <sup>10)</sup> და თვითი:  
ღიდროანი: მოხეული: ჭიქაი: <sup>11)</sup> ჩაივლებოდეს. ჩემი მწირველი და ხათუთაისი  
ჩაურვიებდენ სეფისკურსა და ჭიქათა და ჩუენთვის შენდობასა ათქუევედენ.  
აღდგომი დღე არავისი იყო გაკვეთილი, ჩემთვის იყოს. კარგი ალაბი გარდა-  
იკლებოდეს ოთხითა ფერთა საქამდითა და მძღრად ჰურითა: და ღუინითა  
და რაც კარზედა გლახაი იყოს, ყულელი დაძღვებოდეს, მწირნი და უძღურნი,

<sup>9)</sup> ფანასკერტელის მამული ჭორახისი ხეობას, ხოლღ გიშელისა — ნუსის მდაამო.

<sup>10)</sup> „ფქელი ზანდურისა (თათუხი) წულილად გაცრილი“ (სანა).

<sup>11)</sup> „მოსკული ჭიქა, ანუ პირ-დიდი ჭიქა და არა „მობისური“, როგორც ბროსესს ჭიქანება (H. G. II, II, 455, 4). ამას ქვეით სასკენ ნიშნებს დედნისას არ ესხამთ.

ვინცა ვერ მოვიდოდინ, ყუელასა შინად გაეგზავნებოდეს. პატრონისა მწირ-ველსა თხუთმეტი გრივი ხუარბალი ხოდაბუნთავან მიეცემოდეს, ნახევარი წმი-დაი და ნახევარი საეროი და ვენაჯი ვიოა გამიჩენიან, ესტატური და კოხური (კასურია?) და ლეთისმშობლის ეკლესიათა უკანით სასახლე. ჩემსა მწირველსა ხუთხუთი გრივი ხუარბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთავანვე სეფითა კაბიწითა, ნახევარი წმინდაი და ნახევარი საეროი და ვენაჯი გუერაისძისა განაყოფისა ლომისეული.—ხათუას მწირველსა ჰქონდეს ვენაჯი შეუვალნი ხოვლეს: კუ-ლუბი ძეული თორმეტი კოკი იყო ოცდაოთხ ლიტრი(ანი)თა კოკითა თვთო(სა) მიწასაზედა: აწ ექუს-ექუსი გამიშვია და მის ექუს-ექუსისათვის სამას და ორ-მოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა.—თვითთი მიწაი რვა-რვა-სა თეთრსა გამოიღებდეს კვერელსა შიგა (?).—ყოველნი ღღენი სამუშაონი იყენეს: შაბათი გამიშვია ზ ორშაბათით პარასკევამდის მუშაობდენ.

მერმე თუ ვინ იმისი მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყუსი, ანუ ყუთულარსლან ვითარ ყო და ვითა ქირშიშ ელარიონს უყო; თუ აბხაზთ მეფეთა წარიკითხონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მისაბიონ, მათ ჰკითხნეს ღწ ჩემნი ბრალნი აქა და მას საუკუნესა; <sup>12)</sup> და თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურაეთა ჰნახონ და მათ არ მისაბიონ, მათ ჰკითხოს ღწ; და ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ მისაბიონ, მასცა უგ-მია ღმერთი: თუ ჭათალიკოსმა ჰნახოს და მან არა დაკრულოს, მას ჰკითხნეს ღწ ჩემნი ბრალნი; და ანუ მონასტერმან,—ერთიცალა მოლოზონი იყოს,—თუ მათ არ გამოიყარნენ კარნი და წირვისა და ლოცვისაგან არ დაეყენნენ, დაშლელი ამისი არ დაკრულონ, და სამარხავისაგან არ გაიყენონ, მათ ჰკითხოს ღწ: <sup>13)</sup> და ესე ჩემგან გაჩენილი ვენაჯი ანუ ყანა, ანუ სამსახური, ანუ კულუბი და ანუ რაი სხუაი ბეგარი რაიც წინამძღუარმა ანუ ვინ სხუამა მოუ-რავმა შეცვალოს ქრთამისათვის, ვითა სამასართა უყვეს, იგიმც კრულია ღთი-სა პირითა, და თუ კრებულმან შეიცნოს, აუზოზორდენ და გააბედითონ.

და მუნებური საქმე წინამძღუარმან, მოძღუარმა, დეკანოზმა და ერთობ კრებულმა და დაყუდებულთაცა, ქუაბთა შიგა მსხდომთა, ერთად იურგოს ყოველმა; ვითა გარესჯისა საქონებელნი არიან, ეგრე იურგებ(თ)დეს ხო-ვლური საქმე. წინამძღუარი მეტად ნუ ჰპატრონობს. მერმე ასრე იქნე-ბოდეს, რომე რაც მოსავალი იყოს ზუართაი, ხოდაბუნთაი და კულუბი-საი ყუელაისი ანგარიში ერთობ კრებულსა მოეკსენებოდეს, თუ (და?)

<sup>12)</sup> მისაბიონ (საბა), ე. ი. არ მიპატრონონო, მონგოლების დროს დიდ-კა-რები რომ იტარებდენ საეკლესიო მამულებს, ეს სჩანს ქვემო დაბეჭდილს კრების ოქმიდამ და ქ.-ცხოვრებადამც (I გვ. 415) უუთუარსლან სამასარსაი და ქირშიშ უნდა იყენენ კახოს თანამედროვენი, მიმტარებულნი საეკლესიო მამულთა.

<sup>13)</sup> ე. ი. წირვა-ლოცვა დაუყენონ, მონასტერი დაკუტონო, მკვდარი ან და-მარხონო და სს.

წინამძღუარი ოდენ სცნობს<sup>14)</sup>. და იმისგან საზომი ღუწიწა და ფქუი-ლი, ანუ სეფისკურისა და კიქათა, კოკაი და კაბიწი<sup>15)</sup> ყულელი გამო-წყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს; და მოსავალი ხოვლესია, ჰური და ღუი-ნოი, კიდევანდ ერთსა სახლსა შიგა დაიგულეზოდეს. მერმე ოდესცა ზუარნი და ხოდანბუნი კეთდენ და კარგა მოვიდეს, რაიც მას წელიწადსა მოჭრეს მე-ორის წელიწადისათვის წააგებდენ; ნიადგ არ სწორ გამოვა, ოდესცა დასე-ტყოს ღ არაი მოვიდეს, მისთვს დაიგულეზდენ და ესე ნუ ოდეს იმიზეზების, თუ წელს არაი მოსრულაო და ნუ მოაკლდების ესე ჩემი გაჩენილი;—და რა-იც ამასცა მორჩებოდეს, გლახაკათვის წაიგებოდეს და სტუმართათვს მოიკმა-რებოდეს;—და რაიცა სამართლად გამგებელისაგან იშოვებოდეს, იგი წინამძ-ღუარისა კელითა ჩემსა აღაპსა შიგა აღუსებასა და დღესასწაულთა სათვეზედ მოიკმარებოდეს. რომელმანცა ბერმა, მესთულემა ანუ მეღალემა, თავისა ქრთა-მისათვის რაი დააკლოს, მონასტრისაგან გაიძოს და მიზეზითა შეუცოდებელი გლეხი ნუ დაიტყუნვის. თუ მიწაი დაუკაცრდებოდეს, რაისაგანცა ქრთამითა ნუ ვის გარდაერთვის სამსახური და კულუხი ნუ წაედების: სხუაი გლეხი დაი-სემოდეს ზედა<sup>16)</sup>.—თუ შვილი მოგუეცეს, საურავად მისი კელი შევიდოდეს არ მისად მოსაკმარებლად რაისაზე, (არამედ) ჩუენის სულისათვის; ღ თუ შვილი არ მოგუეცეს, რომელსაცა ჩემსა ძმასა შევეავედრო, იგი იურვოდეს; და თუ ვერცა ამას ვესწრა, რომელიც ჩემის გუარის კაცი მონასტრისათვის უკეთესი იყოს, მისგან იურვებოდეს. და რკონისა ლთისმშობლო, მე კარგად მყოფსა და ყმაწვილსავე ამად მომიკსენებია: რა ვიცი (ჩემსა) უკანას ვინლა მოგაკსე-ნებს ჩემსა ნაგუარცსა (ნაღუაწსა?); და ნუ თუ ერთსაცა წელიწადსა ცოცხალ-ვიყო სამე, ჩემითა თუალითა ვნახო რაიცა გამიჩენია მისი ქნაი. და სააქაოს დიდებისათვის არად მოგუეცსენებია: არცაერთისა დღისა ცოცხათა ჩემთა შენ-დობას ეფასების; მაგრა სამუნოდ მოგუეცსენებია და თქუენ იცით და თქუენის ძის მოწყალებითა, რაილა გინდა გვიყვიოთ, და ვითარცა ავაზაკი ერთითა სი-ტყუითა, მეც მემოკსენეთ სასუფეველსა თქუენსა და გუოხეთ წინაშე ძესა თქუენსა.

და რაი გინდა გუარი კაცი გამოჩნდეს ამის დამშლელად და მცვალეზ-ლად, ქართველი ანუ სპარსი, ანუ სომეხი—რკონისა ლთისმშობლო, შენ შე-რისხდი და გამოაჩინე სასწაული შენი მას ზედა. ვინც წინამძღუარი იყოთ, მუ-შაობასა ზედა მოიკირვებდით და გლეხთათვის კარგნი იყუენით. არა თუ თქუენ რაიმე გაკლდა პატრონთა გარდასრულთა ჩუენთა და შემოეწირა და მა-ძღრად იყუენით, მაგრა ახლოი იყო (სოკლე) და ამად უფრო ვიყიდეთ, ღ გა-მოგაჩნდამცა სად კარგია. მოაკმარეთ სამცხოვრებელსა: ღორსა, ქათამსა, ფუ-

<sup>14)</sup> ე. ა. წინამძღუარს დიდი უფლება ნუ აქვსო, არამედ კრებულსაო.

<sup>15)</sup> კაბიწი იხ. ზემო, გვ. 17.

<sup>16)</sup> ე. ა. თუ გლეხები აიყარნენ, სხვები დასნითო იმავე ბეგრიო.

რებსა და გუთანსა, ყოველსა კარგად აშენებდით და ბარაქიანად იყუნით. — მე რა ვარ? მაგრა რომელთაგან აშენებულ არს, რომე მათი მონასტერი კარგა და საპატიოდ იყოთ (ჰყოთ?); და ამ გაწენილისაგან რაც დააკლდებოდეს ანუ ჭიქა დამცირდებოდეს და ანუ სეფისკუერი გასაწყლდებოდეს, ერთობ კრებული შეიყრებოდით ღე ვგრე გაჰმართავდით და თავად გაჰდიდით. — ვინ დააკლდებოდეს ჩემი მწირველი და ანუ ხათუთასი, რომელიც გარდაიცვალებოდეს, თუ ვინ მათის გუარისა კარგი იყოს, იგი მოიყვანებოდეს და თუ არა, თქვენ კრებული კარგსა მწირველსა დამისუმიდით ღე ერთსაცა წამსა უმწირველო ნუ არის ჩუენი სამწირველოი. ღე თუ ჩუენსა მწირველსა არ შეეძლოს და ჰავად იყოს, რომელი იყოს შემზგვესე ღე მეტრაბეზე ჩაურიგებდეთ ჭიქათა ღე სეფისკუერსა; — და ვირე ცოცხალ ვიყო მე დედვა თავი და მოვიჭირვო ხარჯისა ცოტასა გამოღებისათუის ამა ეამთა შიგა; და თუ მე აღარ ცოცხალ-ვიყო, ვინც ჩემის გუარისა იყოს, მან იურვოს; და თუ ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობაი და აღარ იყოს ხარჯობაი აწინდელისა დებისაი, აღარავინ დასდვას და არცა-რას ვინ სთხოვდეს საკრეფელსა ამის მეტსა, რაც არ გამოიჩენია <sup>17)</sup>, და თუ რაი ვის სხუასა სიგელი და ანუ დაწერილი ჰქონდეს, ყუელაი ცუდია: აფხაზთ მეფეთავე ეპარამისთუის ბოძებულობითა გაუტეხია, ვითა დაწერილითა შეეტყუების, მათგან გასყიდულობისათა.

და სხუა რაილა გკადრო, რკონისა ღთისმშობელო, უმეცარმან და ენად ჰავმან და ცოდვითაგან შეშინებულმან და დალონებულმან, მეტადრე შენ იცი და შენისა ძისა მოწყალებითა! ზენაჰარი, ზენაჰარი! (sic) ნუ წამწყემდით და მომეც ეამი სინანულისაი თქუენსავე წინაშე. და არ ვისგან შეგეცვალოს დაწერილი ესე, არ ჩემგან და არცა შემდგომითი შემდგომად მომავალთა ჩემთაგან: ღე ვინცა ღე რამანცა გუარმან კაცმან ანუ გუარისა ჩემისამან, ანუ სხუამან ვინ, დიდმან ანუ მცირემან რაისაცა ეამისა მოღებითა შეგვალოს ანუ მძლავრობით, ანუ მოხუეკით, ანუ ქრთამისათუის, გინა დამცრობისათუის ვინ ესე ჩემგან გაგებული შეგვალოს და აქციოს, შემეცა იცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, არისხავსმეცა მამაი, ძე და სული წმიდაი, კრულმეცა არს სიტყუითა ღთისაითაი მკუდარი ღე ცოცხალი გაუქსნელად ორთავე შინა ცხოვრებათა და ნაწილიმეცა მისი ნოსტორის და ორიგენისთან დასჯილ არს, დამცარი-ნთქმის დათან და აბირონისებრ, შემეცაედების ძრწოლა კენისი, კეთრი გეზისი, შიშთილი იუდასი, სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა და წუნწუბითამეცა დაწვის, მასხედამეცა განეხუნიან საქანელნი ღთის რისხვისანი: აქაბს: ელიას: ურჩისა სვიმონ მოგუსა: კუენოზ (კანოზ?) გრძნელსა ღე მაკედონოს სულისა წმიდისა მგმობრსაცა თანა არს საესენებელი მისი, მანინას შეჩუენებულსა ღე ათორმეტთა მისთა მოწაფეთა: მანენტოს, ჰავლე სამოსატელისა და არიოზ სამ-გზის-დაწყულსამეცა თანა დაისჯების; მუნტანის (მონტანას?), სატურნის, ა-

<sup>17)</sup> ქართულნი მეტად შეწუხებულნი იუენენ მონგალთ სარჯობისაგან (ქ.ცხ. I, 387)

ვილას, ლოსკარს, პოკრატის, აკროლას (?) და თეოდორე მომფესოეტელსა (ტეოდორე მანსურე?) და პოლიბრონოს ცოფსამცა თანა არს ნაწილი მისი \*), ასა-ლა-მერვე თსალმუნნი მასხედა დაესრულეების, კრულმცა არს ათორმეტთა მოა

\*) ძველს ჩვენს სიგლებში ხშირად იხსენიება სახელები ამ მწკალებულთა და მათ შორის შეჩვენებულია ორიგენიცა, წარჩინებული და ცნობილი საქმისტანთა მწერალი და ამისგამო საჭიროდ გვხვით რამდენიმე ცნობა ჩაქურთოთა ჟა ზემო აღ-წერილის მე-XIII საუკ. სელნაწრიდამ (იხ. გვ. 111 № 23), იმ საქითსავედამ, რომელსაც აქვს სითარად: „გალობანი მწკალებულთა ყოველთა თვთოეულისა წვალები-სა შეჩუნებისანი“ და რომელიც, კგონებ, ქართულ მამათაგან არის შედგენილი, მათის ცოდნა-შესვლადობის გამოქვეყნელი:

„... კლავდის კეისრისზე (41—54 წ.) იყო სჯმონ ბოროტი, თავის თვისსა ქრისტად მეტეუწლი; სხუათგა წვალებათა მძაღვედა და მიმდგომით მისით მანერდოს, კაინდრისი. (კეისრის) ანდრასისზე (117—138 წ.) მეოფნი: უაღუნ-ტინანონ, კერდონ, მარკიონ, მუნტანი, სატორნი, ლოსკარ, პოკრატი, აკვლა“...

„სეკეროზის ზე (193—211 წ.): კლემი სტრომატელი, სუნიასის, ორიგენი მეტეუწლი მისაგან მამისა კერ სილვასა, კერცა მისსა სულისგან და კერცა ანტე-ლოზთა დაასტეპისაგან მამისა ძე არს არსო, სოლო დაბადებულ და მადლით სასულ-დებულ. გვრთბრთა სული კორცთაჲ პირველ ყოფად თქვა და უოკელთა მიმწოთ-იად; მამაჲ ოდენ განაწინს და ძე სიტუერთა ზედა, სოლო სული წმიდა მოწმუნეთა ოდენ განუწეს და არა ერთად საშეისგანად იტუეს ქრისტეს; და სოფლის არ დაბადე-ბელ არსო სამება. აღდგომისგანთა გუამთა ჩუწნთა პირველ ქრისტესა წარწმედად მოსლეს(სა) (ა)მტკიცებს; შემდგომად აღდგომისა სიტუერთა ძლედას თვთ ეშმაქ-თამდენსა სუუერთა დაბადებაჲ, რამეთუ ეთერონი და მომგულეებულნი აღდგებიან გუამნო. სოლო ესრეთ იტუეს აღდგომასა ქრისტესსა და ეთარმედ სწორ მისა კიქნებით აღდგომისა“.

„ონორის ზე (395—423 წ.): საბელიოზ... და ჯ დალინო მეფისაზე (251—253; 260—268 წ.) იყენეს: არტემონ და სუნეზოს დრეუნი; შემდგომად წყეული მანინ (Манесь) ქრისტედ და სულად თავსა თვისსა მთქუმედა... სპარსეთით სა-ბერძნეთად გარდამოხარწუნს, სასიერსა ვასმე ასალსა დთისგანად მეტეუწლი და ოც-ნებით ქრისტეს გამოიწინას მხლავრობი. მოძულურად აქუნდა ბოროტსა მას კოდ-დანტოს ტრეკნითად სასულდებული სჯუთიანესგან სწაკლულისა ეშბოდაკლომასაგან... გუამითი გუამად სულთა ცვალებად მთქუმელისა, განმდებელი ყოველისავე აგებულო-სა და ძულისა აღთქუმისა და შესაქმეს გაცთასა არ-სასიერისა დთისაგან ქმნილად მეტეუწლი, გინათგან სრწნილებასა და ცვალებასა შინს არსო და უქერთა შე-ყოფათა მომწმუნებელი“.

„სამოსატელი, მანენტოას ზიარი, უფალსა ლიტონ კაც და წინასწარმეტეუწლთ თანად ჭგონებდა ბილწი, ვინაჲ ესე არიან პირველ აღმოცენებულნი და ერთბუნებისა და ორთა ბოროტად მეტეუწლნი პირველი იგი უარისყოფითა კაცებისათა, ხოლო

ციქულთა ჯუარითა, შუიღთა კრებათა ჯუარითა და ხუთთა პატრიარქთა<sup>18)</sup> ჯუარითა და მადლითა ზე იგიმცა სიტყუაი მისგან იძიების, რომელი ჰურითა თქუეს, ვითარმედ სასჯელი მადისი ჩუენზედა და შეიღთა ჩუენთა ზედა! ზე ამა ყოველთა ზემოწერილთა წათა მადლითა და ჯუარითამცა კრულია საკსენებელი მისი! და უკეთუ ვინმე ესე ჩემგან გაგებული და შენსა სამკუიღრებელსა შემოწირული შეცვალოს და დაშლად კელი ყოს და შენსა სამკუიღრებელსა გამოაკუას ანუ შემამულემან ვინ, ანუ მოსაკარგვემან<sup>19)</sup>, რამან ვინდა გუარმან კაცმან შენ, ყლ წდო ღთისმშობელო რკონისაო, რისხვით აღიძარ მასზედა შენ და ძე შენი და ძისა შენისა ლახურისა შემცემელთა პატრიე მისგან იძიე. და ვინ დაამტკიცოს, ღწ აკურთხოს. და ვინც ესე ჩემგან გაჩენილი რაი მოაკლოს წინამძღუა<sup>20)</sup> მან, ანუ მოძღუარმან, მეტრაპეზემან ანუ კრებულმან, კრულმცა არს სრტყუთა ღთისათა და ამათცა ყოველთა მწვალებელთა თანა დაისჯების. (ტექსტისაკე სელით არის დაწერილი ჩქეშო დაბეჭდილი წარწერა № 20).

ამას ჩქეშო მოსდეს სელმოწიანნი, ყველა მხედრულად:

1) ჩ; რკონისა ღთისმშობელო! ესე ვითა ზემო მწერისა (მწიგნობრისა) კელითა მომიკსენებია, მე კახოცა ჩემითა კელითაცა ამასვე მოგაკსენებ და შემოგვედრებ ჩემსა სულოსა შენსა წსა მრავალმოწყალებასა და კსენებასა და გავედრებ სულ(ს)აკე ჩემ(ს)ა და ვედრე ძესა ჩემსა ჩემ ცოდვილისათუის და შე-

პორე ღთაებისათა... და სხუანი მიმდგომნი მისნი: ტატანე და არტემონ, ვარდისნი, ფოტინა და ეპიონ. არიანოზთა, უსულოდ მეტუეწლთა კორცთა უფლისათა, ანოლინარი გამო(უ)წინდა წინააღმდეგომად, ვითარმედ ცხოველობითთა სულითა სულეიერი მიიხუნა, სოლად განება ჩუენნი არა მიიღო“...

„კუალად თეოდორე მომესუტელი, რომელი ქრისტესა ლიტონად ერთად ჩუენგნად უწოდდა... იტუოდა..., ვითარმედ გარდასატუეფლისათს სანოების მიეცა სწლოდ პატივი ერთბუნებას... ნესტორი, ძე კლიპელისა და მისწული სამოსატელისა... ორ-იქ და ორ ქრისტედ განყო (ძე ღთისა)... ევტუქი და დიოსკორე... ორთაბუნებათა პირველ შეერთებას აზმნობდეს და კუალად (შ? შეერთებისა ერთბუნებად წარდეს... და... ზეცით მოსრულად კორცთა უფლისათა... სეკერიოზ (და) ივლანე... ერთსა ბუნებას იტუოდა“...

„... ბორბი ძრიოზ ბილქი კოსტანტინე (მეფას) ზე დიდისა (306—337 წ.) და მისთან ეპრომაეტი, ეესევი, ეედუქსი, პოლიმონ, ნესტი და მუნტანი. არიოზს მიმდგომნი ერთისა ბუნებას და არსების ღთაებისა განყოფილნი... მაკედონის სულას წმიდასა აკუბულას ბუნებად იტუოდა... მალნი ვინმე ზეცით და ეთერის კორცთა თავის თვისთა თან გარდამოტუეებას და ამით კორცთმესხმისა იტუოდა. სისრის იპობიანე აღიკარნელი, განე აღექსანდრეული ჩუენგან მისუმულთა კორცთა ქრისტესთა შეერთებისაკე უხრწნელად აზმნობდეს... ჰეტრე ბარსანოფი სარცრად (παραρτησι) გაცქინასა ქრისტესსა უეფელს და ორბუნებად უარყოფელს ქრისტესა“...

იწირე ხოვლე ჩემგან ნასყიდრ და ყოვლისა ადამიანისაგან მოუღვევარი და ერთი-სა ღლისა ჩემთა ცოდვათა არ ეყოფის. ვინცაღა ესე ჩემგან გაჩენილი შეს-ცვალოს... (წიგნი) ვინ დაამტკიცოს ღწ იგი დაამტკიცოს საქაოდ და სა-მანდ.

2) ქ: ესე ვითა პატრონსა კახასა დაუწვრია და მოუქსენებია ხოვლე რკო-ნისა ღთისშობელსა, მე ნა(თუ)თი ჩემითა კელითაცა ამასვე მოგაკსენებ გვედ-რებ სულსა ჩუენსა შენ. შემინდვენ აწნ. 20)

3) ქ: მე დავით შეფესა დამიმტკიცებია 21).

4) მე: ძესა მისსა: გიორგისცა: (გოსცა) დამიმტკიცებია 22):

5) ჩუენ მელქისედეკსა დაგუიმტკიცებია (შქრალად).

6) ქ: მეჭურჭლეთ: სახუცესისა კახოისა: დაწერილსა: მე ავგ სარგისცა მუ-წამე ღ დამიმტკიცებელი ვარ 23).

7) ამა მეჭურჭლეთი ოხუცეს(ის) კახოსაგან დაწერილსა მე გრიგოლ მის-ხერთ ოხუცეს(ი) სურამელ(ი) მამტკიცებელი და მუწამე ვარ 24).

18) მათ შორის რომის შაზიგ იგულისხმება.

19) მოსაკარგვე უნდა იყოს მეფის მოხელე (იხ. შიო მღვსი გუჭ. გვ. 12).

20) ქვემო წარწერათაგან სჩანს, რომ სათუთა ყოფილა ქალი გრიგოლ სურა-მელისა და დაჲ ბუკასი, ხოლო კახო — მათი სიმე.

21) უმჭველად, ეს არის დაკით V, ლაშას ქე.

22) ეს გიორგი მოკვდა 1268 წლის ახლო სანაშში (Hist. G. I, 553; 575).

23) ავგ-სარგის მსაჭრემელის და მეფის მის გიორგის ხელისმოწერა ამ სი-გელზე მტკიცე საბუთს იძლევა ბროსესს ქრონოლოგიის წინააღმდეგ. ეწევა მესი-ტორიანი (სენ-მარტენ, სტეფანოს და თვით ბროსეს) გაიჩენებენ ავგის სიკვდილს 1250 წ. (Hist. G. I, 554, n. 2); ხოლო რეონის სიგელი დაწერილია ბაღდადის „გატეხის“ შემდეგ, რაიცა მოხდა 1258 წელს 16—30 ანუარს (Hist. G. I, 548, n. 3). და აქიდან ცხადია, რომ 1258 წ. და 1259 წელს, როდესაც უნდა იყოს დაწერილი ეს სიგელი, ავაგი ცოცხალი ყოფილა. — ავაგი მოკვდა შემდეგ მეფის კე-ვიანტეზე გლამქრებისა, ე. ო. შემდეგ 3 სექტემბრისა 1260 წ. Hist. G. I, 552—3, n. 3), ე. ო. 1260 ანუ 1261 წელს და ამავე წელს უნდა შეერთო მეფეს ავა-გის ქერავი გვანცა, რომელიც მოეწონა მეფეს, როდესაც იგი მივიდა ავგის სახლ-ში „სტირილიად“ (ქ-ცხ. I, 388), მაშასადამე. ხანგამოუშეებლად ავგის სიკვდილის შემდეგ.

რადგან მეფის ქეს გიორგისაც ეს სიგელი დაუმტკიცებია 1259 წელს, იგი ამ დროს იქნებოდა არა უმცირეს 8—10 წლისა; მაშასადამე იგი უნდა დაბადებულიყო 1249—1250 წლებში და არა 1259 ანუ 1260 წელს, როგორც ჭეჭრებდა ბროსეს (Hist. G. I, 352, n. 2), რაიცა არ ეთანხმება კახუშტის უფრო ჭეჭმარტის ცნობას. გიორგი მოკვდა 18 წლისა და მაშასადამე 1268—9 წელს.

24) ცნობილი ისტორიული პირი, კახოს სიმამრი (ქ-ცხ. 390—2), ფანელითა

10) ამის: მეჭურჭლეთ: უხუცესისა: კახისაგან: დაწერილისა: მისისა: ნასყიდისა სოფლისათვის რომელი შეუწირავს: მისის მონასტრისადა ჩუენ სამისავე უდაბნოისა გარესჴისა :მ: წ: (მოწესენი?) და ყოველივე ერთსულობით დაუმტკიცებთ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ წყეულ, კრულ და შეჩუენებულ ღ დაამტკიცებელნი ღნ აკურთხენს. მე ანტონ ჩემითა კელითა დამიწერათ. შემცვალებელნი ამისნი შეჩუენებულ იყენნ და წყეულ. დამამტკიცებელნი ღნ აკურთხენს.

8) ესე ვითა ღთისა (ღთითა?) სიძესა ჩემსა და დასა ჩემსა ხათუთასა დაუწერია და ხუვლე სასუებით რკონისა ღთისმშობლისადა შეუწირავს, მეცა ბეგასა ქს ევს (ქართლის კრისთავს) დამიმტკიცებია და მუწამეცა ვარ<sup>25</sup>).

9) ქ: ესე ვითა ღთის (ღვთითა?) სიძესა ჩემსა კახოსა და ძმისწულსა ხათუთასა და სიძობისაგანცა უფროესთა და ხოვლე რკონისა ღთისმშობლისა(და) შეუწირავს, მე ივანესა დამამტკიცებელი და მოწამე ვარ.

11) ესე ვითარ ჩემსა ძმისა პატრონსა კახოსა და ხათუთასა დაუწერია და ხოვლე მათგან ნასყიდი რკონის ღთისმშობლისადა მოუქსენებია ღ შეუწირავს მათისა სულისათუის, მე ასიბა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

12) ქ: კირიელისონ! ღთისა ღ მისთა სჯულთა მიერ ღვთიუ-გონიერად შეყუარებულის, ღვთივ შეუნიერად ზეგარდამოითა სიბრძნითა განბრწყინვებ(ბუღლის) კახოს, ყოველთა კელმწიფეთაგან შეწყალებულის და... (მე)უღლის მათის ხათუთის გაგებულსა...—რლი საუკუნოდ სრულ იყავნ, იყავნ, იყავნ უკე გებადმდე ეამთა,—ჩუენცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა ზეგარდამოსულთა უბიწოთა დედისა მისის კელითა შეთელილის კუართის საუფლოის მიერ და სუეტის ცხოველის მეექუსისა პატრიარქის და ქეს მიერ ყოვლისა საქართუელის კწი ნიკოლოზ<sup>26</sup>) ვამტკიცებ და წარესწერ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ ღ შეჩუენებულ მადლითა კკე (კალოლაიკე) ეკკლესიისა და მუნ შინა ღვთივ აღმართებულისა სუეტის ცხოველის და . . . მის ანტიოქიის და ღმერთ მყოფელის მიპრონისა ღ კვართისა საუფლოისა მადლითა ღ ყთა პატრიარქთა, ქთკხთა ღ ებისკუთა მართლმადიდებელთა მადლითა და სარწმუნოებითა და ჩნ გლახაკისა ჯრითა (ჴვართთა) ამინ....

13) ქ. ესე ვითა ეწევსა კახოს და ცოლსა მათსა დიოფალ-დიოფალსა ხათუთასა სამღვდელთად სულისა მათისათუის სოფელი ხოვლე უყილთა და რკონისა ღთისმშობლისადა მოუქსენებია და შეუწირავს მე უნდორ

გარისა და არა ობუღიანი, როგორც ჴუფაქრობდა ბროსესე (იხ. ჴეპო გვ. ქ-ცხ. I, 390—2; (Hist. G. II, 2, p. 458, n. 2, ivr. I, 341; 348).

<sup>25</sup>) ბეგა, მე გრიგოლ სურამელისა და ივანე, ბიძა მისი (იხ. ჴეპო გვ.

<sup>26</sup>) ცნობილია ისტორიული ჴირია (ქ-ცხ. I, 380—1; 416; 418).

არსენი მანგლელ მკნი მოწამე ვარ<sup>27</sup>)... შეიწირე რკონის ღთისმშობელი და შემცვალბებელი ამისნი. . . . წყეულ და შეწუნებულმცა არიან სიტყუთა ლეთისათა... და ქრისტეს სამჭუალისა მადლიათა და დამამტკიცებელნი... აკურ-თხნეს...

14) სუტურ წარწერით ამტკიცებს დაუდებელი იოსუბ.

15) ესე ვითა ეწეს კახოს მიუცია სამკუიდრებელისათვის რკონისა ხი-რლე... შეწირეს ნასყიდი მათი და სამლოცველო, მე ქვეს მიერ ქსა მკსი გნი (ქართლისა მთავარეპისკოპოსა გიორგი). დავამტკიცებ შემც(კაღუ)ბელნი ამისნი შეცვალენ ღო სჯასა შენსა<sup>28</sup>)...

16) ესრე ვითა... მეცა მდაბალი გრიგოლი ტფილელები დავამტკიცებ. შე-მცვალბებელი... (წყევა).

17) ქ. ნებითა და შეწევნითა... შემოგწირე მე... პატრონმან ჯავახის-შვილმან იესე შენ... რკონის ღთისმშობელსა... თქვენ დეკანოზისშვილნი პეტ-რე და მისნი ძმები მარკოზ, და იოანე, ხახუტა და მისნი შვილნი და დავდე-ვით ყოველთა წელიწადთა თვითო ლიტრა სანთელი და ოროლა ლიტრა ზეთი და ესე ამსახუროთ და არაოდეს არა მოიშალოს. მერმე ვინცა... (წყევა). აწ. ხკუულად: იესე<sup>29</sup>).

18) იესე... შესაწირავი შევწირეთ ჩნ ჯავახიშვილმან პატრონმა როინ<sup>30</sup>) თქვენ რკონის ღთისმშობელსა... ჩუენთვის სამლოცველოდ... სრულიად ჩუენი კირამი რკონის, რასაცა ყმის მქონებელნი ვყოფილიყუნეთ ღო რაც ჩუენთა გუარ-თაგან თქვენთა სასამსახურეთ სდებოდეს, ამ რაგად გემსახურონ და ვერა რამან ჩუენმან ნათესავმან ვერ შევიშალოს. ვინც ესე შევიშალოს... (წყევა) ამის-გამთავებელი აკურთხნეს ღწ საუკუნესა ცხოვრებასა შინა (სელ-ჩართულად: „როინ“).

19) ნებითა ღთისათა... ესე წიგნი გკადრეთ... რკონისა ღთისმშობელსა ჩვენ ჟავახისშვილმან პატრონმან ქანსოსრო და შვილმა ჩნმა პატრონმა ბახუტამ<sup>31</sup>) ასე რომე სვიმონ მღვდელს რაც აკგაროზული მამული ჰქონდა, ის მამული მასზე-

<sup>27</sup>) მანგლელ მთავარეპისკოპოსის არსენი კწის არსენის ღროს ის. ზემო გვ. 102, გუჯ. № 67.

<sup>28</sup>) ქართლის (სამთავროს) მთავარეპისკოპოსი გიორგი ის. ზემო გვ. 101, 128.

<sup>29</sup>) იესე ჟავახიშვილი სჩანს 1505 წ. ახლო ხანებში (ახ. ხმეც გუჯ. წიგ. II, 131).

<sup>30</sup>) როინ სჩანს 1550 წ. ახლო ხანს (ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ. 88; 208).

<sup>31</sup>) ჩემს გუჯრებში 1669 წლის ქვეშ სჩანს; იესე, რომან და ქანსოსრო; ხო-ლო 1686 წლის ქვეშ ბახუტა ჟავახიშვილნი (გუჯ. წიგ. II, 79, 88, 128) და ამისგამო შეიძლება ზემო წარწერებში (№№ 17—19) მოხსენებულნი ჟავახიშვილნი ეველანი მე-XVII საუკუნისანი იყვნენ.

და მისხლობელას კაცით ჩუენ მამაპაპათაგან შემოწირული იყო ასრე ღე ამა წესითა, რომე ყოველს წელიწადს მოუკლებელად თითოს ლიტრას სანთელს და ოროლს ლიტრას ზეთს რკონისა ღთისშობელს წინ მოიღებდეს და ენთებოდეს, ზატრთუე ჩუენცა შემოგაიწირავს მღდელი დავით მისის ავგაროზულის მამულთა და ვითარ (გვანებ)ებია რომე ჩუენი ბეგარა გამოსაღები არასფერისთანა არა ეთხოვბოდეს რა. შეიწირე რკონის ღთისშობელო და მეოხ გვექმენ ორსავე ცხოვრებჴსა. დაიწერა მეფეთ მეფობასა შანავახისასა ქკსა ტნზ (1669 წ.).

20) რომელიც სამკუიდრო არის ჩუენ ამისთვის არ მოგაცენებთ თქუენთა უცილობელი... ვაგოსა, ბოსელა, ხიარკე (კვრაიკე?), ჭავჭავისი, მერია, გირშალი (გარკალი?) ამის მიწისა ვინცა კლედენ (სხუადაეთ?) თქვენ ყმანი, ლალა თქუენი და სანადიროსა ზეთი და სანთელი მავ[ათ მოართმოდეთ] ესე დასაბამითგან თქუენი სამკუიდროა... ნუ ვინ იკადრებს ცილებად<sup>32)</sup>.

21) ჩნ ქეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა დიდმა მამათმთავარმან კზ-პატრიარქმან მეფეთა შარაფანდელმან პატრონმა დომენტიმ<sup>33)</sup> ესე წყალობის წიგნი გიბოძე თქვენ ერთობით კრკონელთ ასე და ამა პირსა ზა, რომ ყოველს წელიწადს ფერისცვალებას დღეს უნდა რომ რაც ჩვენ იმ დღეს გვეყოფნოდა იმთონი კალმახი უნდა მოგეტანათ, ამისთვის დრამა ამოკვეთათ და ამ დრამას გარდაცა სამის წყლის სიგელებიცა გვექმნა, რომ სვეტისცხოველისა არის ხეძნელა, სამაქებელი და სარჩელი. ესენი ჩვენგან ყორული იყო. ამისგულისათვის მოხვედით წე ჩნსა და გვეაჯენით, რომ ზუკრი თუეზის გავმოღებზ აზ შეგვიამდა და ჩნ ახლა ეს წყალობა გიყავით, რომ ყოველს წელიწადს ფერისცვალობას ასოცს კაი კალმახს მოგვართმევდეთ, მისდროს მოგვართმევდეთ. ამ საქმეზედ სხვა და უსამართლო არა გიყონ რა და არცა რა გავმოგართვან დრამა. ეს ასე გაგითავდეს და არც მოგეშალოს. ქკს უიბ (1724).

22) ჩუენ მეფეთა მეფესა ალექსანდრეს და ჩემთა შვილთა ვახტანგს და დემეტრეს და ჩშთა ძმათა ბაგრატ და გიორგის<sup>34)</sup> ესე წიგნი ამა პირსა ზედან მოგვიყენებია თქუენ ყდ... კრკონის ღთისშობლისათვის ვნახეთ თქუენის ხოვლის სოგელი და პირველი სხუათაგანცა შემოწირული იყო... ახლა ჩნცა შემოგვიწირავს სამლოცველოდ სულის ჩნისა... რათა იღუწიდენ მას შა დამკუიდრებულნი ძმანი ღე კრებულნი მოლაზონნი, მღრდელნი, დიაკონნი, დედაბერნი და ერისკაცნი ჩნგან ღე ჩუენისა სიტყუისა მოქმისინოთა კაცთაგან არა ეთხოვბოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები დიდის

<sup>32)</sup> ეს თუთ კასოსი ანუ სათუთასი სკლი უნდა იყოს.

<sup>33)</sup> კათალიკოზობდა 1705—1725 წლებში.

<sup>34)</sup> ორნი ძმანი მეუფის ალექსანდრესნი, ბაგრატ და გი, ცნობილნი აზ არიან, მაგრამ ჩუენს ქრონიკებში 1414 წლის ქვეშე ცნობილნი არიან (კატ. გუგ. № 44 და ერთი მათგანი ბროსისეს Rap. IV, 13). იხ. კადეე Гурія. и Адж. გვ. 213.

სათათროს უღუფისაგან მეტი... ყლთა წელიწადთა ღთისმშობლობას დღესა კარდებულა აღაში ჩემთის გარდიცდებადეს ყოვლითურთ... დაუკლებელი; ზესე ზემო დაწერილი სიგელიცა ამა სიგლით დამიმტკიცებია.

23) ჩნ აფხაზეთისა და ქართლისა მეფეთა მეფემან გიორგი<sup>35)</sup> ესე წიგნი ამისად მედგარად და ნიშნად მოვლესენებია თქუნ რკონის ღთისმშობელსა... ვნახეთ თქუენი ხოვლისა სიგელი... ეამთავითარებისაგან ატენის ცისის სათხო-კარი რაიმე შესულიყო... ახლა ჩუნა ახლად დაგიმტკიცეთ და გავაჩინეთ თქუენის მონასტრისაგან ხარების დღესა აღაში... არა მოიშალოს... ანუ დიდებულთა(გან), ანუ აზნაურთა, ანუ ატენის მოურავთა ზესე ატენის ციხუნათა და ანუ რკონისა პატრონთა... სათათროსა სათხოვარისა მეტი არა გეთხოვებოდეს“.

სედეკე ხეკულად: „მე მეფეთა-მეფეს კოსტანტინეს დამიმტკიცებია“<sup>36)</sup>.

1260 წ. სიგელი. ქანტარის სიგელი № 65.

ეს სიგელი დაწერილია ტყევე (სიგრიძთ 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> არშინი, სიგანით ნ ვერშოკი) ღაქსის სელით, მსედრულად. სიგელს თავა აგლია, ზოგაერთი ბოლო-წარწერები გადსულია და ძიქელი სიგითსი. თუმცა სიგელს ქართლისაგან არ უქის, მაგრამ მამრძელი სიგლისა, ძიგან აბულეთის ძე, ჭმოწმობს, რომ მისიგან შეწერილი სიგელი ანგრონია (კახუშტას ანგრეკანი, ფინეზაურის კოპაში, სრამ-მასურის დელეში: ის. მისი გეოგრაფია გვ. 467, № 313) უეიძნია მის „ბაღდადს კრმლით მისიგან საშობების ოქროათ“; სოლო ბაღდადი ქართველ-მოხგოლთა აიღეს ანგარს 1258 წ. გარდა ამისა სიგელის ტექსტში მოხსენებულა იგივე მთავარ-გებისკოპოსი გიორგი, რომელსაც სელი უწერია 1259 წლის რკონის და არსენ კრის გუჯრებზე (ის. ზემო გვ. 143; 101; 128). ამ სიგელით უეჭველ ხდება, რომ სიგელი № 65 დაწერილია 1260 წლის ახლო ხანებში. — აქ მოხსენებულნი აბულეთის ძენი გიორგი და ივანე და მათი შვიდნი ძიგან და ივანე ისტორიაში ცნობილნი არ არიან. უკანასკნელნი (ივანე და ძიგანი) უნდა იყვნეს ის „არსა ძიგანი აბულეთისნი“, რომელნიც მოკლეულ იქმნენ 1282 წლის ახლო ხანებში (ქცსოგ. I, გვ. 418).

- - - წლისასა | - - - შეწე(ვნითა) და თავს[მდებობითა] | [ყლ წრისა ქალწულისა მ[არია]მისათა] - - [და წრთა მთავარანგელოზთა მიქაელ და [გაბრიელი]სითა] | - - - შუამდგომელი[ობითა] - - წინასწარმეტყუელთა, მო[ციქუ]ლთა, მღვდელთ მოძღუართა, მოწამეთა, მამათა, ქალწულ(თა) და ყლთა წრდათათა, რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუნეს უ(ფა)ლსა ღსა ჩნსა (ღმერთსა ჩუნეს); თავსმდებობითა სანატრელთა მამათა ჩუნთა ში(ო), იწე

<sup>35)</sup> უნდა იყოს გიორგი VIII, ალექსანდრეს ძე: † 1469 წ.

<sup>36)</sup> ძე გიორგისა, მეფე ქართლისა 1469 — 1505 წ.

(იოკანე) და ევაგრესითა დაგიწერე და მოგაკსენე დაწერილი ესე თქუენ ყოველთა მამათა თუალსა და მნათობსა წდასა მამასა შიოს და მლუიმეს შინა დამკუიდრებულთა წდათა მამათა მე აბულეთის ძემან ძაგანმან, ძემან ეწვისა (ერისთავთ-ერისთავისა): ივანესმან: ბრძანებითა და გამოზრახვითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა ქმეზისა (ქართლისა მთავარბისკაპობოზისა) გწინთა (გიორგისითა) \*). მას ეამსა ოდეს მივედ მლუიმეს და შევემთხუიე საფლავსა წდასა მამისა შიოსისა და ვიხილენ წდანი მამანი მუნ შინა დამკუიდრებულნი და მომაგონა ღმან რაითამც ძალისა მსგავსი საწყალობელისა სულისა ჩემისა სალოცავი ვაგიჩინე წდასა ამას უდაბნოსა შინა: ბრძანებითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გა ქს მკეზისითა მოგაკსენე და შევსწირე წდასა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა ძმათა და მამათა სოფელი ანგროინი ჩემგან ნასყიდი რომელი ჩემსა ბიძაის ძესა გწს შევილსა (გიორგის შვილსა) ივანეს ვაეყიდა ზე მე ზვეე უკ-მოვიყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა \*\*), იცოდეს ღმან, მუნ ჩემითა კრმლითა ნაშოებისაგან კიდე არაი ვისი ყოფილა ამის ადგილისა ქსუდას (სუიდას) შიგა, არ მამულისაჲ და არ სოფელთაგან ანაღები \*\*\*). შევსწირე მოუღევრად ყოვლისა კაცისაგან მითთა, ბარითა, ტყითა და მზღვრითა (sic) ზე მიმღვამითა მისითა, საკმრითა და უკმრითა, რაიცა მას სოფელსა ძუელიდგან ჰქონებია. არვის რაი საქმე უკ, არც პატრონსა ღწისა (ღვთისა) სწორსა \*\*\*\*) ამას ადგილსათანა, არ ჩემთა შევილთჲ და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა, არცა რაი სათათროი გამოსადეგელი ზედა უკ ჩემისა სახლოსი ანგროვენელთა და არცა რაი სხუაი გამოსადეგელი და ბეგარი. თუ რას ვინ აწყენდეს საურავისაგან კიდე, რაითა ლოცვასა

\*) გიორგი-მკეზის მოუწერია რკონის სიგელი 1259 წ. აჩსენ კწის დროსაც სხანს (სხვა?) გიორგი (იხ. ზემო 143; 128). უკანასკნელი სხვაჲ, მას აღბათ კწობა მიუღია 1227 წლის ასლო ხანებში (იხ. ზემო გვ. 93).

\*\*) ე, ი. ბაღდადის ქართველ-მონგოლთაგან დების წელს 1258 His. G. I).

\*\*\*). მხოლოდ საკუთარის შრომით შექნილის გაყიდვა-გამოწირვა შეიძლება.

\*\*\*\*) ე. ი. მეფეს დავით-ლამასქეს. რადგან აქ ხმაურებულია ფრასა: „ღთისა სწორსა“ და არა „ღთისა სწორთა“, ამისგანომ საგულისხმოა, რომ იმ დროს საქართველო ორ-სამეფოდ ყოფილა გაყოფილა, რაიცა ბროსსეს აზრით ყოფილა 1258 წ. (Hist. G. I, 546, n. 4); ხოლო ვახუშტისათ—1246 წ. — რადგან ვახუშტის ქრონოლოგია უმეტეს შემთხვევაში ათწლოვანობით უკან რჩება ტექნიკური ცნობასთან, ამისგანომ ჩვენ გვგონია სამეფოდ გაყოფა საქართველოსი 1256 წ.—მდ. ნ. ანთაქეს 1844 წელს გელათის ქრონიკიდან გამომდინარეობს: „წმინდ წელს (ქეს უმაჲ?) განიყო (საქართველო) ორ სამეფოდ დავით ღმანს ძისაგან და ნარდავითის რუსუდანის ძისაგან“. ეტყობა, ანთაქეს სწორედ კერ გამოდრეკილია: ვახუშტის და ანთაქის წყაროები ერთნაირად უნდა წერებულყო: „ქეს: უმაჲ“ (1256)

იგინიცა მიიღებდნენ წ'დათა მამათასა და არცა რაი თეძამისა პატრონთა\*) კუ-  
ლი შეუვლოდეს მათზედა და სასეფოი თეძამისა პატრონთაი არაი ზედა სდე-  
ბია არც კელისუფალთა შესულაი და არცა რაი სხუაი: და თქვენ გამიჩინეთ  
სამწირველოი და მწირველი სახლითა მლუიმეს პურითა, ვენაიითა, თიჩხული-  
თა, ზე მიუყენენთ მიწანი ერთი გუთანი ვენაკის ბოლოსა თრიალული:—ორი  
გუთანი ნავენაკები თევდორული თხოთის აგარას და ორი გუთანი სარბიფლ-  
თა და ანგროინს ერთი გლეხი და გამიჩინეთ ალაპი დღე თევდორობაი, რაი-  
თა მღდელნი წირვითა და მწირნი მუკლთ-მოღრეკით ლოკითა გარდაიკ-  
დიდენ ღამისთევითა და პანაშუიდიითა და კარღებული ტრაპეზი გარდაიკმეო-  
დეს მოძღურისა და მემღუიმისაგან მოსაკენებლად საწყალობელისა სულისა  
ჩემისა და წირვასა და ყოველსა ტრაპეზსა ზედა იკსენებოდეს სული ჩემი ყო-  
ველთაგან შენდობისა ბრძანებითა.—აწ ვინცა ესე ჩემგან ნასყიდი სოფელი  
ანგროინი თქვენ წ'დასა მამასა შიოს და მლუიმეს შინა დამკულიდრებულთა მ-  
მათა შეგიცვალოს და გამოგაკუას ანუ პატრონმან მძღავერობით და ანუ ჩე-  
მისა გუარისა კაცმან ანუ ვადიდებითა და ანუ გამრავლებითა, ანუ ტყუეობი-  
სა დამართებითა და რაისაც მიზენისათუის, პრისხავსეცა ღ'თი დაუსაბამორ, მა-  
მაი, ძე ზე წ'დაი სული ზე იგიმცა ყ'ლდ წ'მდაი ღ'ისმშობებლ ზე წ'დაი მამაი  
შიო რისხვად აღიძრვიან მისთუის წინაშე ღ'თისა (ღ'ისა) აქა ზე მერმესა საუკუნესა.—  
ზე მლუიმისა მამათა წმიდათა ზე მოურავთა ზე ჩემთუის გაჩენილმან მწირველმან  
თუ ესე ჩემთუის გაჩენილი ალაპი და სალოკავი დააკლონ და შეცვალონ  
რაისა გინდა მიზენისათუის, ჩემთამცა ზე ჩემისა გუარისა გარდაცვალებულთა  
და მომავალთა ცოდვითა პასუხსა იგი მისცემა ღ'თსა ზე მემცა უბრალოი ვარ  
წ'ე საყდართა ღ'თისათა მეორედ მოსლვასა მისსა დიდებით. და ანგროინისა  
საქმე და სამართალი რაიც შეჰკდეს მლუიმეს მოძღურისა და მოურავთაგან  
დაიურვებოდეს; მემღუიმისაგან შიგ'შედგომით ზე კელმიყოფით ნურაი ეწყინების:  
რ'მე (რომე) მონასტრისათუის ზე არ ამოსწყდეს ზე ჩემისა სულისა სალოკავი  
ზე არ გარდაჰკდეს. სიმტკიცისათუის სეფისა მწიგნობრისა იწესე მახოტიცისი  
კელითა მომიკენებია\*.

სხვა-სედათ, მხედრულად, მეტად გაბმულად და ძნელად გასარჩევით:

ქ: ესე ვითა ზემოთ მწიგნობრისა კელითა დამიწერია თავისა კელითა  
ვაშტკიცებ მე ძ(ა)განი აბოლეთისძეი მნ წმიდამა შვევა (შიო) რ'სათს (რომ-  
ლისათუის) შემიწირავს ანგროვანი\*\*) არაი რთავს ჩემის მამოლისა ჩემსა ნა-

\*) თუქამი იყო საერსთუო გრიგოლ სურამელისა.

\*\*) ა ნ გ რ ე ნ ე ლ ნ ი მოსხუენებულნი არიან ჩვენს „ქრონიკებში“ 1344 წ.  
ქვეშ; სოლო როგორც სჩანს სინოდ. კანტ. გუჯრადამ № 104 (იხ. ქვემო 140წ  
წელის ქვეშე), ანგროვანი და ძეგნაკორნათა შორს არ ყოფილა თუქმის სეკადამ.—ამ  
უგანასხუელის გუჯრადამ ცხადდება ისიც, რომ 140წ წელს აბულეთის ძეი ალბათ  
ამოკარდნილან და ამისგამო მუფე გიორგის „აბულეთის ძედ დაუსკანს ამარხობრი

სისხლისა ბაღდადით მოგებულსა მეტი, არცა რაი ღსა (ფეთისა) სწორსა საქმე  
ოც და არცა ჩემთა შვილთა ზმომავალთა, არც ვის სხუასა. სუფლისა მოსაე-  
ლისა საქმე ასრე გაეაჩინეთ, რომე ყოლაი სწორად გაეყოფოდეს და მემღუი-  
მესა არაი საქმე ოც მას თანა (თაჯად?). აწ ჩემი მოძღუარი იურვოდეს; მერმე  
ვინც მოურავი იყოს იგი მსახურებდეს მამათა წმიდათა. და ვინც შეცვალოს  
კრული (არს) ცათა შინა და ქუეყანასა (ზედა) და მის გამოცა იღვას პასუხი  
აორაცხელთა ჩემთა ცოდვათა დღესა მას განკითხვისასა ამინ.

წერილად მეორე გვერდზე სსკა-ხელით აწერია:

ქ. ესე ვითა პატრონსა პაპასა ჩემსა შეუწირავს და გაუწენია და პატრონ-  
სა მამასა ჩემსა მათითა კელითა დამომტკიცებია, მე მიწაი მათი შვილი ყარბი-  
თა ჩემითა კელითაც დამიმტკიცებია და გამთავებელი ვარ.

სკეულად: „ქ. ამა პატრონისა ბძანებულისა დამამტკიცებელი ვარ მე-  
ხათუთაი“ აწშაზე აწერია: 1) ქ. (ესე ვითა) პატრონის - - - ჩემისა ბრძანე-  
ბისა მე მათი ძმა ივანეცა დამამტკიცებელი ვარ.

2) ესე: ვითა: პატრონს: მამას: ჩემს: აბრძანებია: მე: მათი: შვილი: პატ-  
რონიც (პტრ) დამამტკიცებელი ვარ.

1260 წ. ამ წლის ახლო ხანებს ეკუთნის დაგლეჯილი და სრულად დაზიანებული მხედრულად კარგის ხელით დაწერილი ტუჯავის გუჯარი, რომელიც სელმო-  
წერილია ცნობილის სურამელ ერისთავის გრაგოლსიგან; იგი მოკვდა 1260 წლის  
ახლო ხანებში (იხ. ზემო გვ. 141); იქვე სჩანს გვარი აბულეთისძე (იხ. ზემო,  
გვ. 146).

- - - [სახე]ლითა ღთისათა. . . . დაგიწერეთ დაწერილი ესე ჩუენ ჩემ-  
ქედასძეთა - - [ძმ]ისწულ მა დემნამ თქუენ ვერხულასძეთა გრიგოლასა - - (შვილთა  
ღ თქუენთა მომავალთა; მოგყიდე ნავენაყები ზედა - - შენისა კალოასა პირსა ნას-  
ყილსავე ზედა მოგკიდებოდა(?) ულალა - - უნდილას ძისა ეჯობობასა შიგა ზმ  
მამლისა (მამულისა) ხანდა(ქ) - - - შიგა რაიცი ღალა ჰმართებოდა ამას აღ-  
გილსა მომლამ(?) - - ილო და პატრონი ბეგლ მურხანს დგა და მუნ გაუ-  
გზავნა ოქრ(ო) - - - (ავიღეთ სრული ფასი რლითა ჩუენ შევსჯერდით - -  
მოწამენი არიან ბეჭა ამირაი; ალავერდელ(ა) - - უჩუორასძე ანაი: - ბოქორასძე  
ვეფხაი: - არ შეგეცვალოს. . . (წუეა).

(აქ მოხსენებული „ბეგლ“ უნდა იყოს ცნობილი ერისთავი, გრაგოლ სურამე-  
ლის შვილი; ხალა გვარი უსდილასძეთა დიდებული იყო და სჩანს XX საუკ. მცხე-  
თის გუჯარებში: ლ ტპ:)

იქვე ზედ, იმავე ხელით:

სამშაა, „პირველ აბაზაძე მარღელი და აწ... აბულეთისძე ამირასორი სიმშაა“  
(ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ. 106).

ქ. სახელითა... მე იოვანე მოგეც დაწერილი ესე შენ ლ - - შეილთა...  
ტიქაის ძის მიწისა - - მენება იყო(?) მისი ლალი გავიშუი.. ვენაკი იყოს და - -  
მოსარჩლე არავინ არა (გვიბრძანება)...

იქვე ზედ იმავე სელთ:

ქ. სახელითა... მე ახუღათ - - ი(ს)ულსძესა ნასყიდთა ვენაკთა ყანათა  
ლალა - - აგილოს არამან პატრონმან შენმან არა - - (წიქვა).

იქვე იმავე სელთ:

ქ. სახელითა... დაგიწერეთ ესე ჩუენ - - თქუენ ვერხულისძეთა და მოგ-  
ყიდეთ ადგილი სავენაკე უღალოდ ვითა ჩუენსა - - - უღალო იყო და ავი-  
ლეთ სრული ფასი... მოწამენი არიან დი - - ალავერდელისძე მახარებელი.

ბოლოს წარჩინებულის სელათ წარწერილთა შესდრულად: „მე გვლ სურა-  
მელსა] დამიმტკიცებია დ]წერილ[ი ესე] - - [არას ეამ]ვიგან არ შეგმ[ცვა-  
ლოს]“ - - -

### 1250 — 1260 წ. შიომღვიმის სიგელი № 38.

სინოდის კანტ. დაცულია ტყვეზე სუცურად ლამაზის სელთ დაწერილი გუ-  
ჯარი № 38 სივრძით  $1\frac{3}{4}$  არშისა, სიგანით სუთი გოჯია; თაკი სივლის დგ-  
ლეჯილია. ტექსტი სიგლისა დაწერილია სუცურად XIII საუკ. სელთ, სოლო და-  
სარჩენი მისი ნაწილი დაწერილია შესდრულად მერმინდელის სელთ.

თუშტა სიგელს ქორნიკონი არ უხის, მაგრამ იგი დაწერილია 1250 — 1260  
წლებში. ამის მტკიცე საბუთები შემდეგია: 1) ამ სიგელში მოხსენებულია ზოსიმე  
ბერი (თავაური) და მისი „გამზრდელი იოანე“, რომელიც, როგორც შემდეგის მერ-  
მინდელის იმავე სიგლის წარწერათაგან სჩანს, ყოფილა თფილეთა მთავარბისკოპო-  
სი იოანე; როგორც სჩანს ზემო დაბეჭდილის სინოდ. კანტ. გუჯრისაგან № 39  
(გვ. 125), ეს იოანე არის „გამზრდელი“ დემეტრე მღვიმელის და ცოცხალი ყო-  
ფილა 1248 წლის ახლო სანებში;—2) მერმინდელს წარწერაში სიგლის № 38  
მოხსენებულნი არიან ბასილი თავაური მოძღვარი, შემდეგვე ზოსიმე, ბერ-მონაზო-  
ნი გიორგი. სოლო ქვემო დაბეჭდილის შიომღვიმის სასარბისაგან სჩანს, რომ ბა-  
სილი და ზოსიმე თავაურნი და ბერი გიორგი ცოცხალნი ყოფილან 1270 წელს.  
აქიდან ცხადია, რომ თვით სუცური ტექსტი სიგლისა 1270 წელზე ადრე დაწე-  
რილი. 3) რადგან ტექსტში მოხსენებულია აგრეთვე მანგლელი დანიელ, სოლო  
1259 — 1260 წელს მანგლელად მოხსენებულია არსენი, აქიდან საგულისხმებელია,  
რომ დანიელ 1260 წელზე ადრე ცხოვრებულა;—4) გარდა ამისა სიგელში დასა-  
სელებული შემდეგვე დემეტრე, რომელიც ცხოვრობდა მთავარბისკოპოზის გიორგის  
დროს; უკანასკნელი ცოცხალი ყოფილა 1236 — 1257 წელს; ამ გიორგის დაუ-  
მტკიცებია 1259 — 1260 წლებში რკონის გუჯარი (იხ. ზემო გვ. 143 და ჩემი  
„ქორნიკები II, გვ. 125).

შინაარსი სიგლისა, — კინცკი ღრმად ჩაუკვირდება, — ძვირფასს მასაღას იძლევა არა თუ მოხსტრების ნიუთიერის ყოფა-ცხოვრებისას, არამედ საზოგადოდ წოდებათა იურადიულის და ეკონომიურის დამოკიდებულებიანს, და იმ-ღრმადველ ქართუელთა ყოფა-ცხოვრებას გვიხსნათებს. (სასკენ ნიშნები დატვლია დედნისა).

- - [სახელი]თა მამისა, ძისა და სული[სა წმიდისათა] - - -

(აქ განგებ გამოკუშვით 11 სტრაქიანი).

[ესე წერილი და სიგელი დაგიწერეთ ჩნ მღვმელთა ერთობით სრულად კრებულ[თა წინა] მამისა შიომს შვილთა და მოწაფეთა: შენ ზოსიმეს: კე (კვრივე) კახთა მეფისა <sup>1)</sup> სამწირველო გქონდათ ამას საკურთხეველსა შთსა (მათსა) ზა შნ ზოსიმეს და შენსა გამზრდელსა იეს (იოანეს). დიდნი ჰირნი გენხნეს. სკრთხელისა (საკურთხეველსა) სახლი დაშლილ იყო. აღარ იყო ზე შენ ზოსიმეს გამზრდელსა იეს ერთნი ნაშვილებნი სახლნი და ერთნი მამულნი ეკლესიისა ქუე (sic) დაუსხენით და მისად სანაცვლოდ თომიურნი სახლნი მოგცენით: და სასაკუმველოცა ავიღეთ თქნგნ. და თქნ დიდი ჰირი ჰნახეთ: და სახლი მოაშენეთ. უკმარი საკმრად შეჭქმენით. და ესე საკურთხვლსა აქა შესძინეთ. და კულა საკურთხვლისა ვენაქსა ზა აგარას თორმეტისა დრაჰკინსა ვენაკი იყიდეთ <sup>2)</sup> კვირკასძისგან და აგიცა ზედა მოჰკიდეთ. რუეთს საკურთხელისა საგლებოსა ვენაქსა ზა კაცნი ვინმე სხლომილ იყვენს არ მემამულენი. მიწა ვენაკად აეშენა, და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მათისა ნაცვლად იეს გამზრდელსა გარისელაჲს ძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კატათვს. და მის გარისელაჲს ძისა სულისა სალოცავად თორმეტი კოკა გაუყოფლისა ტკბილისაგან აიღების მისა[დ] სალოცავად ყთა წელიწადთა ზე ამისა სანაცვლოდ შენ ზოსიმეს გამზრდელმან იე: გარისელაჲს ძისა სულისა სალოცავად: თვედროობისა პარასკევსა. თესლი და კუანჩხითა ღვნო <sup>3)</sup> ამას ძმათა გაუყოფდა ეკლესიას: ზე კულა მასვე ვენაქსა საგლებოსა ზდა: იეს შენსა გამზრდელსა ნაკლოები მქედლოურა ეყიდა და ზედავე მოეკიდა. და კულა იეს მთხრობელი აუღდა ივან-ბერი წუერ-გრძელისძე. და მიწა დაკარგული უხრა და მან მისითა მოკირვებითა და საურავითა ზედავე შესძინა. თვთ. ამის დაწერილი ძეს. ესე საკურთხეველისა-და აქა შეუძენია. და კულა საკრთხელისა მიწა შალტამი. კოდათა გაუტეხელი უკმარი საკმრად შეჭქმენით: დიდნი ჰირნი ჰნახენით. შენ და შენმა გამზრდელმან იე ესე ყი საკურთხევისა-

<sup>1)</sup> უნდა იგულისხმებოდეს კვირიკე დიდი († 1102 წ.), „კახი მეფობისაკე თანა ნა მეფე ქმნული ვნებთა ზედა და ჰეშმარბიტი ქრისტეანეს (ქტხ. I, 241; ზეად. ბროსსეს თარგმანი: Hist. G. I, 353).

<sup>2)</sup> 12 დრანად თუ ვენახი უყიდნია, სოლო რვა დრანად „ორი გუთანი მიწა“ (იხ. ქვემო, შენიშ. № 5), აქიდაჲ ცხადია, რომ მასინდელი დრაჰკანი უდრია და არა 1½ მანეთს, არამედ 20 — 40 მანეთს ჩვენის დროისას (იხ. ზემო გვ. 47).

<sup>3)</sup> „კვანჩხი ღვნის სასმისი მცირე“ (სახა).

და შეგვიძინია შენ და შენსა გამზრდელსა იეს. და ვინაჲთან ესე უკლი შენ და შენსა გამზრდელსა იეს მოგვეკირვა. შენ ზოსიმეს დედულსა ზითვად მოცემულსა ზა სტეფანეთ მამულისაგან. რლსა მსახური არაა ზა აც. მისსა ნაცვალსა სტეფანესძე გარდაიციდის. საეკლესიოსა და სამეფოსა სამსახურსა კულუხსა დალასა და ყოველსავე გამოსაღებელსა. ჰაგრე მოცემული არს ესე მიწაა ზითვად. ამას მიწასა დედისა შენისა ზითვესა ზა შენ ზოსიმე და შენმან გამზრდელმან სახლკარი ააშენეთ და მოკიდებით ვენაკი კარგი: დიდნი ქირნი ჰნახენით. და მეტისმეტად შენ ზოსიმე. და კულა შენისა გამზრდელისა იეს მამასა მუბერს (მამას მუბერს). კვრიკაული მიწაა აილო საშენებლად ხელგიორგის ძისა ვენაკსა გუერდით. დღისა ერთისაჲ. და რაჲ აეშენა ორად გაეყო. ნანეგარი იოანეს მამასა დაემჭირა მუბერს ნახეგარი მიწის პატრონსა მერმე იგი მათი კერძი აოკრდა და თქნ მისვე მამულისაგან იცვალეთ მიწითა: ოთხი ზომაჲ წყალმყინვართა ზა მიეცით. რუსტომადსძისაგან ეყიდა დღისა და ნახეგარისაჲ მიწაჲ შენსა გამზრდელსა იეს. და კულა მასვე ზა მოკიდებით მატლანის ძისაგან დღისა ერთისაჲ და მასვე ზა მოკიდებით ზვადის ძისაგან დღისა ერთისაჲ. და ზედავე მოკიდებით დღისა ერთისაჲ სტეფანეს ძისაგან. ესე სამისა დღისაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა. წყაროთა ზა. ამასვე გუერდით (sic) ზედავე მოკიდებით სამისა დღისაჲ მიწაჲ იყო ეკლესიისაჲ და მისითა სამართლითა სასაკუმეველოთა თქუენვე მოგეცით. და კულა ეკლესიათა გუერდით ორისა დღისა მიწაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა სტეფანეს ძეთაგანვე. და კულა შენ ზოსიმეს როეთელისა მკედლისძისაგან გეყიდა ორისა დღისა მიწაჲ. აქ სტრიქონს ზემოთ აწერაჲ სუფურადგე მქარლ მელნით და სსკა ზელოთ: „ამის მკედლისძისაგან რომელთაცა ეყიდა შესამოსლისა ფასად ორი გუთანნი, კარაისძეთაჲ ქანდაურსა ქუეშეთ რუსა: ესე შენ ზოსიმეს და შენისა გამზრდელისა. ნასყიდი და ნაქირვები. და დედული ზითვად მოცემული ყოველივე ესე თქნი ამის კჯ: კახთა მუფისა სამწირველოსა ზა მოკიდელთ) თქნისა სულისა და მშობელთა და გამზრდელთა სულისა სალოცავად. არავის საქმე უც ამას აღგიღსა ზედა. არცა სამეფოჲ სამსახური ზედა აც. არცა მდგური (sic) არცა გამოსაღებელი თვნიერ ეკლესიისა მამითნადი (sic)“) (აქ ორის სიტყვის ალაგი ამოფხეკილია).

ყოველითურთ უბეგროჲ არს მით რლ ნასყიდი არს. ესე შენ ზოსიმეს შენთეს და შენთა მშობელთა. და გამზრდელთათეს სალოცავად სალკარითა ვენაკითა წისქულითა. საკმრითა და უკმრითა შემოგვიწირავს ეკლესიისა-და სადაპედ: აწ ამას დაწერილსა ჩნსა მოწამენი ვართ: ამას უდაბნოსა შნა მყოფნი ძმანი. და მოწაფენი და შვილნი წისა მამისა შიოხსანი: ჰლ წა მშმ მელგვე თე. და მძღრი იე: ბასილი მნათე. ბასილი თავაური: ბასილი ტმო-

\*) მამითნადი უნდა იყოს „მამითადი, ე. ი. ნადი ყანათათეს“. აქ ორის სიტყვის ალაგი ამოფხეკილია. ნასყიდი-ნამწითვეს: არაკითარი გამოსაღები არ ადკენ.

თეს ძმაჲ: მიქელ ისაკის მწირველი. ზაქარია: ბრუკუაული ნკზ; არსენი: და არსენი: თე, (sic) და ნკზ. და ლუკა, (sic) გი, (sic) და მისი შვილი მანგლელი: დანიელ, (sic) და სვმონ: ნკზ საგლუხტისი: იშტიმახი გი: ბერი გინდაბერი: მიქელ აფსაზი: ბერი თე (sic), ბერი კვრიკასძე: ყოველნივე ერთობით. მღღელნი და მამანი მკვდრნი ამის უდაბნოასანი:.

ბა აწ ვინცა ვინ ესე დაწერილი ჰე გაგებული ჩნი შეცვალოს: ღე აქციოს რაჲსაჲსა მიზეზითა: შინამან ანუ გარემან ღიდმან ანუ მცირემან: რამანცა გუარამან კაცმან ჰრისხავსცა... მამანი ჩნნი იე, შიო და ვეგერე (sic) და ყნი წნი ღთისანი: ღე წყევისამცა იგი კანონი: მას ზედა აღესრულების. ღე უდაბნოასამცა მღვმისა, (sic) ლოცვაჲ წყევად და კრულობად მოექცევის. და დამკაისაჯგების ყთა თა მგომობართა წღისა სშეგბისათა... ღე კრულმცა არს ჰღღთისა დაუსაბამოასა პირითა და წთა ათორმეტთა, (sic) მოციქლთა მღღლითა: ღე ჯრითა და ექოსთა (sic) ჯრებათა მღღლითა: და ხუთთა პატრიქთა ჯრითა: . ქართლისა კათალიკოზთა ჯრითა: და ქართლისა მთავარებისკობოასთა ჯრითა: და ყოველთა მღღეთ-მოძღუართა ჯრითა: აქა და სკენსა ან: — და ვინ დაამტკიცოს, (sic) ღნ აკრთხენ: და ყთა წღათა მისთა: —

გუგორის მეორე წიწზე მსედრულად, მე-XIII საუკ. ხელით და მჭრადის მელ: ნითა აწრია შემდეგი (თთქმის ყოველ სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილია):

ქ. სახელითა: ღთისათა... წმიდათა და ღმერთშემომსილთა მამათა ჩნთა: ინე: შიო და ვეგერესითა: ესე: დაწერილი დაგწერეთ: ჩუენ: კარაჲსქთა: გუორიჲ: და ზასიღმან: შენ გიარგის მეშირას მქსა, მას უამსა ოღეს ძმაჲ შენი ზოსიმე მიიცვალა, აქროსა ვკედით ჩუენთა მშობელთაგან დანადგესა ზოსიმეს თანა ღე ამის საქმისათუის შენ გიორგის გერჩოდით; ვიძით ღე ვცან მართალი, რომელ მასავე ჩუენსა იონე (იონე) თფილელსა წაეგო თვნიერ ამისგან გარეშე, რომელი ზოსიმეს კელსა მინდობით შესამოსელი იყო და იგი დაიკარგა და წაქდა და ესე შესამოსელი რვა დრაჰანად ვაქრულად დააფასეს (დაფასესის?). შენ ოქროდ არ ძალიგინდა და მოგუეც ორი გუთანა<sup>5)</sup> მიწაი მკედლი[თური]. აწ ღღესითგან წაღმართ არა ვინ იყოს ჩუენის გუარისა არცა ჩუენ კურიკე და ბასილი და არცა ჩუენნი შვილნი და მომავლნი ამისა პროისანი (ამის ჰირასანა?) ღე ვინცა რამანც გუარმან ჩუენმან ღღესით გთხოვოს ღე ანო გერჩოდის, კრულმცა არს დასაბამოასა ღღთისა პირითა მკუდარი ღე ცოცხალი. ესე დაწერილი მე ბასილსა თუით კელითა ჩემითა დამწერი არს (sic). მოწამენი არიან ამის დაწერილსა: ბასილი მოძღუარი: თავაური: მემღუამე: ზოსიმე: გიორგი: ქე(ონ)დიდლისა: მწირველი: <sup>6)</sup> ნიკოლოზ: ბუსლისძე (ბუწისძე?) მნათე: ელია: არსენი. კალმახელთა მწირველი: თევდოსი: ბასილი გიორგი:

<sup>5)</sup> გუთანა მიწა უნდა იყოს ერთი დღიურა.  
<sup>6)</sup> დამატრი მოძღვარი კწის ნიკოლოზის დროს 1240—1280 ის. ზემო, ტე. 128 გიორგი ჭე. † 1118 წ. (ქრთნე. 1, 241—2).

გაზრდილი: მათე. ელიას ძე: და ყოველნი კრებულნი“. ზედა სხვა ხელით, მსგავრულად: „ესე ვითა ბასილა ძმასა ჩემსა დაგიწერია, მეცა მოწამე ვარ კენ“ (კრამე?).

სხვა ხელით, XIII საუკ. მსგავრული: „ქ: სახელითა: ღთისათა: და თავს-  
დებობითა: სუეტისა: ცხოველისაჲთა: ესე დაწერილი: დაგიწერეთ: ჩენ (ჩუქს):  
ბურჯულთა: კავთულამა: და თვედორამა: და ჩენთა (ჩუქსთა): შვილთა: ბა-  
სილამა: და მშუილამა: დაგეუქირუა ჰაეისა: ეამისაგან: და ხარაჯობისაგან: ღ-  
ვილეთ: თქენ (თქუქს): მოძღუერისაგან: დემეტრესაგა: ტუხუისძისაგა: სამო-  
ცი: თეთრი: დეკენბერსა: ათსა: და გამიჩინეთ: უცი (ოცა): კოკია: ტკბილი: ?)  
წელიწადსა: შიგა: მზი. რომე უსიტყუელადა: კელთა: მოგაკენებდეთ: ვი-  
რემდისცადა: ამა: თეთრსა: შენსა: კელთა: მოგაკენებდეთ: ამისნა: მოწამენი  
არიან: კარაისძე: ებაი: და წამალისძე იაი:“,

მე-XVII საუკ. ხელით, მსგავრულად: „ქ. მღვიმეს: რომ კრებულნი: ბერე-  
ბი: რომ: წასულან: და ბეტიბს: ?) საყდარი: აღშენებიათ: ის კრებულნი:  
ამაშიგან: სწერიან: იქ რომ: სახელები: სწერია: სჯყდარზედა: ისინი: არიან:  
ეს: კრებულნი:“.

**1265 წ.** ამ წლის ახლა ხანებში დაწერილია შემდეგი ტყავის (მსგავრულ  
ასოებით) გუჯარი, რომელიც ხელმოწერილია ცნობილის ასტორიულის ჰერცის ბე-  
გა სურამელისაგან:

„[სახელითა] მამისა, ძისა და სულისა - - - წმიდისა ღვთისმშობელისა...  
ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა: - - - ლთისა, მკნელისა ჩუენისა ღთისა იესოს - -  
დაგიწერე დაწერილი და - - - [მე] ზეგამან სურამელამან თქუენ ტოტემ[სა] და  
გის შვილთა და მომავლთა თქუენთა დაგსახენ (sic) ესე ნუ(სხვა) - - ჩემ-  
სა ნასყიდსა ზედა და მოგეც რაიცა - - - დამნეს და მიმეც და ესე ნაესძე-  
სა(?) მი - - - რს ყუელია კრს (sic) ზედა ვენაკი და - - - უალი საწისქელიე  
წალკოტისა და გამ - - - ის მეტი რაიცა სადა არს სარწყავი და ურწყავი, ლ-  
ლაი და რაიცა სადა არს ყუელა - - - ინაესძისა მიწისი მკულრად (sic) სა-  
მამულოდ - - - ლელად და მოუღვეგრად ყოველ - - - გან ათხუთმეტსა კოკა-  
სა ტკბი - - - ელთა ზედა მარანს მიიღებდით - - - ლიტრითა კოკითა და ხილი-  
სა ნახევარს მომცემდით. სხუად არავის საქმე - - - ენს გუერდით საესეგუროდ

?) თუ ახლანდელის ფსიხიანობით კოკა ტკბილი სამ მხუთობაზე გაიწვარიშეთ, მასინ გამოკა, რომ თითო თუთრზე სარგებელი უხვგარნიშნათ ერთი მანეთი. ბროს-  
სკან გამოკლეკით ერთი თუთრი უდრიდა ერთს შუერს (Rap: IV, 84). — ცხადია,  
რომ ეს წარწერა კეუთნის იმ დროს, როდესაც მონგოლთა ხარკობამ მეტად შეაწე-  
ხა ქართველობა და ფული გააძვირა (იხ. ზემო გვ. 138).

?) ბეტიბი უნდა იყოს ბჭითა თრიალეთისა (იხ. ჩემი „Завѣщаніе Ц. Да-  
вида Бог.“, გვ. 12; 22 და „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ გვ. 17

(sic) არის - - არად არა და სამოურებლის - - ზედა და სახლესობასა (?) ერთგულად იყუენით ზ არ შეგეცვალოს დაწერილი ესე თქუენ ტოტიბაისა შვილთა და მომავალთა - - ჩუენსა ერთგულებასა შიგა გკონდეს მკულრად (sic) მამულად "... (წიგნა მოკლე). სკეულად: „ქ: მე ბეგასა [ჩემ]ითა კელითა დამიმტკიბია...“

ქართლის ერისთავი სურამელი ბეგა (კრაგოლ ქართლის ერისთავის ძე) სწანს ქ-ცხასში 1240 წლიდამ 1290 წლამდე (ის. I, გვ. 370; 383; 427. მამა მისი კრაგოლ უნდა მომკვდარაყო 1262 წლის ახლო ხანებში (ქ-ცხ. I, 390—392. ის. სკეო გვ. 141—142).

1266 — 1270 წ. — ამ წლებს (ანუ, კვანებს, ცოტათი უფრო ადრინდელს) უნდა ეკუთნოდეს ადამი № 140 ათონის 1074 წლის ხელნაწერისა, XII—XIII საუკ. სკელით მიწერილი:

„თვესა დეკემბერსა :ვ: . . . განუწყესეთ საკენებელნი ნიკოლასა ჰეტრიწონელსა მამასა: მოგუცა ეკლესიისა საბურავად :ნ: ჰერპერატი და კულად გამოგზავნა სხუად :კ: და მოვიდა მონასტერსა და მოგუცა პურისათვის დუკატი :მ: და :ბ: ჯორნი ლაგამ-უნაგირითა და კდ მოსცა ეკლესიასავე სხუად დუკატი :იბ: და ხრიაყეული ახალი :ნ: ამისთვის დავაწესეთ (ადამი) მე მამამან იოვანე ღ ყოველთა ძმათა...“ (იგივე ნიკოლას ჰეტრიწონელი ის. იქვე ადამი № 7).

ჰეტრიწონელი მამანი იწოდებოდნენ ჰეტრეპაწონელადაც, როგორც სწანს იმავე ადამის წიგნიდამ № 78, რომელიც მე-XIII საუკ. სკელით არის ჩაწერილი: „თა იენისსა :ით: ალაპი განაწესეთ თეოფანესთვის ჰეტრეპაწონელისა მამასახლისა, ბრძანებითა (იკერიის მონასტრის) მამისა ევგენისითა: მოგუცა ორი ლიტრა სტამენონი და კდ ასი დრაჰკანი სხუად...“

იქვე იმავე საუკუნის სკელით, ადამი № 128: „ალაპი არს იოვანე ფოფხაძისისა, რამეთუ მოსცა ეკლესიასა წყლისა მოსაყვანებლად დრაჰკანი ჰერპერატი :რკ:... და კდ მოსცა ასი ტრიკფლი (?) და ცხენი :ბ:“. იქვე № 141 იმავე საუკუნის სკელით: „თა იელისსა :ია: ... ალაპი განუწყესეთ ეფეროსინეს პროტოვასტასა, მეუღლესა მიხაელ პროტოვასტოსისა, მოურნისა ჩუქნისა...“ შეიქმნიდნენ ორთა სენისკულერთა დიდთა. მიეცემოდის ერთი ბერძენთა ნათლისმცემელისასა და ერთი დიდსა ეკლესიასა... მოსცა ეკლესიასა (აქ ცარაული ალაგია დატოვებული).

იქვე, იმავე დროის სკელით, № № 146 და 147: „...ალაპი გაოწყესთ (sic) ძმასა ჩუქნსა ოქროპირისა ხარაზსა: მოსცა ეკლესიასა სტამენონი ექუსასი და ჰერპერაა :პ: (№ 147) ამისვე ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი განუწყესენით სასნეულოსა წრისა ირინეს ხატსა, რა უდ მისსა ვინც სნეულ იყოს, იგი ეურვოდის“ - - -

ჰეტრიწონელებად იწოდებოდნენ ჰეტრიწონის მონასტრის ბერები. ეს მონასტერი. პრაფ. ა. ტეგარლის აზრით, არის ახლანდელი ბაჩკოპის მონასტერი, 30 კერს-

ზე ფილიპოპოლიდამ, ქალაქ „პეტრიმ“-ის მხლობდად (Свѣд. III, გვ. XII). ისტორიკი ანნა კომნენა სწერს, რომ ეს მონასტერი აშენებულაა ორის ძმის „პაკურინანებისაგან“ (ibid). პროფესორის ცაგარლის აზრით ეს პაკურიანი უნდა იყოს „ვან-პაკურიან-ორბელიანი“. მაგრამ გიზანტიელთა „პაკურიანი“ უკატკლად არის ოდნავ შეტყვლილი ცნობილი გვარის ბაკურიანთა, რომელნიც მოხსენიებულნი არიან 1080 წლის ახლო ხანებს ქცხოვრებაში (გვ. 222; 236) და ხიდასთავის ძეგლის-წერაში: „ყოველთა ქართველთა ნათესავისა მასმინძელი გრიგოლ სეკასტროსი ბაკურიანისძე და უოელისა დასკელეთისა დადი დემესტლიკოსი“ (იხ. დ. ბაქრაძის „Гүрия и Аджарія“, გვ. 213; გახუშტის ისტორია, გამოცემა ბაქრაძისა, გვ. 170, 177; Византийскіе исторіи: Анна Комнена, გვ. 90; 99; 125; 201). — ეს გრიგოლ მოხსენიებულია აგრეთვე გიორგი-მთაწმიდელის ცხოვრებაში (ეკ. მუხ. ხელნაწ. № 170, გვ. 203, 205) და ათონის აღაპეში № № 37; 111 და 130; № 37. „თვესა იანვარსა :კე: აღაპი არს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა... მოსცა ეკლესიასა გრიგოლ ორასი დრაჰკანი და ორასი აბაზ“... № 111: თა სეკად, :კე: აღაპი არს აბაზის ბაკურიანისძისა... მოსცა სიკოცხლესა მისსა მონასტერსა დრაჰკანი სტამენონი ექუს თავი :ფე: და კდ შდ მიკვალეებისა მისისა მოსცა მონასტერსა ცხენად და ჯორად საყუდარი :ზ: და სტავრაჲ შესამოსელი. განავწყეთ აღაპი ამას დღესა მიკვალეებისა მისისასა მის მხოლომას აბაზისი ხოლო. და კდ იანვარსა :კე: თავისა ჩემისა გრიგოლისთანა ზოგად... მღღელმან ერისა ზიარებისა შდ სმმენელად ყოველთა სული აბაზისი მოიკეთნოს და ყოველთა ძმათა ემა-მალად ულოცონ“. გრიგოლ † 1086 წ., ხოლო აბაზ უწინ მომკვდარა, 20 სეკადემურს.

პროფესორი ცაგარელი გვანწყუნებს, რომ პეტრიკი და პეტრიწონელი ერთი და იგივე სახელია და აქიდაძე ის დასკენაც გამოჭეპოს, რომ „Загадочное досихъ иоръ прозвание извѣстнаго грузинскаго ученаго и философа XI в. Іоанна Петрици (პეტრიწი, совр. отъ Петрицонель) нынѣ получаетъ совершенно ясный смыслъ и значеніе, — онъ былъ, по всей вѣроятности, однимъ изъ братій этого Петрицивскаго монастыря“ (Свѣдѣн. III, გვ. XII). რომ პეტრიწი მუდმილი პროფესორი შეტყვლიდა, ამას ცხად-ჭეოფეს ჩვენგან ზემო ნახელება ფაქტები („ქართნიკები“ II, გვ. 76). პეტრიკი ხარისხისა ანუ წოდება (Патрицій), როგორც „ვესტი“ (Вестъ) და არა პეტრიწონელობის მომასწავებელი; ხოლო მე-XI საუკუნის ცნობილი მწერალი იოანე წერილებში წოდებულია: „წა ბური იოანე პეტრიკი, პეტრიკ-ყოფილი“ (ეკ. მუხ. ხელნაწ. № 170, გვ. 236 „სამოსეს“ საბინისსა, სვ. 459), როგორც „ანტონ დიპარიტ-ყოფილი“, ე. ი. ერობაში დიპარიტი ბერობაში ანტონად წოდებული; „არსენი ფარსმან-ყოფილი“, ე. ი. ერობაში ფარსმანი ბერობაში არსენად გადაარქმეული (იხ. ეკ. მუხ. № 170, გვ. 230; 240). სიტყვა „პეტრიწონ-ელი“, გრამატიკულ კანონით წარმოდგება ლექსითგან „პეტრიწონი“ (აქიდაძე „პეტრიწონ-ელი“); სიტყვისაგან „პეტრიწი“ იმავე ნაკვეთით („ელი“) წარმოებული სიტყვა იქნება „პეტრიწი-ელი“ და არა პეტრიწონელი. პეტრიწონი მარ-

ნასტრის სახელი, ხოლო პეტრიწონელი — იმავე მონასტრის ბერი ანუ მისი წინამძღვარი, გინა მამასახლისი (იხ. გიდე „ბერი პეტრე პატრიკ-ყოფილი“ № 170, გვ. 251).

თუმცა პატრიკუმულს პროფესორს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ დავით პეტრიწონელი მოხსენებულა სკენს „ქრონიკებში“ 934 წლის ქვეშე (წიგნი I, გვ. 310; 311; 334—89) და შეიძლება ეს დავითი იყოს „ბიძის ძე“ კეთილე გრძელისა, რომელიც მონაწილეობდა არტანუჯის კრებაში („ქრონიკები“ I, 127—).

ზემო გამოგვჩნა და აქ საჭიროდ ვრაცხ ჩვეუთო ერთი საყურადღებო წარწერა წერა-კითხ. ხელნაწ. № 1275 in folio, 810 გვ. ხუცუნად ნაწერი, ცნობილისა ქალიგრაფის სემიან კარგარეთელის (XVI საუკ.: იხ. ზემო, გვ. 111) ხელის მომსგავსო წერით. ხელნაწერი შეიცავს ფრიად საყურადღებო კარბადინს თამარ-მეთისას. პირველს გვერდზე ხელნაწერს აქვს შემდეგი წარწერა:

„ქ. ესე წიგნი სააქიმოა: ოდეს რუქანდან<sup>1)</sup>. სულტანი კარნუქალაქისა ჭართა ზელა-გააქციეს<sup>2)</sup>. მუნით ალაფად მოიღეს: ქე: შრ: (ქრისტეს მიერ) პტრნი<sup>3)</sup>: ქ: <sup>4)</sup> მისმან (ე. ი. თამარ-მეფის) მწიგნობართ-უხუცესმან. პროტომა. უპერტიმოსმან<sup>5)</sup> და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან. კაცმან გონება მოზაგმან. და საღმრთოათა მსჯავრთა მართლ-მსაჯულმან და კელისა მპყრობელმან უღონოთა და ქურციტამან. ქართულად მათარგმნინა. მე მიწასა მათსა ხოჯაყოფილსა:“

1270 წ. — მტრების სახარება შიომღვიმისა.

შიომღვიმეში დაცულია ხელოვნურად ტყავზედ დაწერილი და წარჩინებული მსატრობით შექმული სახარება ზანდუკითურთ in. 4, 265 ფურცელი, ანუ 530 გვ., ამჟამან თავში 11 ფურცელი და ბოლოს 8 ფურცელი ქაღალდზეა დაწერილი მერმინდელის ხელით.

ხელნაწერს აქვს შემდეგნი საყურადღებო წარწერანი:

ტექსტის ხელათ: 1) გვ-287 ფურც.: „ქრისტე... წუ დასჯი... ცოდვილსა გიორგის, ამის წრისა სახარებისა მწერალსა. ან;—2) გვ-256 ფურცელა

<sup>1)</sup> ე. ი. ნურქადინ ქართულთა, ანუ როკედინ.—<sup>2)</sup> როკედინ დამარცხდა ბასიანს, აზერუმის ახლო 1201 წ. („ქრონიკები“ I, 290—1).

<sup>3)</sup> ეს სიტყვა უეჭველად გადამხინჯებულა: დედანში იქნებოდა „ანტონა“ (ჰეონდიდელი) და არა „პატრონი“.

<sup>4)</sup> ანა „გ“ გნიშნაკს [ჰეონდიდელს]. ანტონ ჰეონდიდელი, თამარ-მეფის ჯვარ-მტვარველი და მკაცრად იხ. ზემო გვ. 79—82 და ქ. გვ. 299—300; „ქრონიკები“ I.

<sup>5)</sup> ამავე წოდებით ანტონი მოხსენებულია თამარ-მეფის გუჯარში (იხ. ზემო გვ. 79).

ზე: „მადლი და დიდება ღმერთსა... განსრულდა წა ესე და ყოველითურთ საწადელი... ოთხთავი... მოვიგე და დავწერე კელითა ჩემითა მე გიორგი საწყალობელმან... პირველად სალოცველად სულისა ჩემისათჳს და... შშობელთა ჩემთა და ძმისა ჩემისასა... დაიწერა დიდსა უდაბნოსა მღვმისასა, საყოფელსა წის ღმერთშემოსილისა მამისა შიოისასა; ხოლო ქაორნიკონისა წელნი იუენეს: უ :ე: (ე. ო. 490+78=1270 წელს); წელნი, რომელ გარდასულ არიან დასაბამითგან ვიდრე ჯუარტუმადმდე უფლისა ჩუპნისა ისკო ქესსა ესრედ იცნობების: ქ: ფ: ლ: (ე. ო. 5534 წ.); ხოლო შემდგომად ჯუარტუმისა ვიდრე მოაქამომდე: ჩ: ს: ო (ე. ო. 1270 წ.), ერთრიცხვად ყოველნი წელნი დასაბამითგან ვიდრე აქამომდე: ხ: ყ: ლ:—“ (ე. ო. 6804 წელი; ანუ 6804—5534=1270 წ.);—3) იქვე, მე-257 ფურცელზე: „სახელითა ღმერთისა... და ი, შიო და ევაგრესითა... შევსწირენ... მამისა შიოს ორხთავი სახარებაჲ, სრული ყოველითა განცებითა, კამართა და ხატითა, ზანდუკითა და ბექლითა... და ერთი მარხვიანი ეტრატსავე ზედა; ერთნი ზატეკნი ეტრატსავე ზედა მე გიორგი... მონაზონმან ხუტესმან... და შემოწყალეს წინამძღუარმან ზოისმე და ბასილმან თავურმან, მოძღურად წოდებულმან და სრულიად კრებულმან მღვმისმან (ღ) ალაბი გამიჩინეს საუკუნოდ... წინადღესა ხარებისასა... (მერე წვეკა, ვინც არ შესრულდეს ანუ სასარება მღვმეიდამ გაიტანოს)... ამენ“ (sic). — აქ დასასვლელად ზირნი მოხსენებულნი არიან ზემო დაბეჭდილს გეგრაში № 38, (გვ. 152—153).

აქ მოხსენებულ ეტრატის ხელნაწერთაგან, რომელნიც გიორგი მონაზონს შეუწირავს შიომღვიმისთვის, აქამდე დარჩენილა მღვმის წიგნთსაცავში ეტრატის სატიკი, უთაბოლო, infolio.

ხელნაწერი შეიცავს სასწინაქსროდ მოკლედ აღწერილს წა შიოს ცხოვრებას (ფურც. 2), რომელიც დიდად საუურადღებოა ჭამისგანთა ქვემო ვებჭდავთ:—2) წა სინოს შემოკლებულს ცხოვრებას (ფურც. 3);—3) კათალიკოზის ანსენის მიერ (1218—1227 წ.) შედგენილს წა ნინოს საგალობლებს კიდურ-წერილობით: „ქებით უგალობს სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ (ფურც. 4—12);—4) „ტუფიკონი საეკლესიო წესისა... საბაჲს ლავრისაჲ, რომელი ესე ესრეთ იქმნების სხუათაჲცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა“;—5) განგება ღამისთვის (გველა საუფლო დღესასწაულთა);—6) მოთხრობა შემოკლებული საეკლესიოჲსა განწესებისა მონასტერთა იმრუსალიმისათა;—7) სჯნაქსარი 12 თვეთა;—8) „დაქვეყნა სიბოროტისა“ ანუ შეკლებულთა განქვეყნება, რომელიც წავითხვის მართლმადიდებლობის დღესასწაულს, პირველს კვირიაკეს დიდის მარხვისას; (საგალობლები აღნიშნულთა წითურად სხვა-და-სხვა ნოტის ანუ ხმის-საქვეყნე ნიშნებით, რომლის მსგავსი სხვა ხელნაწერებში არ შემსვედრია);—9) საკითხავში მოხსენებულნი არიან ბერქეთ და ქართველთა მეფენი, დედოფალნი, პატრიარქნი და ქართლის კათალიკოზნი, რომელთა სია ჩვენ უკვე დაბეჭდეთ (იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 79—81; 145—147). კათალიკოზთა სიაში უგანასწავლად მოხსენებულთა გიორგი (ანსენის შემო

დეგ), ხოლო ქართველთ მეფეებში—რუსუდანი; აქილამ ცხად-ჭხდება, რომ მონს სენებელი ხელნაწერი დაწერილია 1245 წლის უწინ და 1224 წლის შემდეგ; —9) ცხრილი ხუთასეულისა 1172 წლიდან 1224 წლამდე. ბოლოს ტექსტის ხელით წარწერას: „... მე გიორგი, სახელით ოდენ მონაზონ-ხუცესი... ღირს ვიქმენ აღწერად წიგნისა ამის და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა დაესდევ ეკლესიისა მღვმისისა საკსენებელად სულისა მისისა და ჩემისა\*...“

ქართული წარწერა აქვს შიომღვიმის კტრატის უთაგ-ბოლო ტიბიკონს (infolio), რომელიც შეიცავს: 1) წა ნინოს დღეობის განკუბას, 2) „ტუფიონის“ საბას ღებრისას; 3) სენაქსარსა (სეკდემბრიდან) და 4) ცხრილს ხუთასეულისას.

1267—1288 წ.—სამი სიბელნი მფუნისა დავით-ნარინისა.

გელათის მონასტრის საბუთებში ჩვენ ვიპოვეთ სამი პირი ხეგრუად (მე-VXII საუკ. ხელით) დაწერილის მეფის დავით-ნარინის: სიგლებისა № № 139; 678); 1) „დავთარი საბანელისა“, დაწერილი 42 წელს დავითის მეფობისას, ე. ი. 1236—42=1278 წ. (დავით ნარინი „აბსაზთა ქრონიკით“ გამოედის 1236 წ.: ის. ზე-მო, გვ. 124 ); 2) დავთარი კეკელიძის უთარადო. ეს სიგელი მიცემულია ისტორიისაში უცნობის „თამარ კენჭელასძის ასულისაგან“ მამის, როდესაც ის ცოლად მოუქვანია მეფე-დავითს. —ბროსსეას გამოკვლევით დავითის ცოლი, უკანონო ქალი მიხაილ პალეოლოგის ცოლისა, დავითს მისთხოვდა 1267 წელს Hist. Gr. I, 579, n. 3; კასუტი-ბაქრძისა, გვ. 250). ამისგანთ თუ ბროსსეს ქრონოლოგია სწორია, ეს გუჯარი უნდა იყოს დაწერილი ანუ 1267 წელს და ანუ შემდეგ 1268 წ.—დავ 3) „დავთარი ფიქიფონისა“ უთარადოვე, მიცემული იმავე თამარ-დღეოფლისაგან, „ემენელასძის ასულისა“.

დავით-ნარინისგან არცერთი გუჯარი არ არის ჩვენ დრომდე მოღწეული, გარდა ჩვენგან ნაპოვნის თეო-ანლისა, (რომელიც ზემო დაუბეჭდეთ, გვ. 128—9) და მით უმეტეს ზემოსენებელი საბუთები ძვირფასი უნდა იყოს ჩვენის ისტორიის ძველკვარტათს. ჩამოთვლილ სიგლებში დასახელებულია მრავალი იმ დროინდელი უცნობი ისტორიული პირები და მათ შორის: ქამომდე უცნობი დედოფალი თამარ. ამ საბუთებიდან (№ 2, 3) სჩანს, რომ თამარ არის იმპერატორის ემპანულის ქალი (კირ-მანუელი, მეფე ტრამპზონისა 1238—1263 წ.) და არა მიხაილ პალეოლოგისა (შეად. ქ. ცხ. გვ. 405). ტრამპზონელის მიხაილ ფანარეტის ქრონიკა გარდნობებს, რომ 1282, აზრილს, მეფე იუკრიისა, დავით, გარემოკრტუო ლაშქრით ტრამპზონს, მაგრამ ვერ აიღო, და შემდეგ, 1284 წ., „კირ-თეოდორა კომენიასა, უფროსი ქალი კირ-მანუელისა, დიდის კომანიანოსისა“, გაიქცა „რუსინ-ტანთან“ (ე. ი. რუსუდანის ძის დავით მეფესთან). ეს ცნობა მოჭყუარ ლეხოსაც. ბროსსეს შემოუვრება ეს ცნობები, მაგრამ არ იცის, რომელს მათგანს არგუნოს ჯეშმარტუა (Hist. Gr. I, 379—380, n. 3). ჩვენი სიგლები-გი სრულიად ეთანხმება

მისაილ ფანარეტის ცნობას და ამით საბოლოოდ წყდება ეს ისტორიული კითხვა. თუდლორას თამარის სახელი მაუღაი დელოფლობაში (მაშინ მეფეებს ის ჩვეულება ჰქონდათ, რომ სხვა ტომთაგან მოთხოვნილებს დელოფლებს სახელს უწევდნენ: ის ჩემი „ჭირნიკება“ I, გვ. 211—212). ცხადია, ისიც, რომ ვახუშტის ეს ამბავი აურევია უღო-დავითის ცოლის ამბავთან (ქ-ცხ. I, 405; 413; 433; Hist. G. I, 591; ვახუშტ. 150).

## წ. დავითარი. საბანძლანი.

სახელითა ღთისათა, (სუენ) დავით ბაგრატიანმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფის რუსულანისამან, ნებითა ღთისათა აფხაზეთისა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შანშა და ყრისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან, სასოსა და მფარველსა ხახულისა ღთისმშობელსა მოწყალეობითა მინდობილმან, გულს-ვიდგინე მცირედი ესე სამსახურებელი მათი სალოცველად ღ სახსრად სულისა ჩუცნისა საუკუნოდ, წარსამართებლად მეფობისა ჩრისა და ძეთა ჩრთა დღევრძელობისათს: ვიყიდე სოფელი სახანჯლას<sup>1)</sup> სულის მწირველთა კანონობის განმზრდელთაგან ნასყიდი. აწ მე უნაკლულითა და სრულითა ფასითა ყოველივე რაც მათ ჰქონებოდა მის სოფლისთანა კანონობესგან ვიყიდე... მივეც ფასი და მუქავა სრული, რომლითა შესჯერდა, სათნო ვიჩინე მოკსენებად დიდს მონასტერს ხახულის ღთისმშობელს, რომელმან აურაცხელნი წყალობანი ყენა ჩემზედა, რათა ყოველთა მარიამობათა დღეთა კანდელაკის კელითა მიიღებდენ ბეგარსა ორმოცდაათ ლიტრა ცვილს, რომელ ყოველთა დღეთა და ღამეთა წელიწდისათა დაუესებელად და მიუცილებელად საუკუნოდ შეუცვალებელად, ვიდრე ქუცყანა ყოფად იყოს, თხუთმეტი სანთელი ეკლესიასა შინა ენთებოდეს, ვითარ მოძღუარს ჩუცნს იღარიონს გაუჩენია ხახულისა ღთისმშობელსა და სხუთა ხატთაცა წინაშე ნთებად ადგილთა ღ მივათუალონ კანდელაკს, რათა მისითა კელითა მიიღებოდეს ცვლი ბეგარა; და თუ რა სასაურო საქმე დაუფარდებოდეს მის სოფლის კაცთა ღ იქმნებოდეს ანუ თვთ შინა მათ ზედა და ანუ გარეგანთაგან, მასაც კანდელაკი იურვოდეს, ვითა დიდის მონასტრის საქონელთა მართებს მით წესითა. სხუად არა ვისი კელი შევიდოდეს მათ ზედა და შვლთა და მომავალთა მათთა ზედა, არცა ვისგან რა ეწყინებოდეს, არცა მოძღუართ-მოძღუართა და წინამძღუართაგან და ძმათაგან, არც ჩუცნთა კელისუფალთაგან და კარის გასულთა მოსამსახურეთაგან, არცა მექვერთაგან რა ეწყინებოდეს. თუ რა გარეთ სასაურო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს; თუ სოფელშიგან თუ რაჲ სასისხლო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს... ორმოცდაათს ლიტრას ცვლს სამებელისშელი, საღირისშვილნი და მომავადნი მისნი მიიღებდენ...

<sup>1)</sup> ქუთაისის გუბერნიასა და მანჯაში.

ქრისტეს შობას დღეს, ამითა ასითა ლიტრითა ცკლითა — ორმოცდა ათითა საბანელაურითა და ორმოცდა ათითა სამებელასშვილისეულითა. ესე გაჩენილნი სანთელნი დაუესებელად ენთებოდენ. და თუ რაჲ ცკლი მომატებულ იქმნებოდეს, საღამე-ყოვლო სანთელი ხახულის ღწინაშე დაინთებოდეს, ვითარ სიგელშიგან სწერია. სამებელასშვილის საქმესაც კანდელაკი იურუოდეს მონასტრისა წესითა, რომე ბეგარა ცკლი გაგვჩენია ხახულისა ღწინაშე მონასტრის-თჳს ორმოცდა ათი ლიტრა, მას აქაჲთ სათათროსა ზე სასევანოსაგან კიდე არა წაეღებოდეს და არც ქუთათისის მეგერგილეთა (sic) და ამირათაგან რა ეწეინებოდეს და არც ვის სხვსგან და კანდელაკისაგან კიდე არც ვისი კელი შევიდოდეს სამებელის შვლს და მის მამულზედა რაც არის... (ეგვლამ ესე დაუმტკიცდით... ტუის მტკელთა და სხვათა... ნუ კინ დააკლებთ). თქუენ წინა მდღელთ-მოდღუარხო აფხაზეთისა და ქართლისა ქათალიკოზნო<sup>2)</sup> უტყუარობით და ამტკიცეთ. დაიწერა სიგელი და პრძანება ესე ჩინი ინდიკტიონსა მეფობისა ჩინისასა ორმოცდა მეორესა (sic) კელითა საწოლისა ზე საქურჭლის [მწიგნობარისა] ნიკოლოზისა[თა] - - - (დაჯანსაგ ჭკლებია).

#### 4.) დავითარი კვახუჩინისა.

დაწერილი ესე დავსდევ დიდსა და წინა მონასტერსა დადიას დაკითხის აღშენებულსა<sup>1)</sup> ლეთივ გვრგვინოსანთა მეფეთ-მეფეთა სამკვდრებელსა გელათს წინა ლთისმშობელსა ხახულისსა წინე მას ეამსა, ოდეს ინება ღწინა ზე ღირს მყო ძლიერისა და უძლეველისა მეფეთ-მეფისა, რუსუდანიისა ძემან ღწინა მეფეთ-მეფემან ემენელას ძისა (sic) ასული თამარ მათსა სახლსა შიგან მათად ცოლად და დედოფლად მომიყუანეს ზე ვითა საკორციელოდ მათ წინაშე ყოფამან სახელოვან მყო, ვგრეთვე მათსა მონასტერსა შიგან სწინო სულიისა ჩემისა საკენებელი ზე

<sup>1)</sup> აქადამ სჩანს, რომ ამ დროს აფხაზეთს კათალიკოზობა ეოფილა (იხ. ჩემი „Архивские Каталиковцы“ 1893 г. стр. 12—17).

<sup>2)</sup> ესეც ცხადია საბუთია იმისი, რომ გელათი დავით აღმაშენებლის აღშენებულად და არა გიორგი აფხაზეთ მეფისა, როგორც გ. წერეთელმა აღიარა არა-საკმაო საბუთებით: იხ. „Древности Вост.“ т. I, вып. II. დავით აღმაშენებელს სიკვდილადმე დავით-ნარინამდე გაკიდა ცოლათი მეტი ერთის საუკუნისა ზე რასაკვირველია მასს დროს კარგად ეცოდინებოდათ, თუ ვისგან აღშენებულა გელათი. ჩვენ მრავალი ფაქტები აღნიშნეთ ჩვენის აზრის დამასაბუთებელი: „ქრონიკები“ I, გვ. 144; 202; 246—8; „Завѣщание св. ц. Давида Воз.“ გვ. 23—24; „ქრონიკები“ II, გვ. 72—3, სადაც, 1189 წელს, თამარ-მეფეც მოისესნიებს, რომ გელათი „შაშათა ჩემთაგან სრულ-ქმნილი არსო“; სოლო. შაშა თამარისა იყო დიმიტრი და დავით აღმაშენებელი, და მართლაც გელათი დაიწყო დავითმა და განასრულა დიმიტრემ (ქრონიკები, I, 246—8).

სამწირველოსა გაჩენა გულსვიდგნე კითხვთა და ბრძანებითა ღმრისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითისითა და მათთა ვაზირთა კითხვთა და მოწმებითა ვიყიდე სოფელი კვახჭირი მათისა ამირაჯიბის ქობულისძისა ბელესგან (sic) სხვა ყოვლისა მისაცემელისაგან კიდე თორმეტი-ათას თეთრად პატრონთაგან მისთვის ესეთითა სიგლითა ბოძებულთი, რომელსა ესე სწერია, თუ რაი ვის კვახჭირს სიგელი და დაწერილი ჰქონდეს ამით სიგლითა იგი ყოველი გავგვტება და მტკიცე ესე ოდენი და თვთ იგა სიგელი და ბელესგან ჩემთვის მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა კითხვთა, მოკსენებით ზე მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღურისა დავითის მწირველისა ანტონისათა, <sup>4)</sup> დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, პატრონთა მწირველისა იოანესათა, პატრონთა გამზრდელისა ხაპარას მწირველისათა, <sup>5)</sup> ილარიონ ფაენელისათა <sup>6)</sup>, პე დეკანოზისა ზე ყოველთა დიდისა დავითის ძმათათა <sup>7)</sup> და ვაჩინე მწირველად ჩემად ღირსი და პატიოსანი კანდელაკი იოანე და გამიჩინეს ალაჰად ღლე მეორე მარხეჲთა კვრიაკე სანთლიანი და ყოვლითურთ უნაკლულთა, და გაუჩინეთ სახლნი პაპოსელნი (sic) და ტრაპეზ-საჯდომნი, ვითა წესია და მიუთვალე სოფელი კვახჭირი და შესუთეს ერთი გლეხი პატრონთაგან ბოძებულთი <sup>8)</sup> კვედუროსძე და საღვნედ ფარსმანაყანევს ციბალასძე მწირველსა ჩემსა იოანე კანდელაკსა; ვიდრემდისცა ცოცხალ იყოს, ამას ალაჰსა ჩემსა უნაკლულად გარდაიციდეს მღვდელთა, დიაკონთა და ყოვლისა სავესებისა ეკლესიისასა ლოცვებითა, წირვითა, სანთლითა, ვითა წესია დიდისა მონასტრისა ალაჰთა და მერმე ტრაპეზს მოძღუართ მოძღუარსა, წინამძღუარსა, დეკანოზსა და ყოველთა ძმათა კეთილად ნუგეშინისცემითა და განსუცნებითა.—და შემდგომად მისა, თუ გაზრდილი იყოს მისი ღირსი, მოძღუართ-მოძღურისა წინამძღურისა, დეკანოზისა და ყოველთა ძმათა კითხვთა, ბრძანებითა და გამორჩევითა იგი აჩინონ; და თუ მისი გაზრდილი ესეთი არცინ იყოს, ვინც სხუა ესეთი იყოს, რომე მონასტერს ემსახურებოდეს, ყოველთავე ძმათა გამორჩევითა და ბრძანებითა იგი იჩინებოდეს. ესე ჩემგან სასოებით და დიდითა გულსმოდგინებითა მოგონებული და ქმნილი წესა დიდსა მონასტერსა გელათს შეწირული და ჩემგან ჩემითა ოქროთა ნასყიდი, რისაგან და ჟამისა შემოდლებითა შემოცვალოს ღლე ალაჰად გაჩე-

<sup>4)</sup> ეს დავით-აღმაშენებელის მწირველად, როგორც გელათის მაშენებელისა.

<sup>5)</sup> ისტორიამ ირ იცის, ვინ არის ეს თამარ, „პატრონთა გამზრდელი“; „პატრონთა მწირველი“ იოანე უნდა იყოს დავით მეფის და დედოფლის თამარის მწირველი.

<sup>6)</sup> ფაენელთა გარი ქართლს ერისთავობდენ: ის. ჩემი „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ გვ. I; 1—2; „ქრონიკები“; II, გვ. 98;—100—2; 127—8; 141—2.

<sup>7)</sup> „დიდის დავითის ძეგად აწოდებან დავით აღმაშენებელის მიერ სარწო-სა-ზრდელით დაწესებულნი მონაზონნი (ის. ამაზე ზემოთ თამარ-მეფის სიგელი, გვ. 73).

<sup>8)</sup> ქცხსაგ (გვ. 407—410) ქმოწმობს, რომ შესუთია ერთ-ხნობით იმერეთს კერა.

ნილი და სამწირველო კვახჭირი<sup>9)</sup> და მესხეთს გლეხი ერთი კვედუროსძე და სლანე(დ) კუპრასძე შენ, ყდ წო ღის მშობელო ხახულისაო, ძისა შენისა მგმობართა და მელახურესა თანა დასაჯე და თვთ შენ ყდ წისა მგმობართა ნისტორის ზ ორიგენისთანა, ზ ყთამცა ბრალთა ზ ცოდვთა ჩემთათჳს იგი მისცემს სიტყუასა ღმერთსა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ოსეთისა ზარადხოვნისა<sup>10)</sup> მწიგნობარსა დაბნედილისა (sic) კელითა დამწერია:—

## II) ღავთარი ჯიჲფოზონისა.

„სახელითა... მე თამარ დედოფალმან, სულ-კურთხეულისა ზ სანატრელისა მეფისა რუსუდანისა ძისა, ყოველთა მეფეთა მეფისა დავითის ცოლმან და ემენელასძისა ასულმან, ვიყიდე სოფელი ჯიჲფეფონი ცოტენ გარაყანისძისაგან, მისგანაც ნასყიდი და ნასისხლი ამა ქუეყანისა<sup>11)</sup> დიდებულთა და აზნაურთა და მისთა მესისხლეთა და მოსამართლეთა ყოვლისა დაკდომითა უსარჩლელი და მოუდევარი ყოვლისა ადამიანისაგან და შვეწირე და მოვაკენე ყდ წსა ღთის მშობელსა ხახულისასა, დიდსა მონასტერსა (გელათს) საუკუნოდ სალოცველად და სააღაზოდ სულისა ჩემისად, ვიდრემდისცა წა ესე მონასტერი ეგოს. და გავაჩინე აღაპი სანთლიანი და დღე სეკდემბერსა ოცსა ღთისმშობლისა შობაი ზ ყთა დღეთა ტრაპეზსაზუნდა სახელდებით მოვიკენებოდეთ. — ესე ჩემ თამარისაგან დედოფლისაგან ნასყიდი... ღვთის სწორისა რუსუდანის ძისა მეფეთ-მეფისა ბრძანებითა და დაკდომითა... ნასყიდი სოფელი ჯიჲფეფონი თორმეტი გლეხი მისითა მიწა-წყლითა ზ მიმდგომითა, მთითა, ბართა... ზღურითა... (მერე წყეა-კრულვა სწერია, ვინც შესცვალოსო).

## 1280 წ. ნაყჲვიბი სამღვდელო კრების ძებლისა.

სინოდის განტორის მე-XIII საუკუნის სქლით სუტურად გადაწერილს ნუსხაში № ტნგ (№ 507) ჩვენ ვიპოვეთ აქამოდე არცნობილი მეტად საყურადღებო ნაწყეკუტი სამღვდელო კრების დადგენილობისა, რომლის თაკი და ზოლო დაკარგული უოფილა მე-XVII საუკუნეშიც, როდესაც გადაწერილაა ეს ნუსხა.

კრება შემდგარა, როგორც საგულისსმებელია, თფილისში ყველა ქართველ ეპისკოპოსთაგან, რომელნიც მეფეს სწერენ: სანამდი ჩვენს თხოვნას არ აღგვისრულებ, მანამდი არ მოეშლით კრებასა, რაც უნდა ძალა დაგვატანოთ, კელესიებს დაგ-

<sup>9)</sup> კვახჭირი სუთს კერსზე ქუთაისიდან.

<sup>10)</sup> „ზარადი არს ზუხის (ე. ი. რეინის ქუდის) ვაჰკაჲ“ (საზა). ზარადხოვნანი უნდა იყოს ხარისხოვნების მახეულებელი.

<sup>11)</sup> „ამ ქუეყანად“ უწოდს იმერეთის სამეფოს.

გეტო, მირონს არ მაქნებოდა და სს. სოლო თსოკვა კრეპას იმაში მდგომარეობს, რომ შეფოსვანს სანჭურად ტანუელი და ერისკაცთაგანაც ძალადობით მიტაცებული საეკლესიო მამულები ეკლესიასვე დაუბრუნდეს და სს.

სამწუხაროდ, ამ ძეგლის ნაწილები თარიღი არა აქვს და სძაბული რჩება ის, თუ რომელი მუფე და რა გარემოება აქ გულისხმებული, ანუ როდის, რომელს სანუქუნს და წელს უოფილა ეს კრება.

შინაარსიდანა სჩანს, რომ კრება უოფილა შემდეგ თფილისის ქალაქის სწარსოვანს დაბრუნების, ე. ო. შემდეგ 1122 წლის (ახ. ჩემი: „Завѣщаніе г. п. Давида Воз.“, გვ. 20—21 და ქ-ცხ. I, გვ. 259); მუფე, რომელსაც სწორედ, უოფილა „სამეოც-და-მეათეთსმეტე შეილი თქუწნთა (ე. ო. ბაგრატუნანთ) გუართანა“. თუ დავით წინასწარმეტყუელიდამ ვანგარდით, 76 მუფე იყო ბაგრატ IV (ქ-ცხ. გვ. 236), სოლო თანარ-მუფე იყო მე-81 (ქ-ცხ. I, 306). მკრამ ბაგრატ IV-ის დროს თფილისი სწარსთა უწართ და თჯთ ბაგრატ არა თუ არ სდევნიდა ეკლესიას, არამედ აძენებდა და ამკობდა მათ, როგორც ამას ამოწმებენ აურაცხელი ნაშინი.

ჩვენის აზრით, აქ მოხსენებული მუფე უნდა იყოს დიმიტრი-თავადაბული. აი ამისი საბუთები: 1) ძეგლში მოხსენებულია: „ესუცა ვინ უაღონობის მიზუნს შემოიღებს“, ე. ო. ბეკრობის მიზუნით თავს ნუ იმართლებსო, სოლო მხელა ბეკრობა და ხარაჯობა იყო მონკოლებს დროს (ქ-ცხ. I, 386 და უკოლ გვ. 133); —2) აგრეთვე ძეგლი ამბობს: „ვიცი, რომ მრავლანი კადრებენ ჟამის ძნელ-ბედობასა და სსჭირობასა“, რაცა იმავე ხარაჯობის დროს გაიჭინებეს; 3) მკრამ ეველანო მტკიცე საბუთი იმისი, რომ უკომსენებული კრება იყო დიმიტრი მუფის დროს, არის მოწმობა თჯთ ქ-ცხისას (I, 414—415), სდაც ცხადდ აღნიშნულია „ძეგლში“ მოხსენებული ცნობები: „მთავართ იყეს ეკლის შეხებად სუფართა და მონასტერთა, მიტაცებად სოფელთა და აჯარავთ... დღა-თუ ამათ უწესობათა დადად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოზი და ნიკოლოზ მსწუერელი, უკუნსურისი, არა-ვინ უურად-იღებდა სიტყუათა მათთა“... მუფის ზნეობითად განსრწნილობასთან ეს გარემოებაც იჭნებოდა მიზუნთ იმისი, რომ „ნიკოლოზ კათალიკოზი... ამხილებდა (მუფეს) მრავლად ჭ რა კერ დაანწმუნა, დაუტევა კათალიკოზობა... ჭ წარიდა მამულად თჯსად“ (ქ-ცხ. 418. შეადარე ესეთივე აზრა ულუ-დავითს ქ-ცხ. 402).

რადგან მერმინდელ დროინდელის მუფეებში ანტრთი არ უოფილა ქრისტიანობას და ეკლესიის ორგული, ამისგომ თითქმის დაჭეშმარიტებით შეგავილდა დაჯსკნით, რომ „ძეგლში“ მოხსენებული კრება უოფილა დიმიტრის მეფობაში, და სწორედ ამ კრებას იგულისხმებს უკომსენებული ცნობები ქ-ცხისას (გვ. 414—415). ნიკოლოზის გადადგომა იყო 1280—1282 წლებში.

ისევე შესანიშნავად დიდად გამოსაუყებელი, რომ ამ დრომ ძეგლი მოხსენიებს „ჭართლს-ცხოვრებას“, და ესეც სომ ასალი საბუთთა იმისი, რომ 1280 წელს ჩვენს მიტანვ თანარ-მუფისმადი შედგენილიც უოფილა და სკეთისაჯად გაგრცვლებული.

- - - - - გზით (გვედრებით) და ვრევთ კარსა მოწყობების თქუწნისასა, მოიწყინეთ კრტინთა ჩუწნი და სიგლახაკე და უქონებელი - - - ქუ

რივად და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღთისანი, შეიწყალენით განშიშუ-  
ლებანი, სიმაართლით შემოსენით, იკსენით დაწუნებული, უსაჯეთ სამართალი  
მართალი, რათა მართალთა თანა ეწესნეთ და იკსენით უპატიოებისაგან მწა-  
რისა, ვითარცა იტყვის წინასწარ-მეტყულების პირითა: „უფალი (ო<sup>ა</sup>) საბაო,  
ღ<sup>ი</sup> წ<sup>ა</sup> ი<sup>ა</sup>ლოისა, რომელმან გამოიყუანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, ვი-  
თარცა პირი ჩემი (წ<sup>ა</sup>) იყოს, რ<sup>თა</sup> (რომელთა) პ<sup>ლი</sup> (პარკელი) არს თავი  
სჯულისა და ეკლესიათა მცხეთაი (sic). და უკეთუ თავსა ჯერეთცა ნელსა  
ესრეთ ეყოს კელფერკ თით-ათით (bis) მწუტრვ<sup>ლ</sup>მან (მწკაკაჯაბაძან) რამცაღა  
ინაყოფეს. კ<sup>დ</sup> იტყვს: „ალუთქუ და აღუსრულე ო<sup>ა</sup> (უფალსა) ყ<sup>ი</sup> (ყოველი)  
აღნეთქსში (sic) შენია“; და „უმჯობეს არს არა-აღთქმა, ვიდრე აღთქმა და  
არა აღსრულება“. სრულ ყ<sup>ვ</sup> (ყავ), წ<sup>ო</sup> (წმიდაო) და ქ<sup>კ</sup> (sic) <sup>1)</sup> მოსილო  
მეფეო, ბრძანებული ესე თქუენი; სიტუჟანი საქმით სრულ ყუწნით, მოაღე-  
ბინეთ სიგლები და ნიშნები ყუალ<sup>ა</sup> (ყუელაა) ყუალ<sup>ა</sup>ს (ყუელაას) ვის ვის-  
თვსცა გიბოდებია <sup>2)</sup>. არა თუ ჩ<sup>ნ</sup>თს (ჩუწნთვს) რაჲსამე და ჩუწნისა შეძენი-  
სათვს ვიწყინებით, მაგრა სამლოდ წერილსა საღმრთოდეე კამს ქონებაჲ და  
მიყენებაჲ და თვთ საყდართა ქონებ<sup>ა</sup>ი (sic) დიდათ უფრო თქ<sup>ნ</sup>ნი (თქუწნნი)  
ქონებ<sup>ა</sup> (sic) <sup>3)</sup>. აწ თუ ერთხელ საჭურჭლესა თქუენსა შემოდებული და  
ერთგზის თქ<sup>ნ</sup>თს (თქუწნთვს) გამოძღუნებული თ<sup>ლ</sup>თა (თუფლთა) და მარგა-  
ლიტთა ზ<sup>ე</sup>ჭურჭელთა ოქროსა (გ<sup>ე</sup>) ვეცხლისათა თ<sup>ა</sup> (თანა) რამე მცირე ანუ გი-  
ნა დიდი საჭურჭლესა შინა თქუენსა მდებარე გამოიღოს ვინმე, ანუ თქუენვე  
გამოგწიროს, ანუ წარაგოს, რ<sup>ა</sup>დმე (რაჲდმე) ნიჰნიმცა მიანიჰენით, ანუ პა-  
ტიენი და ქებანი აღუარენით? არამცა უფროს რისხუტულ და პატიჯებულ  
ყუწნით? ღ<sup>ა</sup> თ<sup>ს</sup> (ღვთისათვს) შეწირულთა ადგილთა გაცემის ვაზირი მა-  
წუტველი, მაქმნველი ზ<sup>ე</sup> მნებებელი გაცემისათვს, ვითამცა არა ღ<sup>ა</sup>გან (ღვთის-  
გან) რისხუტულ იქმნეს? ვინცა იკადრებს და გინა აქნეს? ვითა კეთილის მა-  
მოქმედებელსა კეთილი ნიჰი მიენიჰების ღ<sup>ა</sup> მ<sup>რ</sup> (ღვთისა მიერ), ეგრეთვე ბო-  
როტის მიზეზი ბოროტსა მოისთლ<sup>ბ</sup>ს (მოისთულებს) ღ<sup>ა</sup> მ<sup>რ</sup>.

ვიცი, რომ მრავალნი კადრებენ ჟ<sup>ისა</sup> (ჟამისა) მწელბეად<sup>ბ</sup>ას და საქი-  
როობასა, მარა ამის უძნებლედესნიცა ყოფილ<sup>ან</sup> მაშინ ეამნი, ოდეს დიდი  
კათოლიკე ეკლესია შენებულა <sup>4)</sup>, ჰასრე რ<sup>ა</sup>დმე (რომე) კაფრამირ <sup>5)</sup> დაჯდომილ<sup>ა</sup>,

<sup>1)</sup> რას წინიშნავს ქარაგმიანი „ქ<sup>კ</sup>“ ჩვენ ვერ მივხვდით.

<sup>2)</sup> ცხადია, თვით მეფეს გაუცია საჩუქრად ერისკაცებზე საეკლესიო მამულები;  
სამღვდლოებას; უთხოვნია მეფისთვის მათი დაბრუნება, მეფეს სიტუჟა მიუცია, მაგ-  
რამე საქმით არ აღუსრულება დაპირებული და ამისგანა შემდგარა კრება.

<sup>3)</sup> ე. ი. ეკლესიის საჭურჭლესა უფრო მტკიცედ უნდა იქმნესო დაწვლი, კად-  
რე სამეფო განძია.

<sup>4)</sup> მცხეთის ეკლესია 1020 წელს აღშენდა (ქრონიკ. II, გვ. 34).

<sup>5)</sup> „კაფრამირ“ გადაძახისხუებულია სიტუჟისაგან კაფარ ამირ. კაფარ, თფილი;

თფილის ჭაღჭი სპარსთა ჭკონება და თვთ არამცა მიზეზი არეინ კადრა საყ-  
დართაჲ ქენისა (ქუტყენისა) ქონებისა და დარღუტვის მნებებელმუნ<sup>6</sup>). ყი (ყო-  
ველი) დრკულ მავალი მიზეზებდ მზაო (მზა არს), მავრა ნუ მისცემთ გზასი  
მეტყუტლთა ესე ვითარისა (ჯრასა) მტყუტლებისასა.—

სამოცდა მათხუთმეტეა მუღნი კართ თქუტნთა გურათანი<sup>7</sup>) და რლი (რო-  
მელი) მეფე თქუენ ოდენთა ქირთა, ლუაწლთა და განსაცდელთაგან არა კსნი-  
ლა (კსნლჲ), ვითა ლა (დმართსა) თქუტნსა მკსნელსა თქუტნ უკსნისართ; და  
არცა რომელსა მეფესა თქუტნგან უფრო ღის (დვთის) გზის დაქირვა ჰმარ-  
თებია. ამ სამოცდა ათხუთმეტთა თქუტნთა გარდასრულთა მეფობჲსა შიგა  
უფროსი და უმრავლესი ქი (კამი) ამისგან უძნელესი და უბოროტესი ყო-  
ფილჲ, ვითა ჭართლისა ცხრბჲ გამოაჩენს<sup>8</sup>). რომელსა დიდებულსა ანუ აზ-  
ნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლესსა აქუს სიგელი თქუტნთა გუართა-  
გან ბოძებული და თუ ვის აქს (აქუს), არაეინ დაჰმალდეს, რად არა-ეინ გა-  
მოაჩენს, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემულ იყოს ღეწეროს თვნიერ  
ამისსა რომე თქუტნ გაციემიან და გიბოძებიან სიგლითა. ესეც იუწყოს  
წნ (წმიდამან) მეფობჲმან თქუტნმან აწ შეკრებულისა ამის კრებისაგან წე-  
სი სახლისა და პალატისა თქუტნისა ესე ყოფილჲ: ვინცა ვინ დაკრულვილჲ  
რათაცა მიზეზითა და საქმითა, თქუტნ მიერცა შერისხულჲ, მამული დასქირ-  
ვია და ლაშქართა შიგან არ შეშუტბულჲ. აწ თუ ვის დაჰკრძლდეთ, გამო-  
იკენებს თქნს (თქუტნსა) დარბჲზსა და თქუტნთა ვაზირთ მოჰმართებს; ბრძ-  
ნებისა და კაცს (ჯრს) უბოძებთ, ჯრი (ჯურია) დასწერო, გაწყრომისა და პა-  
ვალ გაკდის ნაცვლად.—ესე უწესო წესი ნულაროდეს იქნების, ნუც დაგუტ-  
მართების. ვისაც დაჰკრულვდეთ, თქუტნც შეჭრისხედილი და კრმლითა თან  
უდგეით სჯულთა და წესთა სამღვდელთა სღათა (საღმრთოათა) წერილთა  
მოძღურებისა-ებრ. თუ თქუტნს მეფობჲშიგა არ შეჰკავზმავთ საყდართა და  
მონასტერთა და არა უბოძებთ კელთა მათთა საქონებელთა, ვინცალა დაუურვა,  
ანუ ვინცალა ჰკადრა თქუტნთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხაი (sic)? ოცდვა ეგრე

სის ემირი, იყო მე ემირის აღისი, რომელმან მცხეთას მაჰუღები წაართვა, ხოლო  
ჯაფარისგან კათალიკოზმა მეღქისედეკ დაბრუნა, როგორც ამას მოგკითხრობს მი-  
სი სიგელი, 1020 წელს დაწერილი (იხ. ზემო გვ. 31—35; „ჭრთნიკება“ I,  
203—8; ქ.ც. I, 222). ისიც ცხადია, რომ 1020 წელს აღი მკვდარი უოფილა  
და ჯაფარ ემირად მჯდარა.—შენიშნები № 7—8 ნაჩვენები ნიშნით უღუ-დავითაი.

<sup>6</sup>) კრებას სახეში აქვს გზის მეღქისედეკის სიგელი (იხ. ზემო გვ. 31—35).

<sup>7</sup>) წინასწარმეტყველ დავითიდან ბაგრატ IV იყო 75 მეფე, ხოლო თამარ  
მეფე 81 (ქ.ც. I, 306). დავით აღმაშენებელი—78 (ქ.ც. 240, ხოლო მარიამ  
დედოფლის კარანტი—72 (იხ. გვ. 271). ეკლეს. მუზ. № 131-ით—71 (გ. 233).

<sup>8</sup>) აქადამ სჩანს, რომ მე-XIII საუკუნეში „ჭართლის ცხოვრება“ აღწერილი  
ყოფილა (ალბათ თამარ-მეფემდე) და ამავე სახელით ცნობილი.

(ეგე?) ბრალი (ბრ'ლი) და ცოდვი (sic) არა არს, ვითა ცოდვის სახედ და იგავად დიდებ'ა მომავალთა და ყოფადთა ჟ'თა (ჟამთა) და კაცთათჳს მისათხრობ'ა მოსასენებელად. არღარავისგან გუაქუს პატივი: არც სჯულსა ზ' არც ებისკ'თა (ეპისკოპოსთა), არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც შ'ლდელთა, არცა მიჰრონსა, არც ქორებისკოპოსთა; — ყულა ყულ'მს უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბასრობით ვჰყავთ. რად დაქსნით წესსა საქებელსა? რად უპატიო ჰყოფთ პატიოსნებასა და საკრძალ' მოძ'მსა ამის სახისა საქმისასა? რომელი მეფე იქნების უპატიო მყოფელი, შეურაცხად მაქსენებელი ებისკოპოსთა და მონაზონთა?

თქუენ საყმითგან ღოჯ (ღვთაჲ) სწავლულნი ხართ და სღ'ნი (საღმართონი) წერილნი ზეპირით უწყნით. რომელთა (რ'თა) საქმეთა მოქმედი მეფე იქნების, ანუ რომელთა იყუბდრების, რ'ანიც (რანაგა) პატივნი თქუენთა გუართაგან ზედ სხმიან ებისკოპოსთა და მონაზონთა, მასვე თქუენგან ვიღირსებოდეთ, და თუ თქუენ უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაცხ გვყუნა? ვინმცა არა გუაგინა? ვინმცა არა უპატიოდ ზ' ავად დაგვკადნა? თვით (sic) პირად — ამას გუტუბნებან მქონებელნი და მნებებელნი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისანი: აპატრონი არ გუადებინებს და არც წავგლებს, რ'ლს (რომელს) სიგელით უბოძებია და თქ'ნ (თქუენ) არ დაგიდებთ (sic) და არც გუტმართლებით დადებინებ'მს (დადებინებსა?) ქრთამს მოგვემოა — ამ საქმეს თქუენვე სწამლეთ და დასდევით ემპლ'სტრო საკურნებელი. ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს: რაც საყდართა საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიმც მზლუპლნი ვართ ზ' არას უკუვადგებით და თქ'ნს თქ'ნი თქ'თაგან განაღამც გამსახურებლთ ძალისაებრ და შეძლებისა ჩ'ნისა. ესე ამის კრების აწ შეკრებულის ძალი ყოველთა შორის საცნაურ იყავნ. წ'სა და თვთმპრობელსა მეფეთ მეფობასა წინაშე, რომელ თუ ღმერთი გურისხავს და მიუდრეკელი და წ'ა გონებ'ა თქუენი ცოდვითა ჩუენთა სიმრავლისაგან მიდრეკების ზ' ესე რაც გვკადრებია და მოგვკსენებია არ დაგვეურვების ჩუენითა წესთა, რაჲცა დაგვკირებია, მისნი მქნელნი ვართ: არცა მიჰრონსა განვჰკსნით, საქართუპლოს ეკლესიათა დავჰბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ, წირვსა და ნათლვსა და სამკურდროთა ზიარებისაგან, — თვნიერ ამისსა ქნისა სხვსა ღონისა ყოვლისაგან უღონო ვართ. და ნუ თუ ამისითა ქნითა სხუაჲ სჯულთა და სხვას ცდგ'თაგან (ცოფკათავის) მეფობ'ასა თქუენსა საწყინო რაჲმე შემოუვიდეს და სჯულიცა ჩუენი დაქინდეს. ეზომის კანდიერებისა და წყენა-კადრებისათჳს ვითა საშინელისა ღთისა საშანელგბათგ'ნ ვძრწით და ვიზიშვთ, გარნა სღ'ანი (საღმართონი) სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობ'ად ბრძანებლ'ან და სადა ღმერთი დაგუქირდების, მუნ ყ'ავე (ყოველსაჲ) შეურაცხ ვჰყოფთ, და „მათნებელი კაცთა, ქრისტესცა მონა არვიყოა“, წ'ა მოციქული ჰავლე ბრძანებს.

აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მომლოდენნი ამისისა დაურევებისანი ყოველნივე აქა ვართ და ვილოცავთ წმიდასაჲ — — — — (მეტე აზ' არას).

**1280 წ.**—ამ წლის ახლო სანებს უნდა ეკუთნოდეს შემდეგი წარწერა ღურჯ მონასტრის სამრეკლოდასა, რომლის პოლეოგრაფიულად ბ. იაკობიკისკას გადმო-  
ღებული პირი ჩვენ გვაქვს: „ქ. აღიდენ ღნ ძლიერი და უძლეველი მეფეთ-მეფე  
დიმიტრი. მე მიწა მეფობისა მათისა უღირსი მღელელი და ჯუარის მტკრთველი  
აბრაამ ღირს ვიქმენ აღშენებად [სამრეკლო ესე] საღიდებელად მეფობისა მა-  
თისა და სალოცველად სულისა ჩემისა ჭ მისა ჩემისა ა - - - შეივედრენ ღნ  
და ყდ წნ მშობელმან მისმან. ამინ ქს: [უეთ]. ეს ქარონიკონს საეკლავა და  
ძღუესდა სწანს. რადგან აბრაამ, მოძღვარი მეფისა და „ჰქარ-მტკრთველი მეფისა“  
(იხ. ქ-ცხ. I, 418) კათალიკოზად დაჯდა 1282 წლის ახლო სანს (ქ-ცხ. I, 418),  
ამის გამო სამრეკლოს აღმენებას უნდა ეკუთნოდეს 1282 წელზე ცოტადენ უწინ-  
დელ დროს.

**1289 წ.—სიზმლი წის მფვის დიმიტრი თავ-დადებულისა.**

სიონის გუჟგებუა ჩვენ ვიპოვნეთ ტუაჟე ცუდის სელათ მსედრულად დაწე-  
რილი სიგელი (№ 16), მიცემულა დიმიტრი მეფისკან წამების დროს, ე. ი. 1289 წ.  
(დიმიტრი აწამა 12 მარტს, შაათს; და მართლაც 12 მარტს შავათი მოდიოდა  
1289 წ.: იხ. ქ-ცხ. I, 424, Hist. G. I, p. 606—607). ისტორიაში უცნობა  
პირი იოანე ანსელ მოთავაზებისკოზოსი „და თორმეტა უდასნათ არქიმანდრიტი“  
(ამ სარისხითვე ანსელნი მოხსენებულ არიან „ქრონიკები“ I, გვ. 293) ჭმოწ-  
მობს, რომ სიგელში მოხსენებული სოფლები შეწირული ყოფილა დავით-მეფისკან  
(დაშას ძისკან) და სელასდა შეწირულა დიმიტრის მიერ.

„... ჩუენ მეფეთა მეფემან დიმიტრი წამებულმან წარსამართებელად სუ-  
ლისა ჩუენისა როდეს საქართველოს ქსნისათვის ვიწამე მოძღურისა ჩემისა  
ბრძანებითა და გავაჩინე სიონისა ღრთისა (sic) მშობელს ვერაზედან ქა[-ნი]  
(ქარკასლანს?) აღვაშენინე და შევწირე ვერის ეკესა ვანანი სოფელი, ღილოსა  
ახაკოქი? მისითა შესავალითა. სამსა აღაპსა მიეგემდენ (მაზემდენ?) და გარდა-  
იციდდენ: შობასა, მიქუმასა და სულისა წსა მოვენასა; და ვინცა დამაკლოს  
წამებისათვის ღმერთსა მისცეს პასუხი განკითხვისა დროსა ჩემისასა“.

ზედეკ მტედ ღამაჩის მსედრულათ:

„ქ. ესე ვითა ძლიერსა და უძლეველსა მეფეთა მეფეს დავითს სამწირე-  
ლოესა ბოძებითა შეუწყალეზია იოსების ძე გიორგი და მეფეთა მეფესა და მო-  
წამესა დიმიტრი მეფესა,—ღიდებულ ყავნ ღნ სული მათი,—მწირველად გაუ-  
ჩენია, მე მათი მიწა მლოცველი, ქეს მიერ ანჩელ მოთავარებისკოზოსი და ათორ-  
მეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი უნდოი იწენ (იოანე) კანონითა მტკიცე ყყოფ,  
შემცვლელბელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ... ამინ“. ბო-  
ლოს სეკულად, ღამაჩის სელათ. მსედრულათ: „მეფეთა მეფე დიმიტრი ვამტკი-  
ცებ“. სათაური სიგლისა, მე-XVI საუე. სელათ წარწერილი: „ლილოსა და ვან-  
თის კელმწიფისკან სიგელი“.

**1292 წ.** — ბროსესკან გადმოღებულს კობერის ტაძრის წარწერას (Rap. IV, 136—7) ჩვენ ასე ვკითხულობთ: „ქრონიკონსა: ხყვე: ქ. მოწყალეობითა ღმერთითა ყოვლად წმიდისა შენისა ღმერთისმშობელისაათა მე შაჰანშა-მანდატურთ უბუცესისა ძემან, ბერმან გიორგი, შეწვევითა ამუჟის ყოვლად წმიდისაათა--- ქუეშეთ კარის ბპითურთ დაღეწილინ ზელა“ - - -

**1295 წ.** იქვე მეორე წარწერა: „ქრონიკონსა: [ხ]ყეთ: ქ. მოწყალეობითა და კაცთ-მოყვარებითა შენ ღმერთსა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ღმერთისა ქრისტესითა და შეწვევითა ყდ წრისა მშობელისა შენისათა, მე უღირსი შაჰანშა-მანდატურთ-უბუცესისა ძე მკარგრძელი და თანამეცხედრე ჩემი ათაბეგისა და ამირსპასალარისა სადუნისა ასული ვანენე ღირს-ვიქმენით აღშენებად სამრეკლო-სამარხისა ამის ჩუენისა იწროებასა შინა დიდსა ჟამთასა სადიდებელად სახელისა შენისა წმიდისა და სახსრად და სალოცველად სულისა ჩუენისა. შეიწირე, მაცხოვარო ღმერთო, ვითარ გ[უაქუს] სასიებაჲ ღმერთო(თა)ვე სატანჯველთაგან განგუარინენ, ღმერთო ქუათა უნდებსა მოხედავთ, არამედ სასი-ებითა გულსმოდგინებობასა“.

ამ წარწერებში მოხსენებულნი არიან მხარგრძელნი: შაჰანშა და მისნი ძენი მხარგრძელი (სახელად არის ხმარებული და არა გუარად) და გიორგი ბერი. შაჰანშა, ქ-ცხებით შანშე I, ზაჰარა II ამირსპასალარის შვილი, სჩანს რუსუდინის და უღუ-დავითის მეფობაში (ქ-ცხ. I, 349; 371—2; 398; 403) და მისნი ძენი ზაჰარა III († 1261 წ.) და ივანე II მანდატორი (ქ-ცხ. I, 398; 403; 409; 319); ივანეს ძე შანშე II, ანუ შაჰანშა ცოცხალი იყო 1295 წელს (ქ-ცხ. 428; 432 და სხ.). შანშეს მის მხარგრძელის ცოლი, ვანენი, სადუნ ათაბაგის ქალი, ქ-ცხებში არ სჩანს, მაგრამ თვით სადუნ ათაბაგი მანკანბურდელი ცნობილია (ქ-ცხ. I, 389; 409—11); სადუნი მოკვდა 1282 წლის ახლო ხანს (ქ-ცხ. I, 418 და Hist. G. I, 597). ბროსესკი გამოკვლევა და მხარგრძელების გეოგრაფიითი შტო ის. Addit. 362. კობერი და ამუჟა მშინ ქართველთ სოფელი იყო, აწ გასომხებულნი.

ფრასა: „სამრეკლო-სამარხი ჩუენი“ ჭინძნავს, რომ სამრეკლო სამარხიც ეოფილა მხარგრძელთა; სამრეკლოს ქვეშ ბეგრჯან სჩანს საფლავები; ხოლო ფრასა: „იწროებათა შა დიდსა ჟამთასა“, იგულისხმებს მონგოლთა ხარაჯობას (ქ-ცხ. I, 386 და ზემო. გვ. 133; 164; 166).

**1296 წ.** — ამ წლის ახლო ხნებს ეკუთნის გარეცხილს ტკაჯი (შალექსტუე) დაწერილი გუჯარი, რომელშიც მოხსენებულია ფრად ცნობილი ისტორიული პირი ბეკა სურამელი, ძე გრიგოლისა (ის. ქ-ცხ. 370, 383, 420).

„სახელითა ღმერთსა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, | მეოხებითა ყდ წმიდის ღმერთის მშობელისა | და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა | ცხოველსყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისა, ძელისა | ცხოვრებითა

საითა, მეოხებოთა წმიდისა და წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა, ყლთა ნაშობთა | უმეტესისა ნათლისა-მცემელისა იოვანესითა, | შუამდგომელობითა და თავსდებობითა წმიდისა გრი (გეორგი) კავთისათა, — ესე დაწერილი დაგწერე მე შს(ას)|ურთა უსუფესმან ბეგამან, ძემან გრიგოლს სულკურთხეულისამან, შენა ჯომარდის ძესა ქუფაქუსასა და ძმ[ა]სა შენსა ჯიბრისა, შვილთა და ყოველთავე მომავალთა | თქუენთა: მომინდა თქუენი მკურთხეობა მამული, პატარაი ადგილი, ჩემდა დასაჯდომად და მისა ადგილისათანაი პატარა | ვენაკი და მოგაცა (მოგაგ) მისდა სანაცვლოდა. შენისა განაყოფისა ოქუროისა მამული ნასყიდი და უსყიდელი | და მისი სა(ნ)დომი (საჯდომი?) სხლითა (სახლითა?) გაქუენდეს მკვდრად და სამამულოდ და მოუდევრად, ესე ოქუროისა კერძი მამული შენა ჯომარდის ძესა | და რაცა რა ოქუროისა ძისწულისა სქ - - - გდავს | - - - ოქუროისა კერძსა მამულსა თანა, თუ მისი ძისწული შინა მოვიდეს, რაიცა ძმისა მისისა კერძი მამული ჰმართებოდეს, განალამცა კელთა ჰქუენდა მასა ვაჟასა და თუ არ მოვიდეს, | მისი კერძი შენტისვე (sic) მიმიცემა. ოქუროისა ქალანი (ჭაღნი) დარაჩეს (დარჩეს?) ორნი გათხოვილნი და ერთი უთხოვარი: იგი კიდე გა(ა)თხოვე და ვითა გმართებდეს, მონახედი და ისტუმრებდი, წელიწადი უწირე ოქუროისა ცოლსა და შვილსა აღაქი. გაქუენდეს მკუიდრად და სამამულოდ და არა შეგეცვალოს ჩემგან და არცა ჩემთა შვილთაგან და ვერა და ხტობო (და „კერა“ და „სატობა“?) ვერაინ გითხრას მისა ოქუროსა მამულისა“. ბოლოს ხელმოწერიდა: სსკა-ხელით და სკუუღადა: „მე ბეგასა ჩემითა კელითაცა დამიბტკიციემა. ჰქუენდეს ჩუენსა ერდგულებასა შიგა“ —

**1293 — 1300 წ.** — ამ წლებში უნდა იყოს ჩაწერილი სინას მთის ქართულ მოსასტრის აღბეგებში შემდეგი მოსახსენებელი, რომელიც ჩართულია ბ. ცაგარდის *Слѣдѣній II*, 77—9 № 54: „... (მეფეთ-მეფისა) დავითისთვს (დავით-ნარინს † 1293) და ძისა მათისა კოსტენტინესთვს († 1327 წ.) და ძისა მისისა მიქაელისთვს ვსთქუათ ყოველთა... დავითისთვს (უღუ-დავით † 1269 წ.) და დიმიტრისთვს († 1289) და ძეთა მათთა დავითისთვს († 1310 წ.) და ვახტანგისთვს ვსთქუათ ყოველთა... სულსა მეფეთ-მეფისა დავითის († 1293 წ.) და მათსა მეუღლესა თამარს შს ლწ. — სულსა (მეფის) დავითის შვილსა გიორგის († 1268 წ.) შს ლწ. — სულსა ქართლისა კზისა ნიკოლაოზ, აბრაამ, ვეთიმიოზისა... (გაძი-შეგებულა თვთ ა. ცაგარდისაგან) და ამა მატინისა კელითა მწერალსა ჩიდანძესა ელია-ყოფილსა ელისეს... მოხსენებისათვს და განსტყნებისა მანდატურთ უხუცესისა ბექასსა († 1307 წ.?) და მეუღლისა მისისა ვახახისათვს“...

უკუდა აქ მოხსენებულნი პირნი მე-XIII საუკ. სცხოვრობდენ. ამათში საუკრადდებოა: 1) მიქელ, დავით-ნარინის ძე, სსკა ხელმოწერ წყაროებში არსად სჩანს (ქ.ცხ. I, 427—448); 2) დავით-ნარინის მეუღლე თამარ, ეპანაკლის ასული, ცხადად სჩანს ჩვენგან შეკრებილს გუჟარებში (იხ. ზემო გვ. 159—162, 3) კათალიკოზი

კეთიმიოზ (კეფემიოზ), რომელიც, როგორც საკულისსმებელია ქ-ცხოვრებდამაც (გვ 418; 431; 449), დამუდარა შემდეგ აბრამასა 1298—1310 წლებში.

ბექა მანდატართ უხუცესი, აღმზრდელი მეფის გიორგი ბრწყინვალისა, დასა-ტულია საფარის დიდებულს ტამარში (Rap. I, 120—121) და მოხსენებულია ან-ჩისხატის წარწერაში: „სულსა პატრონისა მანდატურთ უხუცესისა ბექასაა გა-ნუსვენენ ღო... სულსა მეუღლისა მისისა მარინეს... ძენი მათნი: სარგის, ყუ-არყუარე და შალვა აღიდენ ღწ“ (Rap. V, 28).—წმიდა მარინეს ეკლესიის წარწერაც მოხსენებს: „უფლო... აღიდე ოთავე შინა ცხოვრებათა პატრონი ჩვენი მანდატურთ უხუცესი ბექა და ძენი მისნი, რომელმან უღირსნი მიწო-დებისა მათისანი ღირს გვეყნა და გვიბოძნა ნასაფლავენი ლაზკრისძესა ლაზკრს და ძმათა საუკუნოდ. აწ“ (Rap. I, 126).—სინოდ. კანტორის აღაშთა ნუსხა-ში № ტმე (№ 507) მოხსენებულია აღაშთი: „მანდატურთ უხუცესის ბექასი და მისის მეუღლის მარინასი. იოანე რკინის კარელი. მათი აღაპი ანჩას საათაბა-გოსა“.—სწახს, რომ ვასხაი უოფილა ჰირველი ცოლი ბექასი, სოლო მარინე—მე-ორე. —საფარის მხატრობა აწ გაცუდებულია ბერის ჰაისისგან.

**1299 წ.**—ამ წლის ასლო ხანებს ეკუთნის ტუხუის დაზიანებული ტუჯარის, რომელიც მიცემულია ქკათასკეისადმი ისტორიაში ცნობილის ბეგა სურამელის შვი-ლის მიქელის ცოლისაგან.

ქ. სახელითა: არსებად: ცნობილისა - - - მამისა: ძისა: და სულისა: წა-სათა: . . . . (გრძლად) . . . და მეოხებითა წისა და ლუაწლ-მრავლის მენისა ახოვნისა მეკდრისა გიორგი კავთისაითა, ესე დაწერილი დაგიწერე და მოვაკსენე თქუენ [ძლიერს კავთისკევის ღეთის]-მშობელსა მე სურამელის ბეგაის შვილის მი-ქელის ცოლმან ჭაჭანამან სოფელი ნოსტე მიღობლი (?) სიძეთაგან შემოწირული და ვითა მათგან კელოპკნით შემოწირულ - - - უსაქმოი და საქმე უდებელი სერმელთა (?) და - - - უდები დასდებოდა და უსაქმოი სასაქმოდ შეეგ-- მალ-თა კელოსანთაგან და დავერდენ(?) ესე რომე აღარა სა[სულიეროდ] და არცა სა-კორციელოდ არა სძებოდა (სდებოდა?) სურამელთა - - - თის: არცა მრთელთა და არცა მიცვალებულთა(თჯს) და შევახვეწე(?) და მოვაკსენე ჩემს ქმარს მი-ქელს და გამოვიღე ჩემ - - ნაქმარ: სთასი (საფასი?) და მოვაკსენე იგი და გა-მოვიღე ნოსტე სრული სრულად უსაქმოდ და შეუვალად სურამელთა (სურა-მელთა) და მათთა ჩამომავალთაგან, ვითა არაი ვის რაი საქმე სდებია ქვათაკე-ვის ღთისმშობლისაგან კიდე და მისთა კელოსანთაგან გამოვიღე ბარათის ყუე-ლისაგან არაი ბარათი შევიღოდეს სურამელთა სახლისაგან და არცა მათთა კელოსანთაგან, არცა თეთრის ბარათი, არცა მათისა სახლის ულოფისა ბარა-თი, არცა გენდგაი (sic), არცა ურმის ზიდვაი, არაისთანაი არა თჯნიერ ამის-გან კიდე, რაი კეობაი გამოვიღოდეს და შეიყრებოდეს საკნაეს და სამკალს გა-მოჰყებოდეთ და ესე პატრონმან მიქელცა იპირიანა (sic) და ისმინა აჯაი ჩემი და ამას ზედა შემიწყალეს ქვათაკეველთა და გამოიყუეთეს ტაძრად მიყვანებას

დღეს ალაბი სამწიროით სხლით (სახლით) და რაიზომიცა მორდელი არის, ჟამ-სა სწირვიდენ და ალაბი სამწიროით სხლით (სახლით) და რაიზომიცა მორდელი არის ჟამსა სწირვიდენ და ალაბი გარდაიკედებოდეს სრული და უკლები სურამელთა ცოცხალთა და მიცვალებულთა სალოცავად და ჩემ ცოდვილისა სურისა სალოცავად... (მოკლე წყება შეიგვალებლათ ზედა).

სეკულად (ყრად ხელაკუნად): „ქა --- დამამტკიცებელ ვარ ---“. ქმში სურამელმცა დამამტკიცებელ ვარ ამ ---

ბევა (გრაგოლის ძე) სურამელი (იგივე „საღინ-ბეგ“ მონგოლთა ენით) და ძე მისი რატი იხ. ქტხ. I, გვ. 420—420; 428; 370; 383, მიქელ და ქაქან ისტორიაში ცნობილი არ არიან. მთელი გუჯარი მხედრულად დაწერილია.

1290 — 1300წ. ამ წლებში უნდა იყოს გადაწერილი ყინჯეთის ეტრატის სასარება (ქსნის ხეობაში). სასარება დაწერილია ზურგურ-ნუსხად, ლამაზის ხელით III. 4, 528 გვ. — ხელაწერი შეიცავს: 1) ახსნა ოთხეულისა, სამეულისა, ორეულისა და ერთეულისა; ამ თავში სსკათა შორის მოხსენებულია სურგურად, მაგრამ სსკა ხელით: „ისარებდინ ტაძარო ღთის-მშობლისაო გეოსამანაო“. გეოსამანის ტაძარი არის აწ თითქმის დარღვეული დიდის ხელაკუნებით საგები კაბუნის ეკლესია ქსნის ხეობაში, რატიშვილთა სასაფლაო. ეკვდრეში ასკენა წა გავი ბასილიო. ეს ბასილი უოფილა რატიშვილი. გიორგი რატიშვილმა და ადგილობრავმა მღვდლებმა მიჩვენეს ეს ეკვდარი და შიგ შეშენენ სანთლებით. ერთს სასაფლაოში ესკენა ჭილოფში შესვეული გავი: როდესაც ჭილოფი ავსადეთ, აღმოჩნდა, რომ სადღე ჭილოფი ეფარა ის ნაწილები კავამისა სრულად შეუშლელი იყო, თითქმის იერიც არ ჭჭონდა შეცვლილი სორცის, ხოლო რომელიც ჭილოფით დაფარებული არ იყო, ის ნაწილები სხეულისა (თავი და ერთი მხარე ხელისა) განსრწინდა; მაგრამ თავის ქალას შესანიშნავი სითეთრე ჭჭონდა. იქვე ახლო კუთსუმი იდგა ბერის ქუდი (КЛОУНЪ) გარდამ შეუძულად გადაკრული და შეიგნით აბრეშუმის თეთრ-სარწმულანის. შიგნიდამ სკეირეკელის ხელაკუნებით იყო ნაკერი სარწმული, რომელზედაც ძაფებით დიდის გუფადებით გამოყვანილია სსკა-და-სსკა კამეტრული სსკეები, ფრად მწკრილად. როგორც ამისსსკა დამსწრეთა, ეკვდარი წინეთ დაკეტილი უოფილა და როდესაც პირველად აუსსიათ, უნსავთ სრულად შეუშლელი კავი ჭილოფში გასიგულის ბერისა და მისს გულზე უნსავთ დადებული ერთი ფურცელი ეტრატისა, რომელზედაც დაწერილი უოფილა „შენდობის წიგნი“. გიორგი რატიშვილმა, რომელიც დასწრება პირველად ახლას ეკვდრისას, მიაბზო, რომ შენდობის წიგნი იწებებდა ამ ფრასით: „შკილო ბასილი“, ხოლო ბოლოს ხელ-მოწერილს იუოო „წილიკელი ის იოსების“ მიერო (სამწუხაროდ, ჩვენგან შეკრებილს საბუთებში იოსებ წილკელი არ აბაკება: შეიძლება ვიფიკროთ, რომ შენდობას აძლექდენ პირველის წილკელის იოსებ ასურელ მამის სახელით). თუძგ ეკვდარი ისევე დაუსურავთ, მაგრამ ხალხი სშირად დადიოდა თურმე წმინდანის სასახავად და ეკვ

დელს ღიას აგდებდენ, და უნდა ვიპოვოთ, რომ გახსნილი ნაწილი გვაძისა ტურან-მელთაგან იქნება დაზიანებული. მიწეისუბი თურქუ ბურთაობდენ ზემოსხივებულ ბურულ ქედით. ესრეთია ჩვენი დრო გონებრივ-ფსიქობით განადგურებისა, გადაგვარებისა და გაქვლურებისა! — ცხინკალს ახლო მთაში არის ქალების მონასტერი წა სხისა, კლდეში გამოკვეთილი; ზემო სართულში გამოკვეთილია ჰატარა ეკლესია, სადაც დაცულია ერთი ჩადებული სრულიად შეუშლელი ნაწილი — ფეხი წმიდანისა. მონასტერი და ეკლესია ღიად დაგდებულია, უთავალეუროდ. მე ჩემის თვალთი განსე 1883 წელს, ზაფხულს, რომ წმიდანის ფეხიღამ დანით ამოუჭრაით ნაწილები და წაუღიათ, ზოგს-კი ხელით უგლეჯია. ესენ ნიშანი ჩვენის სულიერად გახსნიისა და დანებისა! ღრმა და მრავალ-ფეროვანი მიწეში ჩვენის ზნეობითად გაქარწყლებისა, მაგრამ ის კი ეკლესიის ცხადია, რომ ჩვენმა ზნეობითმა გვაძმანც თ ა კ ი დ ა მ ი იწყო ღებობა და განსწვნა...

2) სახარება მთესი (76 თაკი), მარკოზის (კ. 7 თაკი) და იქვე გამოსახულება მასარებელისა მარკოზისი (ხატი), ლუკასი მასარებელის ლუკას ხატითურთ, იონანესი მისის ხატითურთ.

3) ზანდუკი ანუ სამიბელები საწელიწადო (ეს სხვა ხელით არის დაწერილი).

4) სულ ბოლოს სახარებას აქვს შემდეგი მხედრული წარწერა მე-XIII საუკუნის ღამის ხელით:

„ქ: ათხთავი: ესე წდაი განმანათლებელი: ადამისტომთა მე ბასილი: ა: მ: მან: შეემოსე და მოვქედეც: ლოცვა ყავთ ჩემთს ღრისათუინ: — “. ქარაგმანი ნიშნები „ა: მ: მან“ ჩვენის აზრით, აღნიშნავს: „ა[ფხაზეთის] მთავარების-კობოსმან“. რომ ქარაგმანი „ა: ა:“ ესრე იკითხვის, ამისი მაგალითი იხილე ზემო, გვ. 50.

ბასილი აფხაზეთის მთავარებისკობოსი ისტორიამ არ იცის, მაგრამ ზალეო-გრაფიული ხასიათი წერისა და თვთ ტექსტისცა უმჭილად ეკუთნის მე-XIII საუკუნის და არა შემდეგს დროებს.

სახარებაში შეტანილია მრავალი წარწერა მერმანდელის დროისა, რომელთაგან ზოგნი ჩვენ უკვე ზემო აღვნიშნეთ (გვ. 25).

1300 წ. მოქვის ტყავის მხატვრობიანი სახარება.

მარტოელის ტყავში დაცულია შეტანის ტყავის სახარება, მრავალის სურათებით შემკული და უმადლესის სელოკნებით დახატული. დიდად ცნობილი არქეოლოგი კონდაკოვი გააჩივრებდა ამ სურათების უმწვერვალესმან სელოკნებამ, რომლის მსგავსი, მისიისვე მოწმობით, სხვა არ იშოვება საქართველოში და იშვიათია მთელს დედამიწაზე. აღმოსავლეთის სელოკნებით არის გამოკვანილი აგრეთვე ასომთავრული ასოები. სინქარისაგანამ ამ ხელნაწერიღამ მე მარტო უმთავრესი წარწერები გადმოვიწერე. უკვლა წარწერათაგან სხანს, რომ სახარება დაწერილია ყოფილა მოქვის ტყავში.

რისთვის (მოქვის დიდებული ტაძარი აფხაზეთშია და ახლამდე დარჩულია: იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 91—92; ქ.ცხ. გვ. 202—4) და როგორც სხანსი, აფხაზეთში ქრისტიანობის დამტკიცების შემდეგ (XVII—XVIII საუკ.) ეს სახარება მარტვილში მოუტანიათ (მოქვის ხატები-ვი ასვენია სოფს და ზუგდიდს).

წარწერანი ტექსტის ხელით: 1) „ქე ძეო და სიტყაო ღისაო, მილხინე ფდ ცოდვილსა ეფრემს“; — 2) ლურჯ მკლნით: „მოქვისა ღის მშობელოა, შე სლი თქნ წინ-მღვთისა მოქველ მთავარებისკობოზისაა აბრამისაა. ან“; — 3) „ყდ წო დედოფალო ღთის მშობელო, დაიცევ და შე ორთავე ცხორებათა შიგან მოქვისაა მეტრაბეზე გი დეკანოზაა. ან“; — 4) „ღიდება ღა, სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა! დაიწერა წა ესე ოთხ-თავი დასაბამითგან წელთა :ხზ: (ე. ი. 6904—5604=1300 წ.), ქკა :ფვ: (ე. ი. 520+780=1300 წ.), ზენდადებსა მთოვარისასა :ვ: მცხარლსა :ზ: ინდიკტიონსა :იგ:, ხუთელსა :ლ: ექუსელსა :ლვ: მის მოქცევისა :დ: მთოვარისა მოქცევისა :ვ: კელითა ფდ ჩემ ცოდვილისა ეფრემისითა“; — 5) ბოლოს ტექსტი-სავე ხელით, მკვანამ მწკრიალად: „საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წა ოთხ-თავი არა თუ ახლად გვითარგმნია, არამედ ფრიაღითა იძულებითა ძმათა ვიეთთამე სულიერთა ბერძულთა სახარებათა შეგვწამებთა ფრიაღითა გამოწულილვითა, და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა პოოთ ეგრე დაწერეთ; და თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაა, ღთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დასწერეთ. და თუ არა-რამე გაშუნდეს, ჩუწნნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, — ხანმეტრცა და საბაწმიდურნიცა, — მუნით დაწერეთ ღ ღთისათჳს ერთმან-ერთსა ნუ გარევეთ, და გლაბაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“ (შეადარე ზემო გვ. 89 და „ქრონიკები“ წ. I, გვ. 207—8).

აზრი ამ წარწერისა ცხადია: წა გიორგი მთაწმინდელი ამ წარწერაში გვატნობებს რომ: ა) მას მხოლოდ ახლად შეუსწორებია (და არა ახლად უთარგმნია) ძველად თარგმნილ სახარების ტექსტი და ბერძულის ტექსტით გაუსწორებია (უფრო ცხადად გამოთქმული ესევე აზრი იხ. „ქრონიკა“ I, 208), ბ) უშეკლესნი სახარებანი იწოდებოდენ ს ა ნ მ ე ტ ა დ (ტინს ხანმეტურად) ღ ს ა ბ ა წ მ ი დ უ რ ა დ. — ს ა ნ მ ე ტ ი უ ნ და იჳოს სახელი უშეკლესის IV—V საუკუნის ქართულ სახარების თარგმანისა: თვთ სიტყვა „სა-მეტი“ აღნიშნავს ფრად ძველს, თუ ეს ლექსი გეოგრაფიული სახელი არ არის; ხოლო „საბაწმიდურად“ უნდა იწოდებოდენ ქართულთა მონასტერში საბა-წმიდაში (იერუსალიმის ახლო) VI—VII საუკ. თარგმნილი ანუ გასწორებული ტექსტი იმავე სახარების; გიორგი მთაწმინდელის სახარება მესამედ შესწორებული და გასწორებული ტექსტია ძველის სახარებისა. გ) მთარგმელი სთხოვეს გადაწერეთ: ძველი ეპრიანტები სკენის სახარებისა („ხანმეტი“ და „საბაწმიდურა“) სწორედ თარგმნილია და იქიდანმ გადასწერეთო. ხოლო თუ ჩემგან გასწორებული სახარება უფრო მოკლეონის, სწორედ გადასწერეთო და ძველ ეპრიანტების მისევეით სიტყვებს ნუ შესცვლითო. ჩვენ შეუსწორეთ ძველის რუისის და

ურბნისის (VII საუკ.) სასარგის ტექსტი გიორგი-მთაწმიდელისს და მართლაც აღმოჩნდა, რომ მთაწმიდური სასარგის სიტყვა-სიტყვით მისდევს ძველს ტექსტს, მხოლოდ აჭა-იჭ სიტყვებს სწავლას ანუ კარგ გასავარად ასწორებს, უცხო-ენიდან შემოღებულ სიტყვებს აჭართულებს და სს.

ბ. ა. ცაგარელს და დ. ბაქრაძეს განსვავებულად ესმით აზრი ამ საეურადღებო წარწერისა. ბ. ცაგარელს ჩვენი აზრი ოდნავ შეცვლით მიუღია, თუმცა კი გამოუცხადებლავ (ჩჭრნიკები“ I, 207), ხოლო დ. ბაქრაძისა უარ-უყვია (იხ. СВѢДѢНІЯ, III, გ. XXVII — XXIX).

6) ხელნაწერის ბოლოს დასატულია ღვთისმშობელი ჩხეილედი და მის წინ დანოჭილი ეპისკოპოსი ძვედრებელი, წარწერით: „ღანიელ (ღწლ) მოქველ მთავარ-ეპისკოპოსი“. ცხადია, რომ ღანიელ თანამედროვეა ხელნაწერისა (1300 წ.), ხოლო აბრამ უნდა იყოს მისი წინამოდგილე. — 7) მერმინდელ XVI საუკ. ხელით მინაწერებში ვითხულობთ: „სულსა მოქველ მთავარ-ეპისკოპოსისა ჩხეტიცესა ფილიპეს შს ღწ“ (იხ. 1438 წ. ახლო ხანს მოქველი რომანოზ; XVI საუკ. გრიგოლ იაკობის ძე; ევთიმე საყვარელიძე, 1605 წლიდან ავსაზეთის კწი; ანდრია საყვარელიძე, ცნობილი სობის მონასტრის წარწერთაგან; XVII საუკ. — ავკობ).

1307 წ. სოფელს სამსარში, ბორჩალოს მაზრაში, აღმოუჩნიათ ქვაბი, რომელშიც მრავალი ოთასება კლდეში დიდის ხელაოვნებით ამოკვეთილი და სამაღასი ადგილებიც. ამ ქვაბს ჭჭონია შემდეგი ასომთავრულია წარწერა, რომლის პალეოგრაფიულად გადმოღებული პირი ჩვენ ასრე წაკითხეთ:

„ქ. ვათაღა: ქვეშელისა: ღწტის: (ღაპარიტის) ცოლისა და: თმოგუელთა: ქალისა რუსულანისაგან: შწ: ღწ: ქენი: იყო ფკზ: — ქორვანის ძესა იწეს: (იოანეს) შწ: ღწ.“ (ჭორვანიძე უნდა იყოს სურთომოდკვარა).

ქენი: ფკზ: უდრის 1307 წელს, რადესაც ცოცხალი უოფელა ღაპარიტ ქვეშელი, კ. ი. ქვეშის ციხის (ბორჩალოს მაზრაში) პატრონი. რადგან ქვეშის ციხე ორბელიანთ გუარისა, ამის გამო ეჭვი არ არის, რომ ღაპარიტი ამ გუარს ეკუთვნის. ბროსისეს გამოკვლევით ღაპარიტ VI ორბელიანი მოკვდა 1263 ანუ 1273 წელს (Addit. p. 350 — 351). ჩვენის აზრით ეს ღაპარიტი უნდა იყოს არა ელდიგუზის ძე, არამედ სუმბატისა, რომელიც მოხსენებულია ქცხ. I, 383; სუმბატის უცნობი ძე (ქცხ. I, 383) აქნებოდა ღაპარიტ (VII), რომლის შვილი, ფირიად ცნობილი სუმბატ (1240 — 1270 წ. ახლო ხანებში), დასახლებულია იქვე ქცხ. I, 383. ჩვენს წარწერაში მოხსენებული ღაპარიტ (VIII) უნდა იყოს ამ უკანასკნელის სუმბატის უცნობი შვილა. ბროსისეს ცნობა, სომხურ წყაროებზე დაფუძნებული, არ ეთანხმება ჩვენს წყაროებს, აღბათ, იმის გამო, რომ სომხურს წყაროებს სახეში ჭჭუათ სომხეთის შტო ორბელიანებისა და არა ქართველნი ორბელიანნი (ჩემი „ჭრნიკები“ I, გვ. 302).

ჩვენს წარწერაში დასახლებული რუსუდანი „თმოგველთა ქალი“ უნდა იყოს ასრელი ცნობილიც მწერლის სარგის თმოგველისა, რომელიც ცოცხალი იყო 1265.

წლის ახლო ხანებში (ქ-ცხ. I, 399; 375; 477).—ის. ჩემი განმარტება ამ საგნისა კავკასიის სამისწავლო ოლქის კრებულში 1892 წ.

**1308 წ.**—ქკს: ფკ: დავით მეფის ძე გიორგი მეფელ ჰყვეს, რომელსა ეწოდა მცირე გიორგი (ვახუშტის ქრონიკა).

ქცხბა (I, 446) ამოყვამობს: „აღესრულა მესამესა წელსა (ბექას სიკვდილიდამ, 1307 წლის ახლო ხანებს) მეფე დავით... და დაუტევეს ნაცვლად მისა ძეა მისი მცირე გიორგი, ორ-წელ მეფე-ქმნილი“. შესანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ფრსას ვახუშტის და ბროსისეს ისე აუხსენათ, კითომ გიორგი გამეფებულყოფის ორის წლის; მაგრამ სწორი აზრი ფრსისა „ორწელ მეფე-ქმნილი“ ის არის, რომ გიორგი ორს წელს მეფობდა და არა ორის წლისა გამეფდაო. რადგან მამა მისი, მეფე დავით VI, ამ დროს აუღმყოფი იყო და მოკვდა 1310 წელს, ამის-გამო ორის წლის მეფობა გიორგისი იგულისხმებს 1308—1310 წლებს, მამის სიკვდილიდამ (ქ-ცხ. I, 446).

**1310 წ.**—ქკს: ფლ: მოკვდა დავით მეფე, დიმიტრი თავდადებულის ძე (ვახუშტ. ქრ.).

ქცხბა (გვ. 446) არ გვიჩვენებს დროს დავითის სიკვდილისა.

**1312 წ.**—ცაიშის საუდაბო (სამეგრელოში) დატყუდა ძვირფასი განძი ძველის ჩვენის სულ-საქმიანის სულთახებისა, ოქროს ძაფებით ნაკერი სამძღვალ-მთავრო ოლარი (ამ დროს მღვდელ-მთავრები ოლარით შემოსებუბდენ), რომელზედაც ამოკერილია შემდეგი წარწერა იმავე ძაფით და ესრეთის სულთახებით, რომ წარწერა შეინიძნება მხოლოდ ამ შემთხვევაში, როდესაც სანთლის სინათლე ანუ მისი სივით მოხვდება ამოკერილს ასობეს. ეს გარემოება უოფილა მიზეზი იმისი, რომ ეს წარწერა კერ შეუსინიშნათ ბროსისეს და დ. ბაქრაძეს, თქმდა მათ ის ოლარი გაუსინჯავით. შემოსენებულე ოლარი უძველესი ნაშთია სკვის სულ-საქმიანის სულთახებისა, რომლის წარწერაში ნახვენება თვით წელიწადი შეკერვისა, აი-თვით ეს ასომთავრული წარწერა:

მარჯვენა მხარეს: „ანჩის ხატს და საყდარსა მისსა მოვაქსენე და შევსწირე წა ესე ოლარი და [აუღვე] ანჩელსა ებისკოპოსსა მე თამარ კერკემლის ძისა ასულმან სალოცავად სულისა ჩემისაათჳს და, როდენნიცა ებისკოპოსნი იკმარებდეთ, ლოცვასა მომიკენებდეთ“.

მარცხენა მხარეს იმავე ხელით: „ღმერთო (ღო) აკმარე: ესე: ოლარი: ანჩელს: ი-ეს: (იოვანეს) და შემდგომთა მისთა მღვდელთ-მთავართა სათნოდ შენდა მწყემსობასა შა: (შინა) ქრ-ენსა: **ΦΨΧ** (ე. ი. 532+780=1312 წ.).

გვარი მესხელ აწინუთა კეკელების ძეთა, რომელთაცან ჩამომავლობენ აწინდელნი თავადნი ხერხეულიძენი, ქცხბაში (გვ. 437) შირველად სჩანან მე-XIII საუე. დასასრულს 1300 წლის ახლო ხანებს, როდესაც მათ ისახელეს თავი. მე-XVII

საუკ. სერსულაძეანი მოხსენებულნი არიან სამცხის აზნაურადვე (იხ. ჩემი გუგ. წიგ. II, გვ. 219, კანტ. ნუსხა № ტლთ). ანის დიდებული ტაძარი ტოროსის პირსუ აჭარაში, ბათუმს ახლო, ესლას სრულიად დაქრეულია (ამაჲ იხ. ვახუშტი ბაქრაძისა გვ. 275).

**1310—1318 წ.** — სინოდ. კანტ. ნუსხაში № :ხზ: (№ 507) შეტანილია მე-XVII საუკ. ხელთ ხუცურად გუჯარი მიქელ კ'ზ'ისაგან მიცემული, რომელშიაც მოხსენებულია გადაწყვეტილებული კ'ზ'ი ნიკოლოზ. რადგან ეს გუჯარი დაწერილია, როგორც შინაარსიდან ცხადდება, შემდეგ ხვარაზმელოვან (1225—1231 წ.) და მონგოლთაგან (1236—1242 წ. ჭ აგრეთვე 1255—1260 წ.) საქართველოს აოხრებისა, ამას გამო შეჰქვილ ქსდება, რომ გუჯარი ეკუთვნის მერმინდელს დროკვას, მაგრამ არა მეტად დაშორებულს (1250—1318 წ.), რადგან ხვარაზმელ-თათართაგან გაოხრებული მამული ამ გუჯარის მიცემის დროსაც გაუშენებელი ყოფილა. ამ დროებში (1250—1318) ცნობილინი არიან ეგვლას კათალიკოზნი: ნიკოლოზ (გადადა 1282 წლის ახლო ხანს), აბრაამ, მისი შემკეადრე (1282—1292 წ. ქცხ. 418), ეგუემიოს (ქცხ 418 და ზემო, გვ. 169—170 და ა. ცაგარლის ცხნდხიოი II, 177—9). ჩვენის აზრით მიქელ უნდა იყოს ეგუემიოსის შემდეგი კათალიკოზი და იგი, ალბათ, კათალიკოზობდა აბრაამის ანუ ეგუემიოსის შემდეგ და მასთანავე დასლავებით 1310—1318 წ., რომელს დროსაც უნდა ეკუთნოდეს ჩვენი გუჯარი.

„დაგიწერეთ.. ჩვენ ქვს მიერ კ'ზ'მან მიქელ შენ გუარამას ძესა ვაჩე მსახურთ უხუცესსა... მას ჟამსა ოდეს პირველ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან მოკრდა ესე სამეფო და ზოგნი ქუსუანანი და სოფელნი დიდად მოკრდეს, და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგემოობასა შინა იყვენით,—ამისი თვის რათა (რომელ?) რანილა მამულნი გქონდეს, იგინიცა ამოწყუტვილ იყუნეს და მით-ოდენ ვერ დარჩებოდით... ამის მიზეზითა გუბაჯენით და ვითამც შეგუტწყალენით შენ ვაჩე გუარამასძე... რანიცა საყდრი'ა სამსახურო სოფელნი გქონდეს, მოკრებულ იყვნეს და ვერა დარჩებოდი. ვისმინეთ აჯა თქუნი და მოგეცით სამამულოდ შენ ვაჩე გუარამასძესა, ჩუენსა მსახურთუხუცესსა... კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორმაშენი ყოველი... თვნიერ მუნ შინა მსხდომთა ხუცესთა სიგლოსანთაგან კიდე, რომელნი სანატრელს ნულ'ზ ქვ'ს... შემოუსხმან... მეფეთა და კათალიკოზთათვის მწირველნი... დაიწერა ეკლითა დისწულისა ჩუენისა საქუტულის მწიგნობრისა ი'ესითა“ (იოანესათა).

**1318 წ.** ქვს :ვ: დაჯდა დიმიტრი-თავდადებულის ძე გიორგი მეფედ და იწყო მთიებმან აღმობრწყინებულ და დაიპყრა ქართლი, სომხითი, სერ-კახნი და მესხნი (ვახუშტი. ქრ.).

დაბის წარწერა-ვა გვიჩვენებს გიორგის გამეფებას 1314 წ. (იხ. 1333 წლის ქვეშე).

**1318 - 1346 წ.** — წერის ხასიათით ამ დროს კეუთენის დიდებულის, აქამდო შენასულის, ჩუქურთმან ფიტარეთის ტაძრის (სრამის სეაბაში) ასომთავრული წარწერა, რომლის პალეოგრაფიული პარი, დიდად დაზიანებული, გადმომა ბ. იოაკიმოვი:

„ქ. სახელითა მამისათა... მე ქეთარ ქოტუას ჰე ამირეჯიბი თვთ-მყრო. ბელისა ძლიერისა მეფეთ-მეფის გიორგის (ზე) [ღირს ვიქმენ] აღშენებლ ამის მონასტრისა და საყდრისა ღირსისა ღმრთისა - - - - და კრძლითა მოგებულისა - - - ვიყიდენ - - - ტანძია და თავ - - - წ - - - ნ - - - ჩ - - - თავი კრძალი თუნგებთა (თურქებთა?) მთვე ღმრთე სანატრელთა ღირსთა მეფეთა - - - და შეესწირენ ამას ყდ წმიდასა ღმრთის-მშობელსა ფიტარეთისასა სამლოცველოდ მეფობისა მათისა - - - ნ - - - საესრად ჩემისა სულისა, მშობელთა და მძათა... არავის საქართველოსა (განსა) სიტყუა [აქუს] - - - [აწ ვინცა და] რამენცა (გურამან კანსან) გამოაუენეს - - კრულ იყოს“...

აქ მოსსენებული მეფე უნდა იყოს „გიორგი ბრწყინვალე“. წარწერიდან საგულისხმებელია, რომ მეფის ამირეჯიბის, ქეთარის, „სრმლით მოგებულის“ ფულით აუქნებია ფიტარეთი, უყიდნია ტანძია და სსკა მამელები, რომელნიც ფიტარეთისთვის შეუწირავს.

იმა ფიტარელი სხასს მე-XVIII საუკუნეში (ჩუბა გუგ. II წ. 205). — ძვირფასი საგალობლები ნოტის ნიშნებით „ჭრელი ნუსხა“, მე-XIII საუკ. ფიტარეთის გადაწერილი, აქეს მდ. ვ. კარბელაშვილს.

**1323 წ.** — ქეს :ა: მოჰქდა გიორგი დადიანი; დაჰდა მე მისი მამა დადიანად (კსუშტ. ქრ.).

ეს მამია მოსსენებულია ქცსბაში I, 449; ის. ზემო, გვ. 132.

პალეოგრაფიულ ნიშნებით ამ გიორგი დადიანს უნდა კეუთენოდეკს დიდი კერძხლის საწინამძღვრო ჯვარი, მარტვილის სობორნოში დაცული წარწერით: „ქე აღიდე დადიანი გი (გიორგი) ორთავე შინა ცხოვრებთა. — ქე შეე ონოფრე, ელიოზ“ (ჩუბა უბ. წიგ. III, 170).

მეშვიდე წერილში: „მონათა და უმათა მოკალეობისათვის“ ვასტანგ სწავს: მონათა და უმათა მოკალეობა აწისო კთთვულობა, „ვითარცა ჰყო იოთამ ამილახუთაროვმან: სტნა რომ რაოდენთამე ბოროტ-მოქმედთა განებრაათ სიკუდილი მეფისა გიორგისი მეათისა (მერჯის), ჟამსა ლაშქრად მყოლობასა მისსა; მოვიდა და განუცხადა ყოველივე მეფესა. მოღალატეთა ესრეთ დაედეთ, რომელ შესულ იყუნენ იღუმალ კარავსა შინა მეფისასა და მუნ მოეკლათ იგი. ესრეთ არა ერწმუნა მეფე ერთგულ მონასა ამას, რომელ კნინლა შერაცხილ იქმნა ცილის მწამებელად. ამის-გამო ფრიად მწუხარე იქმნა ამილახუთაროვი, რამეთუ უწყობდა ქეშმარიტება საქმისა ამის. ხოლო ვინაჲთვან ვერა რა ღონისძიება ჰპოვა საქმისა ამას ზედა დარწმუნებისათვის მეფისა, განიზრახა სიკუდილითა თვისითა გამოსხნა პატრონისა: მას აიძულა ვედრებითა ღიღითა მიფარვა ქეშმითა შორის და თუთ დაწვა ალაგსა მისსა. ლამესა მას შევიდნენ მოღალატენი კარავსა შინა და მოკლეს ხსენებული იგი ამილახუთაროვი. ჰგონებდნენ მოკლვასა მეფისასა; და ერთგულმა მონამან ჟამსა მოწყვიტეს თვისასა არა წარმოთქუა არცა ერთი სიტუთა, რომელსაცა შეეძლო განცხადება საიდუმლოსი. მან ამილახუთაროვმან მსახურა სამაგალითოდ ვითარცა მეფესა თვისსა, ეგრეთვე მამულსაცა, რომელიცა უკეთუ არა ექნა ესრეთ, შთავარდებოდა საქართულოსა შინა ღიღინი აღრეულებანი და უწყსობანი. საქმე ესე ასგზის და უმეტეს იქმნების წერილ, ეგოდენ ძვირფას არს ესე და ამისთვის შემდგომთაგანცა მეფეთა აღიღნეს ღიღად შვილისშვილნიცა მისნი ვიღრე ღღინიღელადმდე“...

იქვე ლექსი ვასტანგისი იოთამზე:

„გიძნობ ქებასა, ტომთ ღიღებასა, საქებელს არა დასაწუნოსა; | ესტფო შენს საქმესა, მზეგებრ მათენსა, არ ხვიმირს ქტსშე დასაბუროსა, | შენსა სახელსა, კეთილ-მსახელსა, ჩტწნის გულისა სასალბუნოსა. | ერთგულ-მონაო, ძვირფას-წონაო, შევედ სიხარულს საუკუნოსა!“ |

**1465 წ.**— ანაწილის 23. მცხეთის სიგელი № 75 (ნუსხა № :სქე:) ჩინებულს ტყაყზე ლამაზის ხელთ მხედრულად ნაწერი. ამ სიგელით ერისთავი არაგვისა ვამიე შაბურისძე (იხ. ზემო გვ. 203) მცხეთას მამულებს სწირავს „საკანონოდ“ იმ შემთხვევის გამო, რომ მეფე გიორგი VIII-ეს ვამიეს შვილისთვის (გიორგისთვის?) თავისი ქალი მიუთხოვებია. ხოლო ერისთავთაგან მეფის ქალის შერთვა „უჭეროდ“ მიაჩნდათ და როგორც ჩვენგან ქვემო დაბეჭდილი სსკ სიგლებიც ნათლად გვიმტკიცებენ, კათალიკოზნი „საკანონოს“ ახდკეისებდენ ყოველ ამგვარს შემთხვევაში (როდესაც დიდგანთა ქალებს ირთავდენ მცირე გვარისანი).

„... ესე წიგნი... მოგაკსენეთ (მცხეთას) და ქკზს მარკოზს ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამიე და სარო და ძეთა ჩწთა გწი, ომარ, მიქამან, ვარამ და ნუგზარ... მის ჟამისა შედევად, ოდეს ჩუენად უღირსად ღიღად და

საპატიოდ შეგვწყალოს პატრონმან მეფეთა მეფემან გ<sup>რ</sup>გი (გიორგი) და მათი ასული ჩუენისა შეილისათჳს გვბოძეს და მოგუცეს, დღი გამოსანახავი სასჯულ-ლო და საკანონო საქმე იყო... და შემოვსწირეთ კითხვითა, ბრძანებითა და ნება-დართითა... მეფეთა მეფისა გიორგისითა ჩუენი მკვდრი... მამული ნოჯი-კეთა ნოჯისთავი ეკლესია მისითა მიმდგომითა, რას შეილისეული მამული მისითა მამულითა (sic), სახლკართა, ველითა... საიქოსძე ჩაბას შეილი, მაკარის-შეილი და თვედორას შეილი მათითა მიმდგომითა და ხუდაბუნებითა... ყუელა უკლებად ამა წესითა, რა გუარაც სხუანი მცხეთისა მამულნი თარხანნი და კელშეუვალნი არიან, მითვე წესითა არავისი კელი შევიდეს... დაიწერა... მოქცევასა მეთათხმეტესა, ქ<sup>რ</sup>ეს: რნგ: აპრილსა ოც-და-სამსა ეკლითა ოქროპირის-შეილისა მახარებელისათა“. ბოლოს მძარე სეღათ, მსედრულად: „მე ერისთავი ამისი გამათავებელი ვარ“ †

(იხ. ესკე ჰაინი ქქეპო 1474 წლის ქქეშე).

მ. იოსელიანი ქმოწმობს („Михелский храмъ въ Грузіи 1866 г.), რომ არაგვის ერისთავთა ოჯახში დაჩენილია მოთხრობა, ეითომ გიორგი VIII ჭაბა ბერძენთა კეისრის კოსტანტინესგან 1452 წელს დანაშნული, ერთს ერისთავთაგანს მისთხოვადო, როდესაც მისი საქმრო კეისარი, კოსტანტინე, მოიკლა სტამბოლის აღების დროს, 1453 წ. ეს მოთხრობა სიმართლესთან ახლოა.

გიორგი VIII-ის ქაღის კოსტანტინე იმპერატორზე დაწინადა, აღწერილი მისს კარისკაცის და ისტორიკოსის ფრანსუა-პროტოკრესტაწისგან, მოყვანილია გიბონის ისტორიაში (Hist. de la decodence et de la chute de l'Empire Romain tom. XIII, pag. 43—48. Paris, 1828. ამისა თარგმანი იხ. ფ. გიზოს ისტორიაში). მოკეყანთ შემდეგს ნაწეკეტს:

„კოსტანტინეს ტახტზე აღსდგის შემდეგ, დედა მისი დედოფალი და კარის კაცი შეუდგენო მისთვის სასძლოს ამორჩევს. იმპერატორს აძლევდენ ვენეციის დოჟის ფრანც ფოსკარის ქალს (1423—1457). მაგრამ კარის კაცთა და ბიზანტიისა დიდებულთა უარყვეს ეს მოყვრობითი კავშირი არჩევანობითად მაგისტრატისა ღ მემკვიდრობით იმპერატორს შორის. მაშინ იმპერატორის ყურადღება დარჩა ორს სამეფო. ოჯახობაზედ — საქართველოჲსა და ტრაპიზონისაზე. აღირჩია უფლების-მექონე-ელჩად ფრანჩი პროტოვესტიარი, რომელიც მრავალ სიმდიდრითა წარგზავნა საქართველოში. მას ახლდენ მრავალნი კეთილშობილნი, მცველნი, მებრძლენი, ბერნი და მემუსიკენი (მესაგრაჟენი). ქალაქნი და სოფლები, სადაც კი გაივლიდენ იგინი, დიდის ყურადღებით ეგებებოდენ მათ, ხოლო მათი საკრავები ყურთა-სმენას უტკობობდა მათ, და მრავალი ცნობისმოყვარე ხალხი იყრებოდა. ამ ცნობის მოყვარეთა შორის იყო ასის წლის მოხუცი, 1398 წელს თიბურისგან ტყვედ წაყვანილი ინდოეთს; ინდოეთიდან „სუნნელოვან“ ქალაკებში გამოქცეულიყო და აქილამ ისპანის გემზე — პორტულგალიაში. სტუმართ მოყვარულ საქართველოში ფრანჩმა აღირჩია მეფის სძლად ახალგაზდა ასული ქართველთა მეფისა. მეფე-გიორგიმ, კმაყოფილმა ბიზანტიასთან დამოყვრებით, არა თუ არ მიიღო, ამ ქვეყნის ჩვეულებისა

ებრ, საჩუქრები ქალისათვის, არამედ, პირიქით, მისცა ქალს 56,000 ოკროს ღუკატი და დაუნიშნა მას ყოველწლიურად 5,000 ღუკატი სარჩოდ. მეთხოველმა მოიგონოსო, სწერს გიბზონი, აღამენონის ნიჭნი (იფადა 1—IV, გვ. 144) და საზოგადოდ მთელის ძველ ქვეყნების ჩვეულება“. მეფე არწმუნებდა ელჩს, შენი შრომა უსასყიდლოდ არ დარჩება და როგორც იმპერატორმა შენილი მოიგნათლოა, ისე ყოფად-დედოფალი (გორგი მეფის ქალი) ეცდებოდა შენის ქალის გაბედნიერებასაო. ელჩის კოსტანტინებოლი დაბრუნების შემდეგ იმპერატორმა სიგლითა (გრამატით) დაამტკიცა სადედოფლოდ აღრჩეული ქალი მეფისა, თავისი ხელით დაასვა სიგელს სამი წითელი ჯვარი და მეფე-გიორგის მხრით გაგზავნილი ელჩი დაარწმუნა, რომ გაზაფხულის პირზე ბიზანტიელთა გემები წამოიყვანენ საქართველოდამ სასძლოსაო. იმავე ფრანჩის მიანდო საიდუმლოდ, რათა მას, კიპროსის შესახებ მინდობილების აღსრულების შემდეგ, საქართველოდამ წამოეყვანა ყოფად-იმპერატრიცა. ფრანჩი ზამთარს ემზადებოდა საქართველოში წასასვლელად, მაგრამ აპრილს 1453 წლისას სტამბოლს მტერმა ალყა შემოარტყა და განზრახული ქორწინება დაირღვა კოსტანტინებოლის ქალაქითურთ და თან ჩაიტანა გმირულად მებრძოლი იმპერატორი“.

3. იოსელიანს ხელში ჰქონია ბოდორჩის წინამძღვრის არაგეთა ერისთავის შვილის (კიზის ბესარიონის მიერ აღწერილის) ნეოფიტესაგან ფრანჩის ხელაგებობის გადაწერილი კურთხევანა, რომლის აღაპეში მოხსენებულია ყოფილა: „მოასიხენ ბატონიშვილი მეფის ასული ნინო“, რომელიც უნდა იყოს ზეპო აღნიშნული სძალი იმპერატორისა და შემდეგ ცოლი გიორგი (ვაშიყის ძის) შაჰურისძისა (Onucanli Dusheta“ 3. იოსელიანისა, გვ. 36).

ეს ანტიმადრიტი ნეოფიტე, კაცი მკნეური და კალიგრაფი, განდევნად იქნა ბოდორჩოდამ, დაკით-გარეყვის უდაბნოში და გაკრეჭილ, რადგან მას აბრალედენ მონაწილეობის შიდასა შეთქმაში მეფე-ერეკლეს საწინააღმდეგოდ 1465 წ. მსაჯულმბრალედებდა ნეოფიტემ უპასუხა: „შე რომ მცოდნოდა, მეფეო თქვენ არ გეცოდინებოდათ საქმე ესეო“ (ibid.).

1465 წ. — აღიქვის ტარჩის სიგლის პირში № 5 მოხსენებულია შეწირულობა ერისთავის შალვასა, მისის ძის რამაზასი და რამაზას ძის ქეკელიყეკელისა, სოფ. ოპისში, ქვეს :რნგ:

1466 წ. — ქვს :რნდ: აქა მეფე დაიჭირა ყუარყუარემ(მ) ტყუად (ძილის-პირი იკორთისა № 6).

1466 წ. მცხეთის სიგელი № 35 და ნუსხა № :რგვ: „...მე... მკრობელ-მან ორისავე ტახტისა ლიხტ-იმერისა და ლიხტ-ამერისამან... მეფეთ მეფემან ბაგრატი... შევსწირე (მცხეთას).. და ქვს დავითს... თქუნი ძუტლითგან მკვდრნი დილომს გლენი ესაბერი მზეოსძე და გეგელის შვილი მათითა. მამული-

თა... (და სხ. ჩუქულებრივი) კელ-მოკსნით შემოგვწირავს სააღაპედ და სამლო-  
ცველოდ პატრონისა მამისა (?) ჩუქნისა გიორგისა სულისათჳს... დაიწერა...  
ინდიკტონისა მეფობისა ჩუქნისასა :იბ: ქკს :რნდ: კელითა ფრიად ცოდვილი-  
სა მახარობლისათა... ერთი კანდელი... და ორი ალაპი... გარდაიკედებოდეს...  
აღდგომისა ორშაბათ დღესა მამისა ჩუქნისა გიორგისთჳს და... სამშაბათსა  
ჩემთჳს“...

ამ გუჯარში იმერთა მეფე ზაგრატ ჰირველად სჩანს ქართლის მეფედ; და მარ-  
თლაც ქცხბით (II, გვ. 185) იგი გამეფდა ქართლს 1466 წ. არ ეიცი, რად უწოდეს  
ზაგრატ მეფე მამად თვისად გიორგის, როდესაც იგი ცნობილია დიმიტრის ძედ?  
იმერთა მეფე გიორგი ქცხბით გამეფდა 1389 წ. ზემო ჩუქნის გუჯარებში მოსხენე-  
ბული იყო გიორგი მეფე 1393 წ. (გვ. 201) და შეიძლება იგი იყოს იმერთა  
მეფე და არა ქართლისა. ჩუქნი გუჯარს სსაბუთებს, რომ ზაგრატი ამ გიორგის  
შეიღია. ზაგრატ იმერთაში გამეფდა 1455 წ.

აქ მოსხენებული კზრის დავით მეოთხე და 1466 წელი არის ჰირველად  
წელი მისის კათალიკოზობისა, 1479 წლამდე აქედანვე სჩანს, რომ მისი წინამო-  
ადგილე მარკოზ კზრად მკდარა 1460—1466 წლებში.

**1466 წ.** — ქკს :რნდ: მოკრდა ყვარყვარე ათაბაგი; დაჯდა ბაიდურ ძე  
მისი და ზაგრატ იმერთა მეფემ ქართლი დაიჭირა.—კვლად განდგა დავით და-  
სერ-კახნი დაიჭირა.—მერმე გიორგი მეფემ ქართლი დაიჭირა და სერ-კახნი,  
ზაგრატ იმერთს წარვიდა და დავით—დილოეთს (კახ. ქრ.)

**1466 წ.** — ქკს :რნდ: აქა კირიანოზა. (საგუჯოა: კვ. მუგ. № 85).

**1467 წ.** —:რნე: იანვარსა :კ: „ჩვენ... მეფეთ-მეფემან ჩრდილოეთ-აღმო-  
სავლეთ და დასავლეთის პატრონმან თვთ-მპყრობელმან ზაგრატ, თანამცხედ-  
რემან.... შვილმან ჩვენმან ალექსანდრე... გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულად  
და მრავალად ნამსახურთ, ელიოზო შვილებს ჯუარის მტვირთველს დანიელს...  
ჩუენგან ნასყიდი სოფელი სასხორი..., იგინი ამ გვარად არის ჩუენგან შესყი-  
დულ: გზად წარმავალობისა დროსა ჩუენისასა თქუენ სჩიოდით ნაკლებობაზე  
წყლისა და რადგან თან იმ დროს ჩვენ საფასე არა მოგვეძევებოდა რა, წავიძ-  
რეთ ჩუენ თითისაგან ოქროს ბეჭდები და მივეცით იგი მათში. ესე არხი ამგვა-  
რად არის ნასყიდი, რომ წვერიანმა კაცმა მისგან წყლის დაღვევის შემდეგ  
წვერი შიგვე უნდა ჩაიბერტყოს... გვიბოძებია, რადგან თქუენ იყავით თავის-  
თავ და შვილებით დაუზოგველად ნამსახურნი... იმა პირსაზედა, რომელ წმიდა  
ნიკოლოზობის დღეს ჩვენს საფლავზე აკურთხებინოთ და მცხეთაში მყოფთ  
მღვდელთ-მთავარს აწირვინოთ ჩვენთვის... დაიწერა კელითა მწიგნობრისა და-  
ვითისითა ქკს :რნე: თვესა იანვარს :კ: (გადმოწერილია ნუსხადამ).

**1468 წ.** —:ქკს :რნე: დაჯდა ყაენად უზუნ ასან (კახ. ქრონიკა).

**1468 წ.**—მცხეთის ნუსხა № :სი: „...ჩუბნ - - მეფეთა მეფისა გიორგისგან] და საყუარლისა ძისა ჩუბნისა ალექსანდრესგან... (სრული საშეგო წოდებულაბა).. ესე... სიგელი... მოგეცით (მცხეთას).. სათათრო შალი ამოვიკუთმეთ სრულიად ყველა სვეტი-ცხოვლის გლახებს... არა ჩუენგან, არა ძისა ჩუბნისა ალექსანდრესგან... არა გეთხოვბოდეს რა... დაიწერა... ქკს :რნე: მარტა :კბ: კელითა წირქველელ გლონისთავისძისა რატისთა“.

შესანაშნავია, რომ უკვლა გუჯრებში გიორგის ძედ მოსსენებულაა მარტო ალექსანდრე და კოსტანტინე არ სჩანს. ეს ჩუენს მატინეში თითქმის დაეწებულა ალექსანდრე გამეფებულა 1476 წელს: იხ. „იკურია“ 1893 წ. № 72 და ზემო ბკ. 277—8; შეადარე ქემო 1479 წ. ქემუ.

**1469 წ.**—ქკს :რნზ: სრულიად განყოფა იქმნა სამ სამეფოდ (ანთამის ქრონ.).

— ქკს :რნზ: გარდაიცვალა გიორგი მეფე და დაჯდა ძე სმისი კოსტანტინე მეფედ და ტერკახთა ჩამოიყვანეს დავით და მეფედ ჰყვეს (კახ. ქრ.).

**1470 წ.**—ქკს :რნპ: მოკტდა დადიანი ლიპარიტ, და დაჯდა ძე მისი შამადავლე (კახუშტ. ქრ.).

**1470 წ.**—ქკს :რნს: მოკვდა ლიპარიტ და დაჯდა შამადავლე (დად. ქრ.)

**1470—1474 წლებს:** ხსლო დროების მხედრულ წარწერა რუისის ტუჯვის სხარებაზე: „ქ. პატრონისა ათაბაგთ ამირ სპასალარისა ყვარყვარეს ძეთა პატრონსა ბადურს ცოდვანი მისნი შს ლნ, და მათსა ძმასა პატრონსა ქიხოსროს შს ლნ და მათსა მონასა და ამისა მხატვარსა ანანისას შს ლნ“. ბაადურ + 1474 წ. მესამე შეილა ყვარყვარესი მსე-ჭაბუკ აქ არა სჩანს. —ამგვარივე წარწერა მეორე-რუისის სელანწერ ეტრატის სხარებაზე: „პატრონსა ბანდურს შს ლნ, და მათსა ძმასა პატრონსა ქიხოსროს შნ ლნ, და მათსა მონასა და ამისსა მხატვარსა ანანისას შნ ლნ“, (ჩემი უბ. წ. II, 30). იჭკე წარწერა: „ბატონი შვილი ლომენი... დამიანე მრავალ ვამიერ“; „ვესტათი ძე მეფისა“ (?).

**1471 წ.** ქკს :რნთ: აქა დედოფალი გულქან გარდაიცვალა (ჩემი. ქრ.).

— ქკს :რნთ: აქა დედოფალი გულქან გარდაიცვალა (იკოწთის ძილის-შირი).

— ქკს :რნთ: დედოფალი გულქან გარდაიცვალა (კრება ლექსთა).

— ქკს :რნთ: დედოფალი გულქან გარდაიცვალა (Chron Cé.).

ბროსსეს აზრით გულქან ანუ გულშარ უნდა იყოს მეფის ალექსანდრე-დიდის ძის დიმიტრის ცოლი. დედოფალი გულშარ (სხვა?) იხ. 1488 წ. ქემუ.

— ქვს :რთ: მოკლდა დავით კახთა-მეფე; და დასჯდა მეფედ ძე მისი გიორგი და მეფემან ბაგრატ ქართლი დაიჭირა (ვახ. ქრ.).

**1472 წ.** — ქვს :რ: აქა - - - | ლი - - - | ბგ - - - | გარდ - - - . ამ და-ზიანებულს წაწერაში საეკ- მუს. № 88 აღბათ უწინ ეწერებოდა: „აქა [ქართ]ლი [დაიჭირა] ბაგ[რატ] მეფემ და კ'ე (ე. ი. გოსტანტინე) გარდ[ავადლო].“

— ქვს :რ: უზუნ ასან ყაენი შევიდა საბერძნეთს და მოაოკრა (ვახ: ქრონ.).

**1472 წ.** თავმოკლული ხუცურა სიგელა, სინ. კანტ. № 51:

„ - - [ღთის მშობლი]სა მარამისითა. ესე წიგნი [გკადრე შენ ქვათაკევი-სა] ღთისმშობელსა და თქუნს - - - წინა დამკვდრებუთა - - - დეკანოზსა და კანდელასა - - [მე] ქადაგისძემა ფრიდონამა და ჩემმა ძმამა ამილბარმან ამა პირსა ზედა, რომე დეკემბერსა ათსა კარგაღებულსა აღაპსა გარდაიკლიდეს აბ-რამისთვს...ქვს: რს:“

**1472 წ.** მაღალაქეთა სიგელა, მდ. ი. ლიხისგან გადაწერილა:

ქ. თავდებობითა და შუამდგომელობითა...ჩუენ ქრისტეს ღთისა მიერ ქარ-თლისა კათალიკოზმან დავით ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასა-გინდა-ვე ეამთა ქცევა-გამოცვალებათა შინა მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სი-გელი მოგიბოძეთ ნებითა ღვთივ გვრგვანოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისათა და კითხვითა და ნება-დართვითა ყოველთა მცხეთიშვილთათა თქუენ, მცხეთისავე ყმათა, მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქუენთა შვილთა: მღღელსა მაჭარებელ-სა, ზომსიმესა, ალექსანდრეს, გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის და ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე: შეგიწყალეთ და მოგეკით შეძლებით მცხეთისა მკვიდრი და მიუღვეარი კავთის-კეეს ივანიასძისეული მამული და სამცხეთიშვილო წილი, რაც ერთს ძმათაგანსა მიხუდებოდეს სამამათავრო, მითვე წესითა როგორც ძველთაგან ივანიას ძეთა და ქადაგსა დიმიტრის ქონება ჩოჩეთსა, რაც ივანიასძისაგან ნასყიდი მამული და მიწანი ზერტი და ქადაგს დიმიტრის მიმზღრობით ქონდეს მისითა სასახ-ლითა, ეკლესიითა, ქურმარნითა, მითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველი-თა, ვენახითა, მინდვრითა, ტყითა, სანადიროთი, ქალითა, საბარითა, (?) საკ-მარითა, უკმარითა, საქებრითა და უძებრითა და მისითა მიმდგომითა სამათლი-ანითა ერთობ ყოველთა, და გორსა ფუშრუკაული დივნის ძე ბეთლემისა მიდ გომითა სამართლიანითა სრულიად და უკლებად. აწ დღესითგან წაღმა გქონდეს და გიბედნიეროს ღთ' საყდრისა და ჩუენის ერთგულად და სამსახურსა შინა თქუენ მაღალაშვილს ოქროპირსა და თქუენთა შვილთა... და თუ ვისმე ამ მამულის ნი-შანი ქონდეს, მტკიცითა ამით სიგლით ვაგვიმტყუენებია... ვინადგან სამკვლ-როდ ქადაგს დიმიტრის ქონდა; იგი სრულიად უმკვდრო იქმნა, ესრეთ რო-მელ არც არა მისი ნათესავი დარჩა, და ვერაინ მოგესარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი, როგორც საყდრისაგან და ჩუენგან მტკედ და სამკუიდროდ ბო-

ძებული არის, არა შეგვეცვალოს, არა მოვეშალოს არა ჩუენგან და არა შეშ-  
დგომთა ჩუენტა მომავალთა კუთავან და არცა სხუთა მუპატრონეთავან და თუ  
ვინმე ამისად შლად კელ ყოს, შერისხდი შენ, დაუსამამოო მამაო და ძე და  
სულო ვშიდიაო! დამამტიციებელნი ღონ აკურთხენეს და ვშიდამან დადა-ქალ-  
აქმან. დაიწერა წიგნი ესე და სიგელი ქს: რა: კელითა ფდ ცოდვი-  
ლისა ქართლის მკხსა იესითა\*: (იოანესითა) ხელწართუჯად: „კზი“ - - -

**1474 წ.**—ქს: რამ: აქა გიოვი მეფე გარდაიცვალა (წა ნიკოლოზ.  
ქრან.).

გიორგი VIII ქცხბით ჟ 1469 წ., გიორგი კასთა—ჟ 1492. აქ უნდა  
იგულისხმებოდეს გიორგი VIII და შეიძლება კახუშტის ქრონიკის ცნობა მართალი  
არ იყოს.

ქს: რამ: მოკუდა შამადავლე დადიანი; და დასჯდა ბიძა მისი ვამიყ და-  
დიანად (კახ. ქრ.)

ქს: რამ: მოკუდა შამადავლე და დაჯდა ვამიყ დადიანად (დად. ქრ.).

**1474 წ.** იენისის 24-ს. ბოდორნის მონასტრის გუჯარა № 1, ტყეჯე ჩი-  
ნუქლის ხელათ ხუტურ-ნუხსად დაწერილი. გუჯარის თავს სელოვსურად დასატუ-  
ლია მაცხოვარი მაკურთხეველი და იქით-აქით ორა ახეკლოზი. ქვემო ამოსა მარ-  
ჯვანით დასატულია მდიდრულად შემოსილი კაცი ასო-მთავრულ წარწერით: „ე: (ერას-  
თავი) ვამიყ“ და მარცხნათ ქალი წარწერით: „პატრონი დულარდუტ“—ორნივე  
დახეკაღნა. ეს მსატრობა გადმოულია და გამოუცა გაცანის და იქიდან გადმოუ-  
ხატავს „კვალს“ 1894 წ. შინაარსი სიგლისა შემოკლებულად ის. ბროსისკ V  
arch. Rap. VI, 6—22.

„ქ... ესე უცვალბელი... წიგნი... გვადრეთ... ხატსა მაცხოვრისასა....  
და შენ, დედასა ნათლისა მის მიუაზრდილებელისასა, თეთროსანსა ლუთის-  
მშობელსა, მკანელსა ქრისტეანეთასა. მოვედით ცთუნებისაგან გონებად და  
მოვიგონეთ და გულისკმა ცყავთ მე, ერისთავთ ერისთავმან, სახით ოდენ წო-  
დებულმან, ვამიყ შაბურისძემან და ჩუენმან თანა-მეცხედრემან, სახელითა ოდენ  
დულარდუტ-ყოფილმან მონაზონმან დომენე. და აღვირიეთ საუკუნოა ცხოვრება  
ამა სოფელსა, რომელთა წარმოგვევლინეს ღწარმოგვეცალიერნეს დღენი ჩუენნი  
მედგრობითა და ჟამნი ჩუენნი არა-წმინდებითა, დაღონებულ ვიქმენით ცოდვათა  
ჩუენთა სიმრავლისაგან. აწ მოვედით მოწიწებით და მუკლ-დრეკით და შემო-  
გებვეწენით, სულითა და კორციითა ვირჩიეთ თქუენი მონდობა და შემოვედ-  
რება. ძუტლად ჩუენთა პაპათავან აღშენებული მკირე აკლდამა ჩუენ ახ-  
ლადვე განვაახლებთ და აღვაშენეთ. აწ ჩუენისა სულისა სასურად გვადრეთ და  
მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ჩუენი მკვდრი მამული, სოფელი ხანდაკი მისი-  
თა მზღურითა, კევს-უკანით ვიდრე მეფისა სამზღურათამდის; მოგაკსენებდენ  
წელიწადსა შუგა კომლისა ზედა სამ-სამსა კაბიწსა პურსა ყალნად და რივის

პურად: ერთი კაბიწი პური და ერთი საკლავი და ერთი კოკაჲ ღვწოჲ კომლსა ზედა, და კომლსა ზედა თვითა ჩარეკი ცვლი; ვენაენი, სადამდის გაიყოფოდენ, მესამედი ტკბილი. მას გარეთ თვითოსა ალოვნობასა ოთხ-ოთხი დღე კნება და მისი მომუშაებებაჲ, ესრე რომე ორორი დღე დეკანოზთა მოხუდებოდეს ღ ორ-ორი დღე საყდარსა;— და ამას გარეთ ზურისა მუშაობაჲ და საყდრისა, რაცა მისა საყდრისა მისახლომი პური და ღვწო იყოს, იგი საყდარსა შიგა მათგან მიიღებოდეს. აწ ამისი ასრე გაგვიჩენია: ვინც-ვინ ჩუშნისა სულისა მწირველნი და მლოცველნი იყვნეთ, კალოს კაბიწსა და კულუხსა თქუწნთვს საზრდოდ მოიკლებდით და ოროლი დღისა ნაენავსა თითოსა ალოვნობასა მასცა თქუწნთვს მოიკლებდეთ; ასრე რომე თორმეტთა დღეთა საუფლოთა ჩუშნ ოდენ სახელწოდებულისა ვამიყისთვს სწირვიდით და მარხვათა-დულარდუხტთ ყოფილისა მონაზონისა დომნესთვს სწირვიდით, და მას გარეთ სახასოსა ზურისაგან და ნაენავისაგან გარდაიკლებოდეს ალაპი სეკდემბერსა :ვ: და აგვისტოსა: ვ: ვამიყისთვს. და კიდევ აგვისტოსა :იე: ღვთისმშობლობასა.— და ხარჯუბასა(?) დულარდუხტ-ყოფილისა მონაზონისა დომნესთვს დეკემბერს :კვ: კრებასა ღვთისმშობლისასა შაბურისძეთათვს და მათის შვილისა მიქიასთვს. ასრე რომე თვითოსა ალაპსა შიგა წაიგებოდეს თვითჲ კაბიწი პური და კოკა გუტრდი ღვწო და ოთხ-ოთხი ზურგიელი. აწ ვინცა-ვინ დეკანოზნი იყვნეთ, მოატანინებდით ხანდაკელთა სალაპედ ექუსსა კაბიწსა და გუტრდსა პურსა და ცხრასა კოკასა ღვწოსა და ამისაგან დეკანოზი კაბიწ გუტრდსა პურსა და კოკა-გუტრდსა ღვწოსა თევზად გაჰყიდდეს და ალაპშიგა წააგებდის, და მას გარეთ რაც პური და ღვწო დარჩებოდეს, დეკანოზნი თანა-წარყვებოდენ და ხანდაკელთა მათითა ულაციითა ქალაქს წააღებინებდენ და მისგან იყიდდენ ორმოც-და-ათსა ლიტრასა ზეთსა, და თექუსმეტსა ლიტრასა ცვლსა და მისსა საკმეველსა და ამას რაცა თეთრი დარჩებოდეს, მას დეკანოზნი საყდარსა შინა დასდებდენ, და ჟამის სიმკირისაგან თუ პურმან და ღვწომან აკლოს და საყოფნი ზეთი და ცვლი ველარ იყიდონ ერთის წლისა საყოფნი, მაშინ თეთრსა შეიწვედენ და ზეთსა და ცვლსა იყიდდენ. და ნუ მოგუტშლების დღე-და-ღამე ორი კანდელი და თორმეტთა საოფლოთა დღეთა კელაპტარი დღე-და-ღამე ენთებოდეს და ხუთი ალაპი კარგადებული გარდაიკებოდეს და მას გარეთ დიდთა მარხუათა შინა წირვასა შინა კელაპტარი ანთებოდეს.— აწ პატრონო მუფენო, და პატრონო ერისთავნო, და კელმწიფენო, ეპისკოპოზნო; მოზანნო, მღვდელნო და დიაკონნო; შვილნო და მომავალნო, ზედანო და ქუტდანო, რომელნი ესვით ხატსა მაცხოვრისასა და ანუ რომელნი მოვლით განკთხვასა შინა მეოხედ და კელის აღმპყრობელად ზეცისა ერისთავთა მიქელს და გაბრიელთა და ანუ რომელნი ესვით დედასა ნათლისა მის მიუწრდილებელისასა, ღთისმშობელსა მესნელსა ქრისტეანეთასა,—ყოველთავე გვევდრებით, ნუ ვინ მოუშლით მკირესა ამას შესაწირვასა, რომელი მოვიგონეთ და გულის-კმა ვყაჲ ვით სახელითა ოდენ წოდებულთა მე, ბაშურისძემან ვამიყ და ჩუშნმან მეუღ-

ლემან, დულარდუხტ, აღვირჩიეთ ამა სოფელს საუკუნო ცხორება, რომელთა წარმოგვეცალიერნეს დღენი ჩუქნი მედგრობითა და ჟამნი ჩუქნი არაწმინდებითა; დღონებულ ვიქნენით ცოდვითა ჩუქნთა სიმრავლისაგან. აწ მოველით მოწიწებით და მკლ-დაყრით და შემოგებევწენით... და შემოგწირეთ ჩუქნი მკვდრი მამული—სოფელი ხანდაკი, მისივე შტლურიითა, კვესუქნით ვიდრე მეთსა შტლუართამდის: მისითა ყოვლითა გამოსავალითა, ველითა, ვენაქითა, სათიბითა... ვერავენ საქმე დიგდოს, თვნიერ ხატის მაცხოვრის მეტმან, ვერა მეფემან, ვერ დედოფალმან, ვერცა ერისთავთა, ვერც მოურავთა და კელისუფალთა. არა გეთხოვბოდეს რა და თქუქნსა კარსა არა მოვადგებოდეს, ჩუქნო მკვდრნო ყმანო, ხანდაკელნო, არა ლაშქრობაჲ, არა მალი, ულუფაჲ, არა მუღამი მუშაობა, არა საჯინიბო, არა საბაზიერო, არა საწელოწლისთაო, არა სააღებოჲ, არა საყველიერო, არცა გორისა და არცა ქალაქისა და ჟინვანისა მუშაობა, არაფერი საქმე თქუქნსა კარსა არა მოადგებოდეს, თვნიერ ერთისა ხატისა სამსახურის მეტი.—ესე ასრე გაგითავდეს და ვერავენ შეგიცვალოს, ვერცა მეფეთა, ვერცა დედოფალთა, ვერცა ჩუქნისა სახლისა და გუარისა კაცმან... ვერავენ შეგიცვალოს...(აქ წყევს-გურულჳა შემშლელთა ზედა).

დაიწერა ქორონიკონსა :რამ: თა იენისსა :კდ: კელითა ფრიად ცოდვილისა და გლახაკისა კარისა მწიგნობრისა კედელასშეილისა საბასითა\*.

ბოლოს მდარე ხელით, მსუღრულად:

\*მე ფრიად ცოდვილსა ერისთავსა ვამიყსა დამიმტკიცებია;—მე ცოდვილსა გიორგის დამიმტკიცებია;—მე ფრიად ცოდვილსა ომარს დამიმტკიცებია, და მოწამეცა ვარ ნებითა ღვთისათა\*.

ამ კაშიე შაბურბიჳე და მისს გვაროჳსობაჳე იხ. ზემო გვ. 285-6 და 203, სადაც დაბეჭდილია „სულთა მატანესაგან“ უმკლესი შტო შაბურბითა გვაროჳსობისა. იმაჳე „სულთა მატანესი“ მოხსენებულთა სსკათა შორის: აღაპი № 106: „სული ღოთე გურგნსნის მეფეთ მეფის კოსტანტინესი.. (1478—1505) ქლ იყენეს: უკე: სლი დედოფალთა დედოფლისა თამარისი ქლ იყნეს უკე“ (მეუღლჳა კოსტანტინესი). ეს თამარ ყოფილა ათაბაგის ქალი (აღბულას დაჲ თუ უგარუგარ III-ის ქალი?) როგორც სჩანს იმაჳე მატანესაგან (აღაპი № 55): „ათაბაგთა ასულსა, დედოფალთა დედოფალსა თამარს, სლი კრთხლ იყენ ან“. № 56: „სული პატრონისა დედოფალთა დედოფალი ნესტან დარეჯანისი (ცოლი მეფის გიორგი VIII-ისა) ქლ იყენ და ცოდვანი მისნი შნ ლნ“. და იჳე აღაპი მეფის გიორგი VIII-ისა (№ 54). ხოლო აღაპი № 114 მოხსენებულთა ყურულას გიორგის სახელი, რომელსაც დაუწერა ჩვენგან დაბეჭდილი სიგელი 1439 წ. (იხ. ზემო გვ. 245; 278-280): „სულსა ჟურულისსა წინამძღვრისა გიორგისსა შნ ლნ: მეგეთა წინა მოსაქმე იყო და სიგელიცა მან დაგოწერა“.

### „მცნება სასჯულო“.

ტუაზე სურგურად ლამაზის სელით დაწერილი ბაქტინტის გრანდილი სიგე-ლი, (№ 9054 და ნუსხა № 66) მიტომელი ანტიოქიერუსალიმის პატრიარქის მი-ქაელისაგან; ამ სიგელადმ სჩანს, რომ მიქაელს აბსჯეთის ჯ'ზად დაუყენებია ბუ-დიელი იოაკიმ და დაუწერია რამდენიმე საეკლესიო კანონები ბაგრატის მეფობასა (1455—1478) და შამადალეს დადიანობაში (1470—1474). აქედამ ცხადია, რომ ეს სიგელი მიტომელია 1470—1474 წლებს შუა. ეს გარემოება შეუქს ჭეფენს თვით მისილის პატრიარქობას, რადგანაც ჟერ ისტორიამ დატკმშარიტებით აწ იცის მისის. პატრიარქობის წელი. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი ეპატრიარქაა 1452 წ., ხოლო 1484 წელს იქნა პატრიარქად დოროთეოს II. მაგრამ ამ ორ პატრი-არქთა შუა იყენენ იოაკიმ III და გრიგორი. ჩვენს სიგელი ცხად ჭეოფს, რომ უკანსკენელი ორნი პატრიარქნი მსხდარან 1474—1484 წ. (იხ. Полный Мѣсяцесловъ Востока, т. II, прилож., стр. 258).

ანტიოქელ პატრიარქის მოსლვა და ესრეთი სასჯულო სწავლა მისი ალბათ იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ იმერეთის მწკრილ-მწკრილ ნაწილებად გაუფოფას ეკლე-სიური განსეთქალებაც შეუდგა და სარწმუნოება შეიერა.

სრულის ტაქსტის გამოცემამ ცალკე წიგნაკად განვიზრახეთ და აქ შემოკლებით დატბუქდეთ. სათვალავნი მუსლთა (I, II, III და სხ.) ჩვენ დაესხით.

...მე ყოველთა ნარჩევი იერუსალიმისა და ანტიოქისა პატრიარქი მიხაილ მოვიწიე დიდსა ამას ქ'ეს სამწყსოსა, მეზობელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა. ვითა სათანადო არს მეფეთა, დადიანთა, ათაბაკთა, ერისთავთა, ამილახორთა, დიდებულთა, აზნაურთა და ყ'თა ქ'ეს ღ'თისა მოსავთა... მოიკითხეს ძუტლით ვიდრე ახლადმდე ღვთიე-გვრგვონსანმან ბაგრატ (1455—1478) და დიდ-მან ერისთავთ-ერისთავმან დადიან-გურიელმან შამადალე (1470—1474 წ.) მისთა თაველთა თანა-დგომითა და დიდად ღ'ისაგან სათონდ გამორჩეულისა... ბედიელისა იოაკიმისა გამოძიება და მოკითხუა გუართა, დავთართა, და იადგართა და ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათოლიკოსნი ანტიოქისა პატ-რიარხისაგან იკურთხეოდენ და ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იუენეს მრავალნი წესნი შემლილ და გარდაქცეულ, ვნახენ... და მეუფისა ცაიშელ-ბედიელ მთავარ-ეპისკოპოზისა იოაკიმისთა ნებითა და შემწვევითა ღ'თისათა... ვაკურთხეთ კათოლიკოსი იოაკიმ, მარჯვენა იერუსალიმისა, აფხა-ზეთის კათოლიკოზი და კურთხეულმცა არს: დავაყენეთ და დავესით აფხაზეთს საყდართა ანდრია მოციქულისათა ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერთა: ოდი-შისა, გურიისა და აფხაზეთისა... და აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იუენეს, ქრისტეს მცნებათა განშორებულ იქმნეს... და ეპისკოპოზ-ნი ლიხტ-ამერის ქოროზს, აქეთ, ოცეთსა აქეთ, ზღუა პონტოს აქათ, სადა დიდი-სა ბიჭინტისა საზღუარი მიიწევს, ეპისკოპოზნი ამა იერუსალიმის მარჯვენა-

საგან კათალიკოზისაგან იკურთხეოდინ და მიიღებდით კურთხევასა და ქაღა-  
გებასა მისსა; ისმენდით, ჯერ იყუნით და ნუ ურჩ ექმნებით.

აწ მამანო, ძმანო და შვილნო, ქრისტეს საფლავისა მარჯვენა, ლიხტამე-  
რისა და აფხაზეთისა კათალიკოზი იაკიმ, ქრისტეანობის სჯულის მამაგებულად  
და დამტკიცებულად ვაკურთხეთ... მე ღიღისა და ცათა მობაძავისა ანტიოქისა  
და იერუსალიმისა პატრიარხმან მიხაილ და ესე ქარტა თქუქნთვს აღუს-  
წერე.

**ჩ**ინაიღვან იგულსმოდგინა ღმერთმან და ჯერ-იჩინა ჩუქნისა კსნისათ-  
ვს და სჯულისა ქრისტიანობისა დამკვდრებისათვს და დამტკიცებისათვს ჩუ-  
ქნ... საყდრისა ანტიოქისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ ნებითა  
ღწესთა, ვითარცა უფალმან ჩუქნმან იქსო ქრისტემან ანდრიას მოციქულსა შე-  
მოსა თვის სამეფუო ბასონი და აკურთხა, აწ შემდგომად მისსა ვაკურთხეთ  
კათალიკოზი იოაკიმ და სჯულსა და მესჯულეთა თავად და უბუცესად დაგვძ-  
ტკიცებს და აღიწერა ქარტა ესე ჩემ-მიერ. აწ შვილნო, ძმანო და მამანო!  
გაუწყებთ და გამცნებთ: ვინ და რამცა კაცმა ქრისტეანემან, ანუ ღიღმან, ანუ მცი-  
რემან პატრონსა უღალატოს ანუ უსამართლოდა უორგულოს, ქრისტე ღმერ-  
თი და სჯული უარ-უყოფეს; ეგრეთვე უსამართლო და ორგული მეორემან  
ნუ შეიწყნაროს:

**ქ**. ჩინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხვედრი ცო-  
ლი შვირთოს, სვინა ანუ მეყვნი, ანუ სძალი, ანუ ბიძის ცოლი, ანუ ხუცის  
ცოლის სცოდოს, ანუ დიაკუნის ცოლისთანა, ანუ მთავარ-დიაკუნისა ცოლის-  
თანა სცოდოს და შეგინებულსა საწოლს ზედა დააწვიოს, ამათ ყოველთა  
უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყეულ და შესუქნებულმცა არს სულითა  
და კორცითა ამინ: (ეგრეთავე წყეულსა ყოველსა ქვემოთ აღწერილს მუსლეებს შემდეგ).

**ჟ**. და თუ არ ღწისა უარისყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მო-  
(ა)შთობდით.

**ღ**. ჩინცა ანუ ღეღისნაცვალსა ანუ ღედობილსა თანა სცოდოს...  
წყეულს, კრულს და შესუქნებულსა.

**ყ**. ვინცა ძმა მოკლას, ქრისტე ღმერთი უარყოფივს და ნაწილნი მათ-  
ნი ალიკოცენ უკენ. ანუ თვის დაჲ, ანუ სხუა მოკლას... (წყეულს).

**ჩ**. და რომელმანცა იკადროს მოციქულთა მარხუთა ოთხშაბათ-პარას-  
კევთა რომელიცა ხსნილი არ იყოს და შერიოს ანუ მიცუალეებისა მარხუა,  
მარტვილთა კიდე ვინ ჭკუიანმან შერიოს წველითა ანუ კორცითა ხსნილთა-  
გან კიდე, კრულმცა არს... და რომელმან წელიწადთა შინა რომელნიცა უქ-  
მნი წთა კრებათა განუწყესებდეს და არა ისინოს და თვისითა ნებითა უქმობდეს,  
წყეულმცა არს წთა კრებათაგან.

**ც**. ვინცა შეუნდობლად დაბეჭდილი კათალიკოზისაგან და ხორგვისკო-  
ზოზისაგან. ეკლესია განსხნას შეუნდობელად კრულ, წყეულ... მათი ხუცისი

და ერი მათი. რომელმანცა წ'თა კრებათაგან განაჩენი და განაწესი სჯული მაგრად არ დაიჭიროს და შეცოადება დაუწყოს, ღ'ნ წყევით მიაგოს.

**ზ.** ვინცა სჯულისა შემცოლდე პატრონმან არ მისცეს ეპისკოპოსსა და ხორცეპისკოპოსთა, სასჯულოდ არ მიანებოს (და სასჯულოდ მოსაყითხვაჲ სოფელა აჲ დასახელებს) და ძალი არ მისცეს, ამა სოფლისა ცოდვა მან გარადიკალოს და შეუნდობელმცა არს.

**რ.** ვინცა ამა მცნებათა არ დასჯერდეთ და კზსა და ქეს მცნებათა ურჩ ექმნათ, კრულ, წყეულ... იერუსალიმისა მადლითა, ანტიოქიის მადლითა ან.

აჲ შეილნო, ძმანო და მამანო ჩემნო! მორჩილ ექმენით მწყემსისა მის სახიერის ნაცვლად კათალიკოზსა იოაკიმ ღვთისა-მიერ მოვლენილსა, რათა მაგრად პირმეტყულებად სამწყსოდ გამოჩნდეთ და შეიკრიბნეთ ბაგასა ზეცისა არსასა და არა იქმნეთ საკმელ მგელთა მძვინვარეთა და არა შეგემთხვიოთ განსაცდელი: ვითარცა იგი მაშინ ურჩ ექმენით ანდრია მოციქულსა, რომელმანცა მოუვლინა ღვთისაგან მრისხანე ანგელოზი და შესცვალნა ყოველთავე მათ ურჩთა სახელი (სახაჲ?), საცხოვარი კაცითგან მიპირუტყუთამდე ვიდრე მოიქცეოდეს...

**დ.** აჲ კ'დ ისმინეთ ეპისკოპოსთა წ'თა კრებათა განწესებაჲ, ესრეთ უთნევერად დადექით, ნუ ვის ათნევე, სამწყსო შენი სწავლით და მაგრა დაიჭირეთ, რა მეორედ მოსლვასა თქნგან არა ითხოვოს სიტყვს-გება. ეგრეთვე მოძღუართა წესიერებით ქეს სიყუარულითა თქუენ სამწყსოდ მოჰფითურთ შეიყვარეთ სჯული ქსი და თავი დასდევ ცხოვრთა თვსთათჲს...

**ე.** მღღელთა მართალთა ნების-ყოფელად ნუ ცრუ-წინასწარმეტყველ, არამედ დაიცევ თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, ღიდის სიცილისაგან, მთვრალობისაგან, გარდარევისაგან, რომელ არა-ჯერ-არს მოწესეთაგან. მიეც ერსა უმეცარსა მარხუაჲ, რაჲცა წ'თა კრებათა განაჩინეს მარხუად, მიეც მტკიცედ და გაუტეხელად უქმი უქმად, ვა სწერია გაჩენით საეკლესიოთა დაეთართა შიგან.

**ვ.** და რომელმანცა ეპისკოპოსმან, გინა ხორცეპისკოპოსმან, ანუ მოძღუარმან, გინა ხუცესმან არა გულითა მართლითა დაიცვას მცნებაჲ ესე და ერსა არა უქადაგოს სარწმუნოებად და კზისა ბრძანებასა ზედა მომჭირნედ და ძალმიცემით არ იდგეს—კრულ; წყეულ...

**გ.** და უკეთუ ვინცა მეფეთა, თავადთა, აზნაურთა და აზნაურის-შვილთა, მოკელეთა... და ყოველთა, რომელთა ესე მცნება ღ'ის მიერ წ'თა კრებათაგან განაჩენი... არა აღიაროს და სხუათაცა არა უქადაგოს—კრულ და წყეულ არს...

**დ.** რომელი ხუცესი ცუდად ზღაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყულებდეს, ანუ წესსა აკლებდეს სამწყსოთა, სოფელთა და ქუეყანათა და მისისა; სამრევლოსა ცოდვა კათალიკოზსა და ხორცეპისკოპოსსა არ გამოუცხადოს,

ანუ ნატაცებსა ცოლ-ქმარსა გვრგვინ უკურთხოს, ანუ იპაროს, ანუ უხუედრ-  
თა ცოლ-ქმართა შენდობა მისცეს, ანუ მისთა სამრევლოთა მარხვის რევა  
შეუნდოს და რაჟცა მღვდლობისა საქმე შეცოდებით დაიჭიროს, წირვისაგან  
აღიკოცოს და წირვა მისი შეუწირავი იყოს, სადამდის კათალიკოზის მოკსე-  
ნებითა და გავონებითა არ განიკანონოს.

**118.** ეგრეთვე ვინცა და რამცა კაცმან მონასტერთა და საყდართა მამუ-  
ლი მოიგოს, იურვოს, ნუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოვიდეს—კრულ,  
წყეულ...

**119.** ვინცა უხუდრი ცოლი შეირთოს, ანუ სუნასა ანუ მეყვსსა შეეხოს,  
ანუ ძმის ცოლსა, ანუ ბიძის ცოლი შეირთოს, ანუ რაგინდა უხუდრი ცო-  
ლი შეირთოს კათალიკოზის აღუარებლად... კრულ, წყეულ...

**120.** ვინცა უქმთა წელიწადისათა და შაბათსა ცხრა-ჟამითგან ორშაბათსა  
განთენებამდე სკოლვიდეს და პარასკევსა მიწას რევდეს, წთა კრებთა განაჩენ-  
ნი უქმნი ღვინი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს... (წყევა)...

**121.** კდ ვინცა შესკოდოს წთა მარხუათა... (წყევა).

**122.** შა ვინ უხვედრი ცოლი შეირთოს შეუნდობელი და კათალიკოზის  
ბრძანებითა არ გაეყაროს და ურჩად დაუდგეს... გინა სასჯულოსა საქმესა  
ზა ძალი არ მისცეს, გინა მონასტერთა დამცირებასა მოიჭირებდეს თავის-  
თვს, გინა სხუათათვს იურვოს... რა გინად რაჟ გამოახოს, გინა გლეხი მო-  
სახლე, გინა საჭურჭლე, გინა კაცი, გინა ჯოგი... (წყევა).

მარსკანი და ხსნილი დღეები ჩამოთვლილია. და სსკათა შორის მოხსენებუ-  
ლია: „ალაჯორთ კვრიაკე (?) და ყველიერის კვრიაკე ხსნილ არს ყთა ღღე-  
თა“... „წა გიორგისი თავადი ღღესასწაული აპრილსა :კგ: ხსნილ არს მათ-  
თვს, გინც კელესათა მიკიდენ და ვინ არ მივიდენ, ვერ განხსნის...“

**123.** და ვინ ორი ცოლი ერთად შეირთოს; გინა დედა-შვილი მამა-შვილ-  
მა შეირთოს, გინა ორნი დანი ორთა ძმათა შეირთონ, ანუ ვის ცოლი მო-  
უკუდეს, ცოლის ასული შეირთოს ანუ ვინ ცოლის დედა, რომელ არს სი-  
დდერი... გინა დობილი ანუ დედობილი შეირთოს... გინა ხუცესი ბილწი  
იყოს და შეაგინოს კორცნი თვსნი სხუასა დიაცსა თანა და ჟამის წირვად  
იკადროს... (ფრად გრძელი და სასტიკი წყევა).

ბოლოს დიდი საკათალიკოსო ბეჭედი ასკაა.

**1475 წ.**— შიომღვიმის სიგელი, ტეაზუ სუცურად ნაწერი № 14: „... მე  
ზვედგინისძემან მამიამან და მეულელემან ჩემმან გულქან შევსწირე უღანბოსა  
მღუმიძისასა ახატანს ვენაკი... ფებერვალსა :ი: ქქს :რგ:“. (ის. ჩემი: „ის-  
ტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“ გვ. 74).

**1475 წ.**— ქქს :რგ: მოკტდა ბაალურ ათაბაგი, დაჯდა მანუჩარ, ძმა მი-  
სი (კახ. ქრ.).

— ქკს : რაგვ : ათაბაკი ბაატურ გარდაიცვალა წლისა :კა: ოკლომბერსა :ი: (ყამნი № 2: იხ. 1478 წ. ქვეშე და ქ-ცხშიც კერვა: გვ. 477).

**1476 წ.**—გამეფება კახეთს ალექსანდრესი (იხ. 1479 წ. ქვეშე).

— ქკს : რად: აქა უზუნ ასან საქართველო ამოსწყვდა (ძიღისძინი იკორ.).

**1477 წ.**—ქკს : რაგვ: ბაგრატ მეფეს დადიანი ვამიყ უკუღვა; უკუნეკვა ბაგრატ ქართლიდამ და შეიბნენ; ბაგრატს გაემარჯვა; ღ კვალად მოვიდა ქართლს უძლიერესად (ვახტ. ქრ.).

— ქკს : რაგვ: რ - - - მო - - (გადასული წარწერა კვ. მუზ. კინგვლისისა № 85, რომლის გამოცნობა ჩვენ კერ შევიძლეით).

— გამეფება კოსტანტინესი 1477 წ. (იხ. 1492 წ. ქვეშე), ანუ 1478 წელს: (იხ. 1488 წ. ქვეშე).

**1478 წ.**—ქკს : რაგვ: კოსტანტინე დაჯდა მეფედ, და ათაბაკი ბაატურ (sic) გარდაიცვალა წლისა :კა: ოკლომბერსა :ი: დასაბამითან ქკსა :ხშეა: (6992—5508=1484 წ.?: „ერება ლექსთა“ და თითქმის იმავე სიტყვებით Chron. G6. p. 3 და ქ-ცხ. I, 477). ზემო ქრონიკებში ბაადურის სიკვდილი აღნიშნულია 1475 წ. და რომელი წელი უფრო ტეშმარცია, ეს კადეკ სძიებულა.

— ამავე წელს უნდა იყოს დაწერილი შემდეგი აღაპი, შეტანილი ათონურს ტუავის 1074 წლის ხელნაწერში:

... პატრონსა ბაჭადურს ყნი ცოდვანი მისნი შს ღნ (ეს სამკვერ განმეორებულა). — დიდსა და მაღალსა ქართველთა ათაბაგსა და სამცხისა სპასალარსა ჯაყელ-ციხისჯუარელსა პატრონსა ყუარყუარეს ცოდვანი მისნი შს ღნ (†1498 წ.) და მათსა მუუღლესა პატრონსა დედისიმედსა შს ღნ (†1491) და მათსა ძესა პირმშოს პატრონსა ქაიხოსროს შს ღნ (†1500); [პატრონსა შვექსაუგს შს ღნ (†1516 წ.). და კდ მეოთხედ პატრონსა ბაადურს შს ღნ.

და პატრონსა ანქოს შს ღნ (†1505) და ეგრეთვე პატრონსა ორაკვანდას, მანუჩარს და მართლიხანს (მართლიხანს) შს ღნ.

და ამათა დაათა პატრონსა დედოფალსა პატრონისა რადვენს (რადამს?) და პატრონსა გულბუდახს \*) შს ღნ. საცნაურ იყავნ ჩუძნთა ამათ პატრონთა აქა აღწერილისა მიზეზი ესრეთ იქნა: პატრონი ბაჭანდურ, რომელი პირველ სწერია და მერმე ძმათათანა რიგსა ზედა თუ რომელთა იყო უმრწემეს ანუ უდიდეს, ესე პატრონი ჩემი ჰაბადურ განეყო მშობელთა და ძმათაგან და უფროსლა ვთქუა სოფლისაგან და წარვიდა გზასა მას საუკუნესა ქაბუკი, ყოვ-

\*) შინიშ: კვლ. მუზ. ხელნაწ. № 193 შეტანილია მოხსენება: „სულსა ამირს-სპასალარს პატრონსა ორაკვანდას შს ღნ და თანამეცხედრესა მისსა სულეურთ-სულესა პატრონსა გულბუდახს შს ღნ“.

ლითურთ სრული საღმრთოსა შინა, ხოლო ჰასაკითა ოცისა, გინა თუ :კა: წლისა და აღავსო სახლი მამული მწუხარებითა გამოუთქმელითა. მაშინ დიდებულთა მშობელთა და ძაბთა ამისთა ღთისმსახურებისა ძლით თვისსავე თემსა და ქუეყანასა შინა უცხოთა ქუეყანათა უხუდა მიჰძინე (მაჭფისა) საკსენებელი და სალოცავი, ვითარ იგი იმარუსალომს და სინამსცა და ეგრეთვე ჩუქნ მოგუცეს საქონელი და წარმოგუაფლიონეს საბერძნეთსა ქუქყანასა და წარმოვედით და ვითარცა ჯერ იყო განვკოფდით (განუყოფდით) ებისკოპოზთა, მონაზონთა, მღვდელთა და გლახაკთა ზედა ტრაპიზონთასა კოსტანტინეპოლემდე და ვიდრე ამა წმიდად მთადმდე; და მოვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტერნი და წესისაებრ მოვაკსენეთ მოსაკსენებელი და სალოცავი და ეგრეთვე განვიცადეთ ჩუქნი ესე მონასტერი, რამეთუ უოკლეაგან უმეტეს დაგლახაკებუაფო და ეკლესია ფრიად დაძულებულიყო და სენაკები და ზღუდენი და პირლოსნი უმეტესნი დაქცეულ იყუნეს და ფრიად უნუგეშინისცემოდ გასრულიყო. და ამას ესე ვითარსა უპოვარებასა შინა მოვაკსენეთ ამა ჩუქნსა მონასტერსა ოცი ათასი ოთმანურისა, რომელიმე ფლურად და რომელიმე თეთრად და ეგრეთვე ორნი ცხენნი; და გაუაჩინეთ ერთი აღაპი პატრონისა ბაადურისთვის დღესა მიცვალებისა მისისასა ოკლამბერსა ათს; რათა რაოდენიცა მღვდელი იყოს ბერძენი თუ ქართველი ესაა წირვიდენ და ტრაპეზად შევიდოდენ... (ისე, როგორც მსუკაბუქუ სწერია, ის. 1498 წ. ქვეშე), ხოლო ამის საქმისა მსახურნი, რომელნი სამცხით მოიწივნეს, ერთი ბერძენი იყო მღვდელმონაზონი, სახელით სუმოს\*), რომელი დიდით ხნით ყმა მათდა ქმნილიყო და ერთი ქართველი მონაზონი, სახელით აკაკი, სიყრმითვან მათთანა აღზრდილი და მონა.

**1478 წ.**—ქკს :რავ: უზუნ ასან ყაენი მოვიდა; ქართლი და ერწო-თიანეთი მოსწყვიდა; (ქართლას მეფე) კოსტანტინე ბარათიანით მივიდა მისთანა; მისცა ტფილისი;—და ბავრატ მეფე წარვიდა რაქას; მუნ მოკუდა; და დაჯდა (მეფედ) ძე მისი ალექსანდრე. (კას. ქრ.—ბავრატ უნდა მოკვდარიყო 1483 წ. ის. 1495 წლას ქვეშე).

— ქკს :რავ: აქა ათაბაგი იანქო -- პატრონად დაჯდა (გვ. მუხ. კინგლასი № 85).

— ქკს :რავ: აქა ათაბაგი იანქო ბატონად დაჯდა (ივორთის ძაღისპირი). ეს ცნობა სრულიად ახალა და უცხო, მაგრამ ჭეშმარიტი, რადგან ორი ძველი ხელნაწერები თანხმად ამოწმებს მას.

**1479 წ.**—დაკით-გარესჯის სიგელი, კარგის მხედრულათ კტრატზე ნაწერა.

\*) ეს სვიმონ ტრაპიზონელი, შემდეგ მაწვეკელი ის. 1529 და 1502 წ. ქვეშე.—ამ აღაპიადამ სწანს, რომ უვარუვარე იყო მამა ბაადურისა.

წარმართებელი მეფობისა ჩუენისაო... მეტებთა და წახულისა ღთის-მშობელო! ჩუენ... ლიხთა იმერისა და ლიხთა ამერისა ორისავე ტახტისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთა-მეფისა სულკურთხეულისა გიორგისა ძემან, მეფემან ალექსანდრე ბატრონმან (sic) დეულთა (sic) დედულმან დედამან ჩუენ-მან ნესტანდარგჯან და თანა-მეცხებდრემან ჩუენმან დედუფალმან ანა, — რაოდენი ქება-მადლობა შევესწიროთ თქუენდა მომართ და ვითარი ქუელის-საქმე ვქმნეთ წინაშე ძისა თქუენისა! ჩუენდა-მომართ წყალობა (?) და წინამძღურობითა ძელისა ცხორებისათა ავარის ნათესავნი და მტერნი წინააღმდეგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუქტეულ არიან (ჰადრე) დღენდელად დღედმდე. ხოლო ვინადგან არა დაუტეობს უფალი კუერთხსა ცოდვილთასა ნაწილსა ზედა მართალთასა, კულად (გუაჯად) მშუილობა ყო ჩუენზედა და გუეგულვა და გუეგულსმოდგინა და რადმცა უკუილაგმა გონება ჩუენი სამსახურებელად სუეტისა ღთივ აღმართებულისა, კუართისა სამეუფოსა და მირონის ღთ მყოფელისა! ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და ვიძიეთ გულსმოდგინებით, გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ, ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ორნივე უდაბნონი გარეჯისანი დავითისაფლავისა (sic) მრავალთისა (sic) და დოდორქისანი, თქუენ წმიდასა საყდარსა დედაქალაქსა მცხეთასა... გარეჯისა სახლი მისითა შესავლითა, მამულებითა, სოფლებითა, შენითა და უშენითა, მთითა, ბარითა, რანიცა გარეჯისა უდაბნოთა სიგელნი და გუჯარნი ჰქუანან (sic) მათითა მზღურითა შეგუიწირავს და დავუმიტკიცებია და გუითარხნებია ყოვლისა სათხოვარისაგან. ცოტასა ხანსა და ქამთა ვითარებისაგან ჩუენისა დაჰირებებისათუის გაცემულად შეიქნა და ვითა არა ვარგი იყო და არცა რა ჩუენგან საქნელი იყო, ეგრე ვერავინ იკადროს ამისად შლად, ქცევად და გამოკუებად ვერა ჩუენ და ჩუენისა გუარისა კაცმან... ანუ დიდმან მემძლავრებან კაცმან, ანუ აზნაურმან და გლენხმან და ანუ მოსაქმემან ენითა ისაქმოს და მოციქულად შეიქნას, ანუ გულსა შემოუვიდეს ამისი მოშლა და მოსაქმეობა, — რისხავსმცა დაუსაბამო ღთი... დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ქქსა : რნფხ: (167—1479 წ.), ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :გ: თუესა იენვარსა (sic) :კგ: კელითა იათორიძისა ვარსიძესითა, კარისა ჩუენისა მწიგნობრისათა\*, წარწინებულას ხეკულოთ: „მეფესა ალექსანდრეს დამიმტკიცებია სახელითა ღთისათა“. მონა ღთისა ალექსანდრე. ზეჭედზე გამოსასულად ჟგარბი, გეგრგეისა და ჭორაღი. სოლო ამას ქეემო მე-XXVIII საუკუნის ზელოთ წარწერილას:

„დოდოს უდაბნოს დავით გარეჯის ძღვენი უნდა მიერთმოდეს ქართველთ მეფეს და კახთ მეფეს :ქ: ექვის ქვევრი თაფლი:• ქ. სამი ქვევრი კაპრის წინილი. ქ. სამი ცოცხი. ის ცოცხი ფარეშთ-უხუცესს უნდა ებაროს ნიდა. დიდილაზედ დორსა და სუზანზედ სამჯერ უნდა გადმოუხვამდეს. ორი მღელღმონაზონი უნდა გამოარჩიოს მამა, კარგნი მოწესენი და კარგნი მწიგნობარნი და კარგნი მოეამენნი. ამათის კელით უნდა მიართონ ძღვენი. ყველიერის კვი-

რას და მარხვაში მონაზონები მეფის კარზედ უნდა იყვნენ. იმათ უნდა იწე-  
სონ და მარხვის დღესასწაული იმათ აღასრულონ. აღდგომის დღეს ეამი უნ-  
და სწირონ და უთხოვლად წამოვიდნენ, დიდს მამას იახლენ. ახალს კვირიაკეს  
მართლ-მადიდებელ მეფეთ უნდა აღტვიროთონ ჯორები და კარაულები მრავ-  
ლის სანოვავით და შესაწირავით და მოუძღვანონ დიდსა მამასა და წმიდათ  
კრებულთ:—

**1479 წ.** იანვრის 24.—მცხეთის სიგელი, სუფურა ნუსხა № :ტე:

„...ჩუბნ... მეფეთ-მეფის გიორგის ძემან, მეფემან აღექსანდრე და პატ-  
რონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან, დედამან ჩუენმან, და თანამეცხედრე-  
მან ჩუბნმან დედოფალმან ანა... მოგაკსენეთ (მცქეთას) ვეყინისა პირთა სო-  
ფელი ახალშენი... კათალიკოზო დავით!.. ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით ლო-  
ცვათა... შინა თქუბნთა... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუბნისასა სამსა  
(sic), ქკს :რახ: (sic). თა იანვარსა :კდ: კელითა კარისა ჩუბნისა მწიგნობრისკ  
იათორისძისა ვარსიძისთა... ჩუბნი სიმაგრე პანკისის ციხე არ გავკცემია...  
ჩუბნთვს სათავისთავოდ და საავეანდელ მოცემული მოგკცსენებია“.

**1479 წ.** ქკს :რახ: კოსტანტინე მეფემ ტფილისი, გორი და ქართლი  
დაიჭირა;—კ დ იმერეთი დაიჭირა (ვას. ქრ. შეადარე გუჯარაი 1491 წ. ქვეშე).

**1481 წ.**—ქკს :რახ: მეფე კოსტანტინე ჯავახეთს მიუხდა; და დადიანი თან  
ახლდა; მანუჩარ ათაბაგზედ გაემარჯვა (ვას. ქრ.).

— ამავე დროებს (1475—1487) უნდა კუთვნიდეს ეპ. მეუზ. მე-X საუკე.  
ხელნაწერის (№ 144) არშაიზე წარწერა, მე-XV საუკუნის მდარე სუფურ სელით  
მინაწერი. წარწერაში მოხსენებულია მეფისგან ათაბაგის დამარცხება, რომელიც უნ-  
და იუოს ანუ ზემო აღნუსსული 1481 წ. და ანუ აღექსანდრე I-ისგან ივანე ათა-  
ბაგის დამარცხება 1414 წ. (ზემო გე. 221). ამ ოპში მომკვლარა „პატრონი ამი-  
რინდო“, რომელიც უცნობია. ამირინდო ამილასკარი სცსოჯობდა ბეარატ დიდის  
დროს და ცოცხალი იქნებოდა აღექსანდრეს მეფობაშიც (იხ. ზემო გე. 205—6).  
მაგრამ შინაარსიდან სჩანს, რომ ამირინდო არის სამცხელა კავკასიძის ოჯახის და-  
ახლოებული, ტაო-არტანუჯელი.

„ქ. ცხოვრება: ჩნი: ესრეთ: იყო: ვიყვენით ჩნ კავკასიძისა სახლსა  
შინა პატრონი ამირინდო: მისი მეუღლე ნესტარჯან: მოვიდა რისხვა ღვთისა  
დიდ საქართველოდამ (დაიდ-საქართველოდ ქართლის სამეფოს უწოდეს; „მცირე  
საქართველო“ იქნებოდა სამეფო იმერეთისა.) და წაიკიდნეს მეფე და ათაბაგი;  
შეიბნეს. მოიწია რისხვა სამცხედ და გაუმარჯდა მეფესა. მოიწია რისხვა ღვთი-  
სა ჩემზედა: მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი :კვ: წლისა და მე ვიყვ: ით: წლი-  
სა, არა მელგა ვაჟი, არამედ სამნი ასულნი: სიყვარულით მისით და ქრისტეს  
ღვთისა ჩემისათ დაუტყვე სოფელი და მონაზონ ვიქმენ....“ (შენდობას ითხოვს).

1482 წ. — ქვს :რო: მოკულა ვამიყ და დაჯდა ძე შამადავლე დადიანისა ლიპარიტ დადიანად (დადიანთ ქრონიკა).

— ქვს :რო: მოკულა ვამიყ დადიანი; დაჯდა ძე შამადავლესი ლიპარიტ (კახ. ქრ.).

1483 წ. — ქვს :როა: აქა მეფე კოსტანტინე და ყურყურე არადეთს შეიბნეს; ყურყურეს გაემარჯვა (ნსუიის ქრ.).

— ქვს :როა: აქა მეფე კე და ყურყურე არადეთ შეიბნეს; ყურყურეს გაემარჯვა (ივოართის მილესშირი).

ქვს :როა: თვესა აგვისტოსა :ივ: მეფე კოსტანტინე და ათაბაგი ყურყურე შეიბნეს არადეთს და ათაბაგს გაემარჯვა. (Chron. G. p. 3).

— ქვს :როა: მეფე კოსტანტინე და ყვარყვარე შეიბნენ; ყვარყვარეს გაემარჯვა; — და მოკულა გურიელი კახაბერი; დაჯდა გიორგი, ძე მისი. (კახ. ქრონიკა).

1483 — 1490 წ. — ამ წელს ახლო დროებში უნდა იყოს მიტეული სიგელი ანუ წერილი, რომლის სუცურნი ნებისა მე-XVII საუკუნისა იბოკება მცხეთის ნუსხებში შნ :ტაბ: წერაღს თავი აკლავ, მაგრამ შინაწრიდან სხანს, რომ იგი მოწერილია მცხეთის კათალიკოზთან, რომელსაც მამწერი ავეკრას, რომ ჩვენგან საკურთხეველად გავზანდის ეპისკოპოსებს „მეფის ერთგულთაზე აფიცებენ“ და ეს „უწესობა“ ამის იქით ნუ იქნებაო, „ეს უკერო საქმე არსით (ე. ი. არც თქვენის მხრით და არც ჩვენგან) ნუ იქმნებისო“. — ამ საფუძვლის ძალით ჩვენ გვგონია, რომ წერილი ეკურთხის რომელსამე ათაბაგს, რომელიც „მეფის“ უმტრებოდენ და „მეფის ერთგულთაზე“ სამცხელ ეპისკოპოსთა დაფიცება „უკეროდ“ და „უწესოდ“ მიანდათ. კახთა მეფეებსაც შეეძლოთ იმისი თქმა, მაგრამ მაშინ ივინი ვერ იტყოდნენ: „მეფის ერთგულთაზე აფიცებთო“; ამის მაგიერ იმათ უნდა ეთქვათ: „ქართლის მეფის ერთგულთაზე აფიცებთო“; რადგან კახთა მეპატრონენიც მეფეად უწოდდენ თავისს თავს (შეადარე ზემო გვ. 267—9).

— რაც მაგათის კალოლიკე საყდრისა წესი ყოფილიყოს ჩუქნის სახლისაგან ყუელა მოგვხსენებია. აგრე მათგან მოველით რაც ჩუქნს სახლსა მაგათგან სკირვებოდეს, ეგენი ანუ დაგუაკლებენ. ამასაცა ვიკადრებთ, სჯულისა გარდამავალი საქმე და წთა კრებათაგან განგდებული ნულარამცა იკადრების. ქრთამით კელთ დანხმა ანუ ეპისკოპოსისა და ანუ ხუცეს-დიაკონთა. — ნუცა ეგენი იკადრებენ და ნუცა მაგათი კელთქუშეთი ეფისკოპოზი, ნუცა მანდითი, ნუცა აქათი; ყოველივე ლთიეშუქნიერად და სჯულისაებრ განაგონ. ესეცა გუქსმა, თუ ვინცა ჩუქნი ფესკი მაგათ წინა საყურთხეველად მოვა, მაგათი (ე. ი. კათალიკოზის) და მეფის (ე. ი. ქართლის მეფის) ერთგულობაზედ აფიცებენო. მაგათ უკეთ იციან; ნაფიცარი არც ფესკოპოზი შეიწყნარების და არც

ხუცესი; და ნურც ჩუენ გვიზმენ, უწესო რამე საქმე შემოიღონ. ჩუენ არა ამის მოკენებას ღირს ვართ; მაგრამ ეს გვინდა, უჯერო საქმე არსითა იქნასა“.

**1484 წ.** სუტურად ჩაწერილი აღაბი სამების „სულთა მატანასა“, გვ. 32 (მატიანე დაწერილია ტყაჩუკი: ის. 1439 წ.).

„**ქა ძე გა** (გიორგი) მეფეთ-მეფისაა ვახტანგ მეფედ იქნა შეწვენითა წრისა სამებისათა. ქორონიკონი იყო :**ქა**—(რამა) დღეგრძელობით და კურთხევით ამყოფე წო სამებაო ამინ და უკე. ან:—სოფელი შემოგწირა ქუაბი. ვინცა გამოწწიროს ანუ მეფემან, ანუ სხუამან ვებატონემან, რისსხავს-მცა წა სამებათა ერთარსებათ; კრულმცა არს სული მისი, ნესტორ და ორი-გენისთანამცა დაისჯების. დამამტკიცებელნი ღწ აკურთხნეს ან“.

ეს წარწერა მეტად უცხოა და ასადს ცნობებს იმდევს, მნელ გასარგ-ვეს და გამოსაცნობს. ქ-ცხბაში 1484 წელს კასტანგი სრულად არა სხანს მეფედ და არც ის არის ცნობილი, ვითომ გიორგი-მეფეს ყოფილად შეიღი კასტანგი. ეგულა სიგელ-გუჯრებში ცნობილია მისი შეიღი ალექსანდრე და სისანი არა. კასტანგ IV, ალექსანდრეს ძე, მოკვდა 1447 წ. და მის შემდეგ ქართლ-კახეთში ამ ხასელ-წოდების მეფე არ იყდა 1658 წლამდე.

ჩვენის აზრით ჩვენს საბუთებში მოსხენებულ კასტანგ უნდა იყოს ის კასტანგ, რომელიც მოსხენებულა „შედეგში ქ-ცხბისა“ (ქ-ცხ. II, 259) და რომელიც უარ ჰყო ბრისემ (Annai p. 260): აი რა სწერია ამ „შედეგში“: „მიიტვა-ლა ძე მეფისა ალექსანდრესი მეფე გიორგი კახთა (1477 წ.) და დაჯდა მის-წილ ძე მისი ვახტანგ“. სწორედ ეს ბრისესკაცან უარ-ყოფილი კასტანგ გამოეფ-ბულა ქართლშიც ანუ არაგვის ხელაში მაინც 1484 წ., და თუ ეს ცნობა ჩვენს მატანეში არ იპოვება, ეს ხასლი და ცხადი საბუთია მატანის ნაკულეკვანებათა.— კასტანგის ხანა ყოფილა ალექსანდრე, რომელიც ქ-ცხბაში არ სხანს და სვენი ეი ზე-მო აღვინიშნეთ (გვ.).

**1484 წ.** — დასაბამითიან :ხუნე: (ე. ი. 6556—5604=952+532=1484 წ.). ქ-ს :რობ: აქა თემურ გამოვიდა; დიმიტრი აკრა.— ეს ცნობა ტექსტის ხელით მაგრამ მომწერილოდ მიწერილია „აფსაზთა ქრონიკაში“.

ამ დროს ქ-ცხბაში აღწესულია აყუბ-ყანის შემოსევა; იქნება თემურ იყოს აყუბ ყანა. თიმურ ანუ თამურლანი არ შეიძლება იგულისხმებოდეს, რადგან ქ-სნი :რობ: ასის წლით დაშორებულია თიმურსა. (შეადარე ზემო 1463 წ: ქვეყ.).

**1484 წ.** — ქ-ს :რობ: აქა მეფედ დაჯდა ალექსანდრე და ქუთათისი აღი-ლო (ხსეიბის ქრ.).

— ქ-ს :რობ: ალექსანდრე, ძემან ბაგრატ მეფისამან, ქუთათისი აღილო და დასჯდა მეფედ (კახ. ქრ.).

რადგან 1495 წელს ყოფილა მე-12 წელი ალექსანდრეს მეფობისა, ამის-გა-

მო ბაგრატის სიკვდილმ და ალექსანდრეს გამეფება, წინააღმდეგ არსებულთა ცნობათა, უნდა უოფალიყო 1483 ანუ 1484 წ., რაიცა ეთანხმება ჟურულას გუჯარს, სადაც ბაგრატ II ცოცხლად სჩანს 1482 წ. (იხ. ზემო გვ. 278—280 და 1495 წლის ჭებუ).

**1485 წ.**—ქს :როგ: აქა ყენი მოვიდა, სამცხე ამოწყვედა, ახალციხე აიღეს და აწყვერისა ღთისმშობელი დაატყუვეს (იკორთის ძილასპირი № 6).

— ქს :როგ: აქა ყენი მოქვიდა, სამცხე ამოსწყვიდეს; [ახალციხე [აიღეს და აწყვერისა ღთისმშობელი დაატყვევეს (გვ. მუწ. კინკლასი № 85).

— ქს :როგ: ყენმან სამცხე ამოსწყვიტა (კრება ლექსთა).

— ქს :როგ: აქა ყენი მოვიდა, სამცხე ამოსწყვიდა, ახალციხე აიღეს და აწყურის ღთის მშობელი დაატყუპ(ვეს) (წა ნიკოლოზის ქრონიკა და ესრეთივე ცნობა ჩხეიძის ქრ.).

— :როგ: [აქა ყენი მოვიდა; სამცხე ამოწყვიდეს, [ახალციხე [აიღეს და აწყურისა ღთისმშობელი დაატყვევეს] (ყაზნი № 2 და Chron. Gé. p. 3.).

— ქს :როგ: აქა ყენი მოვიდა და სამცხე ამოსწყვიდა; ახალციხე და აწყვერი აიღეს და აწყვერისა ღთისმშობელი დაატყვევეს (ყანჩათის გულანია).

**1486 წ.**—დასაბამითგან :ხებლ: (6558 - 5604 = 954 + 532 = 1486. წ.) ქს :როგ: (175 + 780 + 532 = 1487 წ.) აქა ქართველთა მეფემან გაცილანქარა [თავრევეს [და თემურ ა[ლ]ტ[ან] - (აფხაზთა მეფეთა ქრონიკა).

ეს დაწინაბული წაწერა, როგორც ზემო მოყვანილიც (იხ. 1484 წლის ჭებუ) თემურს მოახსენებს, რომელიც უნდა იყოს აკუბ ხანი, რადგან ჩვენ არ ვიცით თემურ შაჰი, გარდა თამურისა ანუ თამურლანისა, რომელიც ასის წლის წინეთ სცხოვრობდა. ბოლო ფრასა ამბობს: „თემურ(მან ქართველთ მეფე) ალტა“, რომელიც შეიძლება გაგვიგოთ წინა-უკმოც: ე. ი. მეფისგან თემურის დამარცხებამ (შეადარე ზემო 1463; 1484 წ. და ჭებუ 1486 წ.).

**1486 წ.**—ქს :როგ: იაყუფ ყენი მოვიდა; ახალციხე და აწყვერი აიღო; ტყვე ჰყო და მოსწყვიდნა. აწყურიდამ გაუსია სპანი ქართლს და დბანის (დახანის) კევში ბარათით მოსწყვიდნეს. აწყურის ღთისმშობელი მანუჩარ ათაბაგმან დაიხსნა ვეცხლით სეკდემბერსა :კე: (კახ. ქრ.)

— ქს :როგ: იაღუბ ყენი მოვიდა; ახალციხე და აწყვერი აიღო და აწყვერის ღთისმშობელი დაატყ(ვე)ვდა სეკდემბერს :კე: ბატონმან მანუჩარ დაიხსნა (Chron. Gr. p. 3).

**1487 წ.** ქს :როგ: კოსტანტინე მეფემან იმერეთი დაიჭირა;—მოკლდა ათაბაგი მანუჩარ; დაჯდა ყვარყვარე, ძე აღბულასი (კახუშტის ქრონიკა. — ჟვარყვარე იყო მძა ხადაურისა: იხ. ზემო გვ. 298—9).

1487 წ. — ტუაჯის გუჯარი, მუხრანისადამ მოტანილი მღ. პ. კანბუჯაშვილისა-  
გან, მსგედრულად მდარე სუათი დაწერილი:

„ - - წყალობითა: ღთისათა: შეწეწითა: - - - | ჩუენ: იესიან: დავითიან-  
სლომოზინან: - - | ღთივ: გვრგვოსანმან: და ღვთისაგან შეწყალებულმან |  
პატეი: ცემულმან: მეფეთა: მეფეჲს: კოსტანტინე: და: თანამცემედრემან: ჩუენ:  
მან: დედოფალთა: დედოფალმან: თამარ: და: ძეთა: ჩუენთა | პირმშომან: და-  
კათ: გ. გ. (გიორგი): და: პაგრატ: ესე: წყალობის: მტკიცე: და შეუცვალე-  
ლი სამკვდრო და საბოლოო [წიგნი და სიგელი] დაგიწერეთ და გიბოძეთ  
თქუენ ჩუენსა დიდად ერთგულსა და თავდადებით მრავალ-ფერად ნამსახურსა,  
ჩუენსა თანა-შეზრდილ-გაზრდილსა და ჩუენისა მოკუემისა და ამაოდ ყოფი-  
სათუის მრავალ-ფერად მეცადემოკირნესა, ქავთარისძეს საღვნის მოლარესა  
ახალციხელსა და თქუენთა ძმათა თორელსა, ეშიმასა, შვილთა თქუენთა: ლი-  
პარიტს, მირიანს, დავითს, სურხანს, ტარიელს; ვაკეპაროს ღნ ჩუენსა ერთგულ-  
ბასა] შვილის შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე მას ეამ-  
სა, ოდეს მირიანისძე დაბოლოვდა და უმკვდრო იქმნა და თქუენ დიდი სამსახუ-  
რი და ერთგულობა გამოაჩინეთ, ჩუენზედა და ჩუენსა შეღვას ურდას ახლუ-  
ნათ, და მისად შედეგად ესე წყალობა გიყავით, დაკუსით მირიანისძის მამულ-  
ზედან და დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ შორის ციხე, ღომარეთის საყდარი წი-  
თელდემდი (?), ქუენას-ფლასი მისითა მზღურითა და ბოლოთარიეთი მისითა  
შესავლითა, მითა, ბართა \*) სვიავრას (?) კოშკს უკანამდისინ ნაციხვარი(თა?)  
ეკლესიითა, გლეხითა და სჯანურათა (სჯანურათა?) და ერთი ვენაკი სკრას ჰქო-  
ნებითა მითა თეთრაული რომე ჰქუიან, ოლოზი მისითა საყდრითა და ექუსი-  
თა საგლეხითა, კოთას (კოთას თუ კოლას?) ერთი საგლეხო მისითა ეკლესიი-  
თა. ესე მამულნი ყუელა მირიანისძესა ჰქონდა და რაცა მას ჰქონია, იგი უკ-  
ლებად თქუენთჳს გუბოძებია მისითა ეკლესიითა, სასაფლაოთა, სასახლითა,  
ქურ-მარნითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქულითა, ქალითა, სათიბითა,  
ტყითა, სანადირითა, მითა, ბართა, შესავალ-გამოსავლითა, საქებრითა და  
უძებრითა და მისითა სამართლიანითა, ერთობ ყუელათა, გქონდეს თქუენ...  
ქავთარისძეს საღვნის მოლარესა ახალციხელსა... (და სხვა: განმორბუღია)...  
ეკლგეწიფების გასყიდად, გაზითვებად, თანა-შეტანად, შეწირვად და რითაც ფე-  
რად გინდა. კიდევ გუითარხნებია, რომე არა სამუშაო და არა სათხოვარი  
არაფერი არა ეთხოვბოდეს. გქონდეს ჩუენს ერთგულად სამსახურსა შიგა...  
დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ინლკლონსა (ინდიკტიონსა) მეფობისა ჩუე-

\*) აქ ჩამატებულია მეორე ვარიანტი (ტუაჯისავე გუჯრით): „ქაშუეთი მისითა  
საყდრითა, მისითა სამძღურითა; საყოსისა კლდესა მოტანებით დაღლათამდისინ;  
საყდარი გაღისა, ღომარეთი, საყდარი და ნასოფლარა, სუთსაბი, ბოროს (შო-  
როს?) ცაქე და კარცხილაჯანს სუიავარას კოშკს უკანამდისინ, ნაციხვარს ეკლესიითა  
და ერთითა გლეხითა და სჯანურითა, ოლოზი...“

ნისა მეათესა, ქკს :როვე (1487 წ.); კელითა მდივნისა ჩუენისა თუშანიშვილის ზაქარიასითა. (სვეუღად ამტკიცებს მეფე). ურდღს გ:გზაზნაჲ იხ. 1488 წ. ქვეშე.

**1488 წ.** — ტუაგზე მსედრულად ნაწერი მცხეთის საგაელი № 130: მეფე „სა-კანონად“ მცხეთას შეწირულებას უძღვის, ადღან „უსკედრი“ ზარათაშვილის ქალი შეურთავს. „უსკედრობა“ აქ მხოლოდ იმას უნდა წინაშეაყვას, რომ მეფეს მეფის ქალი უნდა შეერთო და არა თვსის ქვეშევრდამისა.

**1527 წ.** სიკვლი მცხეთის № 89 (ნუსხა № :სპგ.): „ქ... ჩუენ... მე; ფეთ-მეფის გ'ის ძემან მეფემან ლეონ... ოდეს... თქუენტა (მცხეთის) მკვლარად შეწირულთა აგარაკთა და სოფელთა უსამართლოდ სამზღურათა შემოსცილენ-ბოდეს... (სუამქრსქეა), მოვიდა წე ჩნსა ქეზი ბასილი... მოკითხული ვქე-ნით... და დაგიტკიცეთ.. (და ზედეე სრული სია მცხეთის მამულებისა კახეთში) დაიწერა... ქს :სიე: კელითა ტიმოთესითა (აზის თათრული ბეჭედი).

**1527 წ.** ასლო დროებისა. სიკვლი მცხეთისა, ნუსხა № :რუხ:

„ქ... ესე წიგნი გვალრეთ (მცხეთას).. და კზს ბასილს ჩნ ერისთავმან ბაინდურ და ჩნთა ძმთა ზურაბ, გოდერძი, ბარძიშ, გოსტასაბ და როსტომ (უცნობანი ისტორიისაში)... მას ეამსა, ოდენ (ოდეს) მეფის დავითის ქალი შევი-რთეთ; საკანონო იყო და თქუნს გამოგუქნახენით და ჩნ მისთვის დაგიდევით ჩუენი ნასყიდი დიღუამს ვენაკი თავაქალასეული მისითა წყლითა“...

**1527 წ.** მცხეთის ნუსხა № :სოკ:

„ქ. ლეონ ბაგრატიონმა მეფემ (სრული წოდებულაბა მეფისა)... ძემან... მეთეთა-მეთისა გისმან ესე შეწყალებისა და სამამულო წიგნი და სიგელი გი-ბოძეთ თქუნს... კარმალსა გ'ის და შენთა ძმთა გრიგოლს, აბითარს და შენსა შვილსა ავთანდილს... კითხვითა და ნება-დართვითა ბასილი ქეზისათა.. თქუნდი მკვლარი მამული ხატისწობენი მექმეობით გარაყანიძეთა დაეჭირა. მოხუტდით და ჩნთა კართა ზა გაბრქუნით... გარაყანიძეს ფიცი შეპყდა და ვერა დაიფიცა და სამართალმან შენი მამული შენვე მოგცა. აწ ჩნცა სიგლითა ამით დაგიტკიცეთ... ქს :სიე: კელითა ტიმოთეს მწიგნობრისა ჩნისათა“ (ბასილი კზ'იგ ამტკიცებს).

**1527 წ.** ასლო დროებისა. — მცხეთის ნუსხა № :ტო: „ქ. ესე სათავედბო წიგნი მოგაკსენეთ ჩნ ბეგამან, სარგის, ნოდარ და ამილლაბარ თქნ... ქეზს ბასილის ასრე და ამა პირსა ზა, რომე მცხეთის საყდრის მამულსა სარკის მო-ნასტრისა და მაჯანძისა ბადრიასი და ბოთვერას (რაც) სამამულო საქმე იყოს და აგრევე ხუტდურეთს რაც მცხეთისა საყდრისა მამული იყოს, ნასყიდი, თუ უსყიდელი, ყუტლასი საქმე მართლითა სამართლითა გარდაგვიყვდოთ და ქორა-ზნას ვენაკითა სიგლითა რაც გქონებოდეს ისიცა სიმართლითა მოგაკსენოთ. ამისა გათავებისა თავდებად ლ'თი და მისნი წ'დნი და ქართლისა მთავარ-გნის-კოპოსი პატრონი თვედოსი მოგკსენებია“.

**1528 წ.** — ქს: სივ: ბატონისშვილის ვახტანგის მეუღლე, კახთა მეფის ასული ხვარამზე მიიცვალა (Chr. G.).

**1529 წ.** ქს: სიზ: სულტან-სულეიმან ხონთქარი ერევანზე მოვიდა (ვას. ქრ.).

— ქს: სიზ: ამას ქს მიიცვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სკმეონ (გელათური წა გოს გულანია).

— ქს: სიზ: ამა ქს მიიცვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სკმონ (გბ. მუზ. ხელნაწ. № 49).

გელათის გულანის წარწერა: „ქუთათელ მთავარებისკოპოზსა სვიმონს ჩხეტიძესა, რომლისა ბრძანებითა და დიდითა მოჭირვებითა აღიწერა ესე სულთაგანმნათლებელი გულანი, ცოდვანი მისნი უს ღწ და ამა სოფელსა დღეგრძელი და პატიონება მიეც, ღწთო (და) ქუთათისისა და პალეისტომისა ღწთის-შობებლო, თქუენსა მადლსა“. — სხვა წარწერათაგან: „კარგარეთელსა სოფრონს უს ღწ; — მათსა შეილსა სვიმონს, ამა გულანისა დამწერელსა, უს ღწ. დასა ჩემსა ანუისის უს ღწ; მამის მამასა ჩემსა ვარსიმეს უს ღწ“. „გაბრილია ქარსლადეს . . უს ღწ... მართა-ყოფილსა მარინეს ცოდვანი უს ღწ“ — „მარკოზ ჯის-მტვრთველის შეილსა უს ღწ“; — „ამისსა დამწერსა კარგარეთელსა სკმონ მესსსა... უს ღწ“; ბოლოს: „სწერია ამ გულანსა შინა: დავითნი სრული; — სამოციქულო სრული; — სრული სახარება; — რვა-კმანი, პარაკლიტონი სრული და უკლები :ია: სახარებითა, გამოვლინეთა, აქებდით დიდებითა; გუნდნი ანგელოზთანი; სასოო და შესავედრებელო; დიდი შეგვწყალებნი; და კრებულმან წთამან; — თორმეტნი თთვენი მისითა ყოვლისფერის ცისკრის სახარებითა, საწინასწარმეტყულო იამბიკო სვნაქსართ, ტვბიკონი: - - - ათორმეტებითა მისითა, ფსალმუნებითა, სახარება-სამოციქულოთი, საწინასწარმეტყულოთი; - - - სრული და უკლებელი მისითა - - - სტუდელითა, სამოციქ - - - სახარებითა - - - ; - ზატიკნი სრული, საწინასწარმეტყულოთსა, სამოციქულო-სახარებითა; — ოც-და-ერთის დღის საკითხავები მეტავრასთაგან; — ქორონიკონი სრული; — კურთხევაანი სრული; — მარტვილა სრული“. კარგარეთელი ზოსიმე, მისი მამა სკმონ და დედა მისი მარინე სწანან 1562 წ. (იხ. 1562 წ. ქვეშე).

— ქს: სიზ: მიიცვალა ქუთათელი გერასიმე (გერმანოზ?) იანვარსა :ი: ამავე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სიმეონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისასა. — ამავე ქსა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ-იმერთით სამ საეფისკოპოს(ო)თა ბრძანებითა აფხაზეთისა კზისა აბაშისძისათა. ინება ღწთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობაძავისა საყდრისა ახლისა იერუსალიმისა გენათისა ეპისკოპოზისა მელქისადეკის საყვარელის ძესა, საუკუნოდამცა არს ხსენება მათი! ამასვე დროს იმავე პატრონმან გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მიჩხეტისძე (მწხე-

ტისკე) მანოელ ამავე აფხაზეთის კზისა კელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისა-  
თა ქნი იყო :სიზ: წარვედით აფხაზეთს საყურთხვეველად იენისსა :ყ: მოვედით  
ივლისსა :ვ: (Chr. G. გვ. 5—6).

— ქეს :სიზ: მცხეთის სიგელი № 6:

„ქ... ჩნ ბართაშვილმა აბაშმა და ჩემმა ძმისწულმა დავით, შვილთა მო-  
მავალთა სახლისა ჩუენისათა... მოგაკენეთ... თქუნენ... (მცხეთას)... და კზს  
ბასილის მას ვაშსა, ოდეს ჩუენთა გუართაგან სალაპოდ შემოწირული სოფელი  
ყორანთა ამოწყუედილი იყო და საღალღოვებს მიწებს აღარაინ ვაამებდა (sic)  
აწ ჩუენ ახლად ავაშენეთ... და მოგაკენეთ... ყორანთა... აღაპი არ მოგუე-  
შალოს... დაიწერა... ქესა :სიზ: (ის. ზემო გვ. 232).

განჩენი მეფის ღუაგსაბისა (მცხეთის სუსისა № :რე: გვ. 79 და 171), რომელ-  
შიც გერმანოზ ბარათაშვილი მოისცინებებს: „ჩუენმა გუარმა კცმა დიდმა ბარა-  
თამა ყორანთა შესწირა“. რადგან „დიდი ბარათა“ მოსცინებულაა ქაზიბასძემდ,  
ამით ცხადდება, რომ ბარათაშვილნი არიან ქაზიბასძისნი.

**1529—1530** წლებში უნდა იყოს დაწერილი ქვემო დაბეჭდილი ორი სიგე-  
ლი მცხეთისა, რომელნიც ერთსა და იმავე საგანს ესებან—მცხეთის დაკარგულ  
მამულებს, კზის ბასილის დროს (ბასილი უკანასკნელად დასასვლელად საბუთე-  
ში 1529 წ.):

სიგელი მცხეთისა, № რლწ. სათაურა: „სუეტიცის-ცხოვლის მამულებისა სი-  
ცა არი. თავი ზედა“.

„ - - - ვეძისი, უბიტ, სანე - - - ხუედურეთს ქუაზნი და რაც გლენბჩ  
არიან საყდრისა აკრებული და გასყიდული არის; საყდრის სამსახური არღა-  
რა შეუძლიან რა. ქუეშო ერისთავსა ოდიშელისძენი აქეს, ბატონს ბეგრატს  
(მუხრან ბატონს)—მისაქციელი... აღიანი სდ ქდობილთა დიდვა და აგარულს  
სამზღუარსა წამოგუტქიდა და დაიჭირა; გარდმოუგდო ქსანი და რაც ქსანს  
გაღმა ქალა და მამული დარჩა, დაიჭირა და აქუს.

აქუს რატიშვილს წირი..., კორინთელს ველური..., ამილახორს თაჯუა-  
შვილები..., ზემო-ერისთავსა ქუეში და სათივარი და ქორდი... აქუს ვაჩანძესა  
წოლდი, ფაენელიშვილსა ზაკვ და ერედუს გლენბი... კიდე კუნელთ სამზ-  
ღუარშიგა ბატონმა ბეგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქუა... მცხეთის  
სუსსაში № :სა: დამატებულად დაკარგული მამულები: „ქართლს მცხეთის ჯუარი  
კუართისა, ცხინვალს ურია ელიოზიძე, სოფელი ქუეში ქუენინგვევლსა  
აქუს..., რუისს მრულაშვილი... ქალაქს ურდულაშვილისეული სასახლე. ერთი  
კუამლი კაცი მეტეხლისა შალვას აქუს... მისაქციელი, საეკუდრო, კოდმანისა და  
საფანეთის მთა... წაგუართვეს გოსტასამიანთა“. (ეს ერისთავნი ზემო ის. გვ. 28).

**1529 — 1520** წ. სიგელი მცხეთისა № 262:

ქ. ქათალიკოზმა: . პატრონმა: . პასილი: . ძმისწულთათვის დაიჭირა კუნენელა

თა სამი ყუამლი კაცი და სხუა სრულად პატრონს ბაგრატს (ე. ი. მუსხან ბატონს, კოსტანტინე-მეფას ძეს) მისცა და მისაქციელი, თეკენა და წეროენის ნახევარი; კოპინას შვილები დასახლა და დაუკარგა მცხეთას, ასრე რომე ასრე ჯერეთ არა გარდაწყუეტილა, იქივე წეროენს იყიდა მოყალნეების მიწები, სასახლე და ჭურ-მარანი და იმისმა ძმისწულებმა კიდავე (კადევე) დაყიდეს ალიანთას წისქული, ზუარი და მიწები. მარტიცი მცხეთის პურღენითა და ბანბითა, და კიდავე მცხეთის მამული გამოიღეს ფასად, სათალგმისი და რეკული მამული, მცხეთას სასახლე რაგუარაც თვთან მოეკიდა მცხეთასა დასაქცევრად, აღარცა სხუათა გამოენახვა, მიყვეს კელი შინაურმა და გარეულმა. მცხეთის მამულსა სასყიდრად, და ასრე დიკარგა რომე რაც სოფელი არის ზოგან ნახევარი, ზოგან მესამედი აკლია; დიკარგა მცხეთისთვის: ამას უკანის ერთი სოფელი ფონთხელა ჭარმაულმა იყიდა გეშაშვილისაგან. მოკითხული ქენით და თუ ყუელა მის ქამშიგა არ დაკარგულიყოს, იმის მწერალსა გარდა კდევინეთ და თუ მართალი იყოს—სარიდანა, ძმანი და მისნი დაჰკარგენით: მცხეთის დამაქცევენი არიან. როგორცა ეს ყუელა მცხეთის დაქცევა და შეცოდება გამოაჩნდა, მეფემან საეკუდრო წაართუა და გაავღო და ამისითავ ბრძანებითა ჩუენ მარტაცი წავართვთ და მისსავ მემკვდრესა მიუბოძეთ\*.

ხელწართულად „კათალიკოზი“. — ეს გუჟანა გარდა საეურადღებო შინაარსისა იმასავ გვიხატავს, თუ რა დიდნი შასუხის-მგებელნი ყოფილან იმ დროს მდივან-მწერალნი აქ საჭიროდ კრაცხთ შეგნიშნოთ, რომ ძეკეს მსედრულ ნაწერში (XVI—XVI საუკ.) როგორც ამ გუჟანშიც, ასო „ჯ“-ს მაგერ უხმარნათ „უი“, მაგრამ ამ მარცხალს ასო „ი“ კუდზე მოაბული აქეს მუდამ და ამ უგანსკუელს შეათხვეკავი ყუეკლთვის უდრის „ჯ“-ს.

**1531 წ.** მცხეთის სიგელი № 197 იხსენიებს მეფე გიორგის.

— ქკს: სით: და ივლისსა :ია: მიიცვალა მკეციძე სარგის (Chron. G. P. 5). ეს ამბავი მოხსენებულია ქცხბაშიც II, გვ. 271), თუმცა ბაქრაძე-კონდაკის კერ უზონიანთ სარგისის ვინაობა. მოლარეთ-უსუცესი სარგისი თავისის ცოლით ელენე-ყოფილ ეკატორინეთა (ამილახვარის ამირანდოს ქალი, დაწყოლი ბგრატ მეფისა) გამოსახული არიან დასოქალ-მეადრებულად გელათის სოხსტრულის დთის მშობლის ხატზე წარწერით (იხ. ზემა, გვ. 354—5).

**1532 — წ.** მცხეთის სიგელი, ნუსხა № :ს.მ.ზ: რომელშიაც ვირეულად მოხსენებულია კზი მალაქია, რომელიც უნდა იყოს ქცხბაში მოხსენებულის და სხვა საბუთებში უწინარის მეფის ძის მეღქისედეკისა. თუ მეღქისედეკი მართლა კათალიკოზობდა, იგი უნდა მჟდარ იყო შემდეგ 1529 წ., როდესაც უგანსკუელად სხანს კზი ბასილი და უნდა განდევნილიყო უწინარეს; ამ 1532 წლისა. ბროსესით იგი უნდა დამჟდარ და განდევნილი იყო 1529 წ.; იგი ცოცხალი იყო 1540 წ.: Rap. I p; 21. ქცხბით (II, გვ. 271). მეღქისედეკის შემდეგ 1530—1 წელს დასაკლებუ-

ლია კზნი გერმანე (Annal, p. 474), რომელიც არტურის საბუთში არ აღმოჩნდა.

მალაქიას კათალიკოზობის დრო აქამდე სამიუბელი იყო. ვახუშტი და ბროსიე (და უკვე შეძლებენ მიმდევარნი მათნი) მისს კათალიკოზობას დასდებდენ მე XVII საუგ. დაწყებეს (ის. ქცხ. II, გ. 196; Hist de la G. II 438 და Annal p. 274 აგრეთვე ის. ხემა „Абхазские Каталикомы“, 1893 г გვ. 15—16; და ამავე დროს გვიჩვენებდენ „კათალიკოზთა კანონების“ დაწერის ვაჟსა, რომელშიც მოხსენებულია იმერთა კზნი ედომოს და ქართლისა მალაქია. ახლა-ვე ცხადია, რომ „კათალიკოზთა კანონები“ დაწერილთა შორის არის XVI საუგუნისას, და იმაში მოხსენებულია იმერთა კზნი ედომოს უნდა იყოს ედომოს I და არა ედომოს II, რომელიც მიიგვალა 1578 წ., რადგან ძველი დასაუკრებელია, რომ ედომოსს კათალიკოზობაში ეცხოვროს 1549 წლადამ 1578 წლამდე.

რადგან ამ გვარს სიგელებს აძლევდენ ახალ დადგინებულ კზებს და რადგან ამ სიგელში ხმაურებულია ფრასა „კზად დაგადგინეთ“, ამით ჩვენ საუგებელს ვხე-  
ვლობთ დაჯსკენათ, რომ მალაქია კზად დაუყენებათ ანუ 1532 წელს ანუ ამის წინა-წელიწადს—1531 წელს. (ის. სემო 1511 და 1527 წ. ქვეშე)

ქ. ჩნ ლთივ გვრგვინსანმან მიფეთ მიფემან პატრონმან ლევიან და დედამან ჩნმან დედოფალთ დედ-ფლმან ელენე და თანა-მეცხედრემან ჩნმან დედოფალმან თინათინ და ძეთა ჩნთა გზი და იესე ესე... წიგნი.. მოგაკსენეთ (მცხეთას) და წა მიუფესა და შესავედრებელსა სულისა ჩნისასა, ზეცისა კაცსა და ქყანისა ანგელოზსა, დიდსა მამთმთავართ-მთავარსა ქართლისა კოლოკოზს პატრიარქს მალაქიას მას ვაჟსა, ოდეს მცხეთის საქმე შემციორებულ იყო, იპრინან ლნ ნებითა და შეწყენითა ლთისათა და კათალიკოზად დაგადგინეთ და მოგაკსენეთ, რაჲცა სულ-კურთხეულთა ლთივგვრგვინოსანთა პარონთა პაპათა და მამათა ჩთაგან განთავისუფლებულნი და შემოწირულნი სოფლები და მამულნი იყუნეს მთას ანუ ბარს. აწ ჩნცა იმავე წესით მოგაკსენეთ [გარესჯას უდაბნონი მითთა მამულებითა და შესაყალითა უკლებად, ასე რომე რაც გარე-ჯისა მამულის გამოსავალი იყოს მისი ნახევარი მცხეთას და ნახევარი უდაბ-ნოსა] (ფრწხილებში ჩასმულები ჩამოსაზღვდა) და აწ ჩნგან შემოწირულთა გრემს სამი ვაჟარი და არაგუს აქეთ რაც მცხეთის მამულისა მალი არის სდ, გარეს-ჯის მამულისა პაპისა ჩნისაგან შემოწირული სოფელი ახალშენი... ერწოს სოფელნი ნოდოკრა, გორანა, პიტლოვანი, კუერნასძეული, სუმერნელი, ნო-ჯიკებითა.. ძაგნაკორნათა, ზვიადის შვილნი და ოდიშელისძენი, ... ხატის წო-ბენი, .. ახატანს ბიწმენი, ... გიფიმერენი, ... მუავს, ... მოსაქციელს, ... კუნელნი სრულიად, ... ჯუარი, ... კუტსა-ფოსკ, ... ჯაქკ, ... ოროტაჲ, ... სხუა ჩუტნგან არა ეთხოვებოდეს რა თვნიერ ლაშქრობისა და ნადირობისაგან მეტი... ციხე უმიზებოდ გვმუშაონ... დაიწერა... ქკს ასკ:“.

1532—1548 ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი უთავო და უთარბლო სიგელა

მცხეთის, ნუსხა № :სნგ: დაწერილი მეფის ლეონისაგან, ნუსხა № :სა: რომელშიც მოხსენებული კ'ზი მალაქია სიხის 1532—1548 წ.

„სიგელი თრიალეთს ეძინისა, ბეშქენაშენისა და წინუბნისა“.

„ - - - - კათოლიკე ეკლესიასა და თქნსა საკეთ-მპრობელსა... კ'ზსა პატრიარქსა მალაქიას... (მოგაკისნე) ტფილისის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღურითა და მეტეხლითა კელ-შეუალად, ქორდს ყანდიაშვილი... მამულითა, თრიალეთს სოფელი ეძინა... უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჰარი გორს და ერთი ქალაქს... მეფობისა ჩნისა წარსამართებელა... სხუა რაც ეამთავითარე-ბისაგან ძუტლნი შეწირულნი და გაჩენილნი მოშლილ იყუნეს, თქნგან წყალობად გომნი ნასიძესა ჰბოძებოდეს და ამითა ემსახური (უქსსუა), ჩნ ჯავახიშვილს როინს და ელიზბარს აღარა გამოვართვთ გომნი და გემსახუროს ასე რომე ერთი მის სახლისა არ გაგეყაროს (და სხ.) (აწა გეთსოგებოდას წა) სათათროსა საურსა გარეთ, ეზროშული ვირშელი წინუბნით“ (მეტე აწა-წა).

№ :სა: „სასოო ჩნო მარკოზ და ყარასლან. ჩნ მაგიერად ბატონს ქართლს ქ'კსა მალაქიას ასრე მოაკენეთ: მცხეთისა საყდრის და კ'ზისა საქმესა ეგენი დახუდეს და რაც (მცხეთის მამულები) ჩნსა შულსა კელთა იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუტლა უკლებად მივაბარეთ. და ჩნი შული სამუქყოთა გაიჯერეთ და გარესჯის უდაბნონი საყდარს მოვაკენეთ, ასე რომე კ'ზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუტლითგან გაჩენილი არა მოაკლდეს; და რაცა გარესჯით მცხეთას მივიღოდეს, მასზედა აღაბნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს; და გარესჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბძანებელსავე ზა მიასტუნონ. სხუა ჩნი კელი არა შევა ლაშქრობისა და ნადირობისა (და) მალისა (მეტე?); და თუ გავიართო ძღუენითა დაგუხუდებოდენ. აგრეთვე სხუანი სალაპონი მამულნი მოგვესენებია... ამას გარეთ რანიცა მცხეთისა მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: ჯ'ისა მონასტერი მისითა შესავლითა: მეტეხთ მონასტერი.. ქადაგის მონასტერი.. სარკისა და ვირშის მონასტერი.. და რაც პაპისა ჩნისა სამწირველო არს აქათ, იმას ჩნ მოვიკლებდეთ და მას ზა მწირველსა დავაყენებთ, ქადაგის საქმე,—აქაც ვაუტყდით,—ჩნი მონღობილი არის და საეკაცოდ არავის დავანებებთ და არცა მცხეთით არ გამოვიყვან. და არც საღ გაუშუტბთ და რა ჩნგან მცხეთას საკელო აბარია არც იმას წაუღებთ: როგორათაც მცხეთისა საყდრისა არ მოიშლების, აგრევე ქადაგის მონასტერსა და საკელოსა არ მოვშლი. სოფელი ახალშენი შემოწირული არს, ასე რომე საყდარსა ემსახუროს და მისი გამოსავალი ჩნის გულისთვს (სუფისთვს) წაიგებოდეს. აბრაშუმი რაც გამოვგზავნეთ, უკლებად შაგვინახონ: კალატოზისთვს მოგვანდების. აგრევე აქაური პური და ღვინო“ (მეტე აწა-წა) სათაურა, წყრადისა: „ბატონის ლევანისაგან შემოწერილი“.

1532 წ.—ქ'კ :ზხ: ჯიქეთს მოკლეს მამია და დადიანად დაჯდა ლევან (დადიანთ ქრ.).

— ქკს :სკ: მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს ჩუხდნენ. დადიანი მოკლეს; გურიელი დაიჭირეს. გურიელი მისმა ძემ როსტომმა დაიხსნა; და დადიანად დაჯდა ლეონ (კახ. ქრ. ეს ქკნა ტუეილია: ახ. 1533. ჭკუშე)

**1532 წ.** — აი წლის ახლო-ხანებს არის დაწერილი სუტური ტუეისი სიგელი სინოდ. კანტ. მცხეთის № 315 (და მეორე № 342), რომელშიც ჩამოთვლილია შეწირულობანი ახლად დადგენილის ქეზისა მალაქასი. როგორც ზემო გეთქვამს (ახ. 1532 წ. ჭკუშე), მალაქია ეკუროსა 1532 ასუ 1531 წ.

„ქ... ესე დაწერილი მოვასენე და შევსწირე: ყლთავე ჩრდილოეთისა საყდართა შს უაღრესსა და უაღმატებულესსა უდიდებულესსა წასა სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისა სალოცველსა... ჩუენ, ქეს-მიერ **ჴ: სრჩ** (ქართლესა მატრიაჩქმას) მალაქია მას ეამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საქეთ-პყრობისა წისა ამის ტაძრისასა; შევსწირე და მოვასენე ჩემ-მიერ ნალუაწი და ჩემითა ღონის-ძიებითა მოგებული: ა: (ერთა) ომოფორი მძიმედ ნაკერი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა: ა: (ერთა) ბისონი, იგიცა მძიმედ ნაკერი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა: ა: ენქერი, იგიცა მძიმედ შეკერილი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა: ა: სამკლავენი იგიცა მითვე წესითა ნაკერავე და შემკობილი თვალითა და მარგალიტითა: ა: სტიხარი მძიმედ ოქრო-ქსოვილი თეურისა ქამხისა: ა: კვერთხი თევზის-კბილისაი, მძიმედ ოქროათა მოქედილი შემკობილი თვალითა და მარგალიტითა: ა: დიდი ხატი ყდ წისა სდ ოქროთა მოქედილი, შემკობილი ნაწილითა და თვალ-მარგალიტითა :ბ: ხატი მაცხოვრისა ვეცხლითა მოქედილი და შემკობილი თვალითა და მარგალიტითა, უძეოდ გამოსახული: მე-**ბ** (მეოთხე) ხატი ნათლის-მცემლისა ვეცხლითა მოქედილი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა; ორნი ხატნი წთა მთავარ-ანგელოზთანი მიქელ და გაბრიელისნი ვეცხლითა მოქედილი, შემკობილი (თვალთა და მარგალიტთა); ორნი ხატნი წთა ყდ ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, ვეცხლითავე მოქედილნი, შემკობილნი თვალითა და მარგალიტითა. ამა ოთხთა ვეცხლისა ხატთა ჩოლაყაშვილმა ბადაღურ შემოსწირა და მე ჩემითა საფასოთა მოვქედე და შევაძე:\*) კიდევვე შევსწირე სამღვდელთ-მოძღუროსა ყელთ-საკიდი ხატი ოქროსა ნაწილიანი ძვირფასითა თვალითა და მარგალიტითა შემკობილი ოქროსა ჯაჭვთურთ. სხუა ცოტა ხატი ოქროსავე მთავარ-ანგელოზისა მიქელ...; ერთი დიდი ბეჭედი ოქროსა ოქრო-ჯაჭვიანი: მეორე ცოტა ბეჭედი ოქროსავე თვალიანი: ესე ჩემ-მიერ მცირედი შესაწირავი ვინცა და რამცა გუარზა კაცმა... (წიგნა ვინც დააკლეს).

კიდევვე შევსწირე ერთი ქალაღის მეტაფრასი და ერთი ძილის-პირი ეტ-

\*) სიგელი № 342 XVI საუკუნისა აქედამ იწყება და ბეკრიც მომეტებულია და უკველესიც არის.

რატისაჲ (ასლა კელ. მუზ. დატული № 85):. სამი ბედაური ქაკი ცხენი მისითა საშენებითურთ; კვიცები გაისყიდვოდეს, მისი ნაეპკრი სასაყდროდ დაიდუ-ბოდეს.

კიდევე შემოეწირე ერთი კონდაკის ღერი (?) ვეცხლისაჲ ორგზით თავი ოქროსაჲ მძიმეთ მოთლოთული პატიოსნითა თულებითა:.. ოთხი ჩინურის თეფში და ოთხი ჯამი:.. კიდევე ერთი თეფში და ერთი ჯამი სხუაჲ ჩინური-საევი:.. ერთი ვეცხლის სუფრა, ერთი ვეცხლის მაშრაპა, ერთი მძიმე ოქრო-ქსოვილი კავედი, ექუსი ორხაო, ათი ქუაბი სხვილი-წურილი, ორმოც-და-ათი თეფში სპილენძისაჲ, სამი ზედადგარი, ორი ფინარი, ცხრა ჯამი სპილენძისევი, ერთი ვეცხლის ჯაკვი გრძელი: საყდრის კლიტეთა მხარ-ილლის დასაკიდი, არის ნაევეთი ას-ოც-და-ერთი თავითურთ. ოთხი ფური კამეჭი კბოიანი.—კი-დეე შეესწირე ერთი მთავარ-ანგელოზის ხატი პერილეტისა თვალზედა გამო-ქრილი; ერთი ოქრო-ქსოვილი ქარათის ბისონი, მეფისა ლეონისაგან ბოძებუ-ლი; ერთი მუშაბახიანი სპილენძის მანკანა; ერთი ხალიჩა საკურთხეველის საყ-დარზედა დასაფენელი; ერთი ორხაო გარეთსა საყდარსა ზა დასაფენელი; ერ-თი სეფისკერის დასაჭრელი დანაკი, თეფზის კბილის ხართა ოქრო-ზარ-ნიშნა-ნი (?); კიდევე ერთი დიდი დეეჲ ტაფა; კიდევე ერთი ვეცხლის აბრაიგი სა-ზედაშე; ორას-ოცი სული ცხვარი, რვა ჩინური ჯამი.

**1533 წ.**—ქკს :სკა: ამ ქკს გაილაშქრა მამია დადიანი და მამია გური-ელი ჯიქეთს და მოკლეს მამია და დადიანი და გიორგი გურიელის შვილი და ტყუპ იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი (წა გ<sup>ა</sup> გულ. ჩეზა უბ. წ. III 104).

— ქკს :სკა: ამა ქკსა გაილაქრა მამია დადიანი და მამია გურიელი ჯი-ქეთს და მოკლეს მამია დადიანი.. და გ<sup>ა</sup> გურიელის შვილი და ტყუე (sic) იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი (ქკ. მუზ. პარაკელტონი, № 49).

— ქკსა :სკა: აქა გაილაშქრა მამია-დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს და მოკლეს მამია დადიანი და გიორგი გურიელის შვილი, და ტყუპ იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი;—(წა გ<sup>ა</sup> ს გულანა).

— ქკს :სკა: დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს სა-ბრძოლად ზღვით ნაევებითა და შეიბნეს თეგსა იანვარსა :ლ: პირველსა დღესა ამათ გაემარჯვა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ლ<sup>ა</sup> ოდიშელთათვის უღალატეს და გამოექცნეს დადიანი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს. მოე-ხვიენეს ჯარნი და შეიბნეს; მრავალი დაკოცეს დადიანმა, გურიელმა და გუ-რიელის ლაშქარმა; მოკლეს გურიელის შვილი გიორგი, დაღალულნი (დამა-ღულნი?) ომისაგან შეჩვენებულმან ცანდია ინალდაფითა (ანაღაფა?) გაინდუნა; დადიანი გააშიშულეს სრულიად; შიშველი დაჭრეს; გურიელი და სამნი მისნი ძმა-ნი და მისნი ეპისკოპოსნი და მისნი ლაშქარნი ტყვე ყვეს. წავიდა მალაქიჲ

კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი და მკვდარნი ფასით იყიდა და მისნი აზნაურასშვილნი\* (Chr. Geor. p. 6-7).

რადგან 30 იანვარს: პარასკევი მართლა 1533 წელს მოდიოდა და არა 1532 წელს, როგორც ზემო ქრონიკები გვიჩვენებენ, ამისგანაა გაჩაღი დამარცხება და მამიას სიკვდილი უნდა საბოლოოდ დაიდვას 1533 წელს და არა 1532 წ., როგორც აქამდე მიღებული იყო.

**1534 წ.** — სკბ: მოკტდა გურიელი მამია; — დაჯდა ძე მისი როსტომი; — კლ გიორგი-მეფე მონაზონ იქმნა და დაჯდა ლუარსაბ, ძე დავითისი (კახ. ქრ. ეს ქენი და ამაგი არ „იმაგება დ. მაყაყელის ვასუშტის ქენების სელანქარში).

— ქკს: სკბ: ამას ქკსა არის დასაბამითგან წელინი :სკბ: (უნდა :კებ: ვი-ღრე აქამომდე (ყანხეთის გულანი).

— ქკს: სკბ: აქა დასაბამითგან :კებ: წელი ვიღრე აქამომდე (ყანხა № 3).

— ქკს: სკბ: ამა ქკსა არის დასაბამითგან :კებ: ვეე აქამომდე (ქვათახე-ვის გულანი).

— ქკს: სკბ: ამა ქკსა დასაბამითგან არიან წელინი :კებ: ვეე აქამომდე (წა ნიკოლოზის ქრონიკა).

— ქკს: სკბ: ღეკემბრს 10-ს მეფე ბაგრატ (იქართა), ცოლი მისი ელენე, ძენი მათნი: გრი, თეიმურაზ და კოსტანტინე (კანტორას სიკვლა № 3).

**1534 წ.** ნიკორწმიდის (დაჭაში) დიდი გრაგნილი ტუკვისა, სუცურად დაწე-რილი, № 34, მიცემული იქართა მეფის ბაგრატ III-ის მიერ 1534 წელს, მეოთხე (უნდა: ოც-და-შეოთხესა) ინდიკტიონის მისის მეფობისას; აქიამ გამოდის, ვითომ ბაგრატ გამეფებულ იყოს 1530 წელს (?), რაიცა მისაღები არ არის სსკა საბუ-თების მიხედვით. ნიკორწმიდად 1534 წ. დაყენებული მანუელ შეიძლება იგივე მანუელ ჩახეთიძე იყოს, რომელიც 1529 წელს სონელად დასკეს (ს. 1529 წ. ქკეშე). ამავე მანუელს მოახსენებს ჩვენგან ზემო დაბეჭდილი სიგელი (გვ. 49). — ჩვენ შემოკლებით შემოგვაქვს ეს გუჯარი, რომელას პირი, უმეკურაჯესის ხელაწიებით გადაწერილი და შემეღლი მსატრაბებით (ინაციანლები, არშეუბა დასატელად და თათ სპატი წის ნიკოლოზისა) ცნობილის არსამ. ზაქარას მიერ 1806 წელს, ჩვენ ვიპოვეთ ნიკორწმიდის გუჯარბში, № 35.

... ჩნ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თა-მეცხედრემან ჩნმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე... კელიყავით აღშენებად დაკინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ-წისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოსოდ და დაეადგინე... მეუფე მანოელ... და შემოგწირეთ... შევამე... და შევწირე დაბანი და სო-ფელნი... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩნისასა მეოთხესა (ოც-და-შეო-თხესა?), ქკს: სკბ: (sic). თა აგვისტოსა ცხრასა (sic), კელითა გრი ამაში-ძისათა.

თქნ წრო გრი მთისა მთავარ მოწამეო! როგორათაუ დავით-აღმაშენებე

ლისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო, ჩნ... (მეფე ბაგრატ-ელენემ და მეთა მისთა... გ-ი და ალექსანდრემ)... კელეცავით ახლად აღმენებად და შემეკობად ტაძრისა შენისა და გარდავაჰედინეთ ზეთ ტყვიითა და სპილენძითა და მოვაჰედინეთ ხატნი წის გიორგისნი და სხუანი ძუძლნი ბნელნი ხატნი განვაახლეთ დ. შეეკაზმენით; კარნი ავაბენ და მოუტედენ და კლიტენი მოუწყვენ და გავამაგრენ, და ახლად დაუმტკიცენ და შემოვწირენ მამულნი და გლეხნი... (ჩამოთვლილთა გლეხები).

**1535 წ.**—დეკემბერსა 6-სა.—საეკლ. მუზეუმის ტყავზე ხუცურად დაწერილი ხელნაწერი სუნაქსარი *in folio* (362 ფურც.), რომელსაც აქვს ტექსტის ხელით შემდეგი წარწერა (ფურცელი 9 და გვ. 47): „წონ მამანო ამას დღესა (10-ს ნოემბერს) დაღაცათუ ბერძენნი არა დიდად დღესასწავლობენ, არა რაჲ არს ყენება, რათა ჩუენ ვდღესასწავლობდეთ, რამეთუ ჩნ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუტულემა“. ფურც. 315: „ესე უძილისპიროდ გვეთარგმნეს და უგემურად მოვიდოდა. ბერძნულად თვთ ავაჯნია და მათ იციან და ჩუენ თუმცა ავაჯი დაგძევა, ვინ დაისწავლიდა. აწ შეწევნითა ღთისათა ძილისპირსა ზა ვთარგმნეთ (იგუფისსებება მთარგმნელა წა გიორგი ათონელი), რაჲცა ძილისპირი მოუვიდოდა, რომელი ძუძლითგან ვიცით, იგი ეგრე ითქმოდის და სხუაჲ ძილისპირსა ზა, რომელიც იყოს ბერძნულად დგ-ი არს ესე წავედ (?). ეძიებდი, რვათამცა კმათა შა არს და კმა არს ჩუენდა, თუ არა ამას გუტრდსა ოთხასი წელი უფრო ახსოვს... (სინანს დედანი, სადაამც გადუწეაჲ, უოთეაჲ 1525—400=1135 წ. ახლო დროებას გააწეაჲლი).

ფურც. 360; „ერმოგენოს, რომელი მეგრელთა ეპისკოპოს იქმნა“. ბოლოს ფურც. 362: „ხოლო ითარგმნა წა ესე სუნაქსარი, რომელი არს მათუწყებელი ყოვლისა საწელიწადოჲსა, მონასტერსა ქართველთასა კელითა გ-ი დეკანოზისათა (დკანთა) ჩუენ მადლი მიეცინ შრომისათჳს.—დაიწერა კელითა გლახაკისა და უღირისისა [და ფდ] ცოდვილისა... აბრაჰამ დავითის ძისათა - - - სამცხით მთის ძირით კარჩხლით - - - და საყდრით და ტაძრით - - - (ომი-შით?) - - [ადე]წერე წიგნი ესე სუნაქსარი ბრძანებითა პატრონისა (კახთა) დედოფლისა თინათინისათა, დავიწყე გრემს სანახებსა ღთის მშობლისა საყდარსა შა თუქსა დეკანოზისსა ექუსსა, ქკს :სკგ: გათავდა ალონს ტაძარსა შა ნათლისმცემლისასა თუქსა იგნისსა :იბ: დღესა შაბათსა, ქკსა :სკგ: ზედნადებსა :კგ:“—ამას და უკელა სსკა სუნაქსარებსად ჩართული აქვს შემდეგი საყუარადგებოცნობა (გვ. მუშ. № 222):

„თვესა იგნისსა :კვ: წისა მამისა ჩნისა იე (იოანე) გუთელ ეპისკოპოსისაჲ.—ესე იყო ჟამთა კოსტანტინე და ლეონ ისავროსათა ქუტყანით სტავრო-სკვთათათ, ძე ლეონტი და ფოტინისი, ხოლო წიდა იქმნა სიყრმითგანვე, ვითარცა იერემია და ვითარცა დიდი სამოველ აღთქუმით იშვა და მეყსეულად ღთისა შეწირულ იქნა, არამედ ვა საზომსა. სულიერისა და კორციელ

სა ჰასაკისასა მიიწია და ჯერ იყო მისსა მღვდელთ-მოძღვრებისა პატრისა აღს. ლევა თვისსა ერისა მიერ, ქართლისა კათალიკოზისა მიერ წარივლინა და მი. ერ მოილო კელთ-დასხმამ, რამეთუ მას ჟამსა საბერძნეთისა კერძონი ხატთა ბრძოლისა წვალეზასა დაეპურნეს. შდ სიკუდილისა კოსტანტინესსა და ლეონისსა სამეფუოდ ქალაქად მოვიდა და ირინე დედოფალსა ფდ ეზრახა მართლისა სარწმუნოებისათჳს და თჳსადვე ქყნად უკუნ იქცა და მრავალნი ჳირნი თავს იხსნა თჳსთა მიერ განცემითა ხაზარეთისა მთავართაგან და ამასტრად პონტოვსა სილტოლით მიიწია და უფლოსა მიერ მიიცივალა. ხოლო პატროსანნი ნაწილნი მისნი წარიყვანნეს ნავითა და დაიხსნეს მონასტერსა წმიდათა მოციქულთასა\*. მცხეთის ჳზას (ოვანეს) მიერ. ოვანე გუოელის კურთსეკა იგნებოდა 740—775 წლებ შუა.

— ქკს :სკვ: მეფე ალექსანდრე, ძე ლევანისა იშვა (Chr. Gē.).

— ქკს :სკვ: ამას ქკსა: აგვსტოსა (sic) :იგ: დღესა ხუთშაბათსა შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე (sic) ახალქალაქს და დაიკონცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფესა და კელთ დარჩა ყუარყუალე (sic) და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესამან (ეკ. მუზ. ჰანაკლიტონი, № 49).

— ქკს :სკვ: ამას ქკს აგვსტოს :იბ: დღესა ხუთშაბათს შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყუარყუარე ახალ-ქალაქს და დაიკონცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფესა და კელთ დარჩა ყუარყუარე და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესამან (წა გ.ს გულ. — ჩემო უბ. წ. III, 104). რადგან 12 აგვისტოს ხუთშაბათი მართლად 1535 წელს მოდიოდა, ამის-გამო დასჯურებულა ან არის სხვათა ქემო, დაბუქდილ ქრონიკათა მოწმობა, ვითომ ეს ამბავი მომსდარ იყოს 1536 წ., ანუ 1537 წ. (იხ 1536 და 1537 წ. ქვეშე). — ეს ქრონიკა, როგორც სხვებიცა, ამ წყაროდამ ამოღებულები, სიტყვა-სიტყვით, თითქმის სრულად შეუცვლელად, შეტანილია Chron. Gēor. გვ. 7; აქედამ სხანს, რომ უკანასკნელი შედგენილია სხვა-და-სხვა ქრონიკებისაგან, როგორც ჩვენ ამას ცხადად დავამტკიცებთ.

— ქკსა :სკვ: ერთს ტყავის სასარებავზე წარწერილი უოფილა: „მცირე მოთხრობა ბრძოლისა ლუარსაბ მეფისა და ყვარყვარესი ქკსა :სკვ:“ (ჩემი ასტკრებული გვ. 467).

— ქკს :სკვ: მურჯახეთს შეიბეს აგვისტოსა :იგ: (უნდა :იბ:) დღესა ხუთშაბათსა. შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე ახალ-ქალაქს და დაიხონცნეს მრავალნი კაცნი, და გაემარჯვა მეფესა და კელთ დარჩა ყვარყვარე, მისი ლაშქანი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესამან“ (Chron Gēor. გვ. 7).

— ქკსა :სკვ: მურჯახეთის ომი, ქრისტეანეთა წარკდენის მიზეზი, (ეს წარწერა წ. კ. სელნაწ. № 252 იმ სელთ და იმავე მენლით არის მიწერილი, რა-

მლითაც 1579 წ. ქვეშ ფრაზაც: „ესე არის აწინდელი ქორონიკონი, რომელსა დაეწერა“ (ე. ი. როდესაც დაწერილია თუთ ხელნაწერია).

ქკსა :სკვ: (1535 წ.). აქა შეიბა (sic) მეფეთ-მეფეთ ბაგრატი და ათაბაგი ყვარყვარე ახალ-ქალაქს და გაემარჯვა. მეფესა კელთ დარჩა ყვარყვარე და მისნი ლაშქარნი. და დიპყრა ძემან ალექსანდრესმან სრულიად საათაბაგო:— (ეს წ. გ. № 252 ქრონიკაში აბოკება, მაგრამ სხვა ხელთ. ამ წიგნის შემეტყვნის წარწერანს ორის ხელთ არიან დაწერილნი: უძრავკლესნი მოკვითხრობენ იმერეთ-გუგრა-სამეგრელოს ამბებს და უძრავკლესნი, რომელსაც კეკელიანი ზემო აღნიშნულნი 1579 წ. ქვეშ წარწერილის ხელციცა, მოკვითხრობის სამცხე-სათაბაგოს ამბებსა და დამწერან იქაურთ უნდა იყოს. უგანსხეული მოთხრობა იმერეთში დაწარწერეს წაგავს.

— ქკსა :სკვ: აქა მურჯახეთს შეიბნეს (უხნაუთის გულ.).

— ქკს :სკლ: აქა მურჯახეთს შეიბნეს (წა ნიკოლოზ. ქრ.).

ქკსა :სკვ: (უნდა :სკვ:) ამა ქორონიკონსა მურჯახეთს შეიბნეს ათაბაგსა სრულა საქრისტიენო და ათაბა(გა) - - - (სხვა წაწერილია, უხნა № 3). ეს ქრონიკონი დასაჯერებელი არ არის, რადგან ზემოხსენებული ქრონიკონებია და ქცხ, თანახმად ჰომოქონი, რომ მურჯახეთის ომი 1535 წ. ეოფილა:

— ქკს :სკვ: მეფემან იმერთამან მოიხსენა შური ათაბაგის მწეკაბუკისა და მივიდა სამცხეს, და მურჯახეთს შეიბნენ მეფე ბაგრატი და ყვარყვარე ათაბაგი. ბაგრატი გაემარჯვა, ათაბაგი შეიპყრა, გელოთს ტყვედ მოკლდა და სამცხე ბაგრატი დაიპყრა; — ქიხოსრო, ყვარყვარეს ძე, სტამბოლს წარვიდა (კახ. ქრ.).

1536 წ. — ქკს :სკლ: აქა მურჯახეთს შვიბნეს (ეგ. მუხ. ხელნაწ. № 85):

— ქკსა :სკლ: აქა მურჯახეთს შეიბნეს (იგორთის ძილისში).

— ქკს :სკლ: ამ ქკს არის წელიწადი დასაბამითგან :კვბ: ვიღრე აქა მომდე (წა გ'ის გელათური გულანი).

— ქკს :სკლ: ამას ქკსა არის წელიწადი დასაბამითგან შეიღ ათაბაგის და-ორი ვე აქამომდე (ეგლ. მუხუჟმის, ზარაკლიტონი № 49).

— ქკს :სკლ: მოვიდა შაჰ თამაზ მოპარვით ტფილისს, დაესხა და აღიღო: უკუნქვეული ყარაბაღს დადგა. მივიდა მასთანა ბაგრატი მეფე და წყალობით გამოუშვა; მუნვე მივიდა ლეონ კახთ მეფე და პატივით გამოუშვა (კახ. ქრ.).

1537 წ. — ალექსანდრე კასა-მეფის გამეფება (კახეთს) იხ. 1552 წ. ქვეშ:

— ქკს :სკვ: მეფე სვიმონ იშვა, ძე ლუარსაბისა (Chr. G.).

— ქკს :სკვ: აქა სომეხნი შეიშალნეს (წა გ'ის გელათური გულანი).

1537 წ. — სიგელი მცხეთისა, № 2 (ნუსხა № :სლ:):

„ქ... ჩუნე მეფეთა მეფემან პატრონმან ლეონ... (სრული მეფური წოდებულება) და თანამეცხელრემან ჩუნემა... თინათინ და ძეთა ჩემთა პატრონმა...“

გ-ი, პატრ. იესე, პატრ. ალექსანდრე და პატრ. ელიმირზა... შვესწირეთ... (სოფელ) ხანდაც კირაულნი მღვდელი ლონგინოზ... (ოჯახით მისით)... მამულითა (და კადე სსჯა ოცი კვამლი უიზილანი ბარუთის და ქვემო ეჯჯუთის და ხელახლა სწირავს მეღიებეთ-უსურესს; ლიპარიტ ტლამქა)... სულკურთხეულითა მეფეთ-მეფისა მამისა ჩუენისა პატრონისა გიორგის საფლავთა ამსახურებდე... აღაპსა გარდაიციდი... დაიწერა... ქკს :სკე“ (ხვეულად ამტკიცებენ შეუე და კ-ში, რომლის სასელი ვერ აღმოაქათხება, მაგრამ უკვეკლად უნდა იყოს მალაქია).

ამაკე დროებუა (1532 - 1549 წ.) უნდა იყოს დაწერილი უთაო და უთარი-ლო სიგელი მცხეთისა № 473 (სუსსა № № :სიად; :სხგ; :სმა:); „[ქ. ჩუენ მეფეთა-მეფემან ლეონ და თანამეცხედრემან ჩნ-მან დედოფალთ დედოფალმა თინათინ ესე სიგელი მოგავსენთ თქუენ მაცხოვრის] კათოლიკე-სამოციქულოსა საპატრიარქოსა ეკლესიასა და თქუენსა საკეთ-მპყრობელსა ქკსსა მალაქიას ტფილის ქალაქს მეტებთა მონასტერი წინამძღვრითა... (და სოფლებიც შეუწირავს, რაც მეტესისა იყო და სხვაც)... ქალაქს ორი ლიტრა სანთელი, ერთი მეტამღებდა და ერთი მებაჟებდა... (შეესწირეთ) ცოდეთა ჩნთა შესანდობელად... ჩუენ ჯავახისშვილთა როინს და ელიზბარს აღარა გამოვართვით გომნი - - ებრაშვილი ვირშელი წინა-უბნით“. ხვეულად წარწერა: „ლეონ“. ელაზ-ზარ ჯავახისშვილი ცოცხალი იყო 1580 წ. (ახ. 1549 წ. ქვეშე).

**1538 წ.** —საეპარქიის ღ-თის მძობლას საკელში № 2, მოსხენებულნი არიან: ბარძიმ აძილასჯარი და ძე მისი ფარემუხ: ზე-ღრდულეთს სწირავს.

სინის მთის აღაპებში № 54 მოსხენებულნი არიან უძველესნი მე-XIV საუკ. აძილასჯარები: „სულსა ზედგინძესა დოლარსნალ-ყოფილსა დამიანეს და მათსა მეცხედრესა თუმან-ყოფილსა თეკლეს, მათთა ძეთა ჯანიბეგს (ახ. ზემო გვ. 218), ზაერადს, მერაბს, გორზაშს, მამისას, ქიხოსროს შ-ს ღ-ნ“. (СВѢДѢНІЯ II, გვ. 77—9. ა. ნაგარლისა).

**1539 წ.** —ქკს .სკზ: აქა სომეხნი შეიშალნეს (იკორთის ძილისძირი).

— ქკს :სკზ: აქ სომეხნი შეიშალნეს და თვედლორობის კვირა-ქამეს (ქკათას. გულანი).

— ქკს :სკზ: აქა სომეხნი შეიშალნეს და თვედლორობის კვირაჲ ქამეს (უანჩაეთის გულ.).

— ქკს :სკზ: აქა შვიდ-გზის წყეულნი სომეხნი შეიშალნეს (შემოქ. გულ.).

— ქკს :სკზ: სომეხნი შეიშალნენ აღესებისაგან (ჯახ. ქრ.).

— ქკს :სკზ: აქა სომეხნი შეიშალნეს და თვედლორობის კვირა ქამეს (წ-ბ ნიკოლოზის ქრ.).

**1540 წ.** —ტყაყე მხედრულად კარგის ხელით ნაწირი სიგელი მცხეთისა № 52 და ნუსხა № :ღ:; რომელშიც მოხსენებულია კ-ში მეღქისედეკ. რადგან 1532 წ.

სხანს მალაქია, რომელიც კათალიკოზობდა 1549 წლამდე, ამისგან უნდა კიფიქროთ, რომ მალაქია 1540 წლის ახლო ხანებს გადაუყენებიათ, მაგრამ შეძლო მელქისედეკ ჩამოუგდათ და ისევ მალაქიას დაუჭერია ტახტი.—ამავე სიგელიდან სხანს, რომ გიორგი-მიფე ბერად შეიბგარა ანუ 1540 წ. და ანუ ცოტა ადრე და არა 1534 წ., როგორც აქამდე ცნობილია, მით უმეტეს, რომ ლუარსაბ მეფედ არ იხსენიება ამ წლამდე არცერთს ცნობილს სიგელში.—სიგელში ჩმოფიქვლია მთელი სამეფო ოჯახობა.

„ქ... (ეს სიგელი) მოგაკენე... (მცხეთას) და თქვენ... კორციელად ძმისა ჩუენისა ქართლისა კზ-პატრიარქს მელქისედეკს... მე... გიორგი ბაგრატიუნისანიმან..., ძემან... მეფისა კოსტანტინესმან: ვცან, ვითარმედ სოფელი წუთერთ და მსწრაფლ წარმავალ არს და საუკუნო იგი ცხოვრება დაუსრულებელ. ამისთვის დაუტევე ყოველივე ამოება და დიდება მისი და შევიმოსე საღთო მონაზონებამა... და... შემოგწირე სოფლები ზერტები... ნება-დართვითა ძმისწულისა ჩუენისა მეფეთ-მეფისა ლუარსაბისითა და ძეთა მათა პატრონთა: სემონისითა და დავითისითა, ძმისა ჩუენისა პატრონისა ბაგრატისითა და ძეთა მათა კოსტანტინე და გორგასლისითა, ძმისწულისა ჩუენისა პატრონისა დიმიტრისითა და შემოგწირე... სოფლები ზერტები... სამი კარვალბული ალაბი (გარდამისადგეთა იმ სოფლებსი შემოსაკვლადამ)... სამნი კანდელნი... (ჩემთვის ენთებოდგენო) სამარადისოდ. ესე სოფლები ამა წესითა შემოგწირე, მე პანკრატონისმან გიორგი-ყოფილმან მონაზონმან გერასიმე... თარხნად... ერთისა საათაროს საურისა გარეთ... ფეტვს ლალა და ფუტკრის ბეგარა ამოგკვეთია... დაიწერა... ქკს :რკპ: მე - - - (აქ კვლად).

ბოლოს სელმოწერა: „მეფე ლუარსაბ ამისი გამთავებელი ვარ“.

„ქ. მე გ-ყოფილი გერასიმე ამისი გამთავებელი ვარ“. სეუვლად: „კზი მელქისედეკ“ და მერე აზის ბეჭედი.

### 1540 წ. თფილ. სიონის სიგელი, დაბეჭდილი АНТ-ებში, ტომი I:

„...ყოველად წმინდაო სიონისა ლუთის-მშობლო, თქვენ-მიერ გვირგვი-ნოსანმან, მეფეთ-მეფემან ლუარსაბ და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა: პატრონმან სვიმონ და დავით... მრვიდა და ისაჯა თქვენისა საყდრისა მპრობელი, კაცი სათო ლუთისა, ტფილელ, მთავარ-ეპისკოპოზი დომენტი, პირველ გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუართუნა და აწ ჩუენ კულად განვახლეთ და შემოგწირეთ და მოგახსენეთ ლალა პურისა და ბამბისა; რასაც საყდრის შვილნი და თქუენნი ყმანი ჰხნევენ, მისსა ლალასა ტფილელი აიღებდეს, წარსამართებულად მეფობისა ჩუენისა... სულისა ჩუენისა სამლოცველოდ. რანიცა ტფილის ქალაქს სიონისა ლუთის-მშობლისა ყმანი იყვენ, ყოვლისა სათხოვრისა და საჩუენოსა გამოსაღებისაგან განგვითავისუფლებიან, სრულიად არა ეთხოვბოდეს რა: არა ლალა, არა გუთნის ხენა... თვინიერ საურისაგან კიდე, ასრე

რომე სხვისა ღალა არა იმოსოს, არცა ყანისა და არცა ბამბისა. თუ ვინმე სი-  
ონის ყმასა ხარი შეუბას ანუ ვისმე სიონის ყმამა შეუბას, ხარისა და გუთნისა  
აღოსა ნუ იმისებს და სხვის ყმისასა პატრონსა ღალასა ნუ დააკლებენ... დაი-  
წერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეთ-  
ცამეტესა (?) ქორონიკონსა :სკპ: ხელითა მწერალ-მწიგნობრისა იორდანე-  
სითა.

**1541 წ.** — ქკს :სკთ: აქა ყანემან თფილის ქალაქი ამოსწყვიდა (იკორთის  
ძილისპირი).

— ქკს :სკთ: აქა ყანემა თფილისი ქალაქი ამოსწყვიდა (ჩხვიძის ქრ.).

— ქკსა :სკთ: აქა შაშთამაზ ყენი მოვიდა და ქალაქი ამოსწყვიდა  
(ყანზ. გულ.).

— ქკს :სკთ: ამა ქორონიკონსა შაშთამაზ ყენი მოვიდა და ქალაქი  
ამოსწყვიდა (ყანზა № 3).

— ქკს :სკთ: ოსმალთა და ქიხოსრო ათაბაგს შეება ბაგრატ მეფე; ბაგ-  
რატს გაემარჯვა (კახ. ქრ.).

**1541 წ.** ახლ-ხანს. — შცხეთის სიგელი № 483 (ნუსხა № :ტად:), მკედ-  
რულად ნაწერი. ამაში მოხსენებულია მწვეკრული იერემია, რომელიც ჩვენის „ქრო-  
ნიკებთა“ (იხ. წიგნი I, გვ. 336?) ცნცხალი სხანს 1541 წელს, რომელ დროსაც  
უნდა ეტუნთოდეს ეს გუჯარი.

ქ.... (აქ ფრანდ გრძელი და წარჩინებულად შედგენილი დადების-მეტყველებს  
ღუთის-მშობლისადმი, და შემდეგ)... „შენ... დიდებულსა აწყურისა ღთისმშო-  
ბელსა, თავად ყლ წრისა აწყურისა ღთისმშობელსა... ესე წიგნი... მოგაკსე-  
ნეთ მე პატრონმან თამარმან და ძეთა ჩემთა პატრონმან ამილახორმან გი და  
პატრონმან ელბადურ და ჩნმან ძმამან აბლუხან (ეს სამი სატყუა სტრაქონს  
ჩემოთ აწერა) და შვლთა ჩნთა ქოიარ, მელქიზედგე, ოთარმან (ეს სტრაქონს  
ჩემოთ აწერა) და რლეგეთელმან (ნუსხაში: რუკეთელმან)... მას ეამსა, ოდეს  
ემშაკის საბრკისაგან ძმის მკულელობა შემოგვევიდა და მოგიდევით კარსა თქ-  
ნსა და თქნსა საყდარსა და სარჯულო გარდაგვიწყვიდეთ და შემოგვიწირეთ თქნ  
სამინელსა აწყურის ღთის-მშობელსა და მოვასენეთ მას ეამისა საქეთ-მყო-  
ბელსა პატრონსა იერემი მწყურარელსა, დაგიდევით წრის შოთასშვილები  
მათითა მამულითა... დღეს რისაც ჩრომისა და ან მამულის მქონებელი არის  
მით ყულადთა უკლებლად. კიდევ იქვე თვედორას ნაქონი სახლ-კარი და მამ-  
ული.... ამას გარეთ შემოგვიწირეთ ახალციხეს ნიბაშვილი მერაბა.... იქი-  
თაძებსა ჩნი მალი შეკვებოდა, ამოგკუპითია სრულობით... პარკაძეს სი-  
ლიბისტროს ჩნი ვალი მართებდა, ამოგკუპითია და წიგნიც დაუფრწოთ.  
ეს შემოგვიწირავს განთავისუფლებით: ჩნ მაგიერი კაცი აღარ მიუღებოდეს და

არცა-რა ეთხოვბოდეს ჩნის გუარის კაცისაგან და არც ჩნგან და არა მოგე-  
შალოს...

**1543 წ.** ქკსა :სლა: აქა ფაშები გამოვიდეს ოც-და-ორი ათასი. სრუ-  
ლიად ტაო ამოსწყეტეს. მოვიდა ბავრატ-მეფე ქალაქს, გაიმარჯვა, მრავალი ამო-  
სწყევდა (მილანისშირა იკონათისა № 6).

ქკს :სლა: წარწერა მხედრული ბრეთის ეტრატის სახარებაზედ: „ქ. აქუს  
სახუერისა ღმრთისმშობლისა ოქრო-მკედელსა სამი ჩარეკი ვერცხლი. მისსა  
სარგებელსა ასისა თანგისა ცვლსა მიართმევდეს და ნახე (sic) ლიტრა სანთ-  
ლისა გულსა მიართმევდეს. სხუა არასთანა სათხოვარი (sic) არა გეთხოვებო-  
დეს რა, ხატის სამსახურის მეტი წელიწადშიგან ამას მიუართმევდეთ ერთი-  
სა სათათროსა მალის მეტი. დაიწერა ესე წიგნი ქკსა :სლა: თიბათუესა  
კე:“

ამ დროისავე უნდა იყოს მეორე ასომთავრული წარწერა მარჯვენა უდაზე  
იმავე სახარებისა: „ჩ მე ფრიად ცოდვილმან შალიკაშვილის ასულმან თანამე-  
ცხედრემან ფანასკერტელის ფარსადანისამან გულდამ კელეკავ დიდებულისა სა-  
ზუერისა ღვთის-მშობლისა ოთხთავისა შემკობად სახარად სულისა ორთავე  
ჩნ (ჩენ) მეულლეთა. და სადღეგრძელოთ ძეთა ჩვენთავს ამინ“. (ბრფსსსეს ეს  
წარწერები შედგამებით გადმოუწერია Rap. IV III. ჩემი. უბის წ. II გვ. 13—14).  
მეორე უდას წარწერა ბრფსსსეს კერ წაუკითხავს: „ასომთავრულად წერია: „ჯრ  
ცშ (ჯვარტმა). ამ ოთხ თავის მომკედელს ელბევიძესა შერვაეს და მისა მეუ-  
ლელსა გულამშარს შეუნდეს ღმერთმან ან (ჩემი. უბ. წ. II, 12. Rap. IV,  
119—112).

— ქკს :სლა: აქა ხუანთქრის ფაშები მოვიდეს რიცხვით ოცდაორი ათასი:  
და სდ ტაო ამოსწყვიდეს. მოუკდა ბავრატ მეფე ქარალაქს, გაიმარჯვა, ამოწყვილნა  
მრავალნი (წა ნიკოლოზის ქრ.).

ქკს :სლაბ: (1544 წ.) მოხსენებულა კათალიკოსა სვიმეონ გუჯარში, რომე-  
ლიდ მიუცია მისთჳს მეფეს ლონს და მისს მეუღლეს და ძეთა მათთა: გიორგის,  
იესუს, ალექსანდრეს და ელიმარზას ამისგამო, რომ მეფეს თჳსი ქალი ელენე მიუ-  
თხოვებია ერეკლე ბავრატის მისთჳს (მუხრანისა?), ხოლო კათალიკოსს სვიმეონს  
დაუქებებია ხლო ნათესაობისაგამო. მეფეს „საკანონოდ“ მცხეთისთჳს შეუწირავს  
საგარეჯოს მთის აჭო მიწები (ჩემი. ისტ. კრ. გვ. 114. თჳთ ნამდვილი საიკელი  
ფს. ქვემო სინოდის კანტ. გუჯარებში). 1548 წლის ქვეშე.

**1545 წ.** — „ქ. მე ერისთავთა ერისთვის იესეს ძემან ერისთავმან პატრონმან  
ქვენიანველმა ესე წმიდანი ზატყნი დატყულებულ იყო მას ჟამსა, ოდეს ჩემ-  
ნი ოთხნი ბიძანი კანდოს კვესურთა დაეკოცნეს ქკსა :სკივ: (1545 წ.) და გამოკეუა  
ტაძრისათჳს წინა თევდორესსაჲ და ამ ხნის დაკარგული მე ვიშოვე ქკსა :სევე:  
(1607 წ.) და ისრევე ტაძარსა შენსა შემოვსწირე... სადღეგრძელოდ... თანა.

მეცხედრის ჩემისა შხისთანდარისათჳს და ძეთა ჩუღნათათჳს წარსამართებელად პატრონობის ჩუღნისა... (წარწერა ეკლეს. მუხ. ხელნაწ. № 25).

**1545 წ.** ოთხნი ბიძანი ერისთავთ ერისთვის იესეს ძისა ქვენიფეველისანი კანდოს ევესურთა დაეკონეს ქქსა :სიკო.\* (ას. 1607 წ. ქქეშე)

ქქს :სლგ: (1545 წ.) აქა ძრვა იყო საშინელი (წა გ'ის გუჯანი).

ქქსა :სლგ: (1545 წ.) აქა ათაბაგმა ქიხოსრო სამცხე დაიჭირა (ე. № 2).

— ქქსა :სლგ:.. ლუარსაბ და ბაგრატ მეფენი ბასიანს სოხისტანედ ორს ფაშას და ქიხოსრო ათაბაგს შეებნენ. ქართველთ დაუმარცხდათ; ქიხოსრომ სამცხე დაიჭირა (გას. ქრ.) ქქს: სლდ ბაგრატ მეფე სამცხეს მოვიდა, ველარ დაიჭირა და აწყურის ღთის შშობელი ციხე-გვარს წაასვენა; კდ დადიანი ლეონ შეიპყრა ბაგრატ მეფემ და გელათს ტყვე ჰყო (გახ. სრ.).

ქქს :სლგ: 1546 წ. სია მცხეთის განძისა, შედგენალი მეფის ლუარსაბის და კათალიკოზის გუმანისაგან. მეფეს ლუარსაბს შეუწირავს ფუფი ორი ლიტრა და ორი ჩარქეი, კურცხლი ჭაღაჭურა ლიტრა და ჩარქეი და 50 მიტუალი ფუფად (ჩემი. საისტ. ქრ. გვ. 64).

**1546 წ.** — ტუავის საიგელი მსედრული მცხეთისა № 505 (სქსხა № :როდ:)

ქქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან ლუარსაბ, ძმამან ჩუენმან პატრონმან რამაზ და შვილთა ჩუენთა პატრონმან სუიშონ, პატრ. რამაზ და პატრ. ვახტანგ (ათარხნებს; გლეხებს იყანაშეიღებს და უგვეთავს ოცს ლიტრა ზეთს: მეტსთა ღთის-მშობელს მიუტანდეთო).. დაიწერა... ქქს :სლდ: თებერვლის :იგ:.. კელითა მდივან-მწიგნობრისა მინიშვილისა დაფითისითა“.

**1546 საიგელი მცხეთისა № 276:**

ქქ. ნებითა და შეწვევითა ღთისათა: ქქს :სლდ: გამოიღეს ახალქალაქელი თავი კაცი ორნი მოყალენი ერთს ფურ-ბერწსა და ერთს ცხუარს: რასთენიკა დღის ყანა უთქს, დღიურზედა ოთხი კოდი ღალა, ფურისთავსა ერთი ჩარქეი ერბო. ამას გარეთ საყველიერო ერთი ლიტრა ყველი და ოცი კვერცხი. რიგისად გოქი და ქათამი, მაღი, საური, ულაცი, სააღდგომო ძროხა. ცხურის სათვალავი ათისთავი; მაღის თავსა თანგა ოც-და-ორი“ აქ სულ ჩართულდა სეკულად: „კათალიკოზი“ (მაღაქაჲ?).

გუჯრის ზურგზე სხვა ხელით: „ქქ. ნაღვალენს დღიურზედ ღალა სამი კოდი, თუ არა თივა, ათისთავი ცხურისა, ღორის, სამქოხი (sic), რასაც ემართლებოდეს იმ წესითა ისე მოგვართონა სეკულად „ქქი“ (შეტი არა. რა).

**1546 წ.** — მცხეთის საიგელი № 219, სქსხა მცხეთის ქონებათა:

ქქ. ჩუენ ღთივ გვრგვინსანმან: მეფემან ლუარსაბ და ქქს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა მამათ-მთავართა მთავარმან“... აქ გრძელა სქსხა მცხეთის

ქონებათა და მათ შორის ერთი ქართლის ცხოვრება“. ესეც მრავალთაგან ერთი საბუთია ქცხბის სიძველესა.

**1547 წ.**—სიგელი მცხეთისა № 331 (ნუსხა № :სძე.), უთავო:

[ქ. ჩვენ პატრო]ნმან დავით და პატრონმა ვახტანგ შემოავწირეთ... (მცხეთას) ქალაქს ლულოძისა და დათვიასეული სასახლე გზასა და მტკუარსა შუა... დაიწერა... ქკსა :სლე: თვესა ოკლომბერსა ოცსა“.

**1547**—ქკ :სლე: ლუარსაბ და ლეონ მეფეთა და მესხთა უწყეს სპარსეთს რბევა და ოკრება (კახ. ქრ.).

**1548 წ.** მოხსენებულნი არიან: კათალიკოსი სვიმეონ და მალაქია, მეფე ლეონ და ძენი მისნი: ალექსანდრე, თეიმურაზ, ელიმურაზ, კოსტანტინე, ქაიხოსრო, ვახტანგი, ირაკლი (შემდეგ ნიკოლაოზ კათალიკოსი?) და ბაგრატ. მეფე ხელწერილს იძლევა, სჯულის კანონის წინააღმდეგ ჯვარისწერას არ მიუშუებო (ჩემი აღწ. წ. კ. ხელნაწ. გვ. 8).

**1548 წ.**—მცხეთის ნუსხა № :სლდ:, რომელშიც 1548 წელს მოხსენებულია უცნობი კ<sup>წ</sup>ი სჯუმონ. შესანიშნავია, რომ სხვა დაბეჭდილ საბუთებთან სჩანს, რომ მალაქია კ<sup>წ</sup>ი, რომელიც დამჯდარა 1532 წლის უწინ, ცოცხალი უოფილა და და კათალიკოზობდა 1649 წ. (იხ. 1549 წ. ქვეშე). შეიძლება მალაქია გადამდგარი უოფილაყო 1548 წ. და ანუ ერთის წლის შეცდომა იპოკოპოდას ამ ნუსხაში (შე-ად. Rap. IV p. 34).

„... ჩუენ... (აქ სრული საშეფო წოდებულება) მეფემა ლეონ... მეცხედრემან ჩნმან... თინათინ და ძეთა ჩნთა: გ<sup>წ</sup>ი, იესე, ალექსანდრე და ელიმირაზ... ესე სიგელი... მოგაკსენეთ... (მცხეთას) და ქკს სჯუმონს (sic) მას ჟამსა, როდეს ჩუენი ქალი ელენე ბაგრატიის შვილს ერეკლეს (მუხრან-ბატონს) მივათხოვეთ უხუბლრად და თქუენ სჯულისა წესითა გამოგუენანებით... (საქანონად) მოგაკსენეთ მთას აქეთ საგარეჯო ს<sup>წ</sup>დ ასრე და ამა წესსა ზედა, რომე საყენო საურსა, ლაშქრობა-ნადირობასა და გონბორს გარეთ ნახევარს ცხურის საბალახეს აქეთ, სხუა ჩუენი კელი აღარა შემოვილოდეს და ჩუენი კერძი შესაწევარი: პური, ღვინო, ღალა, იორის საბალახე და რაც იქაური გამოასავლი იყოს, სრულიად თქუენ აიღებდეთ, და თუ სადმე იქით ჩავიარდეთ, პურსა გუკუმევდენ და თუ ვინმე გარესჯელმა კაცმან შეგუეცოლოს და გამოავენანეთ, მისი ნახევარი ჯურუმიცა თქუენ მოგაკსენოთ... დაიწერა... ქკს :სლე:“.

**1548** (ანუ 1532—1549) წლის ახლო ხანებს არის დაწერილი მცხეთის ნუსხა, უთავო და უთარილო, № :სმა:

ჟ - - - ...ესე წიგნი... მოგაკსენეთ ჩუენ მეტე[ხის] - - - შვილთა ქე

რობინ, ავთანდილ და ზაალ... თქვენ ყოვლისა საქართველოსა მამათ-მთავარსა ქრისა პატრონსა მალაქიას მას ეამსა, ოდეს მეტყვითა [საყდარსა მამა ჩუქნი] დავისაფლავით თქვენ უკითხავად და თქვენ გავგწყყროთ... - - - მოგიღე-ქით კარსა და მამისა ჩუქნის მოთხრა გ[ვბრძანეთ] - - - (ასლა ამ ზირობას გაძღვეთო, რაჟი) ჩუქნისა გუარისა კაცი (მეტყვნს) არ დავისაფლავით“...

**1548 წ.** ქკს :სლვ: აქა შაჰთამაზ გამოვიდა (ეჟანბ № 2).

— ქკს :სლვ: „შაჰთამაზ მოვიდა ყარაბაღს, მივიდა მისთანა ლეონ მეფე შავილენენ შირვანს, გულისტანი ალილბ, შირვანი დაიპყრა, მერმე მოვიდა, ტფილისი ალილო. ეზრახა ათაბაგს, ქალი ცოლად გამოართვა და წარვიდა.—კვალად მოკვდა მეფე ბაგრატ და დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ იმერთა (კახუშტის ქრონიკა).

— ქკს :სლვ: აქა დაიჭირა მეფემან ბაგრატ ლეონ დადიანი (წმ. გიორგ. ტელათური გულანის).

— ქკს :სლვ: აქა დაიჭირა მეფემან ბაგრატ ლეონ დადიანი (წყარა-კითხ. № 252) მეფე ბაგრატ და დედოფალ ელენესაგან მოქედლილი ხატი 1548 წ. იხილგ ოჟურგჰში (Rap. IX, 26).

**1549 წ.** ქკს :სლზ: სულთან სულეიმან მოვიდა აღრიბეიანზედ (კახუშტის ქრონიკა).

**1549 წ.**—მგრეთის სიგელი № 90 და ნუხუხუბი № № :ტნე: და :ტნე: შირველი თარიღიანა, ზოლო მეორე (№ :ტნე:): ამაჟე შირთა მოსისხეიანს.—ჟავახ ჭილაძე იხ. *Archéolog. puyesh. по Гурин и Адж.* დ. ბაქრაძისა, გვ. 239; *Hist. Gê. Brosset; II, liv. 2 p. CXXXIII.* და *livr. I, 255; 339.*

№ ტნე: „ჩნ... ჭილაძემან ჟავახიან შემოგწირეთ... (მგზეთას) ბალასკარს (ნუხაში „ბღის კარს“) ერთი მეზუთხე მოსახლე კაცი ივანე ულურგლისძე; მეორე მეზუთხე ქუტუმო სანავარდოს მახარა სანასძე, მესამე მეზუთხე მოსახლე კაცი ქორისუბანს ბუბასკირი თემნა; მეოთხე მეზუთხე კაცი ქუტუმო სანავარდოს თემნა ხურცილავა, ერთი მოსახლე კაცი ხეჩის ნასყიდი სალოქაა, ჯიქთ უბანს ერთი მოსახლე კაცი (სულ ხუთი მოსახლე და ოთხი მეზუთხე)... არა ეთხოვბოდეს რა ჩნი... ეს ჩემი შამოწირული ჩნისა ცოჯისათჳს საკანონოდ დაჯე-ბული ვითაც ყოვილიყოს არ მოგეშალოს. დაიწერა ქკს :სლზ: (sic).

№ :ტნე: „მართებს... სალოქას ორი საჯავა ოც-ოცის თეთრისა... თორმეტი კოკა ღწო... ექუსი საციქუტლი ღომი, ათი კელი მჭადა, ერთი თეთრი სალდგომო. მართებს ივანე ხუცესსა ულურგლისძესა (იხ. № ტნე) სალიმონოთ ხუთი ზუთხი, ორი საკლავი ოც-და-ათის თეთრისა, ერთი საკლავი სხუა, ხუთი ქათამი, ოცი კოკა ღწო, ცხრა საციქუტლი ღომი, ერთი სამარხუტელი... ოც-და-ათი კუტრციხი. მართებს ბუბასკირს ხუთი ზუთხი სალიმონოთ, ერთი

ზრახს, რას სჭვავჭავ, ნაწი გოჭრ და ქათამი, რაცი კოკა ღვნო, ათი საციქუპ-  
ლი ღომი...

მართებს თემნის ზურცილაკს ზუთი ზუთხი სალიმოზნოთ; სამი საკლავი;  
რაცი კოკა ღვნო . . . . ერთი კმელი თევზი... თორმეტი კელი მჭადი. მართებს  
მახარას სანასძესა (ღბ-სხვ. დაწვრილებით).

№ :ტნდ: „რღიშს ჭილაქას გუხნისაგან“.

„თქნ ცათა მობაძავსა დედა-ქალაქსა... მცხეთისა საყდარსა... და თქნსა  
საქეთ-მპრობელსა... ქართლის კვ პატრიარქსა მალაქიას ესე წიგნი და სი-  
გელი გვადრეთ და მოგაკენეთ ჩნ ქილაჲსძემა გუსტან და შვლმან ჩემმა ჯა-  
ვანმან... მას ეა, როდეს ჩნსა შვლსა ჯავახსა მეფის ლუარსაბის დაჲ შვერ-  
თეთ, ჩნ შუა უხუტდრობა იყო და მისად დასაურვებელად შემოვსწირეთ კვე  
მცხეთის საყდარსა სამოცა ლიტრა ცკლი... არას ეამშვიგა არ მოგეშალოს.  
ერთა წელიწადთა... მცხეთას მოვიღებდეთ“ . . . .

**1549 წ.**—ამ წლის ახლო-ხსენებში უნდა იყოს დაწვრილი სიგელი მცხეთისა;  
ნუსხა № :ტმკ.; რომელშიც მოხსენებულია კწი მალაქია და ლეონ თვისის დი-  
დახსობით, რვა კაყიშვილით, რომელთაგან ზოგნი ასტორიამ არ იცის. ამდენი  
შვილები ლეონს არ ეყოლებოდა უადრეს 1540—1549 წ., რომლისც დოცხსაღჭ  
ყო კწი მალაქია.

ჩნ... მეფემან ლეონ და მეცხედრემან ჩნშან... დედოფალმან ზინათინ  
(და ძეთა ჩნთა: პატრონმა ალექსანდრე, ელიმირზა, კე, თეიმურაზ, ჭახოსრო,  
განტანგ, ერეკლე და ბაგრატ) ესე... წიგნი... მოგაკენეთ (მცხეთას)... და ქვსა  
მალაქიას... ასე რომე... დღის უკანის რაიც ასრე საკანუნო იყოს; რომქ  
ჩუნი რჯული არ მოგუცემდეს, თქუტნად ნება-დაურთავად არც ვის ქალი  
მიესცეთ და არც ვისი ჩნ მოვიყუანოთ და ჩნსა ბატონობაშიგა ვინც საკა-  
ნონო საქმე ქნას ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ მცირემან, რუსხუტულ  
ცყოთ და თქნცა გამოგანახოთ და არცა ჩნთა კართა მოუშუათ, სანამდისი  
თქნ შენდობა არ მისცეთ და რიცა საყდარზედა ებისკოპოსი არ იჯდეს და  
გარდადგომილიყოს, არცა იმას ეამი ვაწირვინოთ... და რაც საყდრისა გუჯრე  
ბი იყოს... მოვიკითხოთ... გაგიგონოთ“ . . . .

**1550 წ.** ჭკათახევის სიგელი №.

„ქ: ჩუენ ღეთიე გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითის ძე-  
თა, მეფეთ-მეფემან ლუარსაბ, ძმათა ჩუენთა პატრონმან აღრაზან და პატრონ-  
მან რამაზ ესე წიგნი და სიგელი ამისად ნიშნად შეგიწყალეთ და გიბოძეთ  
თქუენ ქვათაკვევლთა, მას ეამსა ოდეს საკარავე დაგიწყო თხოვნა; თქუენ მო-  
გვიდგიეთ კარსა ჩუენსა; სიგლებოც მოგვართვით და ვნახეთ დიდის ალექსანდ-

რესგანცა, ჩუენთა ზაპათა და მამათაგანცა თარხანი და ხელშეუვალნი ყოფილ-  
ხართ. აწ ჩუენცა გათარხნეთ და გათავისუფლეთ, ასრე რომ არ გეთხოვოდეს  
მალი, არა საური და საჯინიბო, არა სასუქი, არა ულუფა, არცა ოდეს გთხო-  
ვებია და არცა ჩუენ გთხოვთ არა აწე და არა საბოლოდ, არა ჩუენგან და  
არა ჩუენთა მომალთაგან. დაიწერა ესე მტკიცე შეუსცვალებელი სიგელი ქო-  
რონიკონსა :სლპ:, თვესა დეკემბერსა :ია:, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობ-  
რესჲ თუმანიშვილისა მანუჩარისაჲ“. —სვეკულად: „ლუარსაჲ“. აღრაზან. რამაზ.“

**1550 წ.** ქკს :სლპ: აქა გაიპარა |ლევენ დადიანი, დაქერილი ზაგრატი-  
საგან 1548 წ. იხ. წემო| და მოვიდა შინა (წერა-კითხ. № 252)

— ქკს :სლპ: აქა გაიპარა (დეკან დადიანი) და მივიდა შინ (წმ. გიორგ.  
ბგლათური გულანნი).

— ქკს :სლპ: აქა ტაოს ქუტყანა დაიქირეს ურუმთა (აგორათის ძიდას-  
პირი № 6).

— ქკს :სლპ: აქა ტაოს ქვეყანა დაიქირეს ურუმთჲ (წმიდა ნიკოლოზის  
ქორონიკონი).

— ქკს :სლპ: (1550 წ.). აქა ტაოს ქუეყანა დაიქირეს ურუმთა (უანჩ. გ.)

— ქკს :სლპ: ოსმალთ ტაოს ქვეყანა დაიქირეს; და მანუჩარ დგებდა  
(კახ. ქრ.)

**1551 წ.** იანისის 9 სა. —სიონის სიგელი № 11: „ჩუენ... მეფის დავითის  
ძემან პატრონმა რამაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან ხუარამზე და  
ძემან ჩუენმან... ზაგრატ... სწირავენ სიონს სოფელს ფიცხისის (ფაიხისის)...  
„ეელ შეუალად..., ასე რომე მოუკდეს ყაზახნი და აღაოკრეს და მოკითხული  
ვქენით... და თქუენთვის შემოგვწირავს... დაიწერა... ქკს :სლთ: იენი-  
რის :თ:“.

— ქკს :სლთ: ბატონიშვილი რამაზ, ცოლი მისი ხაურამზე და ძე მათი  
ზაგრატ (სიონის გუჲ № 42).

**1551** —სლთ: შაჰ-თამაზმან შაოქისციხე (შაქისციხე) დაიქირა (კახ. ქრ.).

**1551 წ.** ასლო-წლებისა: „ღმერთო და ოქონისა ხატო პატრონსა დავითსა  
გაუმარჯვე, აგრეთვე პატრონსა ჩემსა თვალ-შუენიერსა და დადიანსა მამისა“. —  
ჩემი. ისტ. კრ. გვ. 377. თვალ-შუენიერი ქაიხოსრო II ათაბაგის ძე † 1575, მამა  
III † 1533. აქვე მოკვეთნთ გალისის წარწერას, რომელიც ბროსისს სწორედ ვერ  
წაუკითხავს: „ნებითა ღვთისათა მე ღვთივ გვრგვნოსანმან... ქართველთა მე-  
ფეთ-მეფის კოსტანტინე-მეფის შვილის-შვილმან მეფის ზაგრატის ასულმან  
ათაბეგ ამირ-სპასალარის კახლის რძალმან დედის-იმიდმან მეორედ აღვაშენე“

წა ესე ეკლესია შენ ცათა მობაძვის ვალის ღვთის მშობლისა რათა მცველ-  
მფარველ გვექმნა... მე და თანა-მეცხედრესა ჩემსა ათაბაგ-ქაიხოსროს და ძენი  
ჩემნი... ყვარყვარე, მზეკბუჯი, მანუჩარ, თვალშენიერ, ივანე, თამარი დღე-  
გრძელობით დაიცვენ. ან დასა მათსა ელენეს სასუფვეელი დაუმკვიდრე (Bros.  
Soyage arch., p. 129; ჩემი აღწერა წ.-გ. ხელნაწ. გვ. 107.

**1552 წ.** — ქკს: სმ: ოსმალი დაიჭირეს არტანუჯი არსიანამდე, ფანავარი  
აღაშენეს, არტანიც დაიჭირეს, სამცხეს ვერ გამოვიდნენ (კახ. ქრ.).

ქკს: სმ: (1542 წ.) „...ესე შეწირულობის წიგნი და პირი მოგაკსენეთ  
ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანა მეცხედრემან ჩუენმან  
დღღოფაღმან პატრონმან თამარ (სხვა მელნით გაუსწორებაჲ „თინათინ“) და ძე-  
მან სასურველმან დავით თქუნ დედა-ქალაქსა მცხეთას..., ასე რომე პირველად  
სოფელი კვიძსევი სრულიად მისით შენობით, კვეთ-უბანი და გიორგანი ორი-  
ვე კევი მალა მთილამ დაბლა თეთრს კლდემდი რაც სავეძო არის ჩელტს  
გამოდმართ გრემის კერძად... ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კულად  
ყარა ასლანს მივეცით ორს ოდენ წელიწადსა, ახლა ბატონი კათალიკოზი ნი-  
კოლოზ მობრძანდა და გუჯარნი მოიხუნა... თვისევე მამული მკვდრი საქონე-  
ბელი თქუენვე დაგიდევით და მოგაკსენეთ სვეტსა ცხოველსა და ძმასა ჩუენსა  
სასოებასა... ბატონს კათალიკოზს, ასე რომე როგორც თქუენი მოურავი და  
ქადგი ყოფილყოს... ისევე დაყენეთ, საბალახე და აბრეშუმი და დიდი სათათ-  
რო საური და რაც რამ ფერი ყულა (sic) თქუენი ყოფილა და თქუენ აი-  
ღებდეთ. ჩუენ არაფერი კელი არა გუედვას რა, ლაშქარ-ნადირობა და მო-  
ნასტერი ვარცნისა, სასახლე და ციხე უმიზნოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ  
მუშაობდენ... არც გრემელთ ქონდეს საცილობელი კელი, არც შილდელთ  
და არც ნეკრესელთა... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: იე: ქკს  
:სმ: კელითა წინამძღურისა ვაჩნადის იოსებისათა“. ჩინებული წარწერა მსჯდრული,  
ბოლოს ღამაზის ხელით ჩაწერილი: „მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა  
ღთისათა“. ბუჭედი სიყა წარწერით: „მეფე ალექსანდრე“, ზედ დასატულია  
გვირგვინი და ღახტი (ისე როგორც ჭკეპი 1553 წ. ჭკეპი).

**1552 წ.** — თფილისის სიონის სიბედა, მსჯდრულად ნაწერი, № 104, რო-  
მელიც საურადადგობა ისტორიულს ცნობებს გვაძლევს. ამაში მოხსენებული უცნობი  
გზი ზებედე, როგორც სჩანს, მუდარა ნიკოლოზის უწინ და ამავე 1552 წ. გა-  
